

114  
1951/8

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

32

7

037060



1951

# გნათობი



5079

ქრეველთვიური ლიბრატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კულტიური ჟურნალი

სამართველს სუბსოტა მწარლმების კავშირის ორბანო.

~~1~~

წილიწადი ოცდამეცხე

7

★

ი ვ ლ ი ს ი

19

სახელგამი  
თბილისი

51





|   |     |
|---|-----|
| ალექსანდრე ძუთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე, გაგრძელება              | 39  |
| ბრიტოლ ციხელაძე — სამგორში, ლექსი   | 39  |
| ოთარ ზილიძე — გაღმოსახედი, ლექსი  | 31  |
| არჩილ სულაქაშვილი — მეზღვაურის სიმღერებიდან, ლექსები                          | 32  |
| ორბე დგბეზაძე — დიდ გზაზე, დასასრული  | 33  |
| შალვა ამისულაშვილი — თუშეთის მთებში, ლექსები                                  | 61  |
| დავით ბაქრაძე — ვაჟი და სისხლით, გაგრძელება                                   | 66  |
| იოვანეს ბენიანი — ლექსები, თარგმანი ვერმანულიდან ვახტანგ ბექვაძისა            | 84  |
| ვასილ კოჭაჩიძე — ახალი ნიაღვარი, დასასრული, თარგმანი რაქალაძისა               | 86  |
| ვილიამ ზემსპირი — სონეტები, თარგმანი ინგლისურიდან რევაზ თაბუკაშვილისა         | 100 |
|   |     |
| პავლე ინგოროშვილი — ილია ქაქვიძე, წერილი, გაგრძელება                          | 104 |
| გიორგი თავაძე — სოფრამ მგალობლიშვილი, წერილი                                  | 137 |
| გივი ბაჩიაშვილი — დემოკრატიული უწყრეთის მწერლობა, წერილი                      | 148 |
| დოქ. ვ. ბურჯანაძე — კომუნისმის დიდი მშენებლობანი, წერილი                      | 153 |
|   |     |
| ვლ. არბიშიძე — ნაკაშიძე, საბავშვო მოთხრობები, ბიბლიოგრაფია                    | 161 |
| ვ. გომილაძე — ელ. გოგიაძე, მერხველის ვანთიანი, ბიბლიოგრაფია                   | 162 |
| ალექსი ზოლქვაძე — მერი და მია „ნეტა, შენს დედას“, ბიბლიოგრაფია                | 163 |
| პავლე კოჭაჩიძე — ნ. ინასარი, დრამა წითელ მდინარეზე, ბიბლიოგრაფია              | 165 |
| ბ. შიშკაძე — ნუნუ ზომერტიყი, ილია ქაქვიძის სახლი საგურამთში, ბიბლიოგრაფია     | 167 |
| ვალერიან იტონიშვილი — მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დამიტრი ბაქრაძე, ბიბლიოგრაფია | 168 |
| ახალი წიგნები   | 172 |

პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მონაშვილი, შალვა რადიანი, ლეო გიბაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სარგი ზილიანი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-51 წ. ნახევდ ფორმათა რაოდენობა 10%  
ში 03533. შეკე. № 415. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომისიატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательства и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.



# პირისპირა

რომანი\*

წიგნი მეოთხე

მიწისძვრა



\* მე მამხნევებდა ის მწუხარე, მაგრამ მაინც დღზე დიდი ნუგეში, რომ ზემთან ერთად ადამიანთა მთელი ზოდგმა იღუპება, რომ ეს — ქვეყნის დასასრულია.

პლანეტისა — მიწისძვრისა და ვეზუვის ამოხეთქის აღწერა.

!

თებერვალი დადგა. ისეთი სიცივიე დაიჭირა, რომ მტკვარი სულმთლად გააყინა და სიბი ქვაც კი სკდებოდა. ჩრდილოეთის სუსხიანმა ქარმა ტყვიისფერი ღრუბლები მოდენა. ბოლოს მოთოვა კიდევ. თბილისის გარშემო აზღუდულ, უტყეო და მოშიშვლებულ მთებს თეთრი, თხელი და სიფრიფანა სუდარა გადაეფინა. მთაწმინდა და წყნეთამდე გაქიმული, მომდევნო მთა პრესტორიულ, გიგანტურ ცხოველს — ინტიოზარის ჩონჩხივით გაწოლილიყო დედამიწაზე და მის ზერხემლიან ფერდობზე დაშვებული ნადაღარები და ლარტაფები ნეკნებს შორის გაჩენილ, ჩაშავებულ ადგილებსა ჰკვანდნენ. ამგვარად ესახებოდა სასადილო ოთახის ფანჯარასთან მჯდარ კორნელის თეთრი სუდარით გადაფენილი, დადუმებული მთაწმინდა და მომდივი მთები.

ულრმესი სასოწარკვეთილებით გასცქეროდა კორნელი სანაპირო ქუჩაზე ჩარაზმულ, ჩონჩხადქცეულ ჰანდრებსა და თოვლით გასუღრულ, დამუნჯებულ მთებს.

მტკვრის ვალმა გორაკზე გაშენებული რუსული ტაძრის მაღალი და ჯვარიანი გუმბათები, დაისის ეამს, ვარ-

დისფერ ცას ებჯინებოდნენ და ისე, როგორც ვერლენს თავის ლექსში — „სევდამი“ ცის ცარიელ უსაზღვრობისაკენ იმ გუმბათების სწრაფვა, ადამიანთა რელიგია, ზნეობა, სიბრძნე, სიყვარული და ბუნების ლამაზი სურათები. — კორნელისაც სასაცილოდ მიაჩნდა და აღარაფერი აღარ ახარებდა ახლა ამ ცივ და მკვდარ დედამიწაზე. თითქოს მზე ვაცივდა, მზე ჩაქრა და მთელი დედამიწა მარადიული ზამთრით მოცულ, მკვდარ პლანეტად იქცა და მასზე არსებული სულდამული, მკენარე და სიცოცხლის ნიშანწყალი, კაცობრიობა და მისი კულტურა მოკვდა, მოისპო და წაიშალა, — ფიქრობდა კორნელი. მხოლოდ ტაძრის გვერდით გაშენებულ სასაფლაოზე იდგნენ მარად ზამთარს, სიცივეს, თოვლს, ყინვასა და ყინულს შეგუებული, მგლოვიარე ჭირისუფლებივით შევად შესუდრული, მაღალი და მუნჯი კვიპაროსები და ფიჭვები. „მხოლოდ ისინი თუ გაუძლევენ მარადიულ ზამთარს და ყინვას, რომელიც ანერებს მცენარეში წიგნის ჰოძარაობს და ცხოველთა და ადამიანის ძარღვებში კი — სისხლის მიმოქცევას. კაცობრიობის სიკვდილის სიმბოლოდ დგანან მთაზე თოვლითა და ყინულის ლოლვებით შობის ხის მსგავსად შექმული ფიჭვები. ამაოდ ოცნებობენ ისინი თბილ და ცხელ ქვეყნების

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

ფოთლოვან ხეებზე, პალმებზე, დაფ-  
ნებზე და ნარინჯებზე. მოკვდა, გაციე-  
და დედამიწა და მასზე მარადი ზამთარი  
და უსახურო მდუმარება გამოედლა, —  
დაამთავრა ფიქრი კორნელიმ, ტანში  
გააქრკოლა და მის გულში ქვეყნის და-  
ღუპვის შიში და ენით გამაფუთქმელი  
სევდა შეიჭრა. ის შიში და სევდა არა  
პგავდა ქვეყნის დაღუპვის გამო ფი-  
ლისტერის სულში შეჭრილ უნაპირო  
შიშა და სევდას. კორნელის სევდას  
მისი გონივრული უძღურების შეგნება  
ჰკვებავდა. ეს შეგნება მამატებდა მას  
ძალას და ხერგავდა მასში სურვილს,  
დაუფლემობდა ბუნების შემცნობ მეც-  
ნიერებას, ნდობდა ადამიანის გონე-  
ბას, რომელიც დღითიდღე, ევოლუციის  
გზით, უფრო და უფრო აგნებს და  
გვიხსნის მსოფლიო საიდუმლოებას, მი-  
უხედავად იმისა, დაინგრევა თუ არა ეს  
დედამიწა და ჩაქრება თუ არა მზე ბი-  
ლიონი წლების შემდეგ. მაგრამ დღეს  
კორნელის გონება და გრძობა ერთმა-  
ნეთს არ ეთანხმებოდა.

კორნელი ისევ ფანჯარასთან იჯდა  
და მის სულში, ისე როგორც გარე სამ-  
ყაროში, რომელსაც ის ფანჯრიდან  
სტერეტდა, ისევ უცნაური და უჩვეუ-  
ლო რამ ხდებოდა.

როგორღაც ერთბაშად დაღამდა. კა-  
რში სულდგმულიც არა სჩანდა. მხო-  
ლოდ თოვლით და ყინულით დაფარულ  
მტკვრის ახლოს, ბოძთან ნაცრისფერ  
პატარა ძაღლს კვდი ამოეძებინა, ჩე-  
ხოზე ბალანი აეყარა, მოკუნტულიყო,  
თავი ცისაკენ საცოდავად აღეპყრო და  
გულისდამღონებლად და საზარლად  
ყმუოდა და მოსთქვამდა. «გაოცებულ  
დედამიწაზე გამეფებულ, უსახურო  
სიჩუმეს და თავის მარტობას თუ უჩი-  
ვისო», — გაიფიქრა კორნელიმ. მას  
ჯავახეთის სოფელი — ვარევიანი მოა-  
ვონდა, როდესაც ვრთვოლ ცაგორიშვი-  
ლის სიკვდილის ამბავი გაიგო და მიდი-  
ნარის ახლოს, აღვის ხის ქვეშ ძაღლმა  
ყმუილი მორთო. უმაღლე მტკვარზე გო-  
დამდგარი ხის პატარა სახლსკარი გა-  
იღო და მალაღმა და გამზდარმა შოა-  
ხნის კაცმა ბოძთან აყმუვლებულ  
ძაღლს სანადირო თოფი დაუმზინა და  
ესაროლა. ძაღლი უსულოდ დაეცა და  
დედამიწაზე. მკვლელი კი შინ შევარდა  
და ისე ჩქარა მოიხურა კარი და ჩაქკე-  
ტა, რომ კორნელიმ გაიფიქრა: ალბათ  
დედამიწაზე გამეფებულ მარად ზამ-  
თარს, მდუმარებას და სიკვდილს გაქქ-

ცა და შინ ჩაიკეტაო. იმ კაცს კარგად  
იცნობდა კორნელი და ძალიან გაუკ-  
ვირდა: მონადირე კაცმა ყმუილის გა-  
მო, ძაღლი რად გაიმეტა და მოჰკლავს.  
თოფის გასროლის ხმაზე ტარეზა.  
ელუნე და მზარეული ქალი კატიაც  
ფახჯარას მისცივდნენ და გაიხედეს.  
მაგრამ გარეთ ისე ციოდა, რომ ყინვა  
უკვე მინების ქარგვა დაიწყო და ქა-  
ლებმა მოკლული ძაღლი ძლივს დაინა-  
ხეს. შინ კი — ღუმელებში ციცილი  
ენთო და თბილოდა.

საზარლად ყმუოდა ის დაწყვილილი  
და იმ მონადირემ იმითომ მოჰკლავს, —  
განაცხადა კატია. ყველანი ფანჯარას  
მოშორდნენ. კატია ელოქრონი აან-  
თო და ფანჯრებს დარაბები მიახურა.  
ახლა უფრო შეძრწუნდა კორნელი. ყა-  
ვარჯენი აიღო და თავის ოთახში შე-  
ვიდა.

## 2.

კორნელი საწოლზე დაჯდა. კედლის  
უახროდ მიაშტერდა. იგი არაფერ გარ-  
კვეულზე არ ფიქრობდა ახლა. არაფრის  
გაკეთება არა სურდა. არც კითხვა და  
არც წერა. დილიდანვე უმიზეზოდ აფო-  
რიამებული იყო. მოუსვენობა დასიწე-  
მდა. უმიედობა და გამოუცნობი მწუხა-  
რება და სევდა არ შორდებოდა და არ  
ასვენებდა. ეს არასოდეს არ დაჰმართ-  
ნია. არაფერი აღარ აინტერესებდა. თი-  
თქოს ყველაფერს მის ირგვლივ ფასი  
და მნიშვნელობა დაეკარგა. ქვეყანა სა-  
პყრობილედ ეჩვენებოდა, თურხად შე-  
ღებილი პატარა ოთახი საკანად, ხოლო  
თავისი თავი კი — სიკვდილის განაჩე-  
ნის მომლოდინე პატომრად. ეს რა უბე-  
ღურება მომდისო, — შფოთავდა. მის  
სულს, თითქო შებუნებრივი რაღაც ძა-  
ლა დაეუფლა და ნათელმქვრივი გა-  
ხადა იგი.

კორნელი მივიდა და სარკეში ჩაიხე-  
და. იგი ძალზე ფერმკრთალი იყო, თე-  
ლეები კი უცნაურად ანთებოდნენ. პირ-  
ველად შენიშნა, რომ მისი თვალები შა-  
ვი კი არა, მომწვანო იყო. დიდხანს უც-  
ქეროდა თავის სახეს და ისე ფიქრობ-  
და, თითქო საკუთარ თავს ეთხოვება  
და დასტირისო: «ყველაფერს ბოლო  
მოეღება და გაქრება... ეგ თვალში  
ესოდენ მეტყველი და მშვენიერებას  
დახარბებულნი, სამუდამოდ დაიხუჭე-  
ბიან. მათ სამარის ჳია გამოლორონის და  
ორად დარჩენილ შავ თხრილებში ჩე-  
წარმავალი შეცურდება, რომ ტვინგა-

მოცილილ ქალაში მოიკალათოს. არაგი-  
თარი აღდგომა არ არსებობს ამა ქვეყ-  
ნად. კვდება სხეული და მასთან ერთად  
სულიც. ვერასოდეს ვერ შეხვდებიან  
ისინი ერთმანეთს“. კორნელიმ წიგნი  
გადაშალა და ეპიგრაფად მოყვანილ  
სოკრატეს სიტყვებს წააწყდა: „ჩვენ  
მხოლოდ იმდენად ვუახლოვდებით  
ქვეშაირებებს, რამდენადაც განვეშო-  
რებით სიცოცხლეს“. — წიგნი დახუ-  
რა. გახურებულ ღუმელს ზურგით მი-  
აწყა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობ-  
ლემაზე აბნეულად ფიქრი დაიწყო. დე-  
დამ ჩაის დასალევად დაუძახა.

მაგიდაზე სამოვარი იდგა. დედა ელე-  
ნე და დათა ჩაის სეპაღდენ. ჩაის შეკ-  
დებდა დათა სამეცადინოდ ოთახში გავი-  
და. კორნელი კი ახლა სასადილო ოთა-  
ხის ღუმელს ზურგით მიაწყა და ისევ  
შავ ფიქრებს გაჰყვა. დეიდა ტახტზე  
წამოწოლილიყო და ძველებურ რომანს  
კითხულობდა და დროდადრო იცინო-  
და. დედა ფეხებთან ეჯდა და დამკუ-  
ნარი თითებით წინდის ჩხირებს ამო-  
რავებდა და შეიღს შალის სახამთრო  
წინდას უქსოვდა. თანაც ნელა და უღა-  
რდოდ ღლინებდა კორნელისათვის  
ნაცნობ და საყვარელ სიმღერას: „გაფ-  
რინდი, შავო მერკალო“. კორნელის  
სამწინადად უკვირდა დეიდის სიცილი.  
დედის სიმღერა და უშფოთველობა.  
„სიკვდილი ამ სახლის კედელთან არის  
ატეხული. ყოველ წუთს შეუძლია მას  
კარი შემოაღოს და შინ შემოვიდეს,  
ამათ კი მისი დარდი არა აქვით“ — ფი-  
ქრობდა კორნელი.

ირგვლივ საოცარი სიჩუმე იყო გამე-  
ყებული. მხოლოდ კედლის საათის ქან-  
ქარა თანაბრად ირხვდა. ყოველი წუ-  
თის გადასვლას სტიროდა კორნელი,  
როცა დასაბრუნებელი ახრიალდებოდა და  
ორასი წლის ყორანივით იწყებდა ჩხა-  
ვილს დიდი, ძველი და ბებერი საათი.  
კორნელი დედას დააქვირდა. დამკუ-  
ნარი თითები ისევ თანაბრად ამოძრავებ-  
დნენ წინდის ჩხირებს. კორნელი ძაფის  
ყოველ ამოწევას, ახალი თვალის გაკე-  
თებას ითვლიდა და ქირსა და ლხინის  
მომსწრე დედის სახის ნაოჭებს აცქირ-  
დებოდა. დედა კი კვლავ არჩეინად ღი-  
ნინებდა და აზრადევი არ მოსდიოდა ახ-  
ლა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო.  
მხოლოდ ხანდახან შემოჰხედავდა  
შვილს თავისი მადლიანი და მზრუნვე-  
ლი თვალებით. არ მოსწონდა ღუმელ-  
თან გაშეშებული და დადუმებული გამ-

ხდარი შვილის ფერხორცი, დედის გა-  
მოხედვაში კორნელიმ დიდებული  
იგრძნო და ამოიკითხა. არასდროს მას  
ისე ძლიერად არ მოსწონებია დედის-  
თან მისვლა, მიახლოება. რცხვეინდა  
ამოდენა გააც, თორემ მივიღოდა კი-  
დეც, გვერდზე მიუჯდებოდა, საყვ-  
რულ ღამებზე აკოცებდა და, პატარა  
ბავშვივით, კალთაში თავს ჩაუღებდა,  
დედა მღვლევაზე ფიქრებით საესე თავ-  
ზე აღერსით გადაუსვამდა ხელს, გიშ-  
რისფერ აბრეშულოვით ნახ თანაში თი-  
თებს შეუცურებდა და ცოლშვილზე  
საუბარს გაუბამდა. დედა კაბის ქვეშ  
დაკიდებულ ვეება ჯიბიდან ჩურჩხე-  
ლას და თხილს ამოიღებდა და მიწო-  
ლებდა. კორნელი თხილს გატეხდა  
შეკამდა და მერმე დედის კალთაში  
თავმიღებულს მშვიდად დაეძინებოდა  
და ძილში სანუკვარ და საამო სიხმარს  
ნახავდა. კორნელის მშობლიური სოფე-  
ლი მოაგონდა, სხვენზე ატახილი აკი-  
ლოვდა, კომში, ბროწეული, კაკალი...

საათმა თერთმეტი დარეკა. კორნელი  
შეკრთა და ისევ საშინელი შიში და  
მარტოობა იგრძნო. სული შეეხუთა და  
გული ისე შეუღონდა, რომ შეშინდა.  
იქვე ღუმელთან არ დაკეპულიყო. ნე-  
ლა შევიდა თავის ოთახში, გაიხანდა და  
დაწვა.

ძილი არ ეკიდებოდა მის თვალებს.  
გამოუთქმელი, დიდი სიჩუმე იდგა. არც  
მეზობლის — ასათიანის ბავშვი სტი-  
როდა ახლა. შუალამე გადავიდა. შეშ-  
ფოთებულმა მამოლებმა ისეთი ცივი  
ხმით იყვილეს ეზოში, თითქო მტკარ-  
ზე მცურავ ყინულით ყელი გამოსჭრე-  
სო. მერმე ძაღლებმა ასტიჩეს ყმუილი  
და საღდაც განწირული ხმით დაიწყეს  
ბლაგილი ძროხებმა და უშობლებმა.  
კორნელის გული გაუჩერდა, კვლავ  
სული შეეხუთა და ხელ-ფეხს გაუცივ-  
და. კედლე ერთი წამი და მან აშკარად  
იგრძნო სიკვდილის მოახლოება. თოფ-  
ნაკრავივით წამოიჭრა საწოლზე და,  
თეთრულის აშარა, ბარბაცით გაჰყვა  
კედელს. საძინებელ ოთახს ძლიერს მი-  
აოწია... ხელის ფათურით მოსძებნა  
შტებსელი და სინათლე აანთო. დედას  
ტახტზე ეძინა. სიკვდილის შიშისაგან  
ზეხუელად გათავებული კორნელი თა-  
ვზე დაადგა. დედას მამინეკ გაეღვიძა,  
მის სასთუმალთან მოჩივრებისმსგავსად  
გაშეშებულ შვილს შეხედა და თავხარი  
დაეცა. შვილი უღონოდ დაეშვა ტახტ-  
ზე. სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა

და შეშინებულ და ფართოდ გახედილ თვალებით საღიას მორს იხედებოდა, თითქოს უცნაურ ხმაურს ყურს უგდებდა და უცნაურ სურათს სჭერებოდა. დედა მაშინვე წამოვდა, გვირდზე მიუჯდა, ხელი მოხვეია და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, შვილო?

— ცუდად ვარ... მიშველე...—ძლივს მიუგო შვილმა.

წელმოწვეტილმა ტერეზამ იღიწი გააღვიძა. ვალერიანის წვეთები მოსძებნა, ქიქარა ჩაასხეს და კორნელის დააღვიძინეს. მერმე მხარში შეუდგნენ, ოთახში შეიყვანეს და დააწვივნეს. კორნელის ხელ-ფეხები კიდევ უფრო გაუცივდა და ისეთი კანკალი დააწყებინა, რომ საწოლიდან ერთი ადლის სიმაღლეზე ხტოდა. დაზიდული ქუჩები კინაღამ არ გაუსკდნენ. იღიწემ სამი საბანი გადაფარა, ზედ მთელის ტანით დააწვა დისწულს, მაგრამ არც ამან უშველა კორნელის. დედამ და მზარეულმა ქალმა კატიამ აფურები მოსძებნეს, გაახურეს და ფეხებში შეუწვივეს. კორნელემ კედლისაკენ გადაავლო თავი და ახლა აჩემებულ ერთ წერტილს მიაშტერდა. ხელი ამოიღო საბნიდან და კედელზე უცნაური ნახაზების კეთება დაიწყო და შეშლილივით ბუტბუტს მოჰყვა: „ნუთუ ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო ეგ არის?.. მე სულ სხვას ვეფიქრობ... მაგრამ ვხედავ, ვხედავ და მესმის...“ — მერმე ვერაფერი ვერ გარაკვია ტერეზამ. კორნელი თვალანთებული მიმტერებოდა ერთ წერტილს და უკერად და სმენად ქცეულიყო. ტერეზა შეშინდა, სახეზე ხელი აიფარა და დას წასჩურჩულა: „ნამდვილად გავივდა, დავიღუპე...“

მაშინვე დედამიწის გულში თავზარდამციმე გუგუნე გაისმა და მიწა ძლიერად შეიარა და იძრა. ზედიზედ ცვლიდნენ ერთმანეთს მძლავრი ბიძგები, თითქო სახლი ზღვის ამობოქრებულ ტალღებზე შემდგარი გემი არისო. ფანჯრის დარბაზი გაიშრა და აქეთ იქით გაქანდა. მინებმა ზანზარი იწყეს. ჰერზე ჩამოკიდებული ლამაზი საქანელსაებრ შეირბა. მაგიდაზე ფიალა, ქიქები, წამლის შუშები და ბოთლები რეკდნენ. ქლარუნებდნენ, წკრიალებდნენ და როკავდნენ. კედლებს ზხარები დაეძვო და შპალერი გაიხლიჩა. ჰეროდან გაჯი და კირი ჩამოსცივდა.

მიწისძვრა არ ნელდებოდა. იღიწე დერეფანში გაიქრა. მას თეთრიულისა-

მარა ამდგარი დათა შეეფთა და ორივენი ეზოში გაცვივდნენ. რუსთაშვილის საქმისმწარმოებელმა „საქმისმწარმოებელმა“ ასათიანი ბლაოდა: „ანეტა, ანეტა“. ჩაძინებულ ცოლქმარს მიწისძვრაზე გაპლვიძებოდათ. ცოლი გვილნაკბენივით წაოკრილიყო საწოლიდან. ძეძუმყოვარ, მინარა ბავშვისთვის ხელი დაუტაცნია და ფანჯარაში გადახტარა. ფეხი და იდაყვიები დაეშავებინა, ბავშვი კი მაღლა აწეული ხელებით გადაურჩენია. თეთრიულის ამბარ ქუჩაში გაქრილი ბოლკოვნიკი მიქელაძე ვერის ხილზე დაუშვრიათ მიეზოვე ვაბრიელს და მეზობლებს. ბრძოლის ასპარეზზე, ზარბაზნების გრიალში ნამყოფი მხედარი მიწისძვრის შიშისაგან გაგიჟებულყო და ლანრად ქცეულიყო. მაიორი ბოგოლუბოვი და მისი ცოლი დალუპვის წინ ერთმანეთს კიდევ უფრო მავრა ჩაჰკონებოდნენ, თავზე საბანი წაეხურათ, ერთად სიკვდილი გადაეწყვიტნათ და რადგან ერთად კვდებოდნენ, სიკვდილიც ნაკლებ აფრთხობდათ. ასე ავადმყოფურად უყვარდათ ერთმანეთი ამ უნაყოფო, უშვილო ეროსა და ქმარს. სხვებს კი არაფერად უღირდა მათი უტყვისო თავი და არც არავის მოკვინებია დიაცის კაბის ქვეშ დამალული, ლაჩარი მაიორი. მისი უნიჭო მომოყრალი ცოლი.

ბნელი ღამე იყო. ხალხი ეზოში და ქუჩაში გამოფენილიყო და ქოთქოთებდა. ასეთი მძლავრი მიწისძვრა მხოლოდ ერთხელ ყოფილა საქართველოში. იმ ღამით გორში თითქმის ყველა სახლი და ნაგებობა დაინგრა და დაიქცა. თბილისის მცხოვრებლებმა მთელი ღამე გარეთ გაატარეს. სახლები ისეთის ძალით ირყეოდნენ, რომ ეზოში და ქუჩაში ყოფნაც საშიში შეიქნა, რათა კაცე შენობის ნანგრევთა შორის არ მოხვიდრილიყო. ამიტომ უამრავი ხალხი მოვედნებს ეშურებოდა და ბევრი კი ქალაქგარეთაც გარბოდა.

ყველგან ქალების მოთქმა. ბავშვების ტირილი და მამაკაცთა ყიჩილი გაისმოდა. ერთნი მშობლებს, მეორენი ბავშვებს, უსამინი კი ცოლებს უხმობდნენ თა ცდილობდნენ ხმაზე იცნოთ ერთმანეთი. ზოგი თავის გადაარჩინაზე ფიქრობდა და ზოგი კიდევ მახლობელ ადამიანზე სწუხდა და ტიროდა.

ტერეზა და კატია ყველაზე გმიროულად შეხვდნენ მიწისძვრას, ტერეზა

კორნელის არ მოშორებია. როდესაც სინათლე ჩაქრა, მან ნავთის ლამპა აანთო და ისევ შეიღის ოთახში შევიდა. მიწისძვრამ რამდენიმე წუთს გასტანა. კორნელი სრულიად მშვიდად იჯდა ახლა საწოლზე და ნაპირგასულ, გამარჯვებულ კაცის დიმილით ეუბნებოდა დედას:

— ორი რამ მაოცებს დიდად. ერთი ის, რომ მიწისძვრა წინასწარ ვიგრძენი და მეორე, დაიწყო თუ არა მიწისძვრა, გულის შეტევამ მიტია და სიკვდილის

შიშმა გამიარა. მე მაშვედებდა ის გარემოება, რომ ჩემთან ერთად მთელი ქვეყანა იღუპებოდა. ამერიკიდან შე შემიძლია გავიმეორო სიტყვიერი პლინჩის უმცროსისა, რომელიც ვიზუიტიდან ლავის ამოსროლას, პერკულაქსისა და პომპეის დაღუპვას დაესწრო. იგი დიდ ისტორიკოსს ტაციტს სწერდა: „მე მამხნევებდა ის მწუხარე, მაგრამ მაინც, დიდზე დიდი ნუგეში, რომ ჩემთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმა იღუპება, რომ ეს ქვეყნის დასასრულია“.

## მიწისძვრის შემდეგ

„მიწისძვრისა და ვულკანების სახით ჩვენ საქმე გვაქვს შედარებით ნაკლებ გავრცელებულ მოვლენასთან და მისივე ქვეყნის რომ დაღუპვა ან რაიმე საშიშროება მოელოდეს, ამაზე ლაპარაკი კი ზედმეტია“.

ვილჰელმ ბელზე: „ნარკვევები“.

### 1.

20 თებერვალს ღამით მომხდარი დიდი მიწისძვრა, მცირე ბიძგების სახით, კარგა ხანს გრძელდებოდა. მეორე დღეს ქალაქ გორისა და მის მახლობლად მდებარე სოფლების დანგრევის ამბავი მთელმა თბილისმა შეიტყო. მიწისძვრამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დიდი ზარალიც მიაყენა ქართლს.

მთავრობის ზოგი წევრი, წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაკები და ჯარის ნაწილები, სანიტარული მატარებლებით, გორისაკენ გაემართნენ.

ბოლშევიკურმა პარტიამ და კომპაგნირმა მფრინავი რაზმები შეადგინეს. რომელთაც მიწისძვრით დანგრეულ გორს, მის მახლობლად მდებარე სოფლებს და დაზარალებულთ დიდი დახმარება გაუწიეს. ერთ-ერთ მფრინავ რაზმში თბილისის მუშები — დანგაძე, ჩაბლიაშვილი, ხახუტაშვილი, მარუაშვილი და იარალოვიცი შედიოდნენ.

საშინელი სურათი გადაეშალათ გორში თბილისიდან ჩასულთ. მატარებელი დანგრეულ სადგურს მიუახლოვდა. შორს, ქართლის ველზე ერთბაშად აზღუდული, ბევრი პირისა და ვარამის მომსწრე, ბებერი და ეამთა სიავით გახუნებული გორის ციხე, ამობოჭრებული ზღვის ტალღებისგან გვერდებში წელი და სამარადჯამო განსასვენებელ ნავთსაყუდარში შეცურებული,

უხარმაზარი ხომალდით სდუმდა და სთვლემდა. მის ქვეშ გაშლილი ქალაქის ყველა სახლი მთლიანად, ან ნახევრად დანგრეულიყო. ზოგან სახლს კედელი მორღვეოდა და ქუჩიდან სასრუმრო, სასადილო, საძინებელი ოთახები, როგორც სცენაზე იყნ სჩანდნენ. მათი მორთულობა, ავეჯი, აულაგებელი სუფრა, გაშლილი ლოგინები და აკვნები ობლად და საცოდავად გამოიქვირებოდნენ. გლოვით მოკლული და თვალცრემლიანი დიდები ნანგრევებს შორის ეძებდნენ ბავშვებს.

დანგრეულიყო გორი. მხოლოდ უკვდავი ხელოსნის მიერ ქართლის შუა ვულში; ლიახვისა და მტკვრის პირას ოხერით და ტანჯვით ნაგები პატარა, საოცნებო სახლი გადარჩენილია მიწისძვრას, როგორც ქვეყნიერების ხსნისა და იმედის სიმბოლო.

მიწისქვეშა ბიძგები არ ნელდებოდნენ და შეშინებული მოსახლეობა, ნანგრევების ქვეშ მოყოლის შიშით, ქალაქს გარეთ — მტკვრისა და ლიახვის პირას გამხლი ველზე გასულიყო და სახელდახლოდ წამოდებული ხაბაკხუბაკით იქ დაბანაკებულიყო. მიწისძვრისაგან გადარჩენილი მახლობლებს უხმობდნენ, დასახიჩრებულთ და დაღუპულთ მისტიროდნენ.

შამთარი იყო. მტკვრისა და ლიახვის პირას სუსხიანი ქარი ჰჭროდა. ლტოლვილებს საბანი. შალი, ქეჩა, მზარა და ნაბადი წამოესხათ. შიშით და სასოწარ-

კეთილებით გასცქეროდნენ ისინი დან-გოველ ქალს, დაღუპებულ, მოვლი-მარე გორის ციხეს და ირგვლივ აზღუ-ღულ თიხებს.

მიწისძვრას მახლობელი მთის ფერ-დობები გაეხლიჩა; ლარტაფები, ნაპრა-ლები გაეჩინა და მთის დახეთქილი ფე-ნები, შეწყერის მსგავსად, ადგილიდან დაეძრა, ამოკრილი უზარმაზარი მიწა და ლოდები წამოეყინა, რომ მტკვრი-სა და ლიახვისაკენ წამოიღო, შიგ დაეხ-ვავებინა, მდინარე დაეგულებინა და ქა-ლაქი და მახლობელი სოფლები წყლი-თა და მორევით წაილენა... ზოგი სოფ-ლელი ირწმუნებოდა, რომ მთებს შო-რის, ღრმა ნაპრალების თავზე ღამით იისფერი და ჩნდება, ჰლივებს, და-ყ-ლაყნილი, ცეცხლოვანი გველები ცისა-კენ მიფრინავენ, და მიწის ქვეშ დახ-მული ვუგუნი ვაისმისო. ათას რამეს ამბობდნენ მიწისძვრით შემინებული და ცრუმორწმუნე გლეხები.

თბილისიდან ჩამოსული, დამხმარე რაზმები და ჯარისკაცები, გორად დაყ-რილ აგურებს, გაჯსა და კირს წერაქ-ვით და ხინძით თხრიდნენ და ნახვრე-ვებს შორის მოყოლილთ ეძებდნენ. ვეამებს ცალკე აწყობდნენ, ხოლო და-ქრილნი და დასახინრებულნი თბილი-სისაკენ მიმავალ სანიტარულ მატარებ-ლებისაკენ მიჰქონდათ, და ცის ქვეშ დარჩენილთ ბინებს უჩვენდნენ. გორისა და მის მახლობლად მდებარე ქართლის სოფლების დანგრევას მთელი საქართ-ველი გლოვობდა.

რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ მფრინავი რაზმები თბილქსში დაბრუნ-დნენ.

## 2

სწორედ 20 თებერვალს, ღამით მომ-ხდარ დიდ მიწისძვრის დროს, ისარგებ-ლეს რა მეტეხის საბატმროს ადმინის-ტრაციის და გუშაგების პანიკით და არევე-დარევეთ, — სერგო ქაქეარაძე, ვანო მახათაძე, ბორის ძნელაძე, ნიკო გოცირიძე, ვივა ხუციშვილი, მიტო ჩი-კვაიძე და სხვანი, კამოს მიერ კედელში გაყვანილი ხვრელით, ციხიდან გაიღ-დნენ, მტკვრის კლდოვან და მალალ ნა-პირზე დაეშენენ, მეტეხის ტაძრის ეზო-ში გადაცოცდნენ და აქედან, ვიწრო ქუჩებით, პატიმრებმა აუღაბარში ამოჰ-ყვეს თავი.

დანგრეული გორის მისამველებლად და დახარალებულთა დასახლებულად თბილისიდან გაგზავნილი ბოლშევიკე-ბის რაზმების ყველა წევრმა იტყუა და სასისხარულო ამბავი.

როდესაც მფრინავი რაზმები თბი-ლისში დაბრუნდნენ, ბორის ძნელაძის კონსპირაციულ ბინაზე კარო იარაღოვს სერგო ქაქეარაძისა, ვანო მახათაძის და კრუგლოვის მიერ შედგენილი ვრცელი პროკლამაცია გადასცეს.

პროკლამაცია წარმოადგენდა რამ ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კო-მიტეტის მიმართვას სრულიადრუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტე-ტის, სახალხო კომისართა საბჭოს, კო-მუნისტური ინტერნაციონალისა და წითელი არმიისადმი. იგი რუსულად იყო დაწერილი.

ამ მიმართვაში დენიკინის არმიის დამარცხებით, მისი უკუქცევით და წი-თელი არმიის გამარჯვებით და ამიერ-კავკასიის სახლურებთან მისი მოახლო-ვებით აღფრთოვანებული კავკასიის მშრომელი მოსახლეობა მხურვალე სა-ლამს უძღვნიდა სამოქალაქო ომში გა-მარჯვებულ რუსეთის პროლეტარიატს, გლეხობას და წითელ არმიას. მოუთხ-რობდა მათ მენშევიკურ, დამნაყოფ, მუსავატურ მთავრობის და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების წინა-აღმდეგ თავის ბრძოლების შესახებ, მათი როდესაც დენიკინის ლაშქარი მოსკოვს უახლოვდებოდა და ოქტომბ-რის რევოლუციის ბედი ბეწვზე ეკიდა. ამ მიმართვაში კავკასიის ყველა ხალხ-თა მშრომელი მასები ჰკომობდნენ კავ-კასიის ხალხთა კონტრრევოლუციურ მთავრობების მიერ. საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტას, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის „დამოუ-კიდებლობის“ გამოცხადებას და იმპე-რიალისტურ ინგლისთან, საფრანგეთ-თან და იტალიასთან დაკავშირებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა კავკასიის ხალხთა მშრომელი მასების ეკონომიუ-რი და პოლიტიკური დამონება. კავკა-სიის მშრომელ მასებს საბჭოთა რუ-სეთთან შეერთება და რუსეთის პრო-ლეტარიატთან ერთად ახალ ცხოვრების საყოველთაო შრომის და სოციალისტ-ტური მშენებლობის ფერხულობა ნაბზა-სურდათ. ისინი იმედს გამოთქამდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და წითელი არმია უყურადღებოდ არ დატოვებდნენ



კონტრარევოლუციასთან მათ უსწორო ბრძოლას და აქტიურად დაეხმარებოდნენ კავკასიელ ამხანაგებს კაპიტალიზმის კლანკებიდან გათავისუფლების საქმეში.

ეს მიმართვა ხელმოწერილი იყო რკპ ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და მთელი კავკასიის ხალხთა შრომელი მასების წარმომადგენლების მიერ და ფრთხილ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა.

კარო იარაღოვმა იგი, თავისი ვარმონით, დიდუბეში ნიკოლოზ მაკაროვის სახლის სარდაფში მოწყობილ არაღვგალურ სტამბაში წაიღო... როცა პირველი კორექტურა უკვე მზად იყო, მიმართვის ანაბეჭდი, ეკლავ თავის ვარმონით, ბორის ძნელაძის კონსპირაციულ ბინაზე მიიტანა. აქ მას სერგო ჭავჭავაძე, ვანო მახათაძე და კრუგლოვი ელოდებოდნენ. ამით უნდა გაესწორებინათ მიმართვის კორექტურა. კარომ გასწორებული კორექტურა ვარმონში შეინახა, მოგინინს შესახვევიდან, პროსპექტით, ოლის ქუჩას დაადგა და მერმე ვერის ბაღისკენ გადაუხვია, მტკვარზე ბორანით გავიდა და დიდუბისკენ გასწვია. მალე ის პროკლამაცია კარომ, ვასო მარუაშვილმა და მათმა ამხანაგებმა თბილისის და სხვა ქალაქების მუშებში, გლეხებში და ჯარისკაცებში ათასობით გაავრცელეს.

სამხარეო კომიტეტმა გააღვირა ჩრდილო კავკასიაში გადასახდანი სპეციალური რაზმების შექმნა და მარცხებული და უკან მაკალი დენიკინის არმიის წინააღმდეგ ზურგში მოწყობილ აჯანყების დასახმარებლად. დიდ ყურადღებას აქცევდა სამხარეო კომიტეტი აგრეთვე დენიკინის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე დაწყებულ მოძრაობას. ამ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის მან გავარაში შეგნებული და ბრძოლებში გამობრძმედილი ამხანაგები — ნიკო სევირიძე, კარპოვი, კრუგლოვი და სხვები გაგზავნა. მემბობხეებს ხელთ ჰქონდათ მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა და მათ გასწმინდეს დენიკინელებისაგან შავი ზღვის სანაპირო, გავრიდან — ტუაფსემდე. მემბობხეთა მიერ შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, დენიკინისა და ინგლისელების სამხარეო-საზღვაო ბაზის — ტუაფსის აღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ჩამოყალიბდა სამხედრო-რევოლუ-

ციური საბჭო და იგი მემბობხეთა რაზმებისაგან შავი ზღვის წითელი არმიის ჩამოყალიბებას შეუდგა. ამ არმიამ თავდადებულად ებრძოლა დენიკინის ლაშქარს და მერმე ყუბანის წითელ მეცხრე არმიას შეუერთდა.

დენიკინზე გამარჯვება და ამიერკავკასიის საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა და პარტიამ ენერგიულად მოჰყენა ხელი შეიარაღებულ აჯანყების სამზადისს.

ბოლშევიკები, ამზადებდნენ რა საკუთარი ძალებით საქართველოში აჯანყებას, ამავე დროს უთანხმებდნენ თავის მუშაობას სამხრეთისაკენ წითელი არმიის ძლევამოსილ მსვლელობას.

## 3

ერთხელ კარომ ბორის ძნელაძის კონსპირაციულ ბინაზე ისევ პროკლამაციის კორექტურა მიიტანა გასასწორებლად. შინ რომ ბრუნდებოდა, ზემელის აფთიაქთან მდგარმა, შავ პალტოში გამოწყობილმა კაცმა მალულად შეათვალიერა. კაროს არ მოეწონა იმ კაცის სახე. ვერის დაღმართზე დაეშვა. მაგრამ ზურგში იმ კაცის თვალების გამოხედვის გრძნობდა და მისი ნაბიჯების ხმაც მოესმოდა. უკან მოხედვისა ეშინოდა და მხოლოდ მაშინ, როცა აღმართზე ამომავალმა მანქანამ ჩაუარა, მობრუნდა, თითქოს მას უცქერსო და თანაც უცნობი კაცი მოეჩინა. ახლა ეხვიც არ ეპარებოდა, რომ ის კაცი აგენტი იყო, მას უთვალთვალებდა და კვლავ დაკვალ მოსდევდა. გზაზე ბანოს დაი — სტუდენტი ქალი ქეთო შეეყარა და კარომ უთხრა:

— აგენტი მომდივს... ჩქარა გაიქცე ჩემსას. კეღლის შავურში შენახული მაქვს თარნაოზ საღარაძის მიერ დაწერილი პროკლამაციის დედანი. უთხარი ჩემს ცოლს, დაუყოვნებლივ გაქაროს. რევოლუერი გადამალოს.

ქეთო გამოემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. კაროს იერის ხედთან მიტოვიდა მდეგე. კარომ კობები შეჰკრა და თვალთ ანიშნა, არ მისულიყო მასთან. მაგრამ მიტოვიდა მიხვდა. რას ანიშნებდა იგი და კაროზე აღვიწოებული აგენტიც ვერ შეამჩნია. ორივენი



ვერის ხიდზე გავიდნენ. როდესაც სახალხო თეატრთან, დიდიმთავრის ქუჩით გადაუხვიეს, აგენტმა კარო და მიტო შეაჩერა და წინადადება მისცა მათ:

— დაუყოვნებლივ გამოიყვით.

— სად უნდა გამოიყვით? — მიამიტალ ჰკითხა კარომ.

— სადაც საჭიროა, — მიუგო აგენტმა. იგი მაღალი, შავუღვამიანი, ფერმკრთალი კაცი იყო. კეპი აქარულად გახე ეხურა. კარომ გარმონი გაისწორა გაულშია და ისევ მიამიტალ ჰკითხა:

— ჭიფი გაქვთ?

— ჰო.

— ვერა, ძმაო, ვერ წამოვალ, თქვენზე აღრე ამ კაცმა დამიჭირა. აბა, ჰკითხეთ, — უთხრა კარომ. მიტომ დაუდასტურა:

— მართალს ამბობს, თუ გინდათ, ჩვენთან წამოდით. — მიტომ ჯიბეში ბრაუნინგის კონდახს მოუჭირა ხელი.

— ნუ ლაყბობთ. ახლავე გამოიყვით. მე თქვენ კარგ საქმიანო აღვიღებ ჩივიყვანთ, — ბრახით უთხრა და უბრძანა აგენტმა მიტოს და კაროს.

— რად გვემუქრებით, რა დავაშავეთ? — ჰკითხა მიტომ.

— აღვიღებთ ვაიგებთ, რაც დააშავეთ, — თვალები დაუბრიალა აგენტმა. — თქვენ ვინა ბრძანდებით? — ჰკითხა მიტომ.

— თქვენი საქმიანობის მეთვალყურე, — მოუჭრა აგენტმა.

— მერმე ჩემთან — პატიოსან სტუდენტთან და ამ ალალ-მართალი მეგარმონესთან თქვენ რა ხელი გაქვთ? — ჰკითხა მიტომ.

— ლაპარაკი ზედმეტია. გასწით, წინ იარეთ, — უბრძანა აგენტმა და ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ მიტომ მოასწრო, ბრაუნინგი მიაყენა და ჩუმად უთხრა:

— ხმა არ გაიღო, თორემ ტყვია მოვიდა მუცელში. ასწი ხელები!

აგენტმა ხელები ასწია, კარომ ვაჩხრიკა და რევოლვერი ჯიბიდან ამოართვა. მერმე მიტომ უბრძანა:

— ახლა მიბრუნდი. უკან არ მოიხედო და ისე იარე.

აგენტი შებრუნდა და დიდიმთავრის ქუჩას ვორონცოვის ხიდისაკენ გაჰყვა. უკან არ მოუხედნია, როდესაც აგენტი თვალს მიეფარა, მიტო და კარო გაიქცნენ და გერმანელების სააჯღმყოფოს ეზოში შევიდნენ. აქედან გიმნაზიის

ეზოში გადავიდნენ და დათა მიქელაძის ბინის სამზადისს მიადგნენ. სამზადში მზარეულმა ქალმა კატიამ შერო უცნო და გაოცებით მიაშტერდა შეგარბონეს. მერმე მიტოს გაულშია და ჰკითხა:

— კორნელისთან მოხველით?

— დიახ, — მიუგო მიტომ.

— წინა კარებიდან რად არ შემოდით? ქალბატონისა მოგერიდათ? ვხედავ ქეიფს აპირებთ, — სიცილით უთხრა კატიამ და წველა აუეარდა. მიტოს შეეშინდა და ჩუმად ჰკითხა:

— კორნელი შინ არის?

— შინ გახლავთ. მოწყენილია საბრალო. მიბრძანდით. კარგია, გარმონით გაართობთ.

მიტო და კარო ფეხის წვერებზე შედგნენ, ბნელი და გრძელი დერეფანი ჩუმად გაიარეს და კორნელის ოთახს მიადგნენ. ცხიდან გაპარვის შემდეგ მიტო ჩიკაიძეს ნახული ჰყავდა კორნელი.

ელექტრონის ლამპით განათებულ საწერ მაგიდასთან მჯდარ კორნელის ძალიან გაუკვირდა მიტოს და კაროს საღამო ეამს მასთან მისვლა. წამოიჭრა. სტუმრებს ხელი ჩამოართვა და აღტაცებით უთხრა:

— აგაშენათ ღმერთმა, რომ მოხველით. დღეს სოფლიდან მეზობელმა დედას სანოვაგე და ღვინო ჩამოუტანა. დასხედით. დედას დაეუძახებ და ყველაფერი ახლავე გაჩნდება. გარმონიც გავეწყოთ.

— ჩუმად, ბიჭო! ჩვენ ქეიფის და გარმონის თავი არა გვაქვს, — შეაჩერა მიტომ. ყველაფერი მოკლედ უამბო და გააფრთხილა.

— წადი ახლავ და კატიას უთხარი, არავისთან წამოცდეს ჩვენი ამ მოსვლა. დედა შენი და თქვენებიც ნურავის ეტყვიან.

კორნელს არ შეშინებია. პირიქით. გამოუთქმელი სიხარული იგრძნო იმის გამო, რომ იგი, რამდენადმე, მონაწილე ხდებოდა მეგობრების არალეგალურ მუშაობისა და ბრძოლისა. მყისვე კატიამ, დედა და შინაურები გააფრთხილა, მასთან არავინ შემოეშვათ და არც არავისთან წამოცდნოდათ, თუ ვინმე იყო მასთან. დედას ცოტა ღვინო და საჭმელი თხოვა და კატიას თავის ოთახში შემოატანინა. მერმე კატიას ქმარი — მეეზოვე გაბრიელი იხმო. ერთი დიდი



4

ქიქა ღვინო ღერფებში გადააკრევისა, საქმელი მისცა და იღუმალი ხმით უთხრა:

— გაბრიელ, შენ ჰყვინან და კეთილი კაცი ხარ, ღარიბი და ღარიბთა შემწე. თუ ვინდა შენი მეგობარი ვიყო, ჰქიქარ ჩაქეტე, ამ ღამით ჩვენს ბინას უღარაჯე და ეზოში არავინ არ შემოუშვა. ვინც არ ნუდა მიკითხოს, უთხარი, შინ არ არისთქო. თუ ვინმე საეჭვოდ მოგეჩვენოს, მოდი და შენი ყაყარჯებით ჩემი ოთახის ფანჯარაზე დააკაუნე...

— არის, — მიუგო ჯარისკაცით გაკიმულმა მოხუცმა.

— ფხიზლად გეჰიროს თვალი. მე არ ვიძინებ ამ ღამით. თუ ღარაჯობის დროს შეგცივდეს, მოდი და ღვინოს ისე დაგაღვინებ...

მოხუცმა მეგობარმა კეთილად ჩაიციინა უღუმელში. კორნელი მხარზე შეჰმორკა ხელი და უთხრა:

— მაშ ასე, ჩემო მამაო გაბრიელ. დაიხსომე, რაც გითხარი. ფხიზლად იყავი ამ ღამით, დილით კი ჩემგან საჩუქარი, შაქარი და აღუღებელი წყლით საცხე ჩაიღანი მიირთვი.

მოხუცმა ისევე ჩაიციინა, კეფა მოიფხანა და კორნელის მიუგო:

— შშვიდად იყავით, ბატონო. კარგათ გავიგე, რაც მითხარით და ისე შევასრულებ, როგორც თქვენ ბრძანეთ...

ბერსავეთ თამამშვეებული მეგობარი საჩქაროდ შინ მივიდა, ქურქი ჩაიცვა და ყაყარჯენი აიღო. მერმე ჰქიქარი დაქეტა და ეზოში, სახლის ირგვლივ სიარული დაიწყო. იგი ბეჯითად ასრულებდა კორნელის მიერ მიცემულ ამოცანას. როდესაც კორნელი, მიტო და კარო მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე საუბარს მორჩნენ, ვახშამს შეექცნენ, ზედ ცოტა ღვინოც დააყოლეს. მიტო ქეიფის ეშხზე მოვიდა:

— კორნელი, შენ კაროს დაკერისათვის არ მოგისმენია. აფსუს, ახლა აქ ვარშონზე დაკერა რომ არ შეიძლება!

— შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, მე მაინც არ დავეყრავდი, მიტო-ჯან.

— რათა?

— რაც გორში უბედურება ვნახე, მას შემდეგ ვარშონზე არ დამიკრავს, — მიუგო კარომ და გორის ამბავს მოჰყვა...

— მიწისძვრით გამოწვეულმა ქვიშის დანგრევის შიშმა ყველას მალე გაუარა. გორის კატასტროფა ახლა თითქმის არავის არ ახსოვს... ქვეყანა ძველბურად არსებობას განაგრძობს, — განაცხადა კორნელიმ და მეგობრებს უამბო. თუ რა განიცადა მან მიწისძვრის წინ, მიწისძვრის დროს და მის შემდეგ.

კორნელი მეგობრებთან საუბარს მონატრებული იყო;

— ჩემი ცხოვრების გზაზე ბუნების ორმა მოვლენამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და მსოფლიო საიდუმლოებათა შესახებ ღრმად ჩამოფიქრა. ერთხელ, ბავშვობის დროს, — დაიწყო კორნელიმ, — დედაჩემი, ჩემი მამა — სტეფანი, მე და იონა ჩხვიძე სოფელ ზელაზენიდან კარისმერეთში ვბრუნდებოდით. გზაზე დაგვალამდა. ცაზე ვარსკვლავები აღენთნენ. როდესაც მდინარეზე გავედით და იონას ეზოს ძელქვებს მივუახლოვდით, უცებ ცაზე კუდიანი ვარსკვლავი დავინახეთ. კომეტას, დასავლეთის მხარეს, ცის ტარნობის ნახევარი დაეჭირა და ევრტიკალურად მალა აწეილი თავისი ციცილოვანი კუდი, ვეება მართლსავეთ გაეშალა.

ეს ამბავი პირველ იმპერიალისტურ ომამდე მოხდა. სოფლად ათასგვარი ჭირი გავრცელდა, და მითქმა-მოთქმა დაიწყო. ქალაქელი ფილისტერები უვიცებს აფრთხობდნენ: კომეტა მოხეტიალე სხეულია, იგი შეიძლება ჩვენს ორბიტის შემოიჭრეს, ახლოს ჩაუაროს დედამიწას და მანში მისი ციცილოვანი კუდის მატერიაში შემაგალი ქიმიური ნივთიერებანი მოსწამლავენ არმოსფეროს და შეუძლებელი გახდება იქ სუნთქვაო... ისინი იმასაც ამბობდნენ: კომეტა, როგორც ზარბაზნის ვეება ყუმბარა, საოცარი სისწრაფით მოექანება დედამიწისაკენო... ცრუმორწმუნე სოფლელები კი გაიძახოდნენ: კუდიანი ვარსკვლავი ომის, შავი ჭირის, უბედურების, ქვეყნის დაქცევის მაცნე არისო. მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო ხალხში ფესვადგმულ ცრუმორწმუნეობის კიდევ უფრო მეტ ზრდას. რა არის კომეტა? რას ნიშნავს იგი? საიდან წარმოიშვა მისი

კუდი? სად მიექანება იგი და რა საშიშროება მოელის მისგან დედამიწას? აი, კითხვები, რომლებიც ბავშვობიდანვე არ მასვენებდნენ. და მე, ჯერ კიდევ გამნაზიანი ყოფნის დროს, გამიტაცავს ატრონიომიამ. ახლა, ამას წინათ მომხდარი მიწისძვრის შემდეგ კი, კვლავ გეოლოგიას და განსაკუთრებით ვულკანიზმის თეორიებს ჩავეყრატებ.

კორნელიმ მითოს და კაროს დედამიწის გავარჯილებული ცეცხლოვანი ვულკანის, მთის ქანებისა, „სარქველებისა“, მთის ნიადაგის ჯიშებზე წვევისა და მერმე ცალკეული, იზოლირებული და ერთმანეთთან დაკავშირებული რეზერვუარების შესახებ ვულკანიზმის თეორიები უამბო.

— ვულკანური მოვლენები ჯერ კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენენ, მაგრამ მეცნიერება თანდათან უახლოვდება მათ საბოლოო ახსნას. მეცნიერს თვალწინ უდგას ვულკანების თანამედროვე მოქმედების ზუსტი სურათი. ლავის ქიმიურ შედგენილებამაც ბევრი რამ გაარკვია... ყველაზე გამანადგურებელი ამოსროლა ვესუვისა მოხდა 79-ი წელს ქრისტეს შემდეგ, როდესაც ქალაქები პეტრელანუმი და პომპეუსი დაილუნენ. ვესუვისთან მომხდარი კატასტროფის ყველა საშინელება განმეორდა ანტიკისის ერთ-ერთ კუნძულზე — მარტინიკზე 1902 წელს მონტე-პელიეს ამოსროლის დროს, რომელმაც მთელი ქალაქი ს. პიერი გაანადგურა და 3000 კაცამდე იმსხვერპლა. მაგრამ ყველაზე დიდი ვულკანური ამოსროლა, როგორც ცნობილია, 1883 წელს, ზონდის უბეში, სუმატრასა და იავას შორის, შუა ზღვაში მდებარე კუნძულზე მოხდა. ვულკანი კრაკატაუ იმ კუნძულზე იყო. — კორნელიმ წიგნი გაშალა და მითოს და კაროს უთხრა: — კარუს შტერნი ასე აგვიწერს კრაკატაუს ვულკანის ამოსროლას: „აფეთქების გამო კუნძული ორად გაიბო, კუნძულის ნახევარი დაინგრა, წყალში ჩაიძირა და იგი ზღვის უფსკრულში ჩაჰყალბა. კრატირიდან აღმართული ბოლის სიგეტი მონბლანზე ხუთჯერ მეტ სიმაღლემდე ავიდა, ე. ი. 25.000 მეტრის სიმაღლემდე. ზღვაში ვეება ზეირთები აგორდნენ და სუმატრასა და იავას დასახლებული ნაპირები წალუქს. 50.000 კაცამდე დაიღუპა. ვულკანური ფერფლის ნაწილებმა ატმოსფეროს ყველაზე მაღალ ფენებს მი-აღწიეს და იქ მთელი დედამიწის გარ-

შემო განიფანტნენ. ამის გამო, რამდენიმე წლების განმავლობაში ევროპაშიც კი ვტკბებოდით შვენიერ დასვენებით და მზის ჩასვლის დროს ფერების წარმტაცი თამაშით. კატასტროფის მასშტაბი, ამ შემთხვევაში, უაღრესად დიდ იყო კიდევ სხვა მიზეზის გამო. ალბათ, ძველი კრატირის დანგრევის დროს, ზღვის წყალი ლავის ვეება ქვაბში შეიქრა და უამრავი ორთქლის ძლიერი აფეთქება მოხდა...“

მითო და კარო სულგანბული უსმენდნენ კორნელის.

კორნელიმ წიგნი გადასდო და განაგრძო:

— ვულკანური პროცესები, რაგინდ გრანდიოზულიც არ უნდა იყვნენ ისინი, ქვეყნის დანგრევის საშიშროებას არ შეიცავდნენ. რადგან ვულკანური ამოსროლები, დედამიწის ქერქის მთელ სისქესთან შედარებით, უმნიშვნელო მოვლენებს წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენი ადამიანური მასშტაბების მიხედვით. მისი უცები ზედაპირული მოქმედება პირდაპირ კოლოსალურია.

მიწისძვრისა და ვულკანური ამოსროლის შესახებ ახლა კორნელი მშვიდად საუბრობდა, თანაც რეცხენოდა, მიწისძვრის წინ კოსმიურ პესიმისტურ ქვერტას რომ ეძლეოდა, ხოლო მიწისძვრის დროს კი ისე ეგონა, თითქოს ქვეყანა იქცეოდა და პლინიუსის მსგავსად ნუგეშს იმაში ჰპოებდა, რომ მასთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმაც იღუპებოდა. კორნელიმ ესეც უამბო მითოს და კაროს. კარუს შტერნის შრომების წაკითხვის შემდეგ, კომენტების დედამიწის გაცივებისა და ვულკანურ ამოსროლათა შესახებ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა და ისიც იცოდა, რომ ქვეყანას მათგან დაღუპვა არ მოელოდა.

ქვეყნის დაღუპვის ის შიში, სედა, წუხილი და დამწვევი ცეცხლი, რომელიც ბავშვობიდანვე თანდევდა მას და რომელიც მერმე მიწისძვრის წინ ბო-ბოქრობდა მის სულში, თითქოს ლავისაებრ ერთბაშად ამოჰარდა კორნელის არსებიდან და იგი უმაღლე დაშვიდდა.

კორნელიმ ტახტზე გაუშალა ლოგინი მითოს და კაროს. ლამე მშვიდად გაათის სტუმრებმა და რიყრევი კი გზას გაუღებენ.

მითოს და კაროს წასვლის შემდეგ კორნელიმ ისევ მარტოობა იგრძნო. ჯიბეში ხელები ჩაიწყო, მაგიდასთან

მივიდა და კარუს შტერნის დიდებულნიან წიგნს დაამტერდა. წიგნის გარეკანზე ოქროს ასოებით ეწერა: „მეცნიერული ბიბლიოთეკა. ქვეყანა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი“. მთელი წიგნის გასწვრივ — ზევიდან, დიდი, დაკლანძვილი ვეელი ჩამოცურებულყო და მთის ფენებიდან გამოვინილ და ქვეშ აუზში ჩამდგარ, ანკარა წყალს — სიბრძნის წყაროს დაწაფებოდა, თავისი ნესტარის ენა გამოიყო და ისე სვამდა. კორნელიმ წიგნი გადაშალა. წიგნის შიგნით — პირველ ფურცელზე მთელი სურათი ეხატა: მარცხნივ ქაბუკი იდგა, ცალი ხელით ჩირაღდანს მალა აეწია და მორღობულ ცისათვის მიეშუქებინა, ცანში კი მნათობთა საქვრები ღურბანდი დაეკავებინა. მარჯვნივ მგლოვიარე ასული იდგა და ქვევით ღია საფლავს დასცქეროდა. საფლავიდან კაცის ქალა და ზედ მუჯდარი ქოტი ჩანდა. ღია საფლავის პირას მწუხარე და ღრმა ფიქ-

რებში წასული ქაბუკები ისხდნენ და მსოფლიო საიდუმლოებებზე ამხსნილ წიგნს კითხულობდნენ.

კორნელი კაცის კბილდაკრეჭილ ქალა დააკერდა. ტანში გააერგოლა. წიგნი დახურა. დაჯდა და ფანჯარაში ნაღვლიანად გაიხედა. მას მიტოს და კაროს წასვლა აღონებდა. სწუხდა, მათ მუშაობაში და ბრძოლაში მონაწილეობას რომ არ ღებულობდა... „ის უბრალო, შავტუხა ბიჭი, ასოთამწყობი კარო, თავისი ჯადოსნური გარმონით, კომუნისტური იდეების მქადაგებელ, არალეგალური ფურცლების გავრცელებით ათასჯერ მეტ საქმეს აკეთებს კაცობრიობის პროგრესისა და ბედნიერებისათვის, ვიდრე მსოფლიოს კატასტროფით შეშინებული და კოსმიური პესიმიზმის და რეაქციული იდეების მქადაგებელ ათასი ფილოსოფოსი“, — ფიქრობდა კორნელი.

## პროფესორი და კომეტი

„ისინი (უბიკურეს მიმდევარნი) საზოგადოებრივ მოღვაწეობას გარბიან და თავის მოწაფეებსაც აძულევენ ვაუტრობდნენ მას“.

პ ლ უ ტ ა რ ქ ი ა ს ი.

### 1.

ნაკრისფერ პიჯაკში და შარვალში გამოწყობილმა, შაველვანთანა და ნშირწარბებთანა პატარა კაცმა, გიმნაზიის სახელოსნოს ღურგალმა, პოლონიელმა — სტანისლავ გილევიჩმა შინდის ხისაგან კორნელის ჩინებულ კავარჯენი გაუთალა და გაუკეთა. თავმოლუნულ კავარჯენს წვერში რეზინის რგოლი მიამაგრა, ფილაქანზე რომ არ დაცურებულყო. თებერვლის ბოლოს კორნელიმ იმ კავარჯენით უნივერსიტეტში სიარული დაიწყო. იგი მედიცინის ფაკულტეტიდან ფილოლოგიურზე გადასულიყო.

ყველაზე გულმოდგინედ კორნელი დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილისა და გარუსებული ქართველი მეცნიერის, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის ფილიმონ ერისთავის ლექციებს ესწრებოდა.

ფილიმონ ერისთავი ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაზე კითხულობდა

ლექციებს. სამოც წელს მიღწეულ პროფესორს მსოფლიო მეცნიერის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეს სახელი მას ეგვიპტის პაპირუსებზე დაწერილი და ალექსანდრიის წიგნთსაცავში შენახული მენანდრის კომედიების შებღალული და ყამისაგან აქა-იქ წაშლილი ტექსტის გამიფრვამ და დადგენამ მოუპოვა.

ერისთავის ლექციები მეტად მიმზიდველი იყო. პროფესორს საამური ხმა — ჰქონდა. იგი ამღერებელი, და ლამაზი რუსულით კითხულობდა ლექციებს პეტერბურგელ ძველ არისტოკრატიკით უქცივდა ენას, იმგვარად როგორც ევროპაში, უფრო კი — საფრანგეთში გაზრდილ დიდგვარიანთ სიყვეოდათ ხოლმე. იგი რუს არისტოკრატების რიცხვს ეყოთენოდა. რომლიმაც ევროპის კულტურის წინაშე მუხლს იღრეკდნენ, ევროპაში თავს, როგორც საკუთარ სახლში ისე გრძობდნენ, ხოლო თავის სამშობლოში კი უცხოელებსა ჰგვანდნენ. მათ თავის მშობლიურ ხალხთან კავშირი გაეწყვიტნათ და

მისი სიღუპეებისა და ქირ-ვარამისა არა ესმოდა რა.

ფილიმონ ერისთავი მაღალი, გამ-  
ხდარი და ქერა კაცი იყო. სახის  
ნაკეთების წყობით ინგლისელსა ჰგავ-  
და. მოგრძო სახე, მრგვალი და  
ფართო ნიკაბი ჰქონდა. მის სახეს  
ვარძელი და ქერა ულვაში ამშვენებდა.  
მიუხედავად მისი ხნიერებისა, თმამი  
თეთრი არ ერია, ჭროდა, მოცისფრო  
შუქიანი თვალები და არწივსავით მო-  
ღუნული ცხვირი ბრძნულსა და თანაც  
მედიდურ გამომეტყველებას და იერს  
ჰქვენდა მის სახეს, ფილიმონ ერისთა-  
ვის მამა რაქველი თავადი იყო. ფილი-  
მონს ძარღვეში რუსის და ინგლისე-  
ლის სისხლიც ეღვა. დედა — რუსი,  
ხოლო დიდედა კი — ინგლისელი ჰყავ-  
და. იგი რუსეთში დაიბადა, დედაყვაც  
და და ქალიც იქ შეიერთო. რუსეთში  
ცოდნისა და მეცნიერული ხარისხის მი-  
ღებში შემდეგ ინგლისში — კემბრიჯის  
უნივერსიტეტში ვაემგზავრა. მერმე იგი  
ჰეტერბურგის უნივერსიტეტში მიიწვია,  
აქ მას კლასიკური ფილოლოგიის და  
კულტურის დიდი მკოდნე, დიდი  
მხატვრული დიპლომის მქონე ადამიანი,  
თეთრწყერა მოზუცი პროფესორი,  
ცნობილი, მკვლევარი — ფადეი ზელი-  
ნსკი დაუხვდა, მისი დიდი პიროვნება  
ერისთავს დიდხანს ჩრდილავდა. ბო-  
ლოს ქართულ პროფესორს ბედმა გა-  
უღიმა. 1917 წელს, თებერვლის რევო-  
ლუციის შემდეგ ზელინსკი პოლო-  
ნეთში გადასახლდა. იგი ვარშავის უნი-  
ვერსიტეტში მიიწვია. მაგრამ მალე, ოქ-  
ტომბრის რევოლუცია მოხდა, ერის-  
თავი რუსთავიდან გამოიქცა და მენ-  
შევიკურ საქართველოს შეაფარა თავი.  
მან ქართული არ იცოდა და ახლად  
დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტ-  
ში ლექციებს რუსულად კითხულობდა.

ერისთავი ქრისტეს დაბადებამდე  
მე-8 — 5 საუკუნეებში ძველ ბერძ-  
ნულზე დაწერილ ლიტერატურას ას-  
წავლიდა სტუდენტებს. ძველ, ანტიკურ  
ფილოლოგიის ძეგლებზე და ეგვიპტურ  
პაპირუსებზე ხანგრძლივი მუშაობის  
გამო, სახეზე თვითონაც ეტრატის,  
ფერფლის ფერი დასჩენოდა და უამი-  
საგან გამოიმხმარ ეგვიპტურ მუშისა ემ-  
სვავებოდა. მას არა ესმოდა რა ჩვენი  
საუკუნისა და ძველი ბერძნული ფი-

ლოსოფია, პოლიტიკა, ესთეტიკა, ბე-  
ლოვება და პოეზია სრულუცხოვრებ-  
და სწორუპოვარი ეგონა. ჰაზოვადობებუ-  
ვი წყობილების იდეალურ ფორმად  
მონარქია და არისტოკრატია მიიჩნდა.  
ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სა-  
ქართველოში ჩამოსული მოზუცი თბი-  
ლისის ქუჩებში მარტო, დამუხატებუ-  
ლი, მუდამ ფეხით დადიოდა. მისი  
ამაყად და, მედიდურად ექირა თავი.  
მარტობა უყვარდა. რადგან უნივერ-  
სიტეტის ბიბლიოთეკის გამგედ დაი-  
ნიშნა, დღენიადაც იქ იჯდა და მეცა-  
დინებოდა. მას თავისი სამყარო ჰქონ-  
და. პირველ ხანებში იგი გულწათხრო-  
ბილი და მიუკარგებელი იყო. თითო-  
ოროლა პროფესორთან თუ მეგობ-  
რობდა. მერე კი, როცა რუსეთში ნა-  
ქამმა შიმშია გაუარა, უფრო გულლია  
ვახდა, მეტი მეგობრები გაიჩინა და  
ფართო ნაცნობობაც გააჩაღა.

ერისთავის ლექციებმა დიდი გამოხ-  
მაურება ჰპოვეს, როგორც სტუდენ-  
ტობრში, აგრეთვე თბილისის მოწინავე  
საზოგადოებაშიც. ერისთავის ლექცი-  
ებს არა მარტო სტუდენტები, არამედ  
პროფესორები, ლექტორები, მასწავ-  
ლებლები, ყოფილი მღვდლები, სხვა-  
დასხვა პროფესიის ხალხი და უფრო  
კი — ქალები ესწრებოდნენ. მიუხედა-  
ვად ერისთავის სიბერისა და მის სა-  
ხეზე უკვე გაჩენილ ბზარებისა და ნა-  
ოკებისა, მაღალი წრის ქალები მას  
ულამაზეს მამაკაცად სთვლიდნენ და  
იგი თითქმის ყველას უყვარდა.

პროფესორი უშვილო იყო. მის მე-  
უღლეს — პატარა, ლამაზ, ცისფერ-  
თვალეობა, ქერა ქალს ფილოსოფი-  
ური განათლება მიეღო. ეს ნიჭიერი,  
ჰკვიანი და მეცნიერი რუსი თავადი  
ქალი თავის შრომებს ყურნალში: „ფი-  
ლოსოფიის და შემოქმედების ფსიქო-  
ლოგიის საკითხებში“ ბეჭდავდა. ცოლს  
დიდს პატივს სცემდა ერისთავი. მიუ-  
ხედავად ამისა, ბერძნული სრულქმნილი  
სილამაზის მორტფივალე პროფესორი  
წინათ და ახლაც ლამაზი პაბოკი ქა-  
ლებით იბიბლებოდა და მათთან აში-  
კობდა, რასაც არასოდეს დანამაულში  
არ ართმევდა მას მისი გონიერი და ეშ-  
ხიანი ცოლი — ანა დიმიტრის ასული  
ტრუბეცკია. იგი ქმრის „ამიკობაზე“  
თვლებს ხუჭავდა და მეგობრებს კე-

თილი და მომჯადოებელი ღიმილით ეტყოდა: ფილიმონს არ შეუძლია სილამაზეს არ ეტრფოდესო. ანა გულთადი, სულიერი მეგობარი იყო ფილიმონისა, ბერძნული და ევროპული ენები ზედმიწევნით იცოდა და დიდად შეელოდა ქმარს მის მეცნიერულ მუშაობაში.

ახლა მოხუცი პროფესორი ქართველი თავადი ქალებით იხიბლებოდა. ისენაც ხშირად ჰპატიებდნენ შინ სასიქადულო და სასურველ სტუმარს. მეცნიერული მუშაობისაგან მოცილის დროს, ერისთავი სიამოვნებით იღებდა ნიპატივებს, თავადთა ოჯახებში მოწყობილ ნადიმებს ესწრებოდა და მათ სალონებში ბერძენ პოეტების და საკუთარ ლექსებსაც წარბეჭად კითხულობდა. ხშირმა ქვიფმა მეცადინეობაზე და აღენიადღა წიგნთსაცემში ჯდომანზე ხელი ააღებინა, დალოცვილმა კახურმა ღვინომ ძარღვებში მოღუნებული სისხლი აუჩქროლა, სახე აუღაქდა, ქართული ღვინის ეშის და ლახათი შეაყვარა და მშობლიური ენის შესწავლის სურვილიც გაუღვიძა. აბა, მოდი და, ამის შემდეგ, ლუარსაბის არ იყოს, ნუ შეაქვებ კახურ ღვინოსა!

----

## 2.

პროფესორი ფილიმონ ერისთავი, სიბერის ეპოს, ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მიმდევარი შეიქნა. ეპიკურეს და მის მიმდევართა აზრით, ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ იმაზე, რაც ბედნიერი ცხოვრებას გვანიჭებს. ხოლო ბედნიერი ცხოვრება მაშინ ექნება ადამიანს, როდესაც იგი ცხოვრების მიზნად სიამოვნებას დაისახავს, სხეულის სამძიმო ტვირთს, სულიერ წუხილს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას განერიდება და მშვიდ და უშფოთველ, ნეტარ ჰერმეცას მიეცემა. ერისთავმა ეპიკურეს მოძღვრებას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უფრო მაგრა ჩასჰიდა ხელი. მისი გამოქვეყნებული პეტროგრადიდან თბილისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებიდან განდგომა, ცხოვრების მიზნად სიამოვნების დასახვა, მშვიდი და ნეტარი ჰერმეცის ქადა-

გება, ესტატე მაყაშვილის და სხვა ქართველ თავადთა სალონებში მანდილოვნებთან და კაბუც ქალღმერთ ნენაძეებთან და მათ მოსახიბლავად მტრეჭენის მხრეებისა და საკუთარი ლექსების კითხვა, — ყოველივე ეს რევოლუციისადმი მის რეაქციას და რევოლუციის შემდეგ შექმნილ, მისთვის საწუხნებელ სინამდვილისაგან თავდაცვას წარმოადგენდა.

იმეამდ თბილისის არისტოკრატიულ ოჯახებში ძალიან დიდ მოღვაწე იყვნენ ვერტინსკი და ერისთავი. ერთის შეხედვით, თითქოს საკვირველი რამ არის სანტიმენტალური რომანსების მომღერლის და კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის შორის რაიმე მსგავსების გამოქვანა, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავადებს და მათ ქალბატონ რევოლუცია და არსებული სინამდვილე ამინებდათ და „ბედნიერი ცხოვრებით“ საესე ახლო წარსულის მოგონება და ვერტინსკის რომანსებში მისი გამოტირება და რომანტიკულ, ზღაპრულ ქვეყნებზე ოცენა სიამოვნებდათ. მეორეს მხრივ, ერისთავის მიერ ძველი ბერძენი პოეტების ლექსების კითხვა, არსებულ სინამდვილით შემოფოთებულ ქართველ თავადებსა და მათ ქალებს შორეულ წარსულში და ძველი ქვეყნის საოცნებო სამყაროში ასახლებდა და ისტორიის მიერ განწირულ წოდების წარმომადგენელ სწორედ ის გადასახლება ხიბლავდათ.

ერისთავი განსაკუთრებით ქალებს აჯადოებდა. მოჯადოებელი იყო ერისთავით ნინო მაყაშვილიც. მისი მამა — ესტატე ხშირად ჰპატიებდა პროფესორს ვახშაზე და სადილზე. ნადიმობის დროს, პოეტი პლატონ მოგველაძე, რომელიც ძველი ბერძნული ფილოსოფიის და ლიტერატურის ცოდნით იცვხნიდა, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან მას პეტერბურგის უნივერსიტეტის ანტიკური ლიტერატურის დოქტორის, რუსეთის აკადემიის წევრის და მუდმივი კორესპონდენტის, პროფესორის ფილიმონ ერისთავის სხივოსანი პირივნება ჩრდილავდა. მანამდე „ენაზე“ ორატორი, „მეცნიერი კაცი“, „ბრწყინვალე პოეტი და არტიტი“ ახლა მუნჯად იჯდა. მოგველაძე მოწაფესავით

შესტეროდა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, არისტოკრატს და პოეტურ ბუნების მქონე მოხუცს, რომელსაც ბერძენი ლირიკოსები ჰქონდა რუსულად ნათარგმნი. ნინოს დღევანდლობის დროს ერისთავი, თავისი თლილი და გრძელთითებიანი ხელით, მსაღვთაყვლიან, პროლის ჭიქას კოხტად ასწევდა და ესტატე მაყაშვილის ლამაზ ასულს პოეტ-ქალის საფოს ლექსებს მომჯადოებელი ღიმილით, არწივისებური ხედვითა და ნარნარის ხმით წაუკითხავდა:

«В эти дни ты, пасаа для меня,  
для себя  
из фиалок и роз венки  
и гирляндой живых цветов  
обвивала свою шею нежную»<sup>1</sup>.

ნინო სიამოვნებისა და ნეტარებისაგან დნებოდა და ფიქრობდა: ნეტავი კორნელი ახლა აქ იყოს, რომ დაინახოს და მოისმინოს, თუ რა დიდი, ბუმბერაზი ადამიანი, მეცნიერი და პოეტი იხიბლება ჩემის პროზონებითა და საფოსა და ალკეოსის ლექსებს წარმოცად მიკითხავს.

## 3.

კორნელი უკვე აღარ დაიარებოდა ესტატე მაყაშვილის სახლში და ამიტომ ერისთავის ლექსების კითხვით ვერ დასტკებოდა. პლატონ მოგველაძე კი, თუმცა ისევ ხშირი სტუმარი იყო მაყაშვილებისა, პროფესორ ერისთავის წინაშე მაინც მორცხვობდა, რუსულად ლაპარაკს და, მით უფრო, ლექსის კითხვას გაუჩივდა. მან მხოლოდ ერთხელ გაბედა წაეკითხა ქართულ ენაზე დაწერილი, თავისი ლექსი „დიონისე“, მაგრამ იმ ლექსმა მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მსმენელებზე. სამაგიეროდ, ესტატე მაყაშვილი, იჯახს ერთი ვიღაც უფიცი, უცოდინარი, მეტიჩარა და თავხედი, ჩია და ჰიაყელა ჰაბუკი—პოეტი იორამ მინაშვილი შეეჩვია, რომელსაც ისტერიით

დაავადებული სტუდენტი ქალები უმეცარი და ფილისტერი მანდილოსნები და მამაკაცები, ყველაზე ხაგრძლივ ოვაციებს უმართავდნენ. ჩს ჰიაყელა ბიჭი ისე გათამამდა, რომ მან ერისთავის წინაშე თავისი ლექსების წაკითხვა მოინდომა.

დეკლამაციის დროს, იორამ მინაშვილი ერთთავად იცვლებოდა, თითქო მართო ინსტინქტით და გრძნობით შეპყრობილ კაცად იქცაო. მის განიერ საყელოდან ფანქარივით ამოწვდილ, გრძელ და ვიწრო კისერზე ჩვილსავით პატარა თავი მოთავსებულყო. ლექსის კითხვის დროს იმ პატარა თავს პოეტი ოინბაზი, „მაქცია“ და რომელიღაც ცელქი და სისაცილო ჩიტის მსგავსად, კისრის მალეების ირგვლივ, მთელ 360 გრადუსზე ჯამბაზივით აბრუნებდა! პოეტი მსმენელთ იმ უცნაური ჩიტის პატარა, ნაცერისფერი და განცვიფრებული თვალები გასტკეროდა. ჰაბუკს ლექსში დალაგებული სახეები, თქმები და სიტყვები იმორჩილებდნენ, იმონებდნენ, ჰმოკავდნენ, და მისთვის უხილავ მხარისაკენ მიაფრენდნენ. იგი თანდათან ეგზნებოდა; ხელებს შემოლილივით აქეთ-იქით იქნევდა, იშვერდა და მთელის ტანით როკავდა. საკვირველი იყო იმ პოეტის ასეთი აგზნება და აღელვება, რომელსაც, სხვათა შორის, ხალხის მოსატყუებლად იგონებდა, რადგან მის ლექსებში გაბნეული სახეები, თქმები და სიტყვები იმეამდ ცნობილი პოეტების ლექსებიდან და ხალხური პოეზიიდან იყვნენ აკრეფილი და მოპარული.

მინაშვილი სხვათა გავლენის ჭეშექცეოდა მონურად მიჰყვებოდა მათ. იგი პირწაყარდნილი იმიტატორი იყო. პოეტი რაფაელ ახვლედიანი მინაშვილის: „ქურდ-ეშმაკუნას, გაიძირას, გაცვეთილს და ჯიბიდან გაიარდნის“ ექაზოდა. შესაძლოა იმიტომ, რომ მისი თაიისებური დეკლამაციური ნიჭი და ამის გამო ხალხში მისი წარმატება შურდა. მინაშვილს მართლაც თაიისებური დეკლამაციის ნიჭი გააჩნდა. ლექსის კითხვის დროს შესაბრაღისი შესახედავი ის ჰიაყელა ჰაბუკი, ხალხს ეცოდებოდა და ამიტომაც მოსწონდა. ესტატე მაყაშვილის სალონში შეყრილ პირებს და მათ შორის პროფესორ ფი-

<sup>1</sup> „ჩემთვის და შენთვის, შენ იმ დღეებში, ია-ვარდების გვირგვინებს წნავდი და შენ იმ ცოცხალ ყვავილთა წულუბებს უნახვს ყელის ირგვლივ იხვევდი“.



ლომონ ერისთავსაც მოეწონათ ჭაბუკო პოეტი. პლატონ მოგველაქმე ერისთავს სინამდვილის ლექსები გადაუთარგმნა. მოგველაქმეს გაუყვირდა, ჭკვიანსა და დიდად განათლებულ პროფესორს რომ მოეწონა უცოდინარი და უციცი ჭაბუკის ლექსები, რომლებშიც არავითარი აზრი და პოეტური კონცეფცია არ მოიპოვებოდა. „მინაშვილი, — ფიქრობდა მოგველაქმე, — თავისი პოეტური სახეებით და ეპითეტებით, ბრჭყვიალა სათამაშოებით მოხიბლულ ბავშვსა ჰგავს. იგი იმ პირველყოფილ, ველურ აღმამანს ემსგავსება, რომელიც მზა და ნაბოვან ათასნაირ სამკაულებით — ძვლით, ლითონით, ფერად-ფერადი კენჭებით, მინის ნამსხვრევებითა და უცხო ფრინველთა ფრთებით ირთვება და თავს ილაშაზებს, ხოლო ტანი და სახე კი შეღებილი, მოხატული და ტატირებული აქვს“.

იყო ერთი გარემოება, რის გამოც მინაშვილის ლექსები მოეწონა ერისთავს.

ამ ბოლო დროს მოხუცი პროფესორი ყველას აქებდა, აქეზებდა, უღიმოდა და ეფერებოდა. ბოლოს მოგველაქმეს ეტვი შეეპარა მის მხატვრულ გემოვნებაში და გულწრფელბაში. მაგრამ მოგველაქმე ანგარიშს არ უწყევდა იმ გარემოებას, რომ ერისთავმა ბევრი იცოდა, მას ბევრი ენახა, განეცადა და ბოლოს დადლილიყო. იგი ახლა თავს იქცევდა და ერთობოდა.

იყო რაღაც დონკიხოტური და სასაცილო ამ თვალანთებულ, მაღალ გამხდარ, ქალივით განაზებულ და კოხტობის მოყვარულ, გარუსებულ მოხუც პროფესორში, რომელსაც სიბერის ეამს თვითონვე ლექსების წერა დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდად განათლებული, ცნობილი ფილოლოგი და მეცნიერი კაცი იყო, მასაც პოეტობის ჭია შეჩენოდა. და განა მართო მას? ის ჭია ფილოსოფოსებს, გამოჩენილ ბუნებისმეტყველებსაც კი ხშირად შეეპარებოდა ხოლმე, იმ განსხვავებით, რომ ფილოსოფოსნი და ბუნებისმეტყველნი შაირობას სიბრძნის ერთ-ერთ დარჯად სთვლიან და მსგავსად ლუკრეციუსისა, გოეთესა და სხვათა ღრმა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე — აზრის პოეზიას ეტანებ-

ბიან და ფილოსოფიურ კონცეფციის შემცველ ლექსებსა სწვრუნდა: ინტერფიან. ერისთავი კი, ბმყამაღლსაყოფი ცხოვრებო, წარმავალ განწყობილებათა და გრძობათა გამომხატველ მსუბუქი ენარის პოეზიას ეტანებოდა. ამიტომ მოეწონა მას უცოდინარი და უციცი პოეტის იორამ მინაშვილის სინამდვილ, საამიკოდ და სალალოზოდ დაწერილი ლექსები, რომელშიც არა სიბრძნე მაღალი ზნეობა და მიჯნურობა, არამედ წარმავალი განცდები და გრძობები, უგულოდ სიყვარული, ხვეწნა-კოცნა, მტლამა-მტლუში და სიმრულში იყო აღწერილი.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე სინამდვილეზე აღრენილი და წარსულში გადასახლებული მოხუცი პროფესორი ახლა პოეტების შეფერადებულო, ბრჭყვიალა სასეების თამაშით და საეკვო რაღაც ილუზიებით ამირებდა გაქცეოდა ცხოვრების სასტიკ მოწყენისა. მან კარგად იცოდა, რომ პოეტების ლექსთაწყობითა და სახეების თამაშით ადვილად აღწევენ თავს კავშირსა და მოწყენას. და ერისთავიც მზად იყო პოეტების „ნეტარ უმეცრებას“ და „ნირვანას“ დაბრუნებოდა, ოღონდაც მისი საშუალებით მისთვის საზარელ თანამედროვე სასტიკ სინამდვილეს განშორებოდა. იგი იმყამად ცხოვრებით დადლილი და გზააბნეულ კაცი იყო. იგი ზელოვნებას და პოეზიას სინამდვილეზე გაცილებით მაღლა აყენებდა. საქმე ის არის, რომ ერისთავი ჭვეშეცნეულად გრძობდა თანამედროვე ბურჟუაზიული ცივილიზაციის და კაპიტალისტური სამყაროს ნგრევის მოახლოვებას. მან რუსეთში თავისი თვალით ნახა ბურჟუაზიული კულტურის და კაპიტალისტური სამყაროს ნგრევა და იმ წოდების კატასტროფა, რომელსაც ის ეკუთვნოდა. მას ძველი სამყაროს დანგრევა აშინებდა და გამოსავალს ახლა ეპიკურეიზში, ანაკრეონულ პოეზიაში და მინაშვილის მსგავს უტვინო პოეტების შემოქმედებაშიც კი ეძებდა. ოღონდაც გაქცეოდა სასტიკ სინამდვილეს! ამიტომ მოეწონა ერისთავს იორამ მინაშვილის პოეზია. ან იქნებ გემოვნება დალატობდა პროფესორს! განა მეცნიერთა

1115





ზოგადო მოღვაწეთა შორის იშვიათია ასეთი შემთხვევა?

## 4.

ნინო მაყაშვილი მედიცინის ფაკულტეტზე შესულყო. მიუხედავად ამისა, ის და ელოც ფილიპონ ერისთავის ლექციებს არ აკლდებოდნენ. ეს გარემოება სწყინდა კორნელის, რადგან ნინოსთან შეხვედრას გაურბოდა და თანაც ერისთავის ლექციებისათვის თავის განებება ენანებოდა. კორნელი პოლონელი დურგლის—სტანისლავ გილევინის მიერ გაკეთებული ყავარჯინით ყველაზე ადრე შევიდოდა უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში, წიგნს გადაშლიდა და შიგ ჩარგულ თავს მანამდე არ აიღებდა, სანამ პროფესორი ლექციის კითხვას არ დაიწყებდა.

ერისთავი ღიმილით გადახედავდა აუდიტორიას. არსად მანამდე მას არ ენახა ამდენ ლამაზ, ქალთა კრებული. ამიტომ თბილისში განსაკუთრებული ზალისით კითხულობდა იგი ლექციებს. თუმცა, ბერძნულ ლიტერატურაში და განსაკუთრებით კი დრამაში მანამდე ნამუშევარმა კორნელიმ მაშინვე შენიშნა, რომ ერისთავი ანგარიშს უწყებდა მსმენელების მომზადებისა და რუსული ენის ცოდნის დონეს და, ამასთან შეფარდებით, იგი თბილისში კითხულობდა არა პეტროგრადის მსმენელთათვის გაიზნულ, ვრცელ კურსს, არამედ შეკვეცილს, გასაგებს და ელემენტარულს.

ბერძნული ლირიკა პირველ სემესტრში წაეკითხნა ერისთავს და ახლა დრამაზე გადასულიყო. პროფესორი წარმატად უამბობდა მსმენელებს ესქილის ბიოგრაფიას. ნელი, ნარნარი, ლამაზი რუსულით ლაპარაკობდა იგი ბრძენი პოეტის, მოგვისა და მამაცი მხედრის—ესქილეს შესახებ, რომელმაც არა მარტო თავისი სწორუპოვარი „პრომეთე“-თი და სხვა ტრაგედიებით ისახელა თავი, არამედ გრძელდალალებიან მიდიელებთან შეუპოვარი ბრძოლითაც.

კორნელი აუჩქარებლად ასწრებდა ერისთავის ლექციების ჩაწერას, მაგრამ ხშირად პროფესორის მშვენიერი თხრობა ისე გაიტაცებდა და მოზიბ-

ლავდა, რომ წერას თავს განუწყობდა და ლექტორს ანთებული თვალებით მიასწრებდა. პროფესორიც მხოლოდ კორნელის ბრძანებდა, მაშინ აუდიტორიაში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქო ერისთავი მხოლოდ მას ესაუბრებოდა.

მსმენელები ამჩნევდნენ ამას და ყველანი შემობრუნდებოდნენ და გაოცებით და შურით შეხედავდნენ კორნელს. ეს თითქმის ყველა ლექციაზე ასე მეორდებოდა და ერისთავის და კორნელის შორის ურთიერთ მოწონების და მიმზიდველობის უხილავი ძაფები იბმებოდა.

ლექციის შემდეგ კორნელი ისევ წიგნში ჩარგავდა თავს, ჩანაწერს შეასწორებდა და აუდიტორიიდან მანამდე არ გავიდოდა, სანამ ნინო მაყაშვილი იქ იყო... ნინო მიხვდა, კორნელი რომ მასთან შეხვედრას გაურბოდა.

ერთხელ კორნელის, ნინო, ელო და თამარ ქარელიძე დერეფანში შეეყარნენ. მან თავის უნივერსიტეტის მეგობარს ბიძინა შარაბიძეს მკლავში ხელი გაუყარა და ქალებს თავისი ყავარჯინით წინ ჩაუთარა. ელო მიესალმა და შორიდან ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო. კორნელი შეჩერდა, მადლობა გადაუხადა და თავის წილ ისიც მოიკითხა. გამხდარი და გაფითრებული ნინო, ფართოდ გახელილი განცვიფრებული თვალებით მიმჯერებოდა მას. ვინ იცის, რამდენი რა ჰქონდა მისთვის: სათქმელი ერისთავის შესახებ! კორნელის გულისცემა აუვარდა, ყავარჯენს დაებჯინა და წელმოწყვეტილი გაუდგა ფართო და გრძელ დერეფანს. ნინო თვალს არ აშორებდა, იგი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, კორნელი რომ თვალს არიდებდა და თავს ისე იჭერდა, თითქო მას ვერც კი ამჩნევსო.

მეორე დღეს ნინო, შეუშინევლად, კორნელისთან ახლოს დადგა. კორნელიმ ცალი თვალთ მოლანდა, შეკრთა, საშინლად გაფითრდა და აუდიტორიისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ნინო მიესალმა და ჩუმად უთხრა:

— სად გარბინართ? ნუ გეშინიათ. არ შეგჭამთ. მე, აცვიკამია არა ვარ. — ნინოს მხრივ ეს მთელ გამირობას უდრიდა.

— კი არ მეშინია, გერიდებით, — მიუგო კორნელიმ, გაოცებით შეხედა და ღერეფანს გაჰყვა. გულდამწვარმა ქალმა რაღაც ორჭოფიანი ღიმილით გააყოლა თვალი. მას ძალიან უნდოდა ეამბნა კორნელისათვის, ერისთავი მისი მამის ხშირი სტუმარი რომ იყო. ამ დროს ნინოსთან სწორედ პროფესორი ერისთავი მივიდა, მკლავში ხელი გაუყარა, აუდიტორიისაკენ წაიყვანა და ჰკითხა:

— ვინ არის ის დაკრილი ჰაბუკი?

— კორნელი მხეიძე, მწერალი, — მიუგო ნინომ.

— აა! არ შეემცდარვარ ანგარიშში! მაშინვე მივხვდი, იგი რომ ხელოვნების მსახური იქნებოდა. კარგა ხანია, რაც აუდიტორიაში შევამჩნიე, მომწონს მისი ჰქეიანი, უცნაური და მომბიბვლელი თვალები... საოცარია, ამდენი მწერალი და პოეტი რომ ჰყავს ამ პატარა საქართველოს. განსაკუთრებით კი — პოეტები!

— დიახ, — ჩვენში მართლაც ბევრი პოეტია. — აღტაცებით მიუგო ნინომ და ეშმაკურად მოლიმარ პროფესორს გაუცინა...

ლექციის დაწყებისას პროფესორმა თავი ასწია, უკან სკამზე მჯდარი კორნელი თვალით მოსმებნა და ისევ ის აიჩნემა და ლექციის კითხვა დაიწყო. წინა სკამზე მჯდარი ნინო ხშირად შებრუნდებოდა და კორნელის გადახედვდა... კორნელიმ უხერხულობა იგრძნო და გადასწყვიტა, ერისთავის ლექციებზე სიარულისათვის, დროებით, თავი გაენებებინა.

ერისთავმა ლექცია დაასრულა და გამოაცხადა:

— ხეალ ლექტორი ათანასე ჯვარი-შეიშვილი იწყებს ბერძნულ ენაში ლექციების კითხვას. ვისაც ჩემი საგნის საფუძვლიანი შესწავლა სურს, ეურჩევ იმ ლექციებზე დასწრებას, მიიხარით, რომელმაც იცით ბერძნული ენა: მე ვგულისხმობ ბერძნულ ენაზე წერა-კითხვას და ლექსიკონის მიხედვით ბერძნული ტექსტის თარგმნას.

მხოლოდ ოთხმა ყოფილმა მღვდელმა, სამმა მასწავლებელმა და კორნელიმ ასწიეს ხელი. პროფესორს გაეხარა, კორნელიმ რომ ხელი ასწია და ლობივრად გაუღიმა მას.

5.

ერისთავი  
გულდამწვარი

მსმენელები აუდიტორიიდან გავიდნენ. ბოლოს კორნელი და ბიძინა წამოდგნენ. ღერეფანმა ერისთავი ნინო მაყაშვილს და პოეტს თორამ მინაშვილს ესაუბრებოდა. ირგვლივ მსმენელნი დახვეოდნენ. კორნელიმ ისარგებლა ამ შემთხვევით და ნინოს გვერდზე ჩაუარა. პროფესორმა თვალი მოჰკრა, თავი ასწია, კორნელის შეხედა და დაუძახა. კორნელი გაფითრდა და პროფესორთან მივიდა. ერისთავმა გაიფიქრა, რა მორცხვი კაცი ყოფილაო და ღიმილით მიჰმართა:

— თქვენ, თურმე, მწერალი ყოფილხართ. სასიამოვნოა... სად სწავლობდით ბერძნულ ენას? გიმნაზიაში?

— დიახ, — მიუგო კორნელიმ.

— რომელ ქალაქში სწავლობდით?

— თბილისში.

— ვინ გასწავლიდათ ბერძნულს?

— კოტოვიჩი.

— ოტო სიგიზმუნდის-ძე ხომ არა?

— სწორედ ის. მაღალი. შავგვერდმანი და შავულვაშიანი კაცი.

— რას ამბობთ! — სიხარულით წამოიძახა ერისთავმა, — მე და კოტოვიჩი იურევის უნივერსიტეტში ვსწავლობდით. ერთდროს ნიქიერი სტუდენტი და ჩინებული ადამიანი იყო. ნეტავ თბილისში არის ახლა?

— არა, იგი პოლონეთში წავიდა. მგონი ვარშავის უნივერსიტეტმა მიიწვია...

— გასაგებია. იგი იურევის უნივერსიტეტში ყოფნის დროს ნაციონალისტი იყო. პოლონელები ყველანი ნაციონალისტები არიან. — ამრეუთ გაეცხადა და ხელი ჩაიქნია ერისთავმა. ასე ერთბაშად მოსჭრა მან საკითხი მთელი ხალხის მისამართით.

კორნელის მყისვე საბრალო ღერეფალი, პატარა კაცი სტანისლავ გილევინი მოაგონდა, რომელშიაც ნაციონალისტობის ნასახივც არ იყო. რად ამბრუნებდა რად სწყინს ერისთავს კოტოვიჩის ნაციონალისტობა, როდესაც ის თვითონ რუსი ნაციონალისტი? გაიფიქრა კორნელიმ, მაგრამ მხოლოდ პროფესორთან კამათს მოეჩიდა და ნაცვლად ამისა ერისთავს მთელი რიგი შეკითხვებისა მისცა. მერმე ვერბილდეს ტრა-

გედიებზე ჩამოუვდო საუბარი. კორნელის გულდასმით წაეკითხნა ინოკენტი ანენსკის წიგნი — „ევერიბიდეს თეატრი“. მისმა სწორმა რუსულმა, ბასრმა გონებამ და ფაქიზმა გემოვნებამ განაცვიფრა პროფესორი და ამ დღიდან ერისთავი და მისი მსმენელი — კორნელი მხეიძე მეგობრები გახდნენ, პოეტი იორამ მინაშვილი კი ბევრ თვალებს აცეცებდა, კისერი წაეგრძელებინა და არაფერი არ ესმოდა მათი საუბრისა, ის მხოლოდ მეცხრაშეტე და მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ხალხურ შემოქმედებას იცნობდა ძლიერ-ძლივობით. მიუხედავად ამისა, მაინც დამცინავად იღიმებოდა და ფიქრობდა: „რა ჭირად მინდა ვიცოდე ქრისტეს დაბადებამდე არსებული პოეტები და მათი ნაწარმოები? მე მეოცე საუკუნის შვილი ვარ. მეოცე საუკუნე კი ყველა ეპოქებზე უფრო მოწინავე ეპოქა არის. ამჟამად ჩემს ქვეყანაში არსებული ყველა პოეტზე უფრო ნიჭიერი მე ვარ და, მასმასადამე, ქრისტეს შობამდე და მის შემდეგ არ-

სებული პოეტები — ვიღაც ესქილესოფოკლე, ევრიბიდე ჩემთან, რა მოსატანი არიან! იქნებ თანამედროვე ჩვენ პოეტებსაც არა სჯერათ, მე რომ მათზე ნიჭიერი ვარ! მაშ, თუ ბიჭები არიან, გამოვიდნენ და, რომელ აუდიტორიაშიც სურთ, იქ გამეჯიბრონ!“ — ასე ფიქრობდა თავხედი პოეტი იორამ მინაშვილი.

თავის გენიალობაში დარწმუნებული, უეცი პოეტი ისევ დამცინავი დიპლით შესცქეროდა პროფესორს, რომელიც მეცხრაშეტე და მეოცე საუკუნის პოეტებზე ვიღაც ესქილეს და ევრიბიდეს აგვლენის შესახებ საუბრობდა.

— მოდით ხვალ ჩემთან ბიბლიოთეკაში. მე თქვენ კარგ სახელმძღვანელოს შეგიჩვენებ ბერძნულ ენაში. აგრეთვე იონიურ და დორიულ კილოყავებში სამუშაო წიგნსაც გიპოვნით. — უთხრა პროფესორმა კორნელის. კორნელიმ მადლობა გადაუხადა:

— დიდათ გმადლობთ, ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

### პირველი მანისი

აქალღმის და ჩითების

ცეცხლი ყველგან ბორკავს.

ხლე დროშები წითელი

მოგვაქვს, მოგვაქვს, მოგვაქვს!

გახაზბულით ნაბანი

ქუჩა ხარობს, ელავს,

მოვაბიჯებთ მრავალი —

ჩვენ, შენ, მე და — ყველა!”

ვლ. შაიბაძის კეთ. „სამაისო სიმღერა“.

1920 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებიდან დენიკინის ლაშქრის დამარცხება და წითელი არმიის წინსვლა ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. 29 თებერვალს აღებულ იქნა სტავროპოლი. ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით ჩრდილო კავკასიაზე დაწყებული შეტევა მალე ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ჯერ კიდევ წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე მთიელების რევოლუციურმა პარტიზანულმა რაზმებმა კავკავი და გროზნო აიღეს. წითელი არმიის შესახვედრად მთიელები მთებიდან დაეშენენ. მარტის ბოლო რიცხ-

ვებში წითელი არმიის ნაწილები, ორჯონიკიძისა და კიროვის მეთაურობით, კავკავში შევიდნენ. აქ, ორი წლის განმარჯვების შემდეგ, კიროვი შეხვდა თავის ცოლს, რომელმაც თეთრგვარდიელთა ბანაკში ბოლშევიკური არაულგაღური მუშაობის ყველა საშიშროება გადაიტანა. ჩრდილო კავკასიის რევკომის თავმჯდომარედ სერგო ორჯონიკიძე დანიშნა, მის მოადგილედ კი — სერგეი კიროვი. გროზნოში მთიელების ყრილობაზე მიმავალ ორჯონიკიძეს და კიროვს უდიდესი სიზარულით ეგებებოდა მშრომელი მოსახლეობა. მთებიდან წითელი დროშებით ჩამოსული მთიელები მიეგება მათ სადღურ ნებრანზე, საიდანაც ამას წინათ წითელი

არმია იბრუნებული შეიქმნა მთის პირ-  
ქულს და შავ ხეობებისაკენ დაეხია. სად-  
გურის ბაქანზე მოსული თეთრწყერა  
მოხუცი მთიელები ორჯონიძეს და  
კიროვს ეხვეოდნენ, მხსნელებს უწოდებ-  
დნენ და შავვერემანი სახის ლოყებს  
სიხარულით ცრემლები უსველებდათ.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვეც  
და, ლენინის და სტალინის პირდაპირი  
ძითითებით, წითელი არმია ორჯონიძე-  
ძის, კიროვისა და მიქოიანის მეთაუ-  
რობით მუსავატელების წინააღმდეგ  
აჯანყებულ ბაქოს მუშების დასახმა-  
რებლად აზერბაიჯანისაკენ გაემართა.

28 აპრილს, ღამით, აზერბაიჯანის  
დედაქალაქში — ბაქოში წითელი ჯავშ-  
ნიანი მატარებელი შევიდა.

ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯან-  
ში საბჭოთა ხელისუფლების გამარ-  
ჯვებამ ქართველი მენშევიკები დიდ  
საგონებელში ჩააგდო. საქმე ის არის,  
რომ მენშევიკური მთავრობა, ქვეყნის  
მეურნეობის აღორძინების საქმეში უძ-  
ლური და უნარდაკარგული აღმოჩნდა.  
მენშევიკები, მათი დაუსრულებელი  
ტრამპის გამო, რომ ისინი ნამდვილი  
სოციალისტები და დემოკრატები არი-  
ან, — თითქმის ყველას მოსძულდა. ხალ-  
ხი ბოლშევიკებს ემხრობოდა. ყოველ  
ფეხის გადადგმაზე გაიგონებდით:  
„მენშევიკებმა რუსეთს მოგვწყვიტეს,  
უპუროდ დაგვტოვეს, შიმშილით სუ-  
ლის ამოხდას გვიბრუნებენ“. თითქმის  
ყველა სიამოვნებით მოელოდა მენშე-  
ვიკების ძალაუფლების დაშლას.

ეკონომიური კრიზისი მეტისმეტად  
გამძაფრდა და ქვეყანა ნამდვილ კატას-  
ტროფისაკენ მიექანებოდა. სოფლის  
მეურნეობა და მრეწველობა დაეცა.  
მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხების  
მდგომარეობა მართლაც აუტანელი შე-  
იქნა. მიუხედავად ამისა, მენშევიკური  
მთავრობა უფრო მეტ დაწოლას ახდენ-  
და მუშებზე და ხელფასის, მომატების  
დაგვირგად, ჰკვეცავდა. ბევრ წარმოებში  
12 საათიანი სამუშაო დღე იქნა  
შემოდებული. ამას მუშების გაფიც-  
ვები და ბოლშევიკურ პარტიაში მათი  
ჯგუფ-ჯგუფად გადასვლა მოჰყვა.

მეურნეობის საერთო დაცემა, კლას-  
ობრივი ბრძოლის გამძაფრება, მშრო-  
მელი მასების ბოლშევიკების მხარეზე  
გადასვლა და საქართველოს საზღვრებ-

თან წითელი არმიის მოახლოება, ყო-  
ველივე ეს, ცხადია, მენშევიკური სა-  
ქართველოს პოლიტიკული კრიზისმა-  
რეობის გართულებას იწვევდა. მაგრამ,  
რაც უფრო ახლოვდებოდა ეამი მენშე-  
ვიკების აღსასრულისა, მით უფრო  
მკაცრი და დაუნდობელი ხდებოდნენ  
ისინი ბოლშევიკების მიმართ.

აპრილის ბოლოს მენშევიკებმა, რა-  
ტომაც, იმედის ფრთები შეისხეს და  
პირველი მაისის დემონსტრაციისათვის  
დაღ მზადებას შეუდგნენ.

ბოლშევიკების გამოსვლა და აჯან-  
ყება მათ უკვე აღარ აშინებდათ, რად-  
გან ბოლშევიკების ორგანიზაციებში  
ყველგან დარბეული, ხოლო ბოლშე-  
ვიკების მეთაურები, პარტიის რიგითი  
წევრები და შემჩნეული მუშები, გლე-  
ხები და ჯარისკაცები ათასობით და-  
პატიმრებული და ბევრიც კიდევ რუ-  
სეთში გადასახლებული იყვნენ. გარეთ  
დარჩენილი სერგო ქაჯვარაძე, ვანო მა-  
ხათაძე, ნიკო გოციოძე და სხვები ია-  
ტაკქვე მუშაობდნენ, ან გადაცემული  
და გრიმგაყვებულნი დადიოდნენ. დე-  
მონსტრაციასზე ბოლშევიკები ახლა ოც  
კაცსაც ვერ გამოიყვანებო, — იმედოვ-  
ნებდნენ მენშევიკები. იყო კიდევ ერ-  
თი გარემოება, რის გამოც მენშევი-  
კები იმდენ არ ჰკარგავდნენ. საქმე ის  
არის რომ საქართველოს საზღვრებთან  
წითელი არმიის მოახლოების გამო, მენ-  
შევიკებს შორის პანიკა დაიწყო და მათ  
აპრილის შუა რიცხვებში, სრულიად  
საიდუმლოდ მოსკოვს დელეგაცია გაგ-  
ზავენეს. აპრილის ბოლოს მენშევიკური  
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტ-  
რმა ევგენი გეგაშვილმა მოსკოვიდან  
ცნობა მიიღო, რომ საბჭოთა რუსეთი  
მზად არის საქართველოსთან სამშვი-  
დობო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწი-  
როსო. ამიტომ მენშევიკები იყვეხნიდ-  
ნენ: მოსკოვში ჩვენი დელეგაციის გაგ-  
ზავნის შემდეგ, ბოლშევიკების გამოს-  
ვლის და აჯანყებას საქართველოში  
წინადაგი გამოვაცხადეთო.

მენშევიკები ტყუილებოდნენ. მათ არ  
იცოდნენ, რომ მიუხედავად ბოლშევი-  
კებისადმი მენშევიკების სასტიკი რეპ-  
რესიებისა, კავკასიის სამხარეო კომი-  
ტეტს და ბოლშევიკურ ორგანიზა-  
ციებს საქართველოში შეიარაღებული  
აჯანყების მოხდენისათვის უკვე დამუ-

შეგებული და შედგენილი ჰქონდათ გეგმა და საამისო დროც დაენიშნათ — სამი მაისი.

შრომელი მასების სულისკვეთების გამოსარკვევად და ბოლშევიკური ძალების დათვლიერების მიზნით, ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ პირველი მაისისათვის თბილისში დამოუკიდებელი დემონსტრაციის მოწყობა გადასწყვიტა.

კორნელიმ იცოდა, პირველ მაისს ბოლშევიკების დემონსტრაცია რომ ეწყობოდა. ეს მას მიტო ჩიკვაძემ შეატყობინა და თანაც გააფრთხილა: „პირველ მაისს დილით ადრე გამოგვიღი, დემონსტრაციაზე ერთად წავიდეთ. შესაძლოა, მენშევიკებმა პროვოკაციას მიჰპართონ და მათთან შეტაკება მოგვიხდეს“. მიტოს გაფრთხილებამ უფრო წააქეზა კორნელი, დილით დემონსტრაციაზე გასულიყო. იგი გულისფანქვლით ელოდა პირველი მაისის გათენებას. ადრე დაწვა; თანაც ფიქრობდა: „პირველად გავდივარ შრომელ მასებთან ერთად დემონსტრაციაზე. ვინ იცის რა მოხდეს! იარაღს, ყოველ შემთხვევისათვის, თან ვიჭონიებ“. ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდევ.

პირველი მაისის დილაც გათენდა. კორნელის რიერაზე გამოედვიდა და ღია ფანჯარაში გაიხედა. მოლორბლული დილა იყო. ქალაქს თავზე საწვიმრად გამზადებული, მოშავო ღრუბლები დასდგომოდნენ. მხოლოდ შავნაბადას ქედისაკენ სჩანდა ცის მოწმენდილი კიდეური, ცასა და მიწას უცნაური სიჩუმე და მყუდროება მოჰფენოდა. ღრმად ჩასძინებოდა ქალაქს.

უკვე დილის მსაათი შესრულებულიყო და ცარიელ ქუჩებში კი ისევ სიჩუმე სუფევდა. არა სჩანდნენ რძისა, მაწვნისა, კვერცხისა, ნავთისა და ბაოსის მიწის გამყიდველი და ძველი ტანისამოსის მყიდველი მაძახურები. არც დადუმებულ სახლების ფანჯრებიდან იხედებოდა ვინმე.

კორნელი ადგა, ღია ფანჯარასთან მივიდა და მტკვრის გაღმა მთის კალთებზე შეფენილ, ჩაძინებულ და ცარიელ ქალაქს გააჩხედა. ქალაქს თავზე კვლავ საწვიმარი ღრუბლები დასდგომოდნენ. ჰაერი დამძიმებულიყო. ნავარდის და თივილის მოყვარული სწრაფი

და მკვირცხლი მერცხლები ბუნჯად დაზარებით დაფრინავდნენ და წელა გადადიოდნენ ახლა სახმეტრად — სახლების უხალისო და გამურყურის სახურავების თავზე. ნელა ეშვებოდნენ დედამიწაზე, ზანტად იქნევდნენ ფრთებს, ქუჩებში რიალებდნენ, უხეირო დავლურს უვლიდნენ და მერმე მტკვრის პირს გაჯრულნი, ისარივით კი არ მიპქრობდნენ, არამედ ისე ნელა მისცურავდნენ, თითქო დამძიმებული ჰაერის გამობა უქირთო.

კორნელიმ ცას აჩხედა და ეწყინა. პირველ მაისს მოლორბლული და საწვიმრად გამზადებული დღე რომ გათენდა...

ღრუბლები მთაწმინდის იქით მთებში ჩაეშვენ და ჩაიკუპრნენ.

სადღაც იელვა და მალე შორეული გრგვინვაც გაისმა. დადუმებულმა ქალაქმა ეხო გამოსცა. „Люблю грозу вначале мая“. („მიყვარს ქუხილი მაისის დამდეგს“), — მოაგონდა კორნელის.

შხაუნა წვიმა წამოვიდა. ქალაქი, რკინის სახურავები, ქუჩები და ხეები დაასველა. „ჩაიფუშა პირველი მაისი! ეს წვიმა, ეტყობა, კარგა ხანს არ გადაიღებს“, — გაიფიქრა კორნელიმ და მოწყენით მიაშტერდა ქუჩის გაღმა სახურავის მილიდან წყლის დენას. ისევ იელვა და იქუხა და მერმე წვიმამ გულდაგულ დაუშვა...

კორნელის წინასწარმეტყველება არ ასრულდა. სულ რაღაც ერთ საათს იწვიმა და მერმე ერთბაშად გადაიღო. ცის კიდეურები მოიწმინდა. ღრუბლები მთათა ქედების იქით გადავიდნენ და მზეც გამოჩნდა.

ქალაქს ნათელი დაადგა და ყველაფერი ზეიმით გამობრწყინდა. პირთამდე სავსე და ჩქარა მავალ მტკვრის გაღმა, მთის კალთებზე გამენებული ქალაქი, რკინით გადაჭედებული სახლების სველი და ახლა სუფთა სახურავები მზეზე კრიალებდნენ. ქუჩის პირას ჩარაზმული ალვის ხეების, ქანდრების და ცაცხვების ნორჩი ფოთლები უფრო გამწვანებულიყვნენ და ზედ ცვარცვარად დამჯდარი წვიმის წვეთები, თვალისმომპრეკელ, ათასნაირ ფერებით ბრწყინავდნენ. მთებიც უფრო გამწვანებულიყვნენ და მათ თავზე მოწმენ-

დილი, მოსარკელი და ლურჯი ცაც უფრო ლურჯად ელავდა... მთელ ბუნებას პირი დაებანა, მორთულ-მოკახ-მულეო და პირველ მანის ღიმილით ეგებებოდა. ქალაქში ვრილი და სუფთა ჰაერი ჩამდგარიყო. ღია ფანჯარასთან მდგარ კორნელის სველი დედამიწის და დოჟა მწვანის სუნი ეცა.

„გაზაფხულია. პირველი მაისი!“ — გაიფიქრა კორნელიმ და ქალაქში წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მიტო ჩიკვაძემ ჯერ არსად ჩანდა.

## 3.

დილის 9 საათზე კორნელის მიტო ჩიკვაძემ გაუარა, მას მიხაკისფერი ფრენი, ვალიფე, ყვითელი ბოტინკები და ბოტფორდები ეცვა, თავზე კეპი ეხურა. კორნელი კი სტუდენტურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. იგი უყავარჯნოდ გამოვიდა ახლა სახლიდან და მიტოსთან ერთად ვერის ხილისაკენ გაეშურა. ვერის აღმართზე კორნელი და მიტო დემონსტრაციებზე გამოსულ მუშებისა და მოსამსახურეების კოლონებს წამოეწივნენ. გზაში მიტომ კორნელის უთხრა:

— დენიკინის ლაშქრის დარბევისა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მენშევიკებს ისე შეშინებიათ, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად მოსკოვში დღევანდელია გაუგზავნიან.

— ნუ თუ ეს მართალია? როგორ ფიქრობ: საბჭოთა რუსეთი ხელს მოაწერს იმ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე? — ჰკითხა კორნელიმ მიტოს.

— ვინ იცის? მაშინ ყორღანნიამ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს თავი უნდა გაანებოს და აღმოსავლეთისაკენ იბრუნოს პირი. — დამცინავი ღიმილით მიუგო მიტომ.

— ეგ არასოდეს არ მოხდება, — მოუქრა კორნელიმ, — ყორღანთა საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულებას იმიტომ თავაზობს, რომ საქართველოს საზღვართან წითელი ჯარის მოახლოებისა ეშინია უთუოდ.

— საქმეც ეგ არის, — დაუდასტურა მიტომ, — ეს მენშევიკების მორიგი ხრიკია და სხვა არაფერი. მენშევიკებს სურთ „თავი დააღწიონ“ წითელ სამშრობებს“...

— დააღწივენ კი? — ჰკითხა კორნელიმ რა უნდა დაუპირისპირდეს „აღმოსავლეთის ფანატიზმს“ კორნელიმ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმში? იმ პერიოდისტიტმა დენიკინსაც ვერ უშველეს...

— ისინი თავიანთ თავსაც ვერ უშველიან, რადგან ძველი სამყაროს ნგრევა დაწყებულია და ამ პროცესის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. — მიუგო მიტომ. — კომუნისტური იდეა ყველგან და საქართველოშიც იზრდება და იმარჯვებს. ამის მოწამე ჩვენ დღეს გავხდებით. შეიძლება შეხლა, შეტაკება, ჩხუბი და შეიარაღებული ბრძოლაც მოგვიხდეს. ზომ არ ვეშინია. ბიჭო? დაე, ეს შენი პირველი ნათლისღება იყოს!

— რისა უნდა მეშინოდეს! დაე, მოხდეს შეტაკება. ამას დიდი ხანია მოველო — აღტაცებით უთხრა კორნელიმ მეგობარს და ქუჩაში მიმავალი მუშების წითელ დროშებს გაჰხედა.

ასეთი საუბრით გაიარეს მიტომ და კორნელიმ რუსთაველის პროსპექტი და პროფკავშირების საბჭოს შენობას მოაღდნენ. ამ შენობას მაშინ „მუშათა სასახლესაც“ ეძახდნენ. წინათ აქ სასტუმრო „მაიესტიკი“ იყო<sup>1</sup>.

მაღო მუშათა სასახლისთან ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა იწყეს მოსვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ, მუშათა სასახლის თა ალექსანდრეს ბაღის შორის, ბარიატინსკის ქუჩაზე, ცოცხალი ყვავილების წნულით მორთული ორი საბარგო მანქანა მივიდა და რუსთაველის პროსპექტის ახლოს გაჩერდა. მანქანებში ასზე მეტი მუშა იქნებოდა.

— ეს მელითონეთა მანქანებია. — უთხრა მიტომ კორნელის.

საბარგო მანქანებზე მოგარ მუშებში მიტომ თავისი მამა — გიორგი და მისი ამხანაგი: ხარატი სტეფანე დანგაძე, ზენკალი დიმიტრი ჩაპლიგინი და სხვა მუშები იყვნენ. მიტოს მამაც მთავარ სახელისმოცხადის ზენკალი იყო. კორნელი იცნობდა სტეფანე დანგაძეს და დიმიტრი ჩაპლიგინსაც. ესენი მიტოს მამის სახლში გაიცნო მან.

საბარგო მანქანების ირგვლივ უამრავმა ხალხმა, უმთავრესად ბოლშე-

<sup>1</sup> ამჟამად სასტუმრო „თბილისი“.

ვიცმა მუშებმა მოიყარა თავი, მენშევიკებს დიდად არ მოეწონათ ეს ამბავი, რადგან მათი დემონსტრაცია ბოლშევიკების დემონსტრაციით იზრდილებოდა. საბარგო მანქანები ანდამატურის ძალით იზიდავდა ხალხს და მიტრა და კორნელიც იქითკენ წავიდნენ.

ახლა კორნელი მუშათა წრეში თავს ობლად არა გრძნობდა. იგი გატაცებით საუბრობდა საპირბოროტო საკითხებზე მიტრის გამასთან — ელიზბართან და სტეფანე დანგაძესთან. ბევრ მუშას წაკითხული ჰქონდა მისი „არკადი ელბაკიძე“, მწერალთან ვაცნობა ეწადა და მას ლიბილით შესცქეროდა. კორნელისთან კარო იარალოვი და ვასო მარუაშვილი მივიდნენ. მათ ისე როგორც საბარგო მანქანებზე მდგარ მემუბსაც აგზნებული და გაბრწყინებული თვალები ჰქონდათ. მიტრამ კაროს, ვასოს და მათ ამხანაგებს უთხრა:

— ფრთხილად იყავით, ბიჭებო! მოსალოდნელია მენშევიკებისაგან პროვოკაცია და ჩვენზე თავდასხმა.

— ვიცო, — მიუგო კარომ, — განავერ ეხედავ, როგორ ადარწიან ჩვენ შორის კედლის ძაღლები?! გინდა გჩვენროს? აგერ, ეს შავკეპიანი, აგერ, ის ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი...

კორნელიმ მაშინვე იცნო საგანგებო რაზმის აგენტი დომენტი მელაძე. გაფითრდა, შეზარდა იგი და თვალი მოარიდა.

საბარგო მანქანების წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. რუსთაველის პროსპექტი ოპერის თეატრიდან დამფუძნებელი კრების შენობამდე, ხალხით იყო გაკედილი.

საპირველმაისო კომისიის წევრები წესრიგს იცავდნენ და მკლავზე გაკეთებული წითელი ლენტებით და მკერდზე მიკრულ მანტებით მიუძღოდნენ მუშათა კოლონებს, რომელთაც პროსპექტი უნდა გაევილით, სამხედრო ტაძართან აეხვიათ, სასახლის წინ ჩაეკრათ და მერმე მოედნისაკენ წასულიყვნენ. სასახლის აივანზე მენშევიკების ბელადები ფორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი, გეგეჭკორი და მენშევიკური მთავრობის და დამფუძნებელი კრების სხვა წევრები იდგნენ და დემონსტრანტებს ესალმებოდნენ.

უცბად, პროსპექტზე მთავარ სახე-

ლოსნობებიდან და დებოდან მომავალი რამდენიმე ათასი მუშა გამოჩნდა. მუშათა სასახლესთან საბარგო მანქანებით მოსულმა დემონსტრანტებმა დროშებით, მუსიკით და სიმღერით პროსპექტზე მომავალი მუშები რომ დაინახეს, უმაღლეს წითელი დროშები ააფრიალეს და პლაკატები გაშალეს, „მოითხოვეთ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლება“, „გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“. ეწერა პლაკატებზე. საპირველმაისო დემონსტრაციაზე მოსული სხვა ბოლშევიკი მუშები ამ ორი საბარგო მანქანის ირგვლივ იდგნენ.

როდესაც მთავარი სახელოსნოების და დებოს მუშების კოლონები მუშათა სასახლეს მიუახლოვდნენ და იქ მანქანებზე მდგარი და ირგვლივ თავშეყრილი დემონსტრაციები, მარქსის ენგელსის, ლენინის სურათები და ბოლშევიკური ლოზუნგებით წარწერილი დროშები და პლაკატები დაინახეს. მათაც თავის მხრივ წითელი დროშები ააფრიალეს და პლაკატები გაშალეს. მათ პლაკატებზე ეწერა: „ემზადეთ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისათვის“, „ძირს სატარიფო პალატა“. „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. ეს იყო თბილისის ფაბრიკის და ქარხნების მუშების ურთიერთ გამოძახება და ერთსულეობების დემონსტრაცია. პროსპექტზე მიმავალ მუშების დიდმა ნაწილმა თავი მიანება მენშევიკების მიერ მოწყობილ პროცესიას და თავისი დროშებით და პლაკატებით მანქანების ირგვლივ თავშეყრილ ხალხს შეუერთდა.

ალექსანდრეს ბაღში 1918 წელს დახერხებულ ბოლშევიკურ მიტინგის შემდეგ ახლა მეორედ ეწყობოდა ბოლშევიკური დემონსტრაცია იმავე ბაღთან. მაშინვე ვასო მარუაშვილმა, კარო იარალოვმა და ბევრმა სხვა მათმა ამხანაგებმა ხალხში ბოლშევიკური ფურცლები მიმოაბნინეს და გაავრცელეს. ფურცლები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე იყო დაბეჭდილი. მათი დაბეჭდვა პირველ მაისისათვის კარო იარალოვს დაევალა. დიდებულში მოწყობილ არაღვალურ



სტამბაში ბათლომე მახათაძის, შაქრო ხახუტაშვილის და სხვათა მიერ ოცი ათას ცალამდე ვანო მახათაძისაგან შედგენილი პროკლამაცია დაიბეჭდა და დემონსტრაციანზე მოსულ თითქმის ყველა მოქალაქეს ხელში ექირა.

საბარგო მანქანებთან მიტინგი გაიმართა. მუშებმა მანქანები ტრიბუნებად გამოიყენეს. ზედ ასული ორატორები ზღვა ხალხს სიტყვით მიმართავდნენ. დემონსტრანტებს შორის გაისმოდა ძაბილი: „ძირს შენშევიყვები“. „გაუ-მარჯოს ბოლშევიკებს“.

შენშევიკურ მთავრობას უყვირდა, იატაკქვეშ მყოფმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ადენი მუშა რომ გამოიყვანა. მან აშკარად დაინახა, ბოლშევიკური ორგანიზაცია თბილისის მუშებში დიდი თანაგრძნობით რომ სარგებლობდა მუშები საბჭოთა ხელისუფლებას უქერდნენ მხარს.

## 4.

სასახლის აივანზე მდგარი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი დარბაზში შევიდა. იგი გაფითრებულა და გაბრაზებული იყო. მან საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეკორს ჰკითხა:

— როგორ მოგწონს, ევგენი, ბოლშევიკების საქციელი?

— მაგათ რა გაასწორებს! — ჩაიქნია ხელი გეგეკორმა.

— მათრახი, ციხე და ტყვია, — დაადგინა რამიშვილმა.

— ამას ახლა უნდა ვერიდოთ... საზავო მოლაპარაკებას მოსკოვში კარგი პირო უჩანს. ჩვენ პრინციპული თანხობა მივიღეთ რუსეთიდან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელისმომწერის შესახებ. — შენიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეკორმა.

— ძაშ, ესენი რამ გააგიჟა, საპირველმაისო დემონსტრაცია რომ ჩაგვიშალეს და ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას დამხობით ემუქრებიან? — იყვირა რამიშვილმა.

— ალბათ ქართველ ბოლშევიკების შესვეურთ ჯერ სათანადო ინფორმაცია და ინსტრუქცია არ მიუღიათ მოსკოვიდან. — შენიშნა გეგეკორმა.

— ნეტავი შენ, ევგენი, მოსკოვს ენდობი და მისი გჯერა...

— როგორ იქნება. მასხრობა ხომ არ არის?! რაც უნდა ფიქსიკაზმულში ფოა!..

გეგეკორმა

ამ დროს ქუჩაში აურ-ზაური ატყდა. მინისტრებს ხალხის კოთქოთი და წითელი დროშებით მოსული მუშების ძაბილი შემოესმათ: „ძირს კობტრევი-ლუციურის შენშევიკური მთავრობა!“

— შენ რაც ვინდა, ისა თქვი, — მიუბრუნდა რამიშვილი გეგეკორს, — და ახლავე გაქრეკავ იმ, ხულიგნებს, თუნდაც იარაღის ხმარება დაგეკირდეს...

— იარაღის ხმარებას მოვერიდოთ, ნოე. საქმეს წვახდენთ, — ურჩია გეგეკორმა რამიშვილს, მაგრამ კოლუგის თრისხანე და ვაფითრებული სახე დაინახა და მამინვე მიხედა, იგი გადაწყვეტილებას რომ არ შესცვლიდა.

რამიშვილი ტელეფონს ეცა და შინაგან საქმეთა საძიებისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის უფროსი — კედია გამოიძახა: ევგენი გეგეკორი კარგად იცნობდა კედიას თავზეხელივალ ბიჭებს. ეწყინა და კედისა შესაბებ გაიფიქრა: „საქმეს წაახდენს რეგენი, ევგენის დააბრალებსა“. ევგენი გეგეკორს ეშინოდა, ბოლშევიკებისადმი მიღებულ მკაცრ ზომებს და რეპრესიებს, შენშევიკურ საქართველოს მიერ საბჭოთა რუსეთთან გამართულ მოლაპარაკებაზე ცუდად რომ არ ემოქმედნა. მიუხედავად ამისა, რამიშვილმა ბოლშევიკი მუშების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება გადასწყვიტა.

მანქანების ირგვლივ თავშეყრილ დემონსტრანტებს საპირველმაისო კომისიის წევრებმა რამდენჯერმე მიმართეს წინადადებით, დაძრულიყვნენ ადგილიდან და ხელი არ შეეშალათ რუსთაველის პროსპექტზე პროცესიის მსვლელობისათვის. დემონსტრანტებმა მათი წინადადება არ მიიღეს. მაშინ კედიამ შეხანძრეთა რაზმი გამოიძახა და ბრძანა, რაზმელები ბოლშევიკ დემონსტრანტების კოლონებთან მისულიყვნენ და წყლით გაერეკათ ისინი. ამან ვერ გასჭრა, მეხანძრეთა რაზმი უკუიქცა. რამიშვილმა ჯარისკაცების გამოყვანა ვერ გაბედა, რადგან არ ენდობოდა მათ და ახლა საგანგებო რაზმს და მილიციას უბრძანა გაერეკა დემონსტრანტები, და თუ საჭირო იქნებოდა, უკი-



დურეს შემთხვევაში, იარაღისათვისაც მიემართნათ.

მცირე მიტინგის შემდეგ, ბოლშევიკების მანქანები ბარიატინსკის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე ამოვიდნენ და მოედინსაკენ გაემართნენ. უკან მუშათა კოლონები მიჰყვებოდნენ. მანქანებს მიტო და კორნელიც გაჰყვნენ.

ბოლშევიკების მანქანებს და კოლონებს პროსპექტზე მიმავალი მენშევიკების საპირველმისო პროცესია რომ არ ჩაეშალნათ, მილიციელები და საგანგებო რაზმის თანამშრომელი წინ გადაუდგნენ, დემონსტრაციამო მიმწილეობის მიღება აღუქრძალეს და წინადადება მისცეს, უკანვე გაბრუნებულიყვნენ. დემონსტრანტებმა უარი განაცხადეს და მანქანები „დიდების ტაძრის“ წინ დააყენეს... პროსპექტის ზღვა ხალხით გაიქცა და მენშევიკების საპირველმისო დემონსტრაცია შეჩერდა და ჩაიშალა. ამან უფრო გააძრავა მენშევიკების ბელადები და მათი განკარგულებით, მილიცია და საგანგებო რაზმის აგენტები მანქანებს გარს შემოერტყნენ, ზედ მდგართ და მოფერებს მისცივიდნენ, დაემუქრნენ და უყვირეს:

— გაბრუნდით უკან! ხელს ნუ უშლით პროცესიის მსვლელობას! ნუ ღრიალებთ, თორემ აქვე ჩაგაძიდებთ, რუსეთის და თურქეთის იმპერიალისტების აგენტებო!.. მოსკოვისა და არზრუმის ფულოთ მოსყიდულნო!..

მუშები გაბრაზდნენ და შესძახეს: — ოსმალეთი და არზრუმი რა შუაშია? ეს ხომ დემაგოგია! რუსეთში პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და იქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. იმპერიალიზმი სხვაგან მოიკითხეთ. ვერა, ველარ მოგვტყუებთ ამიერიდან მუშებს, ინგლისის იმპერიალიზმისა და საქართველოს კონტრრევოლუციონერების აგენტებო!..

საგანგებო რაზმის აგენტებმა, ამის საპასუხოდ, მუშტიკრიეს მიმართეს. მოძალადეებს მუშები გაუშკლავდნენ და შეიქმნა ხელჩართული ჩხუბი.

მიტო და კორნელი მეორე საბარგო მანქანის უკან, მოშორებით იდგნენ. მათ თვალი მოჰკრეს, საგანგებო რაზმის აგენტებმა რევოლუცერები რომ იშოშველეს, პირველ მანქანიდან შოფერი ჩა-

მოსვეს და ზედ აცივიდნენ და იქედან მუშების ჩამოყრა დაიწყეს. მუშები ექცნენ ისანი მეორე მანქანაზე მდგართაც. აგენტებმა მუშებს დროშებისა და პლაკატების წართმევა მოუნდომეს. მუშებმა არ დაანებეს და შეიქნა ჭიდილი, ჯახი და მიწვე-მოწვევა. ახლა კი აღწეოთდნენ მუშები და აგენტებს დაეჯახნენ და მანქანიდან ჩამოჰყარეს.

მაგრამ ჩამოყრილთ ახალი რაზმელები და მენშევიკებისათვის სანდო გვარდიელები მიეშველნენ, რევოლუცერების კონდახები დასცხეს მუშებს, ისევ დროშებსა და პლაკატებს სტაცეს ხელა...

ახლა ორივე მანქანა ჩაიგდეს ხელში შეიარაღებულმა აგენტებმა, გვარდიელებმა და მილიციელებმა. ბოლშევიკ დემონსტრანტების შაგვირად ზედ ისინი დადგნენ, თავისი დროშები, პლაკატები გაშალეს და მანქანასთან ახლოს მოსულთ იარაღით დაემუქრნენ... ამის შემდეგ აგენტებმა წინათ შენიშნული ოა აქამად ათვალისწუნებული მუშებისა და მოქალაქეების დაპატიმრება დაიწყეს. დაპატიმრებულნი ძალით აყვადათ საბარგო მანქანებზე. კორნელიმ შენიშნა, განსაკუთრებულად და თავგამოდებით დომეტრე მელამე რომ იბრძოდა და მუშობდა.

## 5.

კორნელის ჯიბეში შვიდი ნომერი ბრუნინგი ჰქონდა. შიგ მხოლოდ ოთხი ტყვია ელა. იგი საშინლად ღელავდა და თრთოდა რევოლუცერების და თაფების კონდახების ტრიალი, ცემა, დაპატიმრება და დასახიჩრება იმ დემონსტრანტებისა, რომელთა რიცხვს ახლა ისიც ეკუთვნოდა, საშინლად ბლაღავდა მის თავმოყვარეობას.

ეს გარემოება კორნელის თავის პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა ახლა. უცებ მან ერთი მთლიანი კოლექტივის განუყრელ წევრად წარმოიდგინა თავისი თავი. იგი მთელს ტანით ათრთოლდა და მიტოს უთხრა:

— რაღას ვუდგევართ, შე კაცო, აქ კიდროთ იარაღი და ჩვენც მიეცხოთ და დაუხუთქოთ თავები იმ არამზადებს...

მიტომ ხელი სტაცა მკლავში. შეაჩერა. თვალბში ჩახედა, რაღაც მოიფიქრა უმაღვე და მიუგო:

— იარაღის ამოღება არ გაბედო, სწორედ ამ პროვოკაციას ელოდებიან მენშევიკები, რომ მერმე სისხლის ღვრას აღარ მოერიდონ.

კორნელიმ არ იცოდა, სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, ბოლშევიკურ ორგანიზაციას გაფრთხილებული რომ ჰყავდა მუშები, მენშევიკების პროვოკაციის ანეკსზე არ წამოგებულყვენენ, მათთან შეხლას, ჩხუბს მორიდებოდნენ და იარაღისათვის უკიდურეს შემთხვევაში მიემართათ. უნდა ითქვას, რომ შამქორის სისხლიანი ამბებისა და აღექვნიარეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტისა, ამ საქმეში მენშევიკების ბელადების უშუალო ხელმძღვანელობის, მონაწილეობისა და მათი საზიზღარი ნამოქმედარის საქვეყნოდ გამჟღავნების შემდეგ, ეორლისათვის მთავრობა ერიდებოდა სისხლის ღვრას და რამიშვილისა და ზოგათა რისხვას იოკებდა. ამიტომ საგანგებო რაზმის თანამშრომელი, გვარდიელები და მილიციელებიც გაფრთხილებული იყვნენ იარაღისათვის უკიდურეს შემთხვევაში მიემართათ. ისინი, იარაღს თუმც წამდა უწყემ ატრიალებდნენ, მუშებს სცემდნენ და კონდახით ასახირებდნენ, ბოლშევიკებთან მათი შეჯახება, უმთავრესად მუშტი-კრივის სახით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მუშტი კრივმა, რევოლუერებისა და თოფების კონდახებით ცემაშ მანც ბევრი მუშა და მოქალაქე დაზარალა, დასახირა და სიყვდილის პირზე მიაციენა.

— შე კაი კაცი. — უთხრა კორნელიმ მიტოს. — თუ იარაღის ამოღება და ხმარება არ შეიძლება, მაშინ ხელით მანც ვიბძობლოთ. ხუ თუ შენ და მე მუშტი-კრივში ეს მამიუნები გვაჯობებენ?

— ეს სხვა საქმეა. — ოდნავ გაიღიმა და ისევ მიუგო გაფრთხილებულმა და უაღრესად აღელვებულმა მიტომ. — მაგრამ შენ მანც წადი, წადი აქედან, კორნელი, თორემ უთუოდ დაგაპტიმრებენ... ეს არ არის საქირო... რაც უნდა იყოს... შენ მწერალი ხარ... წადი, მოშორდი აქაურობას! — მიტომ კარგად იცოდა კორნელის სიფიცხე და ეშინოდა ხიფათი არ შეჰყროდა...

კორნელის მაშინვე გაუელვა თავში, მან რომ ვანო მახათაძეს და ნინო მაცაშვილსაც უთხრა: ამერიდან კალმით კი

არა იარაღითაც შევებრძოლები არსებულ წყობილებასო... ერთდღე მტერი ქურთუკის ღილები შეეკლავდა მტრის მენიშხა:

— მე ჩემი მეგობრები და ამხანაგები არასოდეს ბრძოლის ველზე არ მიმოტოვებია და არც ახლა, ამ ჩხუბისა და მათზე თავდასხმის დროს არ მივატოვებ.

მიტომ, სიამოვნების ნიშნად, მაგრამ მოუქირა ხელი მკლავზე და რაღაც უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ იმ წუთის მენშევიკ თავდასხმელთა და ბოლშევიკ მუშებს შორის ქუჩაში ისეთი ხელნართული ჩხუბი გაიმართა და განაღდა ისეთი ორომტრიალი დაღდა, რომ მიტო კორნელის მოწყდა, ხალხმა პროსპექტის მეორე მხარისაკენ გარიყა იგი და კორნელის მხედველობის არედან დაეკარგა მეგობარი.

დამფუძნებელი კრების შენობის წინ და პროსპექტზე ხალხი აბომოქრებულ ზღუასათი ტრიალებდა. მას საგანგებო რაზმის თანამშრომლები, გვარდიელები და მილიციელები პროსპექტიდან გადასახვევ მეორეხარისხოვან ქუჩებისაკენ მიერეკებოდნენ, იღვა ჰედვა, ჰიდილი, შეხლა, და თოფებისა და რევოლუერების ტრიალი. ბევრისათვის თავი კონდახით გაეხეთქნათ, ბევრს ხახზე სისხლი ჩამოსდიოდა.

უცებ, სამხედრო ტაძრის რკინის რიკულიანი მალალი ღობის წინ, ტროტუარზე კორნელიმ მიტო დაინახა. მას ხუთი კაცი დაჰხვეოდა. იგი მანც არ ნებდებოდა მათ. ვისაც გაართყამდა მიტო, ფეხზე არ აყენებდა. მაგრამ მერმე კამეჩიეთ ზორბა კაცი დაეტყა მიტოს. კორნელიმ მაშინვე იცნოს ის ლელაქლოყებიანი მოქიდავის მსგავსი ზორბაკაცი. იგი გვარდიელი აფრასიონ მერკვილაძე იყო, რომელიც საარტილერიო ბრიგადის პარკთან კორნელის გუშაგობის დროს ბოლშევიკორად განწყობილ ჯარისკაცების განსაიარაღებლად და დასაპატიმრებლად, სხვა გვარდიელებთან ერთად, მოედანზე მოვიდა და მესამე ყაზარმის წინ არტილერიის პარკთან თოფით ჩაესაფრა...

კორნელი ხელებით და იდაყვებით ამუშავდა. მხარით მიაწეა ხალხს, პროსპექტი გადასჭრა, მეორე მხარეს გავიდა და მიტოს სამველად გაიქცა.

მას ვასო მარუაშვილიც მოჰყვა. განთქმული მაჩხუბარი, დაბალი, ჩასკენილი, კროლათვალეზიანი, ჭერა და მეჩხერკბილეზიანი ჯაბუჯი. ვასოს ჯარისკაცის ნიშნებაყრილი ტანისამოსი ეცვა.

ხუთ კაცთან ხელჩართულ ჩხუბით დაღლილი, სახედაშავებული და გასისხლიანებული მიტო, უკანიდან რომ არავინ მიპარავოდა, ახლა სამხედრო ტაძრის ღობეს ზურგით მისწოლოდა წინიდან კი ვერას აკლებდნენ მას...

კორნელი მივიდა და მიტოსთან მხარდახმარ დადგა. მიტოს იმედი მიეცა. ისინი მოხდურთ ისე მაგრა დააჯახებდნენ და შემოპყრავდნენ მუშტს, რომ დაშინევი მიწაზე დაადებდნენ, ან ისეთ ღალს დასევამდნენ და ისე წაახდენდნენ, რომ მეორედ თავდასხმის სურვილი წართმეოდათ.

აფრასიონ მერკვილაძეს სახეში მოხვდა მიტოს მუშტი. გვარდიელი უკან წაიფრია და პირაღმა დეცა, და დაჭრილ დათვივით მორთო ღრიალი:

— არ გაუშვა, მოკვალით.

გვარდიელმა ილლიაში ამოსდეს ხელი აფრასიონს, წამოაყენეს და ანუგეშეს:

— რას იზამ, ჩემო აფრასიონ! ხულიგანი ბოლშევიკები გვცემენ, მოკვლას გვიპირებენ, აჯანყებას გვიწყობენ. რესპუბლიკას დამხობით ემუქრებიან და ტყვეია არ ესროლოთო, გვიჩივიან.

— აია კანონი?— იყვირა აფრასიონმა.

ნაცემ და მიბეგვილ გვარდიელებს საგანგებო რაზმის ახლად მოსული თანამშრომელი მიეშველნენ. მათ შორის კორნელიმ ერთი მაღალი, გამხდარი და მავგურმანი კაცი იცნო და აცახცახდა იგი კლემენტი ჩხიკვაძე იყო, რომელმაც არტისტების კლუბში მალხურით დასჭრა კორნელი.

საგანგებო რაზმის აგანტები შეტევაზე გადავიდნენ. მათ ჯარისკაცის ტანი-სამოსი გამოწყობილი ვასო მარუაშვილი მიეხზრა და მიტოს და კორნელის მისამართით შესძახა მათ:

— მისცხეთ მაგ არამზადებს.

იგი ფეხებში ებლანდებოდა და ეჯახებოდა აგენტებს, მათ მოძრაობას აფერხებდა და ისე ყალთაბანდურად და მოხერხებულად შეელოდა მიტოს და კორნელის, რომ ექვიც არავის აუ-

ლია. ვასო გვარდიელი ეკონათ აგენტებს.

კლემენტი ჩხიკვაძემ მალხურით აწყოლო. კორნელის თვალი მოაჩიდა და მიტოს შესძახა:

— დაგენებდი, თორემ გაათავებთ!

კორნელის შეეშინდა, კლუბში ცემის გამო, სამაგიერი არ გადაუხადოს ან შიანი რამ არ მიაყენოს ჩხიკვაძემ მიტოსო. თვალის დახამხამებაზე უმაღლესა მიაჯაში ხელი, ზედ მარწყუხივით მაგრა მოუჭირა, მკლავი გადაუჭრისა, მალხური წაართვა, მოიქნია და იარაღი სამხედრო ტაძრის ეზოში ჩაავლო.

— რასა შერებთ, — უყვირა ჩხიკვაძემ და წიხლი ჩააყოლა, მაგრამ კორნელიმ შებრუნება მოასწრო და ფეხის ქუსლი ბარძაყში მოხვდა...

— აქაც არ მეშვები? — შესძახა კორნელიმ. ვერ მიცანი, ვინა ვარ?

ჩხიკვაძე წამით შესდგა, ვაოცებით შეხედა კორნელის და მიუგო:

— კარგად გიცანი, ვინცა ხარ მე შენ შემთხვევით, უნებურად დაგჭერი და ამიტომ ვიბრალებდი... შენ კი მტრად მომკიდებიხარ! მამ თუ ასეა, მე შენ გაჩვენებ სეირს. გათოკეთ ეს ძალღიშვილი, — უბრძანა ჩხიკვაძემ თავის ბიჭებს და ჯიბეში ყოველ შემთხვევისათვის მომარაგებულ, ბრაუნინგზე გაიხეა ხელი. მაგრამ მაშინვე, საშინელი ძალით გააქანა კორნელიმ მუშტი, ჩხიკვაძეს ნიკაში დასცხო და ყბა ბუდიდან ამოუგლო. გულწასული კაცი მიწაზე დაეშვა...

ახლა კი წახდა მიტოს და კორნელის საქმე. „უკან“ — დაიძახა ხალხში ვილა-მაც. მიტომ და კორნელიმ მოიხედეს. ტაძრის ეზოში ჩასული და მათ უკან ხიშტიანი შაშხანებით მღვარი გვარდიელები დაინახეს. მიტო და კორნელი ღობეს მოსწყდნენ და პირველ გიშხანოთავე გაიქცნენ. მათ ვასო მარუაშვილიც მოჰყვა. აგენტები ხალხში იარაღის გასროლას მოერიდნენ და ისე გამოუდგნენ.

აგენტებმა წინიდანაც მოუჭრეს მათ გზა. მიტომ დაინახა, კორნელი დაჭრილ ფეხს მიწას რომ ვერ აკარებდა, მარტოკა მარჯვენა ფეხით, კალიას მსგავსად სასაეილოდ, ხტომა ხტომით გარბოდა. შეეცოდა, დაუცადა და შესძახა:

— გაჩერდი,—მერე წასიურჩულა:—  
გადაეცი იარაღი ვასოს...

ვასო მარუაშვილმა გაიგონა ეს. კორ-  
ნელის გამოუღდა დაეწია, წელში ეცა,  
თითქო ისევე აგენტებს შველის და გაქ-  
ცეულს იქერსო. ჯიბიდან ბრაუნინგი  
შეუშინველად ამოაცალა და გაუჩინარ-  
და.

აგენტებმა ალყა მიტოს და კორნე-  
ლის შემოარტყეს. რევოლვერები და-  
ღირეს და შესძახეს:

— ასწით ხელები!

მიტომ და კორნელიმ ხელები ასწიეს.  
აგენტებმა გაჩხრიკეს, მაგრამ იარაღი  
ვერ უბოვეს და მერმე ალყაშემორტყ-  
მულნი ერმოლოვის ქუჩაზე აიყვანეს  
და იქ სამხედრო ტაძრის ღობესთან გა-  
ჩერებულ საბარგო მანქანაში ჩასვეს. აქ  
მიტოს და კორნელის ოციოდენ სხვა პა-  
ტიმარი დაუხვდა. ყველა ნაცემი, ვასის-  
ხლიანებული და დასახიჩრებული იყო.

აგენტებმა პატიმრებს მანქანის კარის  
იატაკზე დაჯდომა უბრძანეს.

შოფერმა ერთბაშად მოსწყვეტა მან-  
ქანა, აღმართზე მოუშვა და ურჩოლოდ  
ქუჩიდან მარცხნივ პეტრე დიდის ქუჩა-  
ზე გადაუხვია.

სოცკარი სიჩქარით წაიყვანა შოფერ-  
მა მანქანა. პატიმრებს იქიდან გადახ-  
ტომა და გაქცევა აზრადაც რომ მოსე-  
ლოდათ, ამის შესრულება, დაღუპვის  
უღრიდა.

შოფერმა სოლოლაკში შეაგრილა  
მანქანა. აქედან, მოტორის ღრიალით,  
მარცხნივ, ლერმონტოვის ქუჩაზე გადა-  
უხვია, აბას-აბასის და შეითანბაზრის  
შოედანი გვიგით გაიარა, ზიდზე გავი-  
და, მტკვარი უკან მიატოვა, ავლაბრის  
აღმართს შეუდგა, და მერმე, მარჯვნივ  
მოუხვია და მეტეხის ციხის რკინის ქიშ-  
კარს მიადგა.

ღარაჯმა დიდი ბოქლომი გახსნა,  
რკინის უზარმაზარი ქიშკარი გააღო და  
მანქანა ციხის ეზოში შეუშვა.

(გაგრძელება იქნება)

## სამგორში



მთელი ოცნებით ყანის ზღვაში ვარ,  
 ახალ სამგორის ერთი სტუმარი.  
 მე სიხარულის ჩქარი ტაში ვარ,  
 განუწყვეტელი, დაუღუპარი.

მოლანდება, თუ არის ცხადი  
 ეს კაშხალები, ეს ძლიერება? —  
 იორი მთებზე ზტომით გადადის,  
 კლდიდან ვარდება აღმას ჩქერებად.

აქ მცენარეც და ბალახიც ყველა,  
 ყველა ფრინველიც იყო საწყალი.  
 მკერდდახეთქილი ველი ტიტველი,  
 ოხვრით იმახდა: მომეცით წყალი!

კუთხეს დარბეულს და ნაპარტახალს,  
 დამღონებელი ემოსა თაღის;  
 აქ მწვანე ჯეჯილს, ხეხილებს ახალს,  
 ნატრობდა მუდამ პატარა კახიც.

ნატვრა ასრულდა... პურის ზღვაში ვარ,  
 წის მიღვას ხევის მინდორი ვრცელი.  
 ლილოში ვარ თუ უჯარმაში ვარ,  
 იორი არის აქ მასპინძელი.

ახალ სახლების ჩანან თაღები,  
 იორი სუფრას სიუხვით ავსებს,  
 ფოთილით შრიალით ნორჩი ბაღები  
 უმღერენ შევბას და სილამაზეს.

ჩეც მოტრფიალე ახალ ვაზების.  
 აქ მოვალ, ღზინი აქ მომინდება.  
 ავწევ საესე თასს დიდ აღტაცებით,  
 ავწევ და ვიტყვი: სტალინს დიდება!

ეს პურის ველი მიტომ შრიალებს,  
 გვახარებს ახალ მიწის გაჩენას,  
 რომ აქ სტალინის თვალი ტრიალებს  
 და სტალინელთა მტკიცე მარჯვენა!

მთელი ოცნებით ყანის ზღვაში ვარ,  
 ახალ სამგორის ერთი სტუმარი!  
 მე სიხარულის ჩქარი ტაში ვარ,  
 განუწყვეტელი, დაუღუპარი.

## გადმოსახელი



თბილისში განა მარტო სახლები,  
ასე მგონია — მთაც გაიზარდა,  
ასეთი დიდი გადმოსახელი  
სად არის ჩემი ქალაქის გარდა?

ასეთი დიდი ხატოვანება  
არცერთ სატახტოს არ ღირსებია,  
სტუქრებს აღაფრენს აღფრთოვანება  
და შთაგონებით აღივსებია.

ხომ გაიზარდა ჩრდილი ბაღების,  
დედა-ქალაქის ცაც გაიზარდა,  
და გუშინდელი ჩვილი ბაღლები  
ჭრიან ფოლადის მანქანით ლაქვარდს.

დიდი ქარხნების და ორთქმავლების  
მახილს მომავლის ხმა ემატება,  
ორთაქალიდან ამ ხმას ბანივით  
ძძღავრი მახილი ჩაეხლართება.

უფრო იმძღავრებს ჩემი ქვეყანა,  
ესი მარეხსაც დასძრავს გუგუნნი.  
სამყაროს ვულში იფრენს ერთთავად,  
როგორც პლანეტა — ხმა საუკუნის.

დახედავ ახალ ქუჩებს მაღლიდან,  
რომ დაგინახოს შორით თბილისმა,  
თითქოს კვარცხლბეკი არის მთაწმინდა  
და შენ ქანდაკი დროის გმირისა.

სამშობლოს განა მარტო ბაღები,  
ასე მგონია — მთაც გაიზარდა,  
ასეთი დიდი გადმოსახელი  
სად არის ჩემი ქალაქის გარდა?

## მეზღვეურის სიმღერებიდან

★

### შემოვიარე უცხო მხარენი,

მოვლე ახორი და ჰიბრალტარი;  
ვნახე ესპანელ ქალის თვალები  
და შიგ ჩამდგარი დარდის ავღარი.  
იქ არა ერთი ვნახე იანი —  
ბრმა ნაშიერი ბნელი ცხოვრების,  
პირდაღრევილი, როგორც ნიანგი,  
როგორც ქაობის მკვიდრი ცხოველი.  
ჩვენ ველვარებდით, მზისებრ ვბრწყინავდით.  
ჩვენი ზომალდი იმათ წყველიადში  
შევიდა, როგორც დროშა სინათლის,  
დროშა სიმართლის და სიდიადის.  
შემოგვეგება ნაცსადგურებში  
ღარიბ-ღატაკი ხალხი მრავალი,  
რადგან ვიყავით, მათი ნუგეში,  
მათი იმედი და მომავალი.

★

### მეზღვეური სანატორიუმში

გარეთ არ იყო სიმშვიდე სრული,  
ზღვა უსასრულოდ გადაიშალა  
და მეზღვეურის მბორგაგი სულით  
ჩვენი პალატა ჰგავდა ნიკარას.  
დავდუმდებოდით ყველანი განგებ  
და იგი ფიქრთა კარებს აღებდა,  
ზღვა კი კლდეებზე ურტყამდა ტალღებს.  
ზღვა მღელვარებდა, ზღვა მღელვარებდა.  
უსაზღვრო, ლურჯთა სივრცეთა ტოლი,  
ნაპირს მომსკდარი, როგორც ტალღის ხმა,  
ხშირად გვესმოდა სიმღერა შორით  
დიადი ბრძოლის და გრიგალისა.  
ჩვენ აღტაცება გვიპყრობდა ბავშვის  
და ვგრძნობდით: გული ზღვისკენ ისწრაფის.  
ო, რამდენია შექმნილი ზღვაში  
სიმღერა დიდი სიჯოცხლისათვის!  
ზღვა მოგონებად დამჩნება, ვიცი,  
ხსოვნას შემორჩა ფერები უხვად...  
ზღვა მოგონება არ იყო მისთვის,  
იყო სიჯოცხლე და იყო სუნთქვა.

## ლილ გზაზე\*



თავი 18

იმ საღამოს კოლმეურნეობის ყველა ბრძოლაში, მათ შორის მეჩაიეებშიც, აღრე დატოვეს პლანტაციები. ყველა მის მიიჩქაროდა, ყველა ემზადებოდა მეორე დღისათვის, რომ სტუმრებს გულუხვად დახვებოდა.

კვირას, საკოლმეურნეო ჰიპოდრომზე რაიონის საუკეთესო მხედრები ცხენოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იმის უფლება, რომ წიგლს შეეჯიბრება მათს საკოლმეურნეო ჰიპოდრომზე ჩატარებულყო, ნარკიელებმა შარშან სარაიონო შეჯიბრებაში გამარჯვებით მოიპოვეს.

ბევრ ხალხს მოელოდნენ ამ დღეს რაიონულ ცენტრებიდან და მეზობელ სოფლებიდან. ნარკიელებს სურდათ ღირსეულად შეხვედროდნენ სტუმრებს, ყველას უნდოდა, რამდენიმე კაცი მიეცემა წაყვანა თავის ოჯახში.

დილიდანვე დიდი მზადება და ფაცაფაცი იყო ნარკიაში. მელიტონიც სწორედ ამიტომ აირჩია კვირა დღე თავისი განზრახვის შესასრულებლად.

არც ერთი ოჯახის კაცი ხვალ სანადიროდ არ წაყვებოდა. უცოლ-შვილო, უოჯახო თამაზს კი რა დააკავებდნენ, — ფიქრობდა მელიტონი.

სიბნელე ჩამოწვა. სანაპიროზე, ქაღრების ხეივანში, მელიტონის მეტი არავინ იყო. ის ბოლთას სცემდა, ვერ ისვენებდა.

შუა მდინარეზე რეიზმა ნაღს მოჰკრა თვლი და შეჩერდა.

— ჰაუ! ვინა ხარ მანდ? — მოესმა მელიტონს ხმა ნაიდან.

— მე ვარ, მელიტონი ვარ. შენ რომელი ხარ? — უპასუხა რეიზმა.

— აბდულა! ოზ იმანა კაითარ აბდულა! — ძახილს ნაიდან რამდენიმე კაცის ხარხარი მოჰყვა.

მელიტონი შეკრთა. მდინარის ნაპირამდე ჩაირბინა.

ციხის ნანგრევებთან ანდრო და თამაზი გამოჩნდნენ.

— ჰაიტ! თქვე სინდისგარეცხილებო, მე თქვენ განიეხებთ, როგორ უნდა მასხარად აგდებთ! — რეიზმა ნაპირი შეათვალიერა, ნაღს ეძებდა, შეურაცხყოფელებს რომ გამოდგომოდა, მაგრამ ანდროს ხმამ შეაჩერა.

— ჰეი! აბა, მოაყენეთ ნავი ნაპირზე! ნავი მალე თვალს მიეფარა.

ანდრომ და თამაზმა მელიტონი დაამშვიდეს.

— ისეთი რა უნდა ეთქვათ, რომ ასე ცხარობს? — შეეკითხა თამაზი ანდროს, როცა სანაპიროდან მოედინეს კენ შეუხვიეს.

— ოზ იმანა კაითარი ხომ გაავრინე? — უპასუხა ანდრომ სიცილით.

— რას ნიშნავს ეს სიტყვები?

— განა არ იცი?

— თურქული? საიდან უნდა ვიცოდე?

— ოზ იმანა კაითარ, — ეს სამი სიტყვა ტყვიასავით ხვდება მელიტონს გულში, — მიუფო ანდრომ და ჩაიცინა.

— რატომ?

— ძველად თურქეთი სამეგრელოსთან ნარკეთი ყოფილა დაკავშირებული. აქედან შემოჰქონდათ და გაჰქონდათ თურმე თურქ ეპურებს სხვადასხვა საქონელი. ზოგმა მათგანმა ნარკიაშიც გახსნა სავაჭრო და დასახლდა. იქ, ქაღრებთან, სადაც ახლა ტალავერია, თურქების სალოცავი — ჯამე იდგა. ისინი, ზოგიერთ ველურ ტომებივით, სამრეკლოში ერთ კუბოს ინახავენ და იპით მიიჭებთ მიცვალებულები სასაფლაოში. კუბო დღე და ღამე სალოცავის აივანზეა მიყუდებული ხოლმე. — ანდრომ ჰაპიროსი ამოიღო და მოუყიდა. —

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 5.



თუმცა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ყველაფერი ეს მელიტონის „ოზ იმანა კაითარს“ ეხება. — რეიზის მამას, ხოფოს, დედ-მამა ადრე დაეხოცა თურმე. ხუმრები წლის ყმაწვილს მეურვედ აღვილობრივი ბოქაული — დარასელია დავდომია. ბოქაულს ყმაწვილი ქრისტიანულად მოუწათლავს და თავისი გვარი მიუტია. ამრიგად, აბდულა ისმეთოლი ხოფო დარასელიად გადაქცეულა. ერთ ზაფხულის საღამოს უკვე დავაქცეული ხოფო სალოცავთან მდინარეში საბანაოდ ჩასულა. ტოლ-ამბანაგებს ხოფოს დამინება განუზრახავთ და ჯამეს აეიანზე აყუდებულ კუბოს ამოფარებინან. როცა ნაბახევი ხოფო წყლიდან ამოსულა, კუბოს ფიცარზე ყრუ კავუნო მოესმა თურმე. ხოფო შიშს აუტანია, გაქცევა უფიქრია ერთხანს მაგრამ ძახილს გაუქვავებია.

— აბდულა! ოზ იმანა კაითარ აბდულა! — მოესმა თურმე ჯამედან ხმა. ხოფო მდინარეში გადამხტარა და ცურვით სანამ ბოლახამდე მივიდოდა, უკან არ მოუხედავს.

— რას ნიშნავს „ოზ იმანა კაითარს“? — ჰკითხა სიცილით თამაზმა აბდულას.

— „ოზ იმანა კაითარს“, რჯულს დაუბრუნდით.

— მაშ, მელიტონი თურქია?

— თურქია. მაგრამ მაღავს, ქკუიდან იშლება, ამ ორ სიტყვას რომ გაიგონებს.

— მეც არ მიკვირდა? ჩვენებურს არა ჰგავს მელიტონი-მეთქი, რამდენჯერ მიფიქრია, — ჩაილაპარაკა თამაზმა.

ჩაფიქრებული ნელი ნაბიჯით მიდიდა ოთარი, მას არც კი შეუნიშნავს ანდრო და თამაზი, სანამ ბიძაშვილმა მკლავზე არ წაატანა ხელი.

— ოთარი! რად ჩამოგიშვია ცხვირი? აქედ ხომ არა ხარ?

ოთარი თავი ასწია, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. მერე ნაძალადეგად გაილიმა და დაბნეული უპასუხა:

— რაღაც ვერა ვარ კარგ გუნებაზე... ძალზე დავიღალე... მინდა მდინარეში, ცივ წყალში ვიბანავო... იქნებ გამომაფხიხლოს.

— შინ ადრე მიდი და დაიძინე! ხომ იცი, დილიდან რამდენი საქმე გვაქვს, — უთხრა ოთარს ანდრომ და თამაზთან ერთად გზა განაგრძო.

ოთარი სანაპიროზე გამოვიდა და ციხის ნანგრევისაკენ გაემართა.

ის დღემდე ფიქრობდა, რაღაც მესსსულიერ ტანჯვას იქ კოსტაც ვგრძნობდა. ამავე დროს ეგონა, რომ მელიტონის განზრახვის შესრულება დიდხანს გასტანდა.

ამაზობაში, იქნებ, ოთარმა სხვა გამოსავალი ნახოს, — ასე ფიქრობდა ის გუშინ, გუშინწინ. მაგრამ დღეს ოთარი უკვე ამკარა საფრთხის წინაშე დგას. ახლა, ამ რამდენიმე საათში თუ არ მონახა გამოსავალი, — ყველაფერი გათავდება. ოთარი დიდხანს იღვა გაურკვეველ მდგომარეობაში. მერე პაპიროსს მოუჭიდა და სანაპიროსკენ გასწია დინჯი ნაბიჯით.

მესაზღვრეთა სადგომს მიუახლოვდა. პატარა ხილზე შედგა და ზღვას გახედა რაღაც ვარსკვლავივით მოციმციმე, ზღვიდან ნარკიის ნაპირს უახლოვდებოდა.

ოთარი ხილის მოაჯირს მიეყრდნო. ზარბაღ ჩაისუნთქა ჰაერი. სახეზე გაურკვეველობა გაეფანტა. ვერცხლისწყალივით მშზინავ მდინარეს და ფირუზისფერად მოლაპლაპე ზღვას გახედა. გულში იმედის ნაპერწყალმა გაუელევა, მუხლებში ღონე იგრძნო.

რა კარგია ეს ქვეყანა. რა ტკბილია სიცოცხლე. სიკვდილს რა უნდა აქ?

„ვისია ეს სოფელი, ეს ზღვა და ეს გემები, თუ არა ჩვენი“, — გაახსენდა ოთარს თამაზის სიტყვები და სიამოვნებით გაილიმა.

ოთარს დიდხანია თვალები აეხილა. ახლა უკვე იცის, სად არის ბედნიერება, მას არ უნდა სისხლი, სიკვდილი. მაგრამ, თუ არ მოასვენებს...

მიიხედ-მიიხედა. ზღვის ყურეს უჯმაჯურას ჩრდილი დადგომოდა. სადღაც კეფალი ამოხტა წყლიდან, წყლის წინწყლები ნაპერწყალივით მოაფრქვია ზედაპირს და კვლავ გაუჩინარდა.

ჭოტმა ადგილი ვადაინაცვლა და გაინახა. ციციანათელა სოფლის ორღობეში მიიძლია. ნიაგი ბლახში გაწვა და გაილურსა.

ცოტა ხანი და...

ღამის დუმბულში ჩაძირულ ბოდაში წყალი ამღვრა, როცა კივილი გაისმა. დიდთვალა რკინის ვეშაბი ბოდაში შემოიჭრა.

სამხედრო კატაროს დანახვაზე ოთარი გამოერკვა და ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გასწია.

— სად დადიხარ, ბიჭო! მთელი დღე ფეხზე უნდა იყო? — გაისმა სიბნელეში თამაზის ხმა, როცა ოთარმა წინა ოთახის კარი შეაღო.

ოთარმა თავის ოთახში სინათლე აანთო და ღია კარში გასძახა:

— ვიბანავე, მერე მეთევზეებთან გავიარე, ვილაპარაკეთ ძველი, ახალი და ამასობაში დაგვიანდა კიდევ.

— შედეგსთან რად არ დადიხარ ამ ბოლო ხანებში? ხომ არ ემდურა, ბიჭო.

— არა, რად უნდა ვემდურადე?

— როდის გვაქმევ, ქორწილს? ამ შემოდგომას არ უნდა გადააცილო, იცოდე. — უთხრა თამაზმა.

— უსახლკარო კაცის ცოლშვილი ვინ გაიგონა? — უპასუხა ოთარმა და ხალათგახდილი საწოლზე ჩამოჯდა.

— სახლი სწორედ ამ შემოდგომაზე აშენდება, მე უკვე ველაპარაკე ანდროსს, ქირნახულს ავიღებთ და კალატოზებს ოთარის სახლს დაეწეებინებო.

— ჰოო? კარგია, ძმოსო! —

— მაგრამ სახლი რას ვიმშენებ? თქვენ ახლაც შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ. სანამ სახლს ავიშენებდნენ მედეგსთან გადადი საცხოვრებლად.

— ეგეც მართალია, მაგრამ...

— მაგრამ რა? მედეგა ძალიან კარგი ქალია. პატიოსანი, შრომისმოყვარე, ქვიანი. ქმრისა და ოჯახის მოსყვარულე რომ იქნება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— მეც ასე მგონია.

— ცოდვია, ბიჭო, ქალი რატომღაც ამ ბოლო დროს გახდა, ალბათ აწყენინე და მე მიმალავ.

— არა.. არაფერი... მაგრამ ჩქარა მოვაწეროთ ხელით, ჩამჩინინებს დღედღამე; ამაზე მოგვევიდა უსიამოვნება, — უპასუხა ოთარმა და განიძაბ.

— დროა, დროა, ჩემო ძმოსო! — უთხრა ცოტახნის სინთუმის შემდეგ თამაზმა ოთარს, — როცა ერთმანეთი გიყვართ, რაღაც უნდა ელოდოთ? რამდენს ახლა დააგვიანებ, მერე იმდენს ინანიებ.

— მე, კარგი, ამ მოკლე ხანში გადავიხდი ამ ბეგარას, მაგრამ შენ რაღას უცდი, თამაზ? მე თუ მაგვიანდება შენც ხომ ჩემი ხნისა ხარ? — ოთარი წამოღვა სინათლე ჩააქრო და ლოჯინში ჩაწვა.

— ამაში კი მართალი ხარ, მეც დამავიანდა, მაგრამ შენს ქორწილს — სულ მოკლე ხანში ჩემი ქორწილიც მოაქვება. თუ გინდა, შენ და მედეგამ ახლა მო-

აწერეთ ხელი და ამ ზამთარს ქორწილი ერთად გადავიხადოთ, უპასუხა სიცილით თამაზმა.

— მამ საცოლე გყავს და შიშალა? — ჰკითხა მან ბიძაშვილს ნაწყენი კილოთი.

— შენსავით ყველაფერი არა მაქვს მოგვარებული, მაგრამ მეც მიჭირავს თვალი ერთ ვინმეზე. რომ იცნობდე, ვეტყვოდი...

— ჰოო?

— ახლა დისერტაციას დაეცევა და ისეთი ქორწილი გავმართო, რომ სუფრას ჩიტის რმეც არ აკლდეს. — ოთარს პასუხი არ გაუცია. მან მხოლოდ მძიმედ ამოიოხრა და პირი კედლისკენ იბრუნა.

— იქნებ ჩემზე ადრე გავგეღვიძოს, გათენებამდე წამომავდე, შენი ქირიმე, სამტრედლოდ მივიღეარ, არ დამავიანდეს.

ოთარი ხმას არ იღებდა, თითქოს ძინავდა, ვაილურსა.

მაღე თამაზმა ხერინვა ამოუშვა.

ოთარი ფიქრებმა ვაიტაცა ერთხანს. შემდეგ, როგორც იყო, ჩათვლიმა, მაგრამ საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ. მოეჩვენა: მელიტონი ბანჯგელიანი ხელებით ჩაფრენია თამაზის შუბლზე დაყრილ ქორჩარს; ზღვის თსკერზე თამაზის უსულო სხეული ირწყევა. ესმის, მელიტონის ხარხარი.

— თამაზ, ძმოსო! — შეჰყვირა მან და საწოლზე წამოჯდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა? — მოესმა მას თამაზის ხმა. ბიძაშვილი თავზე დადგომოდა და შუბლს უსრესდა. — გული გამისკდა კინალამ... არაფერია... ეგ მეც დამმართინია... წამოგაბოდა...

— წამომამბოდა კი არა, სუნთქვა შემეკრა... კინალამ დავიხრჩვი, ძმოსო. — ოთარი: ლოჯინიდან ვადმოვიდა.

— იწყე, წყალს მე მოგიტან... — აფუსფუსდა თამაზი.

— არა, წყალი კი არა... უნდა წვიდე...

— სად? ამ შუღლამეს, ვისთან? მედეგსთან ხომ არა?

— უნდა ენახო, დიახ... უნდ მოველაპარაკო... უნდა გათავდეს. — ბუტბუტებდა ოთარი და ტანზე იცემადა.

თამაზი ლოჯინში ჩაწვა და ლიმილით მიუგო.

— ახლა რა დროს მედეგს ნახეა? ხვალ ნახე, ხვალ მოელაპარაკე!..

— ახლა უნდა ენახო სწორედ, ახლა, მეტი რა იცი ახლა საჭირო მისი ნახვა. ოთარი ოთახიდან გავიდა.

კამარისი კარი კინალამ ჩამოხსნა ოთარმა, მაგრამ ხმა არავინ გასცა მე-რე, როგორც იყო, კარი გააღო, ასანთი გაჰკრა, დაათვალიერა რეიზის ბინა, მაგრამ შიგ არავინ იყო.

ოთარი გვიცივით გამოვარდა კამარისი-დან. ბაგირს ჩაჰყვა და ნაპირზე გადავიდა, მდინარესთან მიიჭრა, თითქოს წყალს გავხმინაო, წაიჭურჩულა: — ღმერთო ჩემო! სად უნდა ვეძებო! მერე შემობრუნდა და სირბილით გულგაგზას. მთავარ ქუჩაზე გამოვიდა. იოცა ფოსტის შენობას მიუახლოვდა მორიგე დარაჯმა შემოსძახა. ოთარი შედგა. გული ბავაუვით უციმდა და სულს ძლიაკს ითქვამდა.

— რა ამბავია? — მოესმა დარაჯის ხმა.

— არაფერი... არაფერი... მელიტონი ხომ არ გინახავთ? აქეთ ხომ რ გამოუგლია?

— მელიტონი? მელიტონს აქეთ რა უნდა? კატარღაში იქნება.

— ჰო! კატარღაში დიხას! კატარღაში იქნება, — უბასუხა არეული ხმით ოთარმა და კვლავ სანაპიროსკენ შებრუნდა.

ყოველ სახლის წინ შედგებოდა ოთარი და შეათვალიერებდა გარემოს. მაგრამ ყველგან მიკეტილი იყო დარაბები. სიჩუმი სუფევდა.

— სად უნდა იყოს ის წყეული, — წაილულულა მან, როცა ციხის ნანგრევთან მოიკეცა და ღონემიხილი ქვიშაზე პირქვე დაეშვა.

ასეთი სიციარიელე და მარტოობა ჯერ არ უგრძობია მას.

თამაზი? არა. ჯერ აღრეა. რადიოკვანძის შენობაზე საათს ჯერ თერთმეტჯერ არ ჩამოუტარავს. თამაზი სახლიდან ექვს საათზე უნდა გავიდეს.

კოტახანი ამ ოდნავ გამოთბარ ქვიშაზე სულსა და სხეულს დაასვენებს, და თუ მელიტონი აქ ვერ იპოვნა თამაზს სანადიროდ არ გაუშვებს. მის მაგივრად ოთარი წავა.

რა აქვს ოთარს სადარდელები! ნუთუ მელიტონმა აუბნია ასე გონება? ტყინი გაუხმო ამდენმა ფიქრმა. ახლა სულ სხვა რამეზე უნდა იფიქროს, ისეთ რა-

მეზე, რაც გულს დაამშვილებს, სულს დაასვენებს. აი, თუნდაც ქორწილზე. ჰო, ქორწილია, თამაზისა და ოთარის ქორწილი. ერთად გამართეს ქორწილი ბიძამელებმა.

ჩირაღდნებით განათებულ ეზოში თერთი მხედარი შურდულივით ემეოიკრა. მახარობელს საჩუქარი მიართვეს, ვერცხლით მოჭედილი ყანწი გამოაცლევინეს. მყურები „ეუჩხა ბედნიერს“ მღეროიან. პატარძლებიც გამოჩნდნენ ჰიმ-კარში. რამდენი ჩირაღდნებია!

რა ლამაზია მედღა თეთრ ტანსაცმელში. თამაზის ცოლიც ლამაზია.

„რამ ვაგასულელა, ოთარი ქორწილი და ბედნიერება კი არა, ნარკიაში საშინელება უნდა დატრიალდეს. დიდი და პატარა უნდა ატარდეს“... — თითქოს ჩასჩურჩულა ვიღაცამ ყურში და ბეჭე ხელი დაადო.

— ოთარ შენა ხარ? — მოესმა ყურთან ახლო ბოხი ხმა ოთარს და ვიღაცამ ღონივრად შეანჯღრია. მან თავი ასწია და იცნო დათა მეთევზე, ხანდაზმული, მაგრამ ყოჩალი მეზღვაური. — რა მოგივიდა ცუდად ხომ არა ხარ? — დათამ ასანთი აახთო და წამომდგარ ოთარს თვალემა ჩახედა.

— არა. სუფთა პაერზე წამოვწყეტი და ჩამძინებია. — ოთარმა მდინარეს გახედა. დიდი ნავი ნაპირს მოდგომოდა. დახვეული საკეფალე ქილოფი ნავში ზეიბივით იდგა.

ბეგრჯერ სმენია ოთარს ამ გემრიელ თევზე ქილოფით თევზაობის ამბავი, მაგრამ თითონ ჯერ არ ყოფილა კეფალზე სათევზაოდ.

ტყვისდერ ნისლქვემ გაწოლილი ზღვა ასე მიშვიდველი არასოდეს არ ყოფილა. ოთარმა ვარსკვლავებით მოკედილ ცას შეხედა, იმის ნახტომს ვაყოლა თვალა და ანახლად გაიფიქრა: არა, მე კაცუნა არა ვარ. თამაზი! თამაზს ვინ მოკლავს? განა ეს ქვეყანა, ეს ხალხი თამაზს სასიკვდილოდ გაიმეტებს?

— მოვიდვარ! კეფალზე თევზაობა უნდა ენახო, — წამოიძახა ოთარმა და ჩქარი ნაბიჯით ნავისკენ წავიდა.

როგორც კი გავიდნენ მეთევზენი ბოლაზიდან, ნავი ხელმარცხნივ მიაბრუნნეს და ნაპირს ახლომანძილზე გაჰყვნენ.

ნავის კიჩოზე იჯდა ოთარი. მან შუბლი მოისრისა, მიიხედ-მოიხედა, მერე დახვეულ ქილოფს შემოუარა და ნავის ცხვირზე მჯდარ დათას გვერდით გაჩერდა.

— დათა! ამომსვი ნაპირზე. ბათუმში მიყვები მელიტონს. „შეგარდენი“ გათენებამდე გავა. ბოლაზიდან.

— გათენება ჯერ შორსაა, ოთარი ჩვენი მხოლოდ ახლა ნაპირებს დაეხვევა. ერთი კარგი იქნება მთვარის ამოსვლამდე ერთხელ თუ მოვასწარიტ კილოფის გაშლა, — უპასუხა ჩურჩულით დათამ და ხელით ანიშნა დამკვლარიყო. ოთარი დათას გვერდით მიუჯდა. მეთევზენი ნიჩბებს ისე უსვამდნენ, თითქოს ნავის გადამრუნების ეშინიათო. მასს არავინ იღებდა. დათა თვალს არ ამორებდა ნაპირთან ახლო ზღვის ზედაპირს. ნავი ნელა მიიწევდა წინ.

ღუმელმა ოთარს სული უფრო აუფორიაქა. დათას წასჩურჩულა:

— როდის ამოვა მთვარი? არ დამაგვიანდეს დათა. გადაუღებელი საქმე მაქვს.

— მთვარე ამოვა და კიდევ ორ საათს არ გათენდება. ნუ შიშობ, დროზე დაგბრუნდებით.

ოთარმა ასანთი აანთო, მაგრამ დათამ სწრაფად ჩაუქრო და სმადანლა უთხრა:

— არ შეიძლება, ოთარი! კეფალს დააფრთხოვ. ისინი კარგად ხედავენ და ჩვენზე უკეთესი სმენა აქვთ.

ოთარს პასუხი არ გაუცა, პაპიროსი წყალში გადააგდო.

— ხედავ! — დათამ ხელი წინ გაიშვირა. მერე მენიჩბეებს ანიშნა, ნავი ნაპირს მიაყენეთო.

იმ მხარეზე, საითკენაც დათამ ხელი გაიშვირა, ისე ენთებოდა და ქრებოდა უამრავი წვრილი ბურთულები, თითქოს ზღვის ქვეშ ცეცხლი ათთია და ნაპერწყალებს წყლის ზედაპირზე ისვრისო.

— რა არის, იქ რომ ენთება და ქრება? — ჰკითხა ოთარმა დათას ჩურჩულით.

— კეფალის ქარავანი გვიახლოვდება. მთვარის ამოსვლამდე ისინი ნაპირთან ახლოს დასცურავენ. წითელი წინწყლები თევზების მიერ შენარჩვევი წყლის წვეთებია. ასეთ ამინდში, უმთვარო დამეში, ზღვის წყალს რომ შეარჩებე, წყლის მხევები ჰაერში ნაპერწყალებით აცვიფიან ზოლზე. ამიტომ ამბობენ მეთევზენი: „ზღვა იწყისო“.

ნავი ხმელეთს მიაღწა. ერთი მეთევზე ნაპირზე გადავიდა, კილოფის თავი გადაიტანა და ორივე ხელი მაგრად ჩასქარდა. ნავი ისევე ზღვაში შეცურდა. მეთევზენი გრძელსა და გაწიერ კილოფს სწრაფად შლიდნენ

ზღვის ზედაპირზე. ხელისგულის სიფართოზე გადაკეცილი კეფალის თორი, ვი კიდე როგორც კი დასველდა, მგელის ყურივით გაიშართა. ორმოცდაათიოდე მეტრი გაიარა ნავმა და ისევ ნაპირს მიაღწა. აქ გადმოსვეს მეორე მეთევზე, რომელსაც ხელში კილოფის ბოლო ეჭირა. კეფალის ქარავანი, სამომხრივ კილოფით გარშემორტყმული, ნაპირს მიემწყვდა.

ოთარი კარგად ხედავდა, თუ როგორ აწყდებოდნენ ერთ მხარედან მეორე მხარეს შემინებული თევზები.

კილოფით დასრბილული წყლის სიღრმე გაუვალი კედელი ჰგონია კეფალსა და ახლოს არ ეკარებო, — მვერჯერ სმენია ოთარს, მაგრამ არ სჯეროდა, სანამ თავისი თვალით არ დაინახა.

დათამ ნავში დარჩენილ ორ მეთევზე, ნიშანი მისცა თუ არა, ისინი ნავიდან გადახტნენ. მათ ხელში ჰოკებ ეჭირათ.

წყლის ზედაპირზე ჰოკების ტყალა-შატულუშმა და მითეგხეთა ყვირილმა ქარავანი უფრო დააფრთხო. კილოფისქვეშა ჩრდილს შიამყდა თევზი, მაგრამ უკან დაიხია და ნაცადი ხერხი იხმარა, „გაუვალ კილოფზე“ გადასტომა სცადა, ისეუმა, მაგრამ განიერ ჰორლოფს ვერ გადაახტა და ზედ გაიშხლართა. აქ კი კილოფის სრიალა ზედაპირს კუდით ვერ დააწვა, ვერც კი სცადა წამოხტომა, ცოტაზე გასრიალდა, კილოფის ამართულ კიდეს მიედგა და განიერდა.

წყლის ზედაპირს საქვენ ურტყამდნენ, ყვიროდნენ, სტვენდნენ მეთევზენი. სეტყვასავით სცივოდა კილოფზე თევზი. სულ მალე კეფალით გადაფრთხილდა და დამძიმდა კილოფი.

მეთევზენი აჩქარდნენ. კილოფი რომ არ დამირთლიყო, თევზიანად ჩაქონდათ ნავში.

ოთარი გამბრუნებელი იჯდა. არც კი უფიქრია დახმარებოდა მეთევზებს. ის კეფალის უგუნურობაზე ფიქრობდა. სხვა ჯიშის თევზი ჩრდილს კი არა, კედელს დაეჯახება, რომ საფრთხეს გაეშვეს.

„ღუმერთო ჩემო! როგორ ჰგავს ეს თევზი უგუნურო კაცუნას. ლაჩარს, რომელსაც თავისი ჩრდილის ეშინია, თავისი გაფაჩუნებაზე გული რომ უფართხალებს...“

დიხს! შვიშარა ყოველთვის კეფალი-  
ვით უგუნურად იღუპება.

მე, მეც ამ კეფალს არ ვგვევარ? მეც  
ასეთი უგუნური და შვიშარა ვარ, თო-  
რემ რამ დამამუნჯა, როცა ბოროტე-  
ბა გონებას მიშხამავს? შეშინია? რი-  
სი? კოსტა? მელიტონი?

ისინი დღემდე ჩემს უსუსურ გონე-  
ბას გაუფალ კედლად ჰყავდა წარმოდ-  
გენილი. მაგრამ, დაუკვირდი, ოთარ!  
განა ისინი ჭილოფისქვეშა ჩრდილს  
არა ჰგებანან, როცა სიმაართლე, ხალხი  
შეესვენა. რა გაქვს საფიქრებელი და  
დასამალი? გამოდი აშკარად და იყვი-  
რე, თუ რისთვის ჩამოხველ ბნელეთი-  
დან და ამ ახალმა, ნათელმოსილმა  
ქვეყანამ, თუ როგორ გაგინათა გონე-  
ბა, როგორ დაგაყენა დიდ გზაზე, რო-  
მელსაც ხალხი ბედნიერებისაკენ მი-  
ყავს“.

ნავი გზას განაგრძობდა. დათა ახალ  
ჭარავანს ეძებდა. ისინი თანდათან  
შორდებოდნენ ნარკიის ნაპირებს.

„მე აქ, ზღვაში სათევზაოდ, თამაზი  
კი აქ, განსაიდელში“, გაუღელა ოთარს  
თავში და გული უჩვეულოდ აუძგერ-  
და. წამოდგა, ნაპირს გახედა. ნარკიას  
სამი კილომეტრით იყვნენ დამორე-  
ბული. ახლოს ვარო,—ფიქრა და იმე-  
დი მიეცა. მერე დათას მიუბრუნდა და  
შვიშარად უთხრა:

— ჩქარა უნდა გადამსვა ნაპირზე,  
დათა!

— რა განქარებს? — გაკვირვებით  
შეხედა ოთარს დათამ როგორც  
გითხარი, დროზე მიგიყვან

— არა, მე კიდევ სხვა საქმე მაქვს,  
ნუ მალაპარაკებ, მაგვიანდება, და-  
თა! — ოთარის კილომ დათა ჩააფიქ-  
რა წუთით.

— ბატონი ბრძანდები, ახლავე და-  
ბრუნდები უკან...

— არა, ნავით ვერ მოვასწრებ, გა-  
დამსვი ნაპირზე.

— სიამოვნებით, მაგრამ, ვაი თუ ნა-  
პირს ვერ მივადგეო, აქ ბევრი მეჩეჩი  
აღგილებია...

— სანამ ნავს შეუძლია, დანარჩენ  
მანძილს მე ვაევილი! — ნავი ნაპირის-  
კენ შეებარუნა დათამ. შეთევზებმა  
ლონიერად დაჰკრეს ნიჩბები.

— რა გაჭირდა ნეტავ ასეთი? —  
ჰკითხა ცოტახნის სიჩუმის შემდეგ  
დათამ ოთარს.

ოთარს პასუხი არ გაუცია.  
ხმელეთს მიუახლოვდნენ. ოციოდე  
ნაბიჯი იყო დარჩენილი ქვიშნარამდე.  
როცა ნავმა ცხვირი მიწაზე დაჰკრა,  
ოთარი უსიტყვეოდ გადახტა წყალში.

— ოთარი! ფრთხილად, მეჩეჩს სი-  
ღრმე მოსდევს! — დაუყვირა დათამ და  
ოთარიც ჩაიძირა.

სანამ მინაშველებლად გადახტებო-  
დნენ, ოთარმა თავი ამოჰყო და ცურვით  
ნაპირისკენ გასწია.

## თახი 19

ოთარი სირბილით შევიდა სოფელ-  
ში. მოედანი ნელი ნაბიჯით გადაიარა  
და სანაპიროზე გამოვიდა. სახეზე ოფ-  
ლი წურწურით ჩამოდიოდა. ქადრე-  
ბის ქვეშ შეისვენა ცოტახანს. სული  
მოთქვა, შუბლზე და სახეზე ოფლი  
მოიწმინდა და „შაგარდენისკენ“ წავი-  
და. გემბანზე აფოფდა.

კამარისის პატარა ვარს ქარი არწვე-  
და. კამარასში არავი იყო. სიბნელეში  
ცარიელი ტახტი ხელებით მოსინჯა.—  
ნუთუ მართლა წავიდა ის წყეული და  
სოფლის ბოლოში უდის თამაზს? —  
წამოიძახა ოთარმა და გემბანიდან ნა-  
პირზე გადახტა. რადიოკვანძის შენო-  
ბაზე საათმა სამჯერ ჩამოჰკრა. დრო  
კიდევ ბევრიო, გაიფიქრა და თავის  
წინისკენ წავიდა.

ამდენი ტანჯვის ატანა არ შეუძლია

ოთარს. ის თამაზთან მივა და ეტყვის  
ყველაფერს. ოღონდ ოთარმა ერთი  
წუთით მაინც დაისვენოს, და მერე,  
თუ გინდ სახრჩობელაზე აიყვანონ,  
წარბსაც არ შეიხრის.

ოთარი ეზოში შევიდა. კბე აირბი-  
ნა და თამაზის ოთახის წინ შეჩერდა.  
კარების სახელურს თითებით შეეხო.  
მაგრამ თითქოს ძალა არ ეყო, ხელი  
მოტეხილივით ჩამოეკიდა. „არა! ვერ  
ვეტყვი, არ შემიძლია, როგორ უნდა  
ეუთხრა ჩემი შერცხვენიისა და გათა-  
სირების ამბავი. ისევ მელიტონი უნდა  
ენახო, მელიტონს უნდა ვასწავლო  
ქუა“, — გაიფიქრა და გაბრუნდა.

კბე ჩაირბინა. ქუჩაზე გამოვიდა.  
ზღვიდან ნიავი უბერავდა. ვერხვებისა  
და ქადრების ლანდები თეთრად შეღე-  
სილ სახლების კედლებზე ქანაობდა.

ოთარმა ჯერ ნამოსახლარისკენ მი-  
ჯავალი შარავზით დააბირა წასვლა,  
რომ სოფლის ბოლოს მელიტონს შეხ-  
ედროდა, მაგრამ, ჯერ აღრეაო, იფიქ-  
რა და მოედნისკენ წავიდა ნელი ნაბი-  
ჯით.

დალილობას არ გრძნობდა ახლა  
ოთარი. გული ისე უძგერდა, თითქოს  
ახალ, სსახარულს ამბავს მოელისო.  
კმაყოფილი იყო გადაწყვეტილებით,  
რომ მელიტონს გაბედულად დადგო-  
მონა წინ და მისი განზრახვა ერთხელ  
და სამუდამოდ ჩაეფუშა.

მერე ყველაფერს იტყვის ოთარი,  
არაფერს არ დამალავს, გულს ამოი-  
რეცხს, ქუქუისაგან გაიწმინდება.

ამ გადაწყვეტილებას ვერაინ ვერ  
შეაცვლევიანებს ოთარს. ის უკვე აღარ  
არის სულმოკლე კაცუნა, შშიშარა.  
დღევანდელ დღეს ის სუფთა გულით  
შეხედება. გათენდება და თავიდან დაი-  
წყებს ცხოვრებას. მელიტონს ლავამს  
ამოსდებს. მედეასთან მივა მაგრამ რა-  
ტომ მერე და არა ახლა? ჯერ თამაზს  
ძინავს და არც მელიტონი იქნება წა-  
სული.

ოთარმა აფთიაქის ჭიშკარი შეაღო,  
დერეფანზე ფრთხილად ავიდა და კარი  
დააკაუნა.

— ვინ არის? — მოესმა ოთარს ნაც-  
ნობი ხმა.

— მე ვარ. ოთარი ვარ.  
— ოთარი!

მიხურულ დარბაზს ქუქურტანიდან  
კლექტროშუქმა გამოანათა.

კარი გაიღო.

უხლებობა მედეას ცისფერი ხილა-  
ბანდი და სირმით მოქარგული საშინაო  
ხალათი. ოთარმა ზღურბლზე შემდგარ  
ქალს თვალი ვერ გაუსწორა.

მედეა მრავალმნიშვნელოვნად შეც-  
ქროდა ოთარს ერთხანს, მერე ჰკითხა:  
— რამ მოგიყვანა ამ დროს, ხომ არ  
გაგიჭირდა რამე?

— არა, მე მხოლოდ იმიტომ მოვე-  
დი... გითხრა, რომ ჩემი ბრალი არ  
იყო... რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ  
იყო...

— რა მოხდა? — ჰკითხა დაბნეულ  
ოთარს ქალმა. — არაფერი მესმის.

— რომ გაგეჭივო, რომ მიგატოვო,  
მაგრამ... — ოთარი ადგილიდან არ იძ-  
ვროდა, თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ  
ქალმა ოთარში შესასვლელი გზა მის-  
ცა, — მე ეს ამბავი მხოლოდ...

— შემოდი! სირცხვილია, ვინმემ რომ  
დაგვიანახოს ამ უდროო ეპოს.

ოთარმა მიიხედ-მოიხედა და საჩქა-  
როდ შევიდა ოთარში.

— გამეჭივო, მიმატოვო, — უთხრა  
მედემ და საწოლზე ჩამოჯდა, — ვგ  
არაფერი! უკეთესია, რომ დროზე გა-  
მოამქლავნე შენი მერყევი ხასიათი. მე  
უკვე შევეურიგდი ამ ამბავს.

— მე ყველაფერი მხოლოდ შენი სი-  
ყვარულით მომივიდა, მედეა.

ქალმა გაკვირვებით შეხედა ოთარს:

— ჩემი სიყვარულით! — მედეა წა-  
მოდგა და ოთარს მიუახლოვდა. — რად  
დაგჭირდა ისევ ჩემი აფორიაქება,  
ოთარი? დამეხეხე, თუ ოდესღაც მართ-  
ლა გიყვარდი.

ოთარიც წამოდგა და მედეას გაბე-  
დულად შეხედა.

— მიყვარდი და მეყვარები, მედეა!  
შენს იქით გზა არა მაქვს!.. მე ის ოთა-  
რს ვარ, რაც ვიყავი. მე დღეს დავიბა-  
დე... ეჰ! ყველაფერი რომ იცოდე, შე-  
გებრალები, მაგრამ...

მედემ თითქოს ახლა შენიშნა ოთა-  
რის სველი ტანისამოსი, თავიდან ფეხი-  
ბამდე შეათვალიერა ის და ჩაფიქრდა.

— უნდა გაგეცულოყავი აქიდან, —  
განაგრძობდა ოთარი, — უნდა დამეტო-  
ვებია ნარკია, შენ, ეს ქვეყანა, ყველა-  
ფერი ის, რაც დღეს ძვირფასია ჩემთ-  
ვის. დამეტოვებია, ჩემად, ქურდულად.  
სწორედ ამიტომ შეგაქციე ზურგი!

გაკვირვებულმა ქალმა თვალი თვალ-  
ში გაუყვრა ოთარს. ოთარმა თავი და-  
ხარა:

— რომ შეგძულებოდი, რომ არ გე-  
ფიქრა ჩემზე...

— გაქციულიყავი! რატომ? რისთვის?

— რისთვის?... იყო ამის მიზეზი. მაგ-  
რამ დღეიდან შენ თავსა და ამ ქვეყა-  
ნას ვერაინ მომამშორებს.

მედეა თითქოს დაცხაო, ხილაბანდი  
გადაიძრო, შუბლზე გადამოყრილი თმე-  
ბი გაისწორა და სკამზე ნელა დაეშვა.

— მიზეზი იყო? მერე, ხმას რად არ  
იღებდი? მე თუ არა, თამაზს რატომ და-  
უშალე, რად არა გაუხიარე შენი ფიქ-  
რები?..

თამაზის ხსენებაზე ოთარი შეკრთა.  
სოფლის ბოლოში ჩასაფრებული მე-  
ლიტონი დაუდგა თვალწინ და კარს შე-  
ხედა.

— თამაზი? თამაზმა იცის, ყველაფე-  
რი იცის. როგორც კი გათენდება, მე

და თამაზი მოვალთ და ის გეტყვის ყველაფერს. ახლა კი უნდა წავიდე, თამაზი მიცდის. დამაგვიანდა...

ოთარი ისე ჩქარა გავიდა ოთარისგან, რომ ქალმა წამოდგომაც კი ვერ მოასწრო.

გენგლინიძე

## თაზი 20

მამლის ყვილზე გამოვლევდა თამაზს. ტანზე საქაროდ ჩაიკვია, სახლიდან გავიდა და სამზადის კარი შეაღო. კედელზე მიღურსმნულ ჯოხზე ჩამომჯდარ, ქუთუთოებამოკეროვებულ მტრედებს მიუღურსა, მერე ჩანთა ზურგზე აიკიდა, კუთხეში მიყუდებული ორი გრძელტარჩანის, ფირფიტასებური საფეთქები მხარზე გაიდვა, ზედ ორი მტრედი შემოსვა, ეზოდან გავიდა და გზას გაუდგა.

თამაზი სოფელს სამიოდე კილომეტრით დაშორდა და ტყის ნაბირზე მოწმენდილ პატარა ფორესთან შეჩერდა. საფეთქები მიწაზე ფრთხილად დავა და ზურგიდან ჩანთა მოიხსნა. დოჭით წყალი მოარბენინა და ფორზე მოასხა. მერე ჩანთიდან ბადე ამოიღო და წყალმოსხმულ მინდორს ისე ოსტატურად შემოეკლო. რომ მას გამოცდილი თვალიც კი ვერ შეამჩნევდა. ბადისთავე მობმული ორი თოკის წვერი შენიღბულ კარავამდე გაჰქიმა. მერე ფორეს შუაგულ ორი ხათრით დაასო, საფეთქის ტარები ზედ შემოიღვა და კარავში შევიდა. მიწაზე წამოწოლილ ბადის თოკები გვერდით ეწყო, ხელში საფეთქის ტარის ბოლოები ეჭირა და მშვიდად გასცქეროდა ხან ცას, ხან ქუთუთოებამოკეროვებულ მტრედებს, რომლებიც საფეთქების ფირფიტებზე უძრავად ისხდნენ. როგორც კი ინათა და ზღვის ჰორიზონტზე სარკესავით მოლაპლაპე ზოლი გამოჩნდა, თამაზი წამოაღდა ჩრდილოეთით ცის კედლს მიაცქერდა. დიდხანს არ დასჭირდა მას ლოდინი. ცაზე მტრედების გუნდი გამოჩნდა.

თამაზი გაირინდა, სუნთქვა შეიკრა. მტრედებს წინ ერთი „მეთაური“ მოუძლია.

როცა გუნდი თამაზის თავშესაფარს გაუსწორდა, მან ხათრითვე საფეთქი ამოძრავა. ფირფიტებზე დაბმული მტრედები ათამაშდნენ. ისინი მალეაწეულ საფეთქებს აპყებოდნენ და როცა ფირფიტები დაბლა დაეშვებოდა, ფრთებგამოღობი მტრედები ჰაერში აფარფატებოდნენ და ისევ ფარფიტებს დაფრინდებოდნენ.

ასე აფარფატებდა თამაზი მტრედებს სახამ გუნდმა არ შენიშნა ისინი და ჰაერში წრე არ შემოხაზა.

როცა მთელი გუნდი ფორზე დაეშვა და წყლით დანაშულ მიწას დაეწაფა, თამაზმა თოკები მოსწია და ისე სწრაფად გადააფარა ბადე ფორეს, რომ ვერცერთმა მტრედმა ვერ მოასწრო აფრება.

— ეს ერთი და სხვა მრავალი, — მოესმა თამაზს ზურგს უკან.

კარვის გვერდით, ჩასკვნილი შავგვრემანი ყმაწვილი იდგა. თეთრი ხალათი ნაცრისფერი შარვალი და სამუშაო ჩექმები ეცვა; თავზე სვანური ქელი ეხურა და ხელში მსხვილი სახრე ეჭირა. თამაზმა შეათვალიერა უცნობი და ჰკითხა:

— ვინა ხარ? რაზე მოსულობარ?

— მუხურის კოლმეურნეობის მენახირე ვარ. — მიუგო დიმილით ახლაგაზრდამ. — კოლმეურნეობის კამჩინი მოვრეკეთ ზღვისპირზე. ერთი კვირაა, რაც აქ ვართ. საქონელმა სული მოითქვა. დღეს ისევ უკან ვბრუნდებით. — ის მტრედებს განცვიფრებული დაცქეროდა. — ერთი ბადის მოსმით ამდენი მტრედი დაქვრა! გამოგონია მტრედებზე ბადით ნადირობენო, მაგრამ დღემდე არ მჯეროდა.

მტრედები უკვე არ ფართხალებდნენ. ბადიდან თავები გამოეყოთ და ისე იყურებოდნენ, თითქოს სიკვდილის მოახლოებას გრძნობდნენ.

— რამდენი მტრედი იქნება ბადეში? — იკითხა მენახირემ.

— ორმოცდაათამდე უნდა იყოს! — უპასუხა თამაზმა.

— ორმოცდაათი! მერე, ამდენი მტრედი როგორ უნდა წაიყვანო?

— ცოცხლებს ვინ წაიყვანს? თავები უნდა დაეჭრა და ჩანთაში ჩაეყარო. ჯერ კიდევ უნდა ვინადირო. — თამაზმა ცას გახედა, მეორე გუნდი ხომ არ მოფრინავსო, შემდეგ ჩექმის ყელიდან დანა ამოიძრო.

— თავები უნდა დასჭრა? — შეერთა ახალგაზრდა და ისეთი თვალებით შეხედა მონადირეს, თითქოს ეკითხებოდა.



ბოლა: „ადამიანი არა ხარ? არ გეცოდება?“

თამაზი ბაღეს მიუახლოვდა. მტრელები ჯერ აფართხალდნენ, მერე მიწაზე გაუერთხნენ, თამაზს მიაშტერდნენ და აუღულდნენ. მონადირემ აშკარად დაინახა, ფრინველებს წვრილი თვალებიდან ცვარისოდენა ცრემლები რომ გადმოვლიდათ. შეერთა თამაზი, შეწუხდა სიბრაღელმა გული დაუშინა და დანა ხელიდან გაავლო. „ნუთუ აქამდე ასეთ ბოროტებას ჩაედიოდით“, იფიქრა და მენახირეს მიუბრუნდა.

— ამჩნევ რამეს?

— როგორ არა! სტირიანი! ხედავ სტირიანი! — უპასუხა მან და შუბლზე ხელი გადაისვა.

— დიახ! სტირიანი, — თამაზი სწრაფ მივარდა ბაღეს, აკრიფა. მტრელების გუნდი ჰაერში ავიარდა.

მხოლოდ ქუთუთოებამოკერილი ორი მტრედი იჯდა ფირფიტაზე უძრავად.

— ამ მტრელებს თვალები რატომ აქვთ ამოკერილი? — ჰკითხა მეჯოგემ.

თამაზმა მტრელები ახსნა ფირფიტიდან და თვალებზე ძაფი აუჭრა.

— ამ ორ გარეულ მტრელს „ზრიალს“ ეძახიან. როგორც ხედავ, ესენი სიდიდით ჩვეულებრივი მტრელებისაგან განსხვავდებიან. თვალები იმიტომ აქვთ ამოკერილი, რომ ფირფიტებზე გაუძნრველად ისხდნენ და სანამ მონადირეს არ დასკირდება, არ იფართხალონ.

— გასაგებია, — ჩაურთო სიტყვა ახალგაზრდამ.

თამაზმა თვალებგახელილ მტრელებს ფეხებზედაც მოსჭრა თოკი და გაუშვა. ცას გახედა და უცნობს მიუბრუნდა:

— შეხედე, კიდევ მოფრინავს დიდი გუნდი.

— ვხედავ, ვხედავ. მერე?

— აგვისტოს შუა რიცხვებიდან გარეული მტრელები თბილი ქვეყნებისაკენ მიფრინავენ. ისინი ზღვის სანაპიროს მიჰყვებიან. გადაფრენას გათენებამდე იწყებენ და, სანამ დაცხებოდეს, სამხრეთისაკენ მიემართებიან. გულგახურებულ მტრელებს სწყურიათ ხოლმე, მაგრამ ისინი ზღვისწყალს არ სვამენ და მდინარესაც ერიდებიან. ეძებენ პატარა გუბეებსა და დანამულ ადგილებს. ასეთებს კი იშვიათად თუ შეხვდებიან ზღვის სანაპიროზე. მონადირეც სარგებლობს ამით და მოწმენდილ ად-

გილზე წყალს მოასხამს, ბაღეს დააგებს, თვითონ დაიმალება და ცხვირით მტრელებს გუნდს შენიშნავს. — თუ არა, „ზრიალებს“ აათმამებს. *სწრაფად* გუნდი ფორეზე აფართხალებულ მტრელებს შენიშნავს, ძირს დაეშვება და შემდეგ, რაც ხდება, შენც კარგად იცი. თამაზმა ბაღე ჩანთაში ჩაღო, თვეი მოუჭრა.

მენახირემ თამაზს მადლობა გადაუხადა, მშვიდობით დარჩენა უსურვა და ტყეს შეეფარა.

მზე აცხუნებდა. დანამული ქვიშარი შრებოდა. ცვრით დამძიმებული ბაღისი ქოჩორს იბერტყავდა. ზღვაზე თოლიები დაფარფატებდნენ.

თამაზი ფორედან ზღვის ნაპირზე გამოვიდა და საათს დახედა, თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. ნაბიჯს აუჩქარა.

კმაყოფილი იყო დღევანდელი დღით, უხაროდა, ამ უწყინარი ფრინველის ხოცვასზე ხელი რომ აიღო.

თამაზს ზღვაში ბანაობა მოუნდა, მაგრამ ისედაც დაგვიანებულმა გზა განაგრძო, უნდოდა მალე ჩასულიყო სოფელში, სადაც ჰიპოდრომზე გახურებული ჯიჩითი უნდა ყოფილიყო გამართული.

სოფელს მიუახლოვდა. ჰიპოდრომიც გამოჩნდა. დარბოდნენ ცხენოსნები, აქარქ სანიშნე ალმები ფრიალებდა. სანადირო ტანსაცმელში გამოწყობილ და ზურგზე ჩანთაყიდებულ თამაზს ეუბერხლა უცხო ხალხში გამოჩენა და საცალფეხო ბილიკზე გადაუხვია. ბორცვი გადაიარა, ბამბუკის პლანტაციას რომ მიუახლოვდა, ადამიანის კენესა მოესმა. თამაზი შედგა, მიიხედ-მოიხედა, ჩანთა დაავლო და ბილიკს გადალმა ბუჩქებს მიაშურა; იქიდან ისმოდა მომავალევი ადამიანის კენესა.

მაცვლის ბუჩქთან თამაზმა ქურთოყს მოჰყრა თვალი. ბუჩქს მოუარა და საშინელი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. მოღზე პირქვე დამხობილი მელიტონ დარასტლია ეგდო. ირგვლივ სისხლის ტბორი იდგა...

თამაზი მომაცვდავთან მიიჭრა და გადმოაბრუნა. მარცხენა ძუძუსქვეშ ღრმ, ჭრილობაში დანის ტარი შეჭრილიყო სანახევროდ.

თამაზმა ჭრილობას თვალი აარიდა. საჩქაროდ მოიხსნა მათარა და სულოთმობრძავს წყალი მოასხურა.

მომაკვდავმა თვალი გაახილა, თამაზმა მისი აყვანა სცადა. მაგრამ მელიტონმა უკანასკნელი ძალონე მოიყრინა და დაიხრიალა:

— ხელი გამიშვი... ნუ მაწვალებ... კვებები...

— ვინ დაგჭრა, მელიტონ? — ჩაძახა თამაზმა და გამბხარი ტუჩები წყლით დაუსველა.

— ოთარმა... დევიძე... შენი ბიძაშვილი... მაგრამ თუ არ... მოვკვდი...

— ოთარმა დაგჭრა? — გაცემულმა თამაზმა კიდევ შეასხა სახეზე წყალი, — ოთარმა? ჩემმა ბიძაშვილმა?

მელიტონმა ხმა ვეღარ გასცა, მხოლოდ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია მერე წამოიწია, ისევ დაეცა და თითქოს გაქვედაო, არ განძრულა.

თამაზმა მარჯვენა ხელი ზურგზე მოხვია, მარცხენა ფეხებზევე გაუყარა და აიყვანა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა, მოტეხილივით დაეკიდა მელიტონის სხეულს ხელი და ფეხი. რეიზის ღია თვლებში სიკვდილის ლანდი შენიშნა თამაზმა. გააფრთხილა. უსულო სხეული მიწაზე დაასვენა და ჰიპოდრომისკენ გაიქცა.

...ისინდს ძველებური თარხია მოჰყვა.

მოედანზე ოქროსფერი ულავი გამოატრუნა ახალგაზრდა ქალმა. თამაგამოილს ცისფერი ხალათი ეცვა, წილზე შემოხვეული წითელი ხავერდი კოჭებამდე წვდებოდა.

ცხენის მოოჭეილი სამკერდე და ქუჯიბი მზის შუქზე ელავდა. ქალს ხელში წითელი აბრეშუმის ნაჭერი ეჭირა, რომელზედაც ოქროს ვარსკვლავი იყო გამოსახული.

მოედნის შუაგულ შედგა ცხენოსანი და სადავე მკერდამდე მიიტანა. ყალყზე შემდგარმა ულავმა წინა ფეხებზე პაერში გაიქნია და დაიფრუტუნა.

ქალმა აბრეშუმის ნაჭერი ასწია და ჩამწკრივებულ ცხენოსნებს ჩაუქროლა. ბოლოს ერთი ახალგაზრდა მხედრის წინ შეჩერდა, უბიდან წითელი ყვავილი ამოიღო და ვაქს გადაუდგო. მერე ცხენი მოატრიალა და კვლავ მოედნის შუაგულისკენ გამოაჭენა.

წითელყვავილიანი ახალგაზრდა ქალს გამოუდგა.

შუა მოედანზე ვაქს ქალი შემოეცვება. მან თავის ამორჩეულ მხედარს ოქროსვარსკვლავიანი აბრეშუმის ნაჭერი გადასცა და ცხენოსნებში გაერია.

ვაქმა წითელი ყვავილი უბეში ჩაიღო, მარცხენა ხელით აბრეშუმის ნაჭერი მალლა ასწია, პაერში წრე შემოხაზა და ცხენი ყალყზე შეაყენა. ცხენოსანთა გუნდი მხედრისკენ დაიძრა.

დიღანს დააქროლებდა ცხენს მოედანზე მხედარი. კბილებით აბრეშუმის ნაჭერი ეჭირა. უკან, ცხენოსნები მისდევდნენ, გზას უღობავენენ, „ოქროს ვარსკვლავის“ წართმევას ცდილობდნენ, მაგრამ ის ხან უნაგირზე დაეკიდებოდა, ხან ცხენიდან ჩამომხტარი ელვის სისწრაფით კვლავ უნაგირს მოექცეოდა.

ერთ კუთხეში მიმწყვდეულმა მხედარმა ჯიქურ გასვლა იფიქრა, ცხენს დეზი ჰკრა და ულაყს მიუცლისქვეშ მოექცა. რაკლი გაარღვია კიდევ, მაგრამ, როცა უნაგირზე უნდა გამართულიყო სწრაფ მიჭრილმა მხედარმა პირიდან აბრეშუმის ნაჭერი გამოსტაცა.

ახლა მხედრები თეთრცხენიანს გამოუდგნენ.

ამ დროს ჰიპოდრომის ბოლოს, ბორცვზე თამაზი გამოჩნდა. მალობზე გადმომდგარმა ნაბღის ქული მოიხადა და აქნევდა, სანამ ჰიპოდრომზე არ შენიშნეს.

ეგვენიმ ცხენი ბორცვისაკენ გამოაჭენა.

ეგვენს ანდრო მოჰყვა, ანდროს კიდევ სხვა — მხედრები.

— რა მოხდა, თამაზ? — ჰკითხა ანდრომ.

— ბამბუკის პლანტაციასთან მელიტონ დარასელია გულგაფლეთილი ასვენია, — უბასუხა თამაზმა.

— მელიტონი?

— მოჰკლეს?

— ვინ?

— რატომ?

— გაისმა ხმები.

— რატომ, არ ვიცი...

— ვინ?

— ვინ დაიღო ამ კაცის ცოდვა?

— ოთარ დევიძემ მომკლაო, ეს თქვა მან სიკვდილის წინ.



სოხუმიდან ბათუმში მიმავალ სახალხო მატარებლის რბილი ვაგონის კუბეში ოთართან ერთად ორი მგზავრი შევიდა: ნაცრისფერჩოხიანი მოხუცი და ერთი ახალგაზრდა. ისინი ქვედა საწოლებზე მოთავსდნენ. ოთარს არც შეუხედავს თანამგზავრებისათვის, კუბეში შესვლისთანავე მკლავზე გადადებული პიჯაკის ჯიბეში ყელსახვევი ჩაკეჭა და კავზე ჩამოჰკიდა. პერანგის თილები შეიხსნა, ზედა საწოლზე წამოწვა და პირი მაშინვე კედლისკენ იბრუნა.

მატარებელი დაიძრა. მოხუცს ჩაქიძნა. ოთარი მოუსვენრად ტრიალებდა დიდხანს. პაპიროსს პაპიროსზე ამოვლებდა.

ახალგაზრდა მგზავრი პირალმა იწვა და თურხანს ფურცლავდა.

დიდხანს ეძინა მოხუცს. დიდხანს იწვა ოთარი. არც შეისამე მგზავრი გასულა კუბედან.

შე ჩავიდა. მატარებელი გაჩერდა. დამუხრუჭებული ვაგონების ხმაურისაგან მოხუცს გამოეღვიძა.

ოთარი აღგა, კუბედან გავიდა და ღია ფანჯარას მიეყრდნო. მესამე მგზავრამაც მის მაგალითს მიბაძა, გვერდით ამოუდგა.

ზღვის ნაპირზე მათ პიონერთა ბანაკი შენიშნეს. ბავშვთა გუნდი კოცონს ქრამულით უვლიდა გარშემო. შეიდი თურვა წლის ყმაწვილი გამოეყო კრებულს და მატარებლისკენ გამოიქანა. გვერდით რუხი ნაგავი მოსდევდა. ბავშვთა მატარებელთან შედგა და ვაგონებს ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

— რომელი სადგურია, ბიჭუნა? — გადმოსძახა ოთარმა წელზევით შიშველ ყმაწვილს, რომლის დიდრონი, შავი თვალები ვარსკვლავებივით ეღვარებდნენ. ყმაწვილმა თავი ასწია და მგზავრს გაუღიმა.

— მახინჯაურია, ძია! — ხმოსძახა ბავშვმა და რატომღაც გულთანად გაიციხა.

— მახინჯაური! მახინჯაური! — გაიმეორა ახალგაზრდა მგზავრმა და ოთარს გადახედა, — რა სახელებს არ შეხედებდა კაცი საქართველოში ნეტარას ნიშნავს სიტყვა მახინჯაური?

ოთარი გველნაქებნივით შეტრიალ-

და კუბეში, პიჯაკის ჯიბეში სწავდა, ცხვირსახოცი ამოიღო.

— მახინჯაური, — ჩილაპარაკა მოხუცმა ღიმილით და ახალგაზრდა მგზავრს გვერდით ამოუდგა. — ამ სახელსაც თავისი ისტორია აქვს... სახეზე ცივ წყალს შევისხამ და მახინჯაურზე ორიოდ სიტყვას მოვახსენებთ. მატარებელი სადგურს გასცდა.

დიდხანს არ დასჭირებია მგზავრს ფანჯარასთან ლოდინი. მოხუცი წვერის ვარცხნიტ მოუახლოვდა და მახინჯაურის ამბის დაწყებას აპირებდა. ამ დროს ოთარიც შეუერთდა მათ.

— ბათუმს ვუახლოვდებით, — ჩილაპარაკა ოთარმა.

— დიას, ჩქარა უნდა ჩავიდეთ ბათუმში, — თქვა ახალგაზრდამ — ქალაქს აქებენ, ღამაშიაო.

— პირველად ხართ აქეთ? — ჰკითხა მას ოთარმა.

— დიას, პირველად ვარ. არავის არ ვიცნობ ამ ქალაქში.

— დიას, დიას მესმის... არავის არ იცნობთ, — უპასუხა ოთარმა და შუბლზე უწესრიგოდ დაყრილ თმებს მარცხენა ხელის გაშლილი თითები გადაეყოლა. ამ დროს მეორე კუბედან ვიღაც სამხრეთიანი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, მაპიროსს მოუკიდა, ფანჯარასთან გაჩერდა.

ოთარს არ მოეწონა მისი გამოჩენა, თითქოს სახეც აარიდა სამხრეთიანს. კუბეში საჩქაროდ შევიდა და თავის ორ თანამგზავრს ისეთი გამომეტყველებით მიაცქერდა, თითქოს იმათაც კუბეში შესვლას სთხოვს.

მოხუცი კუბეში შევიდა და თავის საწოლზე ჩამოჯდა. ახალგაზრდა კაციც შექყვა.

— თქვენ, მახინჯაურის ისტორია გასურდათ გეამბნათ, — მოაგონა ახალგაზრდა მგზავრმა მოხუცს.

— ჰოო, ეს მართლაც რომ საინტერესო ამბავია, ძველთაგან გადმოცემული, მაგრამ მთელი დღის გზავრობის შემდეგ ხომ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს? — უპასუხა მოხუცმა სიცილით და ორთავეს გადახედა. ოთარმა ხელი დაუწყო და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაიღუღუნა „ოთარ დევიძე, გახლავართ“. „მე ხუბუა ვარ, გივი, ბატონო“, თქვა მეორე მგზავრმა და მოხუცის გაცივი-

ბულ სახეს მორიდებელი დიმილი შეაგება.

— საიდან ხართ, შვილებო, იქნებ რომელიმე თქვენგანი ბათუმს იქით მიდიხართ? ჩემი სოფლისკენ, აა! — მოხუცმა თვალი გვიღწე შეაჩერა.

— არა, ბიძა, მე ციხისძირში უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ ვიფიქრე, ბათუმში ჩავალ და დილით ქალაქს დავათვალიერებ—მეთქი, — უთხრა გვიმ დიმილით და განაგრძო: — მე ზემოსამეგრელოდან ვარ, ჯვარიდან, კალმე-ურხეობაში ბრიგადირად ემუშავებ. შარშან მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე და წელს ჩვენმა გაძვეობამ ციხისძირის სანატორიუმში გამოამგზავნა.

— ჰო? ბედნიერები ხართ ახალგაზრდები, კიდევ უკეთეს დროს მოესწრებით. — მოხუცმა ოთარს შეხედდა. ის ფანჯარაში ისეთი გამომეტყველებით იყურებოდა, თითქოს არაფერი ესმის და არც არაგის ამჩნევსო.

— მე კი სულაბერიძე ვარ, შვილებო, ქველი რაიონიდან, ყოფილი მასწავლებელი. ამეამად პენსიონერი. ახლა, ხან ერთ შვილს ვესტუმრები სოხუმში, ხან შეორეს ქუთაისში, ხან გათხოვილ ქალიშვილებს მოვიწახლავ ხოლმე. მართალი ვითხრათ, ნაკლებ დროს ვატარებ ჩემს მამაპაპულ ოჯახში, სადაც ჩემი მოხუცი ცოლი გულის ფანქვალით მიმეღის. — მოხუცმა შვილიშვილებიც ჩამოთვალა და ბოლოს, როგორც იქნა, მახინჯაურის ამბავს დაუბრუნდა.

ოთარს სახეზე დაბნეულობის საეჭვო ჩრდილი გაეფანტა. ფანჯრის რაფაზე გაშლილ სათუთენიდან პაპიროსი ამოიღო, მოუყიდა და მოხუცს გვერდით მიუდგა.

— ქართველ ხალხს, მოგეხსენებათ, — დაიწყო მოხუცმა, — უსსოვარდროიდან მოსვენებას არ აძლევდნენ ხანები, შაკები, ფაშები, თუ სულთნები. ყველა ამ ლამაზს და მშვენიერ ქვიყანას ეპოტიწებოდა.

ოთარი წამოდგა, კარებისკენ შეტრიალდა და ცოტახნით შედგა, ფიქრობდა, გავიდე თუ არაო; მაგრამ ისევ სწრაფად შემობრუნდა, თვალები დახუჭა და შუბლზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს ცუდი სიზმრისაგან უნდა გამოეთრევისო. მერე თანამგზავის ისეთი თვალები მიაპყრო, თითქოს ეუბნებოდა: „დამეხსენ, ისედაც გონებააბნეულს. ნუ მტანჯავო“.

— მტრის თავდასხმის დროს — განაგრძობდა მოხუცი, — ქველდუქანასწორ მასუხისმგებლობას ვერცხრებდა. ქართველ რაზმებს სწორად მეთაურობდნენ არა მარტო თავადები, არამედ კალენებიც და, თუ გინებათ, გლეხთი გაღლებაც კი. სწორედ ერთ-ერთ ასეთი სახალხო გვირის სახელთან არის დაკავშირებული სიტყვა „მახინჯაური“ როგორც მოგეხსენებათ, ოსმალთა მოთარეშე რაზმები განუწყვეტლივ იჭრებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, არბევდნენ მოსახლეობას, უმწყო ბავშვებსა და ქალებს მონებად მიერეკებოდნენ. ერთი ასეთი თავდასხმის დროს ქართველი მწყემსი ბავშვი გაუტაცნიათ ოსმალებს აქარის მთის კალთებიდან, თორმეტი წლის ყათრან ბერიძე — ლამაზი და ძველიცხლი ბავშვი — ერზერუმის ფაშას მიჰგვარეს თურმე. რვა წელიწადი მონობაში გაუტარებია მას. ერთ დღეს ფაშის საჯალაბოს ახლოს გაუვლია ყათრანს და ქართული ქალის ხადვლიანი სიძღერისთვის მოუკარეს ყური. სიმღერით ვატაცებული ყმაწვილი გალავანს გადაახტა და ქართველი ქალისაკენ გაქანდა თურმე. თვალცრემლიანი ყათრანი დიდხანს უსმენდა სიმღერას. გერ მოითმინა ჰაბუცმა, აუხტა ფანჯარას, გისოსის ხლართს მარცხენა ხელი ჩაავლო და სცადა ოთახში შეეჭვირებოდა. მაგრამ ამ დროს შეუპყრიათ ის. ფაშის ბრძანებით მარცხენა ხელი მოუჭრიათ და მარცხენა თვალი დაუთხრიათ ყათრანისათვის. სამი წელიწადი ძლის კონა ეკიბა (ცალხელა ბიჭს და ფაშის ბედლურს ბუზებს უგერებდა თურმე. შურისძიების ცეცხლი გიზგიზებდა ყათრანის გულში. მე ჩემი თვლით მინახავს ერზერუმში ფაშის საჯალაბო, თავლა და, ერთი სიტყვით, ის ადგილები, სადაც ყათრანს ბნელი დღეები გაუტარებია.

— თურქეთში ყოფილხართ? — ჰკითხა გვიმ მოხუცს.

— ვყოფილვარ, ჩემო კეთილო. ვყოფილვარ და ფეხით დამივლია ის ადგილები, სადაც ჩვენი წინაპრების წმინდა სისხლი დაღვრილა. ცოტახანს ვიყავი, მაგრამ თავს ისე ვგრძნობდი. თითქოს გახურებულ თონეში ვიჯექი. ბრაზი მახრჩობდა და სული მეხუთებოდა, როცა წარმოვიდგენდი, თუ რამდენი ქართველი ვაყვაცის ძვლებით არის მოკირწყლული ის ჩვენი მიწა-

წყალი, სადაც ახლა მოძალადენი ბატონობენ.

ოთარმა თითქოს ვერ გაიგონა მოხუცის უკანასკნელი სიტყვები, სახე ორივე ხელით მოისრისა, ნახევრად თვალდახუჭულმა მხრები აიჩინა და ფანჯრის რაფისკენ ხელი წაიღო, პაპიროსი აიღო, მოუყიდა, ხარბად ჩაისუნთქა თუთუნის ბოლო.

— ერთ ღამეს, — განაგრძო მოხუცმა, — ყათრანის ფაშის ბედაურის მოახტა და უგზოზე იარა დღით და ღამით, იარა, სანამ საქართველოს მიწას არ ეახლორა, მაგრამ თავისი სოფლის ნაცვლად ნასოფლარი დაუხვედა ტყვიობიდან გამოქცეულს.

ყათრანის დღევანდელ მახინჯაურის ახლოს ერთ პატარა სოფელში მიჰქედლებია ვიღაცას და მარბიელ თურქებზე ნადირობა დაუწყია. მოკლე ხანში უშიშარი მებრძოლის სახელი გაუთქვამს. ბევრიჯერ ისახელა თავი თურმე ყათრანის რაზმმა თურქებთან შეტაკებაში.

მატარებელი ბათუმის სადგურზე გაჩერდა. ოთარი გატაცებით შესცქეროდა მოხუცს, თან თვალი და ყური გარეთ ეკირო, სადგურზე ხალხის შეთხლებას ელოდა. გვიე კუთხეში სიმნად ზედაქცეული იჯდა.

— ყათრანის მრავალრიცხოვან რაზმის შიშით თურქები დიდხანს ვერ ბედავდნენ ქართულ სოფლებში შემოჭრას. თურქებმა ცალხელა და ცალთვალს მახინჯი შეარქვეს სახელად.

ერთხელ ოსმალია დიდი რაზმი შემოჭრილა აჭარაში და დღევანდელ მახინჯაურთან დაბანაკებულა. ყათრანი შეუღამით დასწამა თავს მოძალადეებს. მოულოდნელობით დაბნეული თურქები ერთმანეთს ჩეხდნენ თურმე სიბნელეში. განთიადზე, როცა თურქებს ცხენზე მჯდომი ყათრანი შეუნიშნავთ, ნაცვლად იმისა, რომ დაბნეული რაზმელებისათვის თავი მოეყარათ და ბრძოლა გაემართათ, აყვირებულან „მახინჯ ვიარა“. „მახინჯ ვიარა“ და მთებისკენ გაქცეულან. ამბის წამლები თურქი არ დარჩენილა, ისე გაუწყვიტიათ ქართველებს მტერი. იმ ადგილას. სადაც ყათრანმა მტრის მრავალრიცხოვანი რაზმი დაწყვიტა, სოფელი გაშენდა, რომელსაც სახელად ხალხმა მახინჯგიაური დაარქვა.

მოხუცს კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ოთარმა, ფანჯარისკენ მიხედა და გაკვირვებით წამოიძახა:

— ო, უკვე ჩაცხულვართ.

ოთარმა მშვიდობით დარჩენა უსურვეა თანამგზავრს და კუბე დასტურდა.

— თქვენ საით? — ჰკითხა ოთარმა, როდესაც გვიეც იმავე ავტოს მიადგა, რომელშიც თითონ იჯდებოდა.

— აცი მოგახსენეთ, ბათუმში პირველად ვარ და არაგვის ვიცნობ-მეთქი. ბინამდე მიგაცილებთ და ამავე ავტოთი სასტუმროსკენ გაემგზავრები, — უბასუხა გვიემ და დასტურის მოლოდინში ოთარს გულუბრყვილო გამომეტყველებით მიაცქერდა.

— კეთილი, — უბასუხა ოთარმა: შემდეგ შოფერს მიუბრუნდ და მკვახელ უბრძანა: — ჯერ სასტუმროში მიგვიყვანეთ!...

მოუშენილ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. მოსაფლტებულ კრიალა ქუჩაზე ავტოს მოტორის ნელი ხმაური სასერიზოდ გამოფენილ ხალხის ხალისიან ხმაურში ინთქებოდა, ოთარი ჩაფიქრებული იჯდა.

ხლვის მსუბუქ ნიაგს საამო სურნელებმა შემოიპყრდა ქალაქში. ვარსკვლავები ისე უცინოდნენ კოპწია ბათუმს, თითქოს ჩამოფრენას ღამობდნენ. ღამაზად ჩამწყრივებულ დაფნის ხეების ჩრდილს გამოეყო ავტო, სანაპირო ქუჩაზე შეუხვია და სასტუმროს წინ გაჩერდა.

— მოვედით? — იკითხა გვიემ და წამოდგა.

— დიახ, ეს შენობა სასტუმრო გახლავთ! — უბასუხა გაუნძრევლად მჯდომმა ოთარმა: — მეც სასტუმროში უნდა ვაგჩერდე.

გვიე ავტოდან გადმოვიდა, ოთარიც მას გადმოჰყვია და შოფერს ფული გაუწოდა.

— აცი, ბინა მაქვსო. — თქვა გვიემ, სანამ ოთარი მისკენ მიბრუნდებოდა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს! მაგრამ, იცით რა? — ოთარი თანამგზავრს მიუბრუნდა, თვალბეჭდით ჩახედა და არეული ხმით უთხრა: — ამაღამ იქნებ დამკვირდეთ... მართალია, ეთქვი, ნაცნობთან უნდა ვაგათიო ღამე-მეთქი, მაგრამ ბათუმში მე არც ნაწინობი მყავს და არც მეგობარი, ბათუმში კი არა... არსად-მეთქი... გესმით?

## თაზი 22

გივი და ოთარი სასტუმრო „ინტერ-რისტის“ შესამე სართულზე მოთავსდნენ. ოთარი ოთახში უახლო გამომეტყველებით მიიხედა-მოიხედა, პოჯაკი გაიხადა და მაგიდაზე დააგდო.

გივის უკვე ხალათი გაეხადა, ფანჯრები გაეღო, რომლებიც სანაპიროზე ხეივანს გადაკურებდა, და იქვე სავარძელში ჩამჯდარიყო.

ოთარმა პაპიროსი ამოიღო. გივიმ ასანთი ანთო და ოთარს გაუწოდა. მაგრამ მას გივი არც კი შეუნიშნავს; იგი ღია ფანჯარასთან მივიდა და რაფაზე ჩამოჯდა, პაპიროსს ნერვიულად ლექვავდა.

სანაპიროს ხეივნის იქით თვალუწვდენელი ზღვის ზედაპირს ნელი სიო ოდნავ არხევდა, ვარსკვლავებით მოჭედულ ცაზე ახალი მთვარე საყურესავით მკადა.

სად არ ყოფილა ოთარი, მაგრამ ცა, მთვარე და ვარსკვლავები ასე ახლო ჯერ არ უნახავს. მან მზერა მშველად გაწოლილ ზღვაზე გადაიტანა, — თვალბმ შეეასვენებო. იფიქრა, — მაგრამ გულზე რაღაც შემამარწყუნებელმა გრძობობამ უცბინა. თითქოს ძმინარე მღვეს გამოვლენია, ზღვა შეინძრა, კალთები აიკრიაფა, ფაფარი აიყარა... შეკრთა ოთარი და ზღვას თვალი მოარიდა. ის ისევ ცას მიაცქერდა. იმ ადგილას სადაც მწუხრის ვარსკვლავი ციმციმებდა, ახლა მოწითალო ლაქა-ლა სჩანდა. ცის გუმბათზე ვარსკვლავები ოდნავ ბეუტავდნენ და შემოდგომის დამკნარ ფოთლებივით ირხეოდნენ. ნავთსადგურიდან გასული დიდი გემი ზღვის შუაგულისკენ მიილტვოდა.

ოთარი გივის მიუბრუნდა და ჰკითხა: — ნეტავ ვისია ეს უზარმაზარი გემი?

— ვისი უნდა იყოს? ჩვენია.  
— ჩვენია?! — ჩილაპარაკა ოთარმა და ჩაფიქრა. სიტყვა „ჩვენია“ მას საშინელი ტკივილი აგრძობინა.

— ვიცი, ჩვენია ეს გემიც. ეს ზღვაც, ცაც, სოფლებიც და ქალაქებიც... ჩვენია... ამა ვისია, თუ არა ჩვენი? — აღმოხტა ოთარის.

გივი მშვიდად წამოდგა და დაბალი ხმით მიუგო:

— ნუთუ თქვენთვის ეს ახალი ამბავია? ამა ვისი უნდა იყოს, თუ არა ჩვენი?

— დიხს ახალი ჩემთვის? ყველაფერი, ახალია. გესმით ყველაფერი მეთქი. მე ყველამ და ყველაფერმა ზურგი შემამეტია. მე შეველა მინდა, შეველა მე განა უცხო ვარ? განა მე გული არა მაქვს და ვერ გავარჩიე ავი და კარგი? არა, მე, ოთარ დევიძეს, არაფერი არ ჩამიდენია. არა, მე არა ვარ დამნაშავე. ახლა მე შესმის, რომ მე არ მინდოდა... არ მინდოდა-მეთქი... გესმის?

— არაფერი არ შესმის...

— არ გესმის? საქმეც ამაშია, რომ არ გესმის და ვერც გამოიგებ — ოთარი ბარბაკით მივიდა საწოლთან, ბალიშზე პირქვე დაეშო.

გივი დიდხანს იდგა გაუნძრევლად, მერე სავარძელში ჩაჯდა, ოთარს გადახედა და ჩაფიქრა.

...ოთარი უკვე თურქეთშია დაუსვენებლივ მიდის ნაცნობ მთებსა და გორაკებზე.

დახს, აქ ის კოსტასთან ერთად ბევრჯერ ყოფილა. მაგრამ ახლა ოთარი უგზო ადგილებს დაემებს. იმ ბილიკებს, რომლებზედაც მოაქროლებდა ფაშას ბედაურს ყათრან ბერიძე.

ყათრანი მართლა უნდა გაქცეულიყო უცხოეთიდან თავის ქვეყანაში, მაგრამ ოთარს თავისი სამშობლოდან უცხოეთში რა მიზანბენინებს? მას თავისი თანამემამულეების ეშინია? თავის ქვეყანას, თავის მიწაწყალს გაურბის?

ოთარს თითქოს ფეხდაფეხ მისდევს თეთრწვერა სულაბერიძე. თითოეული მისი სიტყვა ჩალურსმულა ოთარის გონებაში.

იგი სერზე გადადგა, თვალუწვდენილი ველი გადაეშალა წინ. ალბათ ეს ველია. ჩვენი წინაპრების ძვლებით არის მოკირწყლული, სულაბერიძე რომ ამბობდა.

დაბლა დიდი სოფელი გაქიმულა. მაგრამ ადამიანის ჰაქანება არ ისმის. არც ძალი ჰყვფს, არც კვამლი მოსჩანს სამზადის სახურავებიდან. მაშინაც კოსტა და ოთარი ამ სერიდან დასცქეროდნენ გალურსულ სოფელს. ფერდობზე ცხერის ფარას ამოვებდნენ მწყემსები. ერთმა პირტიტილა მწყემსმა სერზე ამოიბინა და პური სთხოვა კოსტას.

„სხე ადრე გაათავეთ საგზალი“ — ჰკითხა მან მწყემსს.

„საგზალი? გაუცინა კოსტას ლოყებ-ჩაცვენილმა ყმაწვილმა.

„საგზალს ვინ გვატანს, სანამ საღამოს ცხვარს არ დავაზინავებთ ალა არაფერს არ გვაქმევს“.

ახლაც, იქვე დგას ეს მწყემსი ბიჭი, ისეთივე ჩაცვენილი ლოყებით და აცრემლებული თვალებით.

— გახსოვს, ალა არაფერს არ გვაქმევსო რომ ამბობდი მაშინ? ვინ არის ალა? ახლა განა თქვენი არ არის ეს ცხვარი, ეს ყანები, ეს მინდორი? — ეკითხება ოთარი.

ყმაწვილმა ჯერ გაკვირვებით შეხედა ოთარს, შემდეგ სიბრაღელის გამოხატველი მზერა მიაპყრო და ჰკითხა ხმადაბლა:

— როდის გამოგიშვეს სიგიჟედან შე საწყალო?

ოთარი მიხვდა რომ ის ანგარიშში მოტყუვდა, რომ ის თურქეთშია და მომაცვდავივით გააეროლა.

— რად არ ჩანს ხალხი სოფელში?

— ხალხი? — გაიკვირვა მწყემსმა — ეს სოფელი აპყარეს-მეთქი ხომ გითხარით მაშინ აქ გურჯები ცხოვრობდნენ, რამდენი ხანია მათ გულანაბადი აუკრეს.

აი სტამბოლიც წვიმიანი დღე ჩვეულებრივად, ქუჩებში ფეხშიშველი მათხოვრები დაწანწალებენ. ყოველ ფეხის გადადგმაზე პოლიციელები, რომელთაც რეზინის ჯოხები უჭირავთ ხელში.

ოთარს პერა გადაეშალა თვალწინ. ბიძამისის საეკვრო სახლი.

ნუთუ მოხდა ის, რასაც ოთარი ფიქრობდა? რად აწერია აბრაზე მარტო თუმანიანცის გვარი?

„ღვევიძე გაკოტრდა, ახლა სახლი თუმანიანცის ეკუთვნისო“ — უბასუხა მსახურმა.

თუმანიანცის ნახვა ითხოვა ოთარმა, ვართანმა უგულოდ შეათვალა; კრა ზღურბლზე შემდგარი სტუმარი და ცხვირწინ კარი მიუხურა.

ოთარს ბოსფორი უნდა ნახოს.

სახლში მივიდა, ალაყაფის კარის სარკმელიდან თავგამოყოფილმა მეგობრებმა უთხრა: „აქ დიდი ხანია დევობები არ ცხოვრობენო“.

სად წავიდეს ოთარი? სად? ვისთან ეძებოს თავშესაფარი?

ის მთელი დღე ქუჩაში დაწანწალებულა ღონემიხდილი.

აგერ! ყუბაზანასთან წვიმაში დგას ხელგაშვერილი მოხუცი, კოსტასა ჰგავს. წინ თმახუტუტა ყმაწვილი უდგას.

ოთარი მიუახლოვდა. შვილმა იცნო მამა.

ტანზე სამოსი შემოხეოდათ მოხუცსა და ჯიშის.

— მამა! რა მოხდა? რა ამბავია?

— „გურჯისტანი“ ქარიშხალში მოკცა და დილუბა. საეკვრო სახლი ვალში ჩაეფლო. სახლკარიც გაგვიყიდეს, მე და ბიძამენი ხელცარიელი ქუჩაში გამოგვეყარეს.

ოთარს ანთიმოზი მოაგონდა, ის ანთიმოზი, რომელსაც სახლი დაეწევა, მაგრამ გაკვირვება ერთი საათითაც არ უკრძანია. მოაგონდა, თუ როგორ აღუდგინა სოფელმა ანთიმოზს სახლკარი, გაუცინა სარჩო და საბადებელი. ოთარი ეცინებოდა მამას: — მერე ხალხი? მეგობრები? მეზობლებმა რა გააკეთეს? თავშესაფარიც არ მოგვეს?

კოსტას ზორცმელეული სახე დამცინავდა ოლიმპო დაფარა. შერლისკენ გაიწია. მაგრამ ოთარი განზე გადავა და...

ოთარში ღამის ნათურა ბუტუტავდა. კედლის საათმა ხუთჯერ ჩამოკრა, როცა ოთარი გახელებულივით წამოვარდა და შეჰყვირა: „მე შენ დიდი ხანია სული ამოძართვი და ღეშად მაქციე, რად არ დამმარხე დროზე, შე სულწაწყემენდილო! დამეხსენ... არ მომეკარო“.

ოთარმა სავარძლიდან წამომდგარ გივის თვალი მიაპყრო და გაქვავდა.

მთელი ღამე ბორკავდა ლოგინზე ტანგაუნდელი ოთარი. თვალდახუტულს ძილი არ მოკვარებია. ის ხან აღმოადგებულ ანთიმოზის სახლში დარბობდა, ხან მელიტონის უსულო სტეულს ეპოტიწებოდა, ხან შედუა დასდევდა, თვალცრემლიანი და ლოყაგაყარული; ანდრო ჰკვიანური თვალებით ჩაცქეროდა ოთარს და გულდაწყვეტილი ეუბნებოდა: „სად გარბინარ, ოთარ? რად მოგვექერი თავი საქვეყნოდ? რად გაიმეტე შენი ქვეყანა? სხვა რა გინდოდა? რა მოგესურვა კიდევ იმაზე მეტი, რაც



ჩვენთან ნახე? ნუთუ კაცთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის ხილვამ დაგაბრძავა? იქ გარბინარ, იქ, სადაც მხოლოდ გაიძვერობით ბედგალიმებულს თუ შეუძლია იცხოვროს აღამაინურად. მაგრამ, განსოვდეს, თუ ერთხელ ფეხი დაგიცდა, შიმშილი და გაჭირვება სულს ამოვახდენს“.

— რა მოგდის, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა გივიმ ოთარს.

— ავად არა ვარ, ავად ვიყავი. ოხ! რა საშინელი დამე დამიდგა, მეგობარო. მინდოდა დამძინებოდა... დამძინებოდა კი არა, ძილს თან ჩაგყოლოდი, მაგრამ...

— არ მესმის, — მიუგო გივიმ და ოთარს მკლავზე ხელი წააგლო, — დაჯექი, დამშვიდდი, მითხარი რა გაუუხებეს? იქნებ გიშველო რამე.

— მიშველო? — ოთარმა გაიღიმა და მკლავი გაითავისუფლა. — შენ კი არა, ვერავინ ვერ მიშველის, ჩემო კეთილო.

გივი საწოლზე ჩამოჯდა. ოთარი თავზე დაადგა და ბრძანების კილოთი უთხრა.

— ადექი, უნდა გამოიყვე! გამაცილო. — გივი წამოდგა, ხალათი აიღო და ოთარს შეხედა:

— სად? რატომ?

— რატომ? აი, სწორედ ამაშია მთელი ამბავი, — ის ჩაფიქრდა, მერე თავი აიღო და განაგრძო, — ერთ ამბავს გეტყვი, თუ დამიჯერებ.

— რა ამბავს? — შეეკითხა გივი მშვიდად და ხალათი ჩაიცვა.

— დაუჯერებელს, მაგრამ ნამდვილ ამბავს, — მთელი სხელი უცანცაუხებდა.

— მისმინე, მე ბავშვობიდან უცხოეთში გაიხიზნულმა არ ვიცოდი, თუ რა იყო ბედნიერება. მე არ მეგონა, თუ

იყო სადმე ქვეყანა, სადაც შიში ბედის უკუღმართობაზე აღადგენს [ქვეყნებს] არ უღრღნიდა. მე არ ვიფიქრებდი, რომ ბედნიერება ხალხის ნაამაგარის პატრონი თქვენ ხალხი იყო. მე ეს ამბავი აქ ვნახე, მხოლოდ აქ ჩემს სამშობლოში. და ნაცვლად ამ იმისა, რომ ამ ბედნიერ ცხოვრებას ჩაეჭიდებოდი, რომ ჩემს თანამემამულეებთან ერთად სიხარულს მივციემოდი, — ჯერ ძმისა და მეგობრის სიკვდილზე ვფიქრობდი, ბიძაჩემის მემკვიდრისა, რომ მის ქონებას იქ, ბნელეთში, დავატრონიებოდი. მერე ამ ფიქრზე ხელი ავიღე, მაგრამ კაცისმკვლეული შაინც გაგზდი და ჩუმად, ქურდულად, თურქეთში მივიპარევი. გისმის? ქართული — თურქეთში!

გივიმ მხრებში ხელი მოხვია ოთარს და უთხრა:

— გამაგრდი! ვეკაცი არა ხარ?... — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ოთარმა არ დააცალა:

— ქენი სიყვითე და წამომყევი!

— სად?

— უშიშროების ორგანოში, რომ ჩემს არაქაცობაზე პასუხი ვაგო.

— წამოგყევი?

— წამომყევი, გაისარჯე, მეგობარო, ნუ დაიზარებ. მარტო ვერ წაველ, ბოლომდე მახრჩობს, მუხლები მიკანკალებს.

კიბეებს ჩაჰყვნენ და სასტუმროს ეზოში გამოვიდნენ.

წინ მიმავალ გივის თავჩაქინდრული ოთარი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ზენა ქარს ზღვისთვის ფაფარი აეშალა და უმთავარო ცაზე აშლილ ღრუბლებს დასაფლეთისკენ ერეკებოდა. შრიალიბდნენ ვერხვისა და მაგნოლის ფოთლები. აღმოსავლეთი თვალს ახელდა. დედამიწა იღვინებდა.

## ოთხეტი 23

სალამოს ექვსი საათი იყო, როცა პროკურორი და გამომძიებელი, პარტიის რაიონული კომიტეტის შენობაში ჩქარი ნაბიჯით შევიდნენ. როგორც ღერეფანში, მოსაცდელ ოთახში, არავინ იყო.

რაიკომის მდივნის სამუშაო ოთახის კარა გაღო და გიორგი გამოვიდა.

— შემოდით, შემოდით ამხანაგებო, — უთხრა მან პროკურორსა და გამომძიებელს, — დაბრძანდით, — მიუ-

თითა მრგვალ მაგიდასთან მდგარ სკამებისაკენ. მაგიდას შემოუხსდნენ.

— დევიძეს საქმეზე შეგაწუხეთ, მე რატომღაც არ მჯერა რომ დევიძეში ასე მოვტყუვდით. იქნებ ნარკოტიკმა ამხანაგებმა ვერ მოუარეს მას. ბრალდებული დაკითხეთ?

— წუხელ, ჩამოიყვანეს თუ არა, პირადად მე დაგვიტოვე — უპასუხა პროკურორმა, — მაგრამ...

— რა მაგრამ? მკვლეელი არა ვა-

რო? — რაიკომის მდივანმა თმები გა-  
ისწორა, სათუთუნედან პაპიროსი ამო-  
იღო და მოუკვიდა.

— პირიქით, ამბობს, მე მოვეკალიო,  
მაგრამ ეს უსაბუთო ლაპარაკი საყმა-  
რისი ხომ არ არის?

— მან რომ მოჰკლა დარასელია, ამას  
მისი დასტურიც არ უნდა, მაგრამ საი-  
ნტერესთა მიზეზი. რა? რა დამაგია  
მელიტონმაო?

— ფული ვისესხე და გადახდაზე  
უარი მითხრაო.

— მერე?

— მერე სოფელგარეთ გავიტყუილე  
და მოვეკალიო. მაგრამ ყოველივე ეს მო-  
კორილი ამბავია! — პროკურორმა  
ჭერის ახედა, თვალები ისე მოჰუჭრა,  
თითქოს რაღაც უნდა მოეგონოსო, მე-  
რე გიორგის მოუბრუნდა და განაგრ-  
ძო: — აქ უფრო სერიოზული ამბავი  
უნდა იყოს, რის გამხელა ბრალდე-  
ბულს რატომღაც უშქმის. მე მგონია  
ამ შემთხვევაში კიდევ სხვა დიდ დანა-  
შაულთან გვაქვს საქმე. ჩვენმა გამოძ-  
ძიებელმა ამხანაგმა სანდრომ ამაზე თა-  
ვისი აზრი კარგად ჩამოაყალიბა. მე  
პირადად, ყველაფერში ვეთანხმები  
მას, მაგრამ დღევინ თუ გაჯიუტდა,  
ძნელი იქნება სიმაართის დადგენა.

— რა აზრისაა ამხანაგი, სანდრო? —  
რაიკომის მდივანმა სანდროს გადახე-  
და და გაიღიმა: — საქმეს ხელს თუ არ  
შეეწეული, მეც მიზნა ვიციოდე თქვენი  
აზრი.

— სიამოვნებით, — მიუგო სანდ-  
რომ და საქმე წინ დაიღო. — როგორც  
აგრონომი დღევინ ლაპარაკობს, სიფ-  
დილის წინ დარასელიამ მოასწორა ეთ-  
ქვა, რომ ის ოთარ დღევინ დასჭრა სა-  
სიკვდილოდ. როგორც მოგახსენეს,  
არც ბრალდებული დღევინ უარპოფს  
დანაშაულს. მან სავესებით დადასტურა  
დარასელის სიტყვები. ამრიგად, ერთი  
შეხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ  
მკვლელი ოთარ დღევინა და...

— უნდა ვიფიქროთ! — გაკვირვებით  
წამოიმახა გიორგიმ და პროკურორს  
გადახედა. — აბა, სხვა ვინ უნდა  
ყუას?

— მოგახსენოთ...

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

— დიახ, მიზეზია დაუჯერებელი,  
თორემ მკვლელი თითქოს ნაოქნი უნ-  
და იყოს. სინამდვილეში კი მე სხვა აზ-  
რისა ვარ და აი რატომ: ფულის სესხე-  
ბის ამბავი რომ მტყნარი სიცოცხეა, ამა-

ზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან და-  
რასელიას კოლმეურნიეობიდან იმდენი  
შემოსავალი ჰქონდა და მისი მტკნარ  
თანხას ხარჯავდა თავისძახე, მტკნარ  
სხვისაგან ფულის სესხება მას არ დას-  
კირდებოდა. ამ აზრს ადასტურებს ის  
ამბავიც, რომ დარასელის საცხოვრე-  
ბელი კამარისი განხრევის დროს, მის  
საწოლ ტახტში ასოციათასი მანეთი  
აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დარასელია  
მე გავიტყუილეო, — ამბობს დღევინ,  
დადგენილია, რომ მელიტონი სოფელ-  
გარეთ თავისი სურვილით გავიდა. ამკა-  
რია, რომ დარასელიას ჯერ ჩვენთვის  
გამოურკვეველი ბოროტი განზრახვა  
ელვა გულში, და რომ ეს ამბავი ოთარ-  
მა კარგად იცოდა. დადგენილია, აღელ-  
ვებული დღევინ რომ ეძებდა დარასე-  
ლის ნარკიაში, მაგრამ ვერ ნახა. ამის  
შემდეგ ის კეფალზე სანადიროდ მიჰყ-  
ვებოდა მეთევზეებს, ალბათ იმიტომ,  
რომ გული გადაეყოლებინა ნადირობი-  
სათვის გათენებამდე, სანამ დარასელია  
სოფელგარეთ გავიდოდა. დღევინ ნერ-  
ვიულობდა, ვაი თუ დამაგვიანდესო.

ამიტომ იყო რომ მეთევზეებს ნარ-  
კიაში გაყოლაზე უარი უთხრა და იმ  
იდგილის ახლოს, სადაც მომაკე-  
დავი მელიტონი იპოვნეს, სიცოცხლე  
გასწირა და ნავიდან ზღვაში გადახტა.  
მამსადამე, ისეთი განზრახვა ჰქონდა  
მელიტონს, რომ ოთარი ამ განზრახვის  
ჩასაშლელად სიცოცხლეს არ ზოგავდა.

მელიტონის მოკვლის დღევინ ოთარ-  
რის გაქცევა ნარკიიდან და მომაკედა-  
ვი მელიტონისა და თვით ბრალდებუ-  
ლის ჩვენება, რომ მკვლელი ოთარია,  
უდავოს ხლის იმ გარემოებას, რომ ამ  
ორ ადამიანს ერთმანეთთან რაღაც საი-  
ღუმლოება აკავშირებდა. მაგრამ მათი  
კავშირი უფრო სერიოზულ საქმიანო-  
ბაში გამოიხატება, ვიდრე ადამიანს შე-  
იძლება ერთი შეხედვით ეგონოს. ერთი  
სიტყვით, უდავოა ის ამბავი, რომ დე-  
ვიქ ან უნდა დანხარებოდა ბოროტ-  
განზრახვაში დარასელსა, ანდა მისთ-  
ვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია. საკო-  
თხავია, თუ ოთარი დაეხმარებოდა მე-  
ლიტონს, ისინი ორივე ცოცხლები და-  
ბრუნდებოდნენ თუ არა ნარკიაში? რა-  
საკვირველია, ორივე უნდა დაბრუნე-  
ბულიყო და ვიღაც მესამე პირი უნდა  
დაზარალებულიყო. იქნებ, გაძარცვეს  
ვინმე და ნადავლი ვერ გაიყიეს? იქნებ  
იმან მოჰკლა მელიტონი, ვისაც .გასა-

ძარცვავად თავს დაესხნენ, და ვადარჩენილი ოთარი ვიქცა? ამ ორი მოსახრების იოტისოდენა დამამტიკებელი საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. მე უდავოდ მიმაჩნია, რომ ოთარი შეხვდა მელიტონს ბოროტი განზრახვის ჩასაწყლვად.

ახლა სანამ მათი უთანხმოების მიზეზში ვავერკვევოდეთ, საჭიროა დადგინდეს, მართალია, თუ არა დარასეულიას სიკვდილმსწინა სიტყვები და დევნიძის ჩვენება. არის თუ არა მკვლელი, ოთარ დევნიძე?

მე დარწმუნებული ვარ, რომ არც დარასეულიას უკანასკნელი სიტყვაა დასაჯერებელი და არც დევნიძის მიერ დანაშაულის გულწრფელი აღიარება. — სანდრომ სიტყვა „გულწრფელს“ ირონიულად გაუხსვა ხაზი და განაგრძო: — მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ ოთარი დევნიძე მკვლელი არ არის.

რაიკომის მდივანმა თავი ასწია, პროკურორსა და სანდროს გაკვირვებით შეხვდა.

— როცა კაცი წინასწარ განზრახვით მკვლელობის ჩასადენად მიდის, ის აუცილებლად შეიარაღებულია — განაგრძობდა სანდრო, — ოთარ დევნიძეს კი, რომელსაც ჩვენ მკვლელობაში ვსდებთ ბრალს, არაერთი იარაღი არ გააჩნდა, როცა ის სოფელგარეთ დარასეულიას შეხვდა. — სანდრო ადგა, კონკრეტი გახსნა და ცელულაიდის დალუქულ პარკში ჩადებულნი შეგტარიანი დანა ამოიღო, — აი, ამ დანითაა მოკლული, მელიტონი. — მრავალ მოწმეთა ჩვენებით დასტურდება, რომ ეს დანა, დარასეულიას ეკუთვნოდა და არა, დევნიძეს. ნუთუ უიარაღო, დევნიძე იმითმ დაეძებდა დარასეულიას, რომ მისთვის დანა წაერთმია და მისივე დანით მოეკლა იგი? იქნებ დარასეულიამ წინა დღით ათხოვა დანა დევნიძეს? თუ ეს ასეა, რად ეცადა წელზე დარასეულიას ამ დანის ქარქაში? —

გიორგი ადგა, მაგიდას შემოუარა და სანდროს პირდაპირ სკამის ზურგს ორივე ხელებით დაეყრდნო.

— ვასაგებია, მესმის. — გიორგი ისევ ჩაფიქრდა ერთხანს. მერე თვალი თვალში გაუყარა სანდროს და ჰკითხა: — მაგრამ სხვას ვის უნდა მოეკლა იგი?

— დევნიძეს არ ჰქონია მელიტონის მოკვლის განზრახვა და არც მოუკლავს. პირიქით: დარასეულიას უნდოდა მოეკ-

ლა ოთარ დევნიძე, მელიტონმა დანით შეუტია დევნიძეს, ამ უკანასკნელმა თავდაცვის მიზნით მუშტამ მოუქნა თავდასხმელს და შემთხვევით მისი ხელიდან არეში გაართვა, ვინებადაკარგული დარასეულია მოწყვეტით დაეცა ძირს და თავისივე დანაზე წამოეგო. ამას ადასტურებს მისი საფეთქლის ამის სილურჯე. ბებუთის ცერსაბჯენის მიწით ამოვსებაც იმას ლაპარაკობს, რომ დარასეულიას მკერდზე მიბჯენილ დანას უბიძგა არა ადამიანის ხელმა, არამედ მიწამ, რომელზედაც ვინებადაკარგული მელიტონი დაეცა.

— შესანიშნავი ანალიზია, ამხანაგო სანდრო! არ შემიძლია არ დაგეთანხმოდ. მაგრამ ოთარმა ბოლომდე სიჩუქე რომ ამჯობინოს?

— არა მგონია, დევნიძე არ აღაპარაკდეს. უნდა ვადროვოდ ცოტახანი გულში ჩაიხედოს, დაეჭირდეს. — მიუუგო პროკურორმა რაიკომის მდივანს და სანდროს მიუბრუნდა: — განაგრძეთ.

— საგულისხმოა მელიტონი, რომელი დილით ბათუმს უნდა გამგზავრებულიყო, რამ წაიყვანა გათენებამდე ასე შორს? აშკარაა, რომ ის ენლოდა ვილაყას, რომელსაც უთენიაზე უნდა გამოეგლო ამ გზაზე. ვის უნდა გაეგლო ბამბუკის პლანტაციის ბილიზე კვირადღეს გათენებამდე? გარდა მტრებზე მონადირესა, არავის. ამ კვირადღეს კი, გარდა თამაზ დევნიძისა, სხვა არ გასულა სოფლიდან სანადიროდ, რადგან ნარკველები სტუმრების დასახვედრად ემზადებოდნენ. ჩემი ღრმა რწმენით, მელიტონ დარასეულია თამაზ დევნიძეს ელოდებოდა ბოროტი განზრახვით. მას მისი მოკვლა სურდა. ეს ამბავი ოთარმა იცოდა და როცა ამ განზრახვის შესრულების ეპი მოახლოვდა, სინდისმა ვერ მოასვენა და მელიტონის განზრახვას წინ აღუდგა. ოთარ დევნიძემ ბიძაშვილის სიკაცულის ვადასარჩენად გასწირა თავი, როცა ნაკვიდან ზღვაში გადახტა და უიარაღო შეიარაღებულ მელიტონს რომ შეეხა.

განცვიფრებული გიორგი თვალს არ ახამაშებდა და ისე შესცქეროდა სანდროს:

— რატომ უნდა მოეკლათ თამაზი?  
— თამაზის მამა დიდი სიმდიდრის პატრონია თურქეთში. თამაზი რომ არ ყოფილიყო, ოთარი იქნებოდა მისი მემკვიდრე. იქნებ ამ მიზნით ჩამოეკლა

ის. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, სინდისმა არ დაანება.

— მელიტონი რა შეუშია?

— არ დაგავიწყდეთ, რომ მელიტონი თევზის სარეწაოს ყოფილი მებატონეა. ამავე დროს, თუმცა ქართულ გვარს ატარებს, მაგრამ თურქია, იქნებ ამ მკვლელობის შემდეგ მელიტონი ოთართან ერთად აპირებდა თურქეთში გაქცევას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აჩვენებს, ბათუმში კატარლის გაგზავნას ამ კვირა დღეს არ ვაპირებდი, მაგრამ მელიტონმა არ მომასვენაო.

გიორგი დიდხანს იდგა ხმაამოუღებელივ, მერე ის წელი მოძრაობით საჯაროდელში ჩაჯდა და პროკურორს დაბალი ხმით უთხრა:

— როგორც მე, დევიძეც დაარწმუნეთ რომ თქვენთვის ამკარაა ყველაფერი და უთუოდ იტყვის სიმართლეს.

ოთახში კედლის საათმა სამჯერ ჩამოკრა, როცა პროკურორმა დიდიხანს სინემე დაარღვია:

— შესისი, ყველაფერი გასაგებია. — ის ფანჯარასთან მივიდა ქალაქს გახედო. ქუჩებში ადამიანის ჰაჭანება არ იყო. ღამის დარაჯების სასტეგის ხმა გაისმოდა ხანდახან. ჰდარების ვრძელ ხეივანში ელემტრონათურებს ნიაგი არწევდა.

— სოფელგარეთ, ბამბუკის პლანტაციებთან დარასელიას მოულოდნელად თავზე დაადქით. შემიღე? — პროკურორი წელი მოძრაობით შემობრუნდა და ოთარს მიაცქერდა.

ოთარმა პროკურორს თვალი თვალში გაუყარა, მერე სანდროს გადახედა და განაგრძო:

— დამინახა თუ არა, ჯერ დაიბნა, მერე თითქოს იგრძნო ჩემი მისვლის მიზეზი, გაირინდა და ხმაამოუღებელივ შემომცქეროდა. ბოლოს ნაძალადევი სიმშვიდით მკითხა: „რად მოსულხარ? გულმა არ მოვითმინა?“ მერე ალერსიანად მითხრა: „წადი, შენ აქ საქირო არ ხარ, კატარლამი დამიცადე“.

„დიახ, გულმა არ მომითმინა, მელიტონ, თამაზის მოკვლის უფლებას ვერ მოგცემ-მეთქი“, — ვუთხარი და მიუახლოვდი.

„რა დროს ეგ არის? წადი, აქ თავი დადევინახო“.

— შენც უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთხარი, — აქ ვერ დაგტოვებო!

მე მას მაჯაზე ვწვი და ვცადე წამეყვანა, მაგრამ მან ხელი გამომტაცა და განზე გადაგა.

„გონს მოდი, უგუნურო, ამაღამ უნდა გათავდეს, თორემ გაგვიგებენ და ორივე დავიღუბებთ“ მეუბნება. მე უუახლოვდებოდი, ის უკან იწვიდა.

„წადი და არც კი იფიქრო, რა უნდა მოხდეს აქ ამაღამ. თითქოს თამაზი არც კი არსებობს ამ ქვეყანაზე. ისე წარმიდგინე, თითქოს ყველაფერი ეს სიზმარი იყოს. ჩილი კამარასში და დაიძინე. გეტყობა დალლილი ხარ. მე შენ თურქეთში გამოგაღვიძებ“, — მეუბნებოდა შემპარავი ხმით მელიტონი.

— ვერა, მელიტონ, — ვეუბნები, — მე აქედან უშენოდ ვერსად წავალ. გაიგებენო, მეუბნები, და ამით მაშინებ? გათავდა! მე არ მეშინია, ტყუილად ჰფიქრობ ჩემს დაბრმავებას. სანამ გაიგებდნენ, მე თვითონ ვიტყვი ყველაფერს. ვიტყვი, რაც დამავალა მამაჩემმა. არაფერს არ დავმალავ, მელიტონი!..

ამ სიტყვებზე მელიტონი გაირინდა. მერე წაბარბაცდა, მკლავი მივამველე მაგრამ მან ხელი მკრა და:

„შენ მართლა იტყვი, მელიტონი მძალბობდა თამაზის მოკვლასო. მაგრამ სანამ ამის თქმას მოასწრებდე, სამუდამოდ დაგამუნჯებ. შე მათხოვარო“ — მელიტონმა დანა იშვიშლა და ისე სწრაფად გადმოხტა ჩემსკენ, რომ განზე გახტომა ძლიერ მოვასწარი. სანამ ის შემობრუნდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი შემოვკარი. მელიტონი მოწყვეტით დაიცა ძირს და ისე ამოიგმინა, თითქოს გული თან ამოატანაო. მივეარდი წაქციულს, დანა რომ წამერთმია. იგი არ იძვროდა. ხელები გაუუსინჯე. დანა ვერ ვუპოვებე. შევანჯღრიე, ხმას არ იღებდა. პირქვედამხობილის ვადმობრუნება ვცადე, მკერში ღრმადშესული დანისტარი მომხედა ხელში. მივხვდი, რაც მოხდა გონება ამქმდგრა, შიშმა შემიპყრო. ანდროსა და თამაზს ვავალვიძებ, ყველაფერს უკამბობ-მეთქი, — ვიფიქრე ერთხანს, მაგრამ ვამბედაობა არ მეყო და ნარკილიან გაქცევა განვიზრახე.

— რატომ? სად? — ჰკითხა ოთარს სანდრომ.

პატიმარმა თავი დახარა:

— აი, ამ დღეს რომ გავეცეოდი, ჩემს სიცოცხლეში ამ ყველაზე უფრო სამარცხვინო დღეს. არ მიხდოდა შეგხვედროდით თქვენ, გიორგის, თამაზს, ანდროს, სოფელს.

— სად მიდიოდით? — ჰკითხა ხმაღობლა პროკურორმა.

— თურქეთში მიდიოდით. იქეთ მივყავდი მამაჩემის სიძულვილს, ზურაბის სიბრაულეს და ჩემი პატარა ჯიმშერის სიყვარულს. მაგრამ ვერა, ვერ

შევძელი, ვერ მივატოვე ხალხი, რომელმაც მე თვალი ამიხილა, ადამიანური გრძობები ჩამინერგა. სწორედ ამ შემთხვევაზე ვერ მივატოვე ჩემი ქვეშობლო, თუქცა აქ, განაცილება და სასჯელი მელოდა.

— რად დაგჭირდათ გეთქვათ, დარასელია მე მოვკალით? — შეიკითხა პროკურორი.

— მელიტონის მოკვლა მაინც მე დამბრალდება-მეთქი, ვიფიქრე. არ მეგონა, სიმართლეს რომ ასე ზუსტად დაადგენდნენ, ესეც რომ არ იყოს, არც მინდა სასჯელი შემამისუბოქდეს.

## თამი 24

ნარკის კლუბის შესავალ კარებში ორი კაცი იდგა. ისინი ბავშვებსა და მოზარდებს გზას უღობავდნენ, დარბაზში არ უშვებდნენ.

სცენაზე წითელმაუდგადაფარებული მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. სცენის დაბლა, მაგიდასთან თავჩაქინდროული ოთარი იჯდა. მას სუფთად მოპარსულ, სიყვითლე შეპარებულ სახეზე სულიერი ტანჯვის დაღი აჩნდა. იატაკს დაშტერებული არც კი ამჩნევდა, თუ როგორ იესებოდა დარბაზი ხალხით.

ოთარს რაიონული სახალხო სასამართლო ასამართლებდა.

დიდხანს არ დასჭირდა ხალხს ლოდინი.

დილის ათ საათზე მოსამართლემ სხრომა განსნილად გამოაქცადა.

საბრალმდებლო დასკვნა წაიკითხეს. სასამართლოს თავმჯდომარემ მოწმეების გვარები ამოიკითხა.

გარდა მედეასი ყველა დარბაზში იყო.

მოსამართლემ მოწმეები გარეთ გაისტუმრა და სამართალში მიცემულს მიუბრუნდა.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში?

— თავს დამნაშავედ ვცნობ, — იყო პასუხი.

— უამბოთ სასამართლოს საქმის შინაარსი; რად განიზრახეთ თამაზის მოკვლა? ვინ მოკლა მელიტონი? რატომ გარბოდით თურქეთში?

— მე მეგონა, ჩემი დავითხვა არ იყო საქირი... ჩემი დანაშაული მეტად მძიმეა, მე ღირსი ვარ ისეთი განაჩე-

ნის, როგორც მამაჩემმა ჩემს უდანაშაულო ბიძაშვილს — თამაზ დევიძეს გამოუტანა თურქეთში. პატივცემულნი მოსამართლეხო, — განაგრძო მან ნელი ხმით, — წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩემი ჩვენება სწორია და, თუ შემძლია დავუმატო რამე, ეს მხოლოდ ჩემი მდგომარეობის დამამძიმებელი იქნება და სხვა არაფერი. — ოთარმა თავი დახარა და დაჩუქდა.

— მოახსენეთ სასამართლოს, თამაზ დევიძის მოკვლისა და შემდეგ თურქეთში გაქცევის აზრი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დაგებადათ. თუ თან მოგყვით?

— ასეთი აზრი მე არასოდეს არ მქონია. მე დამავალეს თამაზის მოკვლა, მაგრამ...

— სად? და ვინ დაგავალათ?

— როგორც ჩემს ჩვენებშია აღნიშნული, მე და მამაჩემი ამერიკის შვერთებული შტატებიდან სტამბოლს ჩამოვედით მდიდარ მოზუც ბიძაჩემთან. ბიძაჩემის სიყვდილის შემდეგ, მისი ქონება მამაჩემსა და მე უნდა დაგვეჩენოდა. მაგრამ ერთ დღეს მამაჩემს ხელში ჩაუვარდა თამაზ დევიძის ღებეშა. ეს ღებეშა თუწყებოდა რომ ბიძაჩემის შემკვიდრე ცოცხალი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ წერილიც მოვიდა. ეს ამბავი მამაჩემმა თავის ძმას დაუმალა და მე დამავალა ჩაესულიყავ საქართველოში და თამაზი მომიკლა.

— მაშ თამაზის მამამ დღესაც არ იცის, რომ მისი შვილი ცოცხალია, არა? — შეაწყვეტინა სიტყვა ოთარს თავმჯდომარემ.

— რასაკვირველია, არ იცის. ის წი-

რილები, რასაც თამაზი თურქეთიდან  
ღებულობდა, მამაჩემის ნაწერი და  
არა თამაზის მამისა.

— გასაგებია! განაგრძეთ!  
დარბაზი ახმაურდა. თავმჯდომარემ  
ზარი დარეკა და ხალხს სიწყნარისაგენ  
მოუწოდა.

— მერე, როგორც მოგესხენებათ,  
ესტონეთიდან საქართველოში გამოემ-  
გზავრე, რომ მენახა თამაზი, ჩემი სამ-  
ნობლო... — მე ჩემი ბიძაშვილის წაყვა-  
ნა მინდოდა სტამბოლში. დარწმუნებუ-  
ლი ვიყავი, ამდენი სიმდიდრის პატრონი  
თამაზი არც მე და არც ბიძამის ხელ-  
ცარიელს არ დატოვებდა.

— რა იცოდით, რომ თამაზი სტამ-  
ბოლში წაგყვებოდათ? — შეეკითხა  
მსაჯული.

— როგორ შემძლო მეფეჟრა მამინ,  
ამდენი სიმდიდრის პატრონი რომ წა-  
ვლახე უარს იტყოდა? — უბასუხა  
ოთარმა.

— თურქეთში დაბრუნება გადაწყვი-  
ტილი გქონდათ?

— გადაწყვეტილი მქონდა მანამდე,  
სანამ ჩემი თვალით არ ვნახე ეს ქვეყა-  
ნა და ჩემი ბიძაშვილი თამაზი.

— მერე რა იფიქრეთ?

— მერე, ვიფიქრე კი არა, დავრწმუნ-  
დი, რომ მხოლოდ აქ, ამ ხალხში, ამ  
ქვეყანაში შეიძლება თავისუფლად  
ისულთქოს ადამიანი. მე მივხვდი, რომ  
ბრძა ჩამოვიდი. აქ თანდათან შემარე-  
ბოდა თვალეზში სინათლე, მე გადავწყ-  
ვიტე, დავრჩენილიყავი აქ და სამუდა-  
მოდ დავიწყებისათვის მიმეცა ეს ქვე-  
ყანა, რომელიც სიყრმიდან ადამიანი-  
სადმი სიძულვილის გრძნობას მიღვი-  
ვებდა.

— რად გაანდეთ თქვენი საიდუმ-  
ლოება დარასელიას და არა სხვა ვინ-  
მეს? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— მე არც დარასელიასათვის მინდო-  
და მეოტევა, თუ რა დამავალა მამაჩემ-  
მა. მაგრამ მან ისეთი დრო შემირჩია,  
ისე შემაპარა არაყი და ისე ჩამძვრა  
სულში, რომ იმ დროს მასზე უკეთესი  
კეთილისმსურველი ქვეყნად არავინ  
მეგულებოდა. მე მას შეეჩვილე ჩემი  
გულისწეხილი. — ოთარმა დარბაზს  
გადახედა, მერე მოსამართლეს შეხედა  
და ისევე თავი დახარა. — ამის შემდეგ  
მელიტონი მოსვენებას არ მაძლევდა  
გინდა თუ არა მამაშენის დაჯილდებს  
სისრულეში მე მოვიყვან და თურქეთში

წაგყვებიო... თუ არა და... გაგახელ,  
ყველაფერს ვიტყვი და... სასამუდამოდ  
დაგაყრავო.

ხალხი ცელავ ახმაურდა, თავმჯდომ-  
არემ ისევ ვაფართხილა დარბაზი.

— ახლა პორთფელის გატაცების მი-  
ზეზი გვითხარით. ვინ დაგავალათ მი-  
სი გატაცება? სად უნდა წაგელოთ ეს  
შრომა?

სამართალში მიცემული ჩაფიქრდა-  
მერე შუბლი ნერვიულად მოისრისა,  
ქიტიდან წყალი მოსევა და დაიწყო:

— ეს კი ჩემთვის არავის არ დაუვა-  
ლებია. როცა ცეცხლწაქიდებულ სახლ-  
ში ბავშვის გადასარჩენად შევედი, პო-  
რთფელი მომაგონდა და მისი გატაცე-  
ბის სურვილი ცეცხლის ალივით ავარ-  
და გულში.

— რაები მესმის!  
— ნუთუ სრულ ჭეუახეა? — გაის-  
მა ხალხში.

სასამართლოს თავმჯდომარემ მკაც-  
რად გადახედა დარბაზს:

— წესრიგს მოვიტხოვ, მოქალაქენო!  
მერე თავმჯდომარე დევიძეს მიუბ-  
ბრუნდა:

— განაგრძეთ!  
— მე ყველაფერი მოგახსენეთ. —  
უბასუხა ოთარმა და თავის სკამს ისე  
მოხედა, თითქოს დაჯდომა ეჩქარებოდა.  
— მოახსენეთ სასამართლოს, რად გინ-  
დოდათ თამაზის ნაშრომი? თქვენ ხომ  
ავრონომი არა ხართ?

— ავრონომი არა ვარ... დიან არა  
ვარ... არც მე ვიცი, რად მინდოდა.

— თქვენ ხომ არ იცით, რამ გაუჩი-  
ნა სახლს ცეცხლი?

— იმ დროს, რა დროსაც ანთიმოზის  
სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მე დილიდან  
ქარში არ გამოვსულვარ. ავად ვიყავი.  
სიცხე მქონდა, თავი მტყიოდა. დამე  
ქეჟა-ქეხილმა გამომალგო. ავდექი.  
ჩავიცივი. ვიფიქრე, გავივლი, ზღვაში  
გასული ხალხის ამბავს გავიგებ-მეთ-  
ქი. ამ დროს ქვარტლის სუნი მეცა და  
სანძარცი შევნიშნე. ანთიმოზის სახლს  
ცეცხლი ეკიდებოდა. მე დარწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ სახლს მეზი დაეცა. —  
ოთარმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოი-  
ღო, ოფლით გაცვარულ შუბლზე გა-  
დისვა.

მოსამართლემ გვერდში მჯდომ მსა-  
ჯულს ხმადამლა რალაც უთხრა, შემ-  
დეგ ბრალდებულს მიმართა:

— თქვენ, რომელსაც მეგობარი და  
ახლო ნათესავი საფრთხეში გიგული-

ბოლოთ, მაგრამ ხმას არ ატობდით; თქვენ რომელმაც საქართველოს თურქეთი არჩიეთ, რამ გაიძულათ ცეცხლმოკიდებულ სახლში შევარდნილიყავით და თავი გაგეწირათ ბავშვის ვადასარჩენად? —  
ოთარმა მწარედ ჩაიციხა და მკერდი მოისრისა.

— თქვენთვის ეს ამბავი გაუგებარია! ყველაფერი ეს მხოლოდ მე შესმის, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში საშინელი გულისტკივილი განვიცადე. არ მინდოდა მეთქვა ის, რაც ჩემმა გულმა იგრძნო სწორედ იმ დამეს, როცა ანთიმოზის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ვიმეორებ, სწორედ იმ დამეს და არა მამინ, როცა საშინელი დავალების გამხელავი არც კი ვფიქრობდი. შემდეგ კი, როცა მე ნიღაბი ავიხადე, როცა გავშიშვლდი და ჩემი სულისა და გონების თითოეულ კუნძულში მართლმსაჯულობა ჩივებდა, სიშვეიდე ვიგრძენი, გონებაზე ბურუსი გადამიწმინდა, სულმა დაისვენა, თავისუფლად ამოვისუნთქე! —  
ოთარმა ახლაც ამოისუნთქა თავისუფლად და შუბლზე დაყრილ ქოჩორს გაშლილი თითები ჩააყოლა. —  
თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებოთ, თავისუფლების აღკვეთის შემდეგ რომ დამიბრუნდა სულის სიშვეიდე! მაგრამ აქ გასაყვინი არაფერია! ვიმეორებ, არ მინდოდა აქ ამის თქმა. წინასწარი ჩვენების დროსაც არ დამიძრავს ამბუე კრინტი, რადგან ახლა ეს, სასაჯელის შემსუბუქების ცდას მიეწერება. მაგრამ ხანძარიდან ბავშვის გადარჩენა არ შეიძლება უბრალოდ აიხსნას. ჩემი ავტობიოგრაფია საქმეშია, თუ თქვენ ის წაიკითხებთ, პატივცემულნი...

— წაიკითხეთ, რასაკვირველია წაიკითხეთ, მერე? — მიუგო თავმჯდომარემ.

— ალბათ, თქვენ გახსოვთ, თუ რა დროიდან დამკვიდრდა ჩემში მამაჩემისადმი ბრმა მორჩილება. მამის ახოვანი თვალტანადობა, მისი განსაკუთრებული მდგომარეობა, მისი ამაყი ბუნება იმ თავითვე ჩემს ბავშვურ გონებას რაღაც მიუწვდომელ ძალად ეხატებოდა. ის ჩემთვის ყოველთვის და ყველგან სალოცავი ხატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში ვაპირებდამ მამაჩემს სიმტკიცე, სიამაყე და ქედმაღლობა ჯერ შეურყვია და ბოლოს საბრალო კაცუნადაც კი გადააქცია, ჩემში ერთხელ დაბადებული რწმენა მისი გამპრიაბი გო-

ნებისა და რაინდობისა ოღონდ არ შერყეულა...

დარბაზის კარებში ვიჯექვანუნუნა. ოთარი შეკრთა, იფიქრა იქნებ მეღვინე მოდის და ხალხს ისეთი თვალეზობით გაღაზნებდა, თითქოს ეუბნებოდნენ, ნეტავ მოვმეკვდარიყავი, ასეთ დღეში არ ჩავარდნილიყავი. მერე აჯანკალბებული ხელი შუბლზე გადაისვა და იატაკს ჩააშტერდა.

— იქნებ დასვენება გსურთ? — შეეკითხა სასამართლოს თავმჯდომარე ბრალებულს.

— ცოტა ხანს რომ დამასვენებდეთ, კარგი იქნება. — უპასუხა ოთარმა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

მოსამართლემ ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა.

როცა სასამართლოს შემადგენლობა კვლავ გამოჩნდა და ხალხი ფეხზე წამოიშალა, ოთარმა თავი ასწია; მას სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება აღბეჭდოდა.

სასამართლოს თავმჯდომარე სამართალში მიცემულს მიუბრუნდა:

— განვაგრძოთ თქვენი სიტყვა. ოთარი ჩაფიქრდა, მერე დარბაზს გადახედა და განაგრძო:

— მამაჩემის მდგომარეობის შერყევის მიზეზს, მისივე შთაგონებით, თავისი ქვეყნიდან მის უსამართლოდ განდევნაში ეხედავდი. მე ის სიმართლისათვის წამებულ ადამიანად მიმაჩნდა მამაჩემი დღე და ღამ ჩამჩინებდა, მე და ბევრი ჩემისთანა ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები ბოლშევიკებმა უმიზეზოდ სამშობლოდან გაგვრეცესო. ეს ამბავი მჯეროდა. მჯეროდა მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ასე ამბობდა მამაჩემი, რომლის სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. „მინდოდა დარჩენა საქართველოში რომ განმეგრძო ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ შენ გაგაფრთხილდი. და აქ. უცხოეთში. შენთვის განვიცდი ამდენ საიყვანო“, მეუბნებოდა მამაჩემი.

როგორც ჩემს ჩვენებაშია აღნიშნული, საფრანგეთში მამაჩემი ერთ მთლიან ქალზე დაქორწინდა... მაგრამ, არც ეს ბედნიერება გაგრძელდა დიდხანს და ჩვენ ისევ გაქირავებაში ჩავეარდით. შემდეგ, ნიუ-იორკში მოგვადით. იქ კიდევ უფრო გავიფრთხილდით ბედნიერების შემდეგ სტამბოლში ბიძას ვესტუმრეთ და თითქოს საბოლოო ბედნიერებას მივაგენით.



წარმოუდგენელია ის გულის წუხილი, რაც მამაჩემმა განიცადა, როცა თამაზის დეპრესია და წერილი მიიღო. მე მხოლოდ მაშინ ვნახე პირველად ამ კერპი ადამიანის თვალეზზე ცრემლები. მან სილატაკეში სულისდასაღწევა მიწინასწარმეტყველა მეც, ჩემს შვილსაც და თავისთავსაც, თუ ზურაბი გაიგებდა, რომ თამაზი ცოცხალი იყო. მან ფიცის ქვეშ სიტყვა ჩამომართვა, რომ თამაზს, რომელიც ჩვენს ბედნიერებას ემუქრებოდა, მოვსპობდი, მოვიწორებდი. მის შემდეგ, რაც მამაჩემს თანხმობა მივეცი, სანამ აქ ჩამოვიდოდი იქაც კი, მერწმუნეთ, რომ ჩემი გული სიკეთისკენ გადაიხრებოდა ხოლმე და ჩემს არაადამიანურ საქციელზე ჩამაფიქრებდა. მაგრამ ამ დროს მამაჩემის ცრემლებით სავსე თვალები დამიდგებოდა წინ, თითქოს მოხუცი ზურაბს უკან მელდა და მომძახოდა: „არ შედრკე! თუ ერთი არ გაუბედურდა, მეორე არ გაბედნიერდება“. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე შევუბრუნებინა და ახლო ნათესავის მოკვლაზე მამაჩემს უარის თქმა ვერ შევბედე. მაგრამ მე შინაც სულით მახინჯი არ ვყოფილვარ და ადამიანური სიკეთის გრძობა არ დამიკარგავს.

ახლა კი ბავშვის გადარჩენაზე მინდა მოვახსენოთ.

როცა ხანძრიდან პორთფელი გამოვიტანე და ჩემს ოთახში შევევარი, ერთბაშად რაღაც გრძობამ შემაჩერა და ჩამაფიქრა. მე მხოლოდ მაშინ მომაგონდა რომ სახლის ბატონის სამიწელ ქარბუქში ზღვაში იყო ვასული მგებობებისა და ამხანაგების სიცოცხლის გადასარჩენად, რომ დიასახლისი ზღვისპირიდან ქმარს უთვალთვალებდა და უღონო ბავშვი კი კარებგამოკეტილ სახლში ცეცხლში იწვოდა.

ღიას! მე გადავწყვიტე ან ბავშვი გადამერჩინა, ანდა მეც მასთან დავმწყვარიყავი.

თქვენ გიყვით, რომ მე, ოთარ დევიძემ, თავი გავწირე ბავშვის გადასარჩენად. მაგრამ არ არის გასაკვირი ეს ამბავი, რადგან მე თავისუფლად გავწირე სიცოცხლე და უყოყმანოდ შევევარი ცეცხლში მაშინ, როცა არც მამაჩემის ცრემლმორეული თვალები მიღობავდა, გზას და არც იმ ქვიჩუნის მანკიერებაში... იმ წუთებში მე ნამდვილი ადამიანი ვიყავი...

ოთარის დაკითხვის შემდეგ სასამართლო მოწმეების დაკითხვას შეუდგა.

— იცნობთ თუ არა ბრალდებულ, ოთარ კოსტას-მე დევიძეს? — შეეკითხა თავმჯდომარე ანთიმოზს!

— ვიცნობ — უპასუხა მან.

— როგორ განწყობილებაში იყავით ბრალდებულ, დევიძესთან?

— კარგ განწყობილებაში.

— ამჟამად?

— ამჟამად... რა მოგახსენოთ... ისეთი ამბავი მესმის, რომ... მიუხედავად იმისა, ეს ამბავი დიდ ხანია გავიგეთ, სანამ თვითონ არ იტყუოდა, არ მჯეროდა და არც ამ ხალხს — ანთიმოზმა დარბაზს გადახედა ხალხი ამოძრავდა.

— არა! დაჯერება ამ საზღაპრო ამბავისა ძნელი იყო. — ანთიმოზი ერთხანს ოთარს მიაჯერდა — არა, ჩემო ბატონო, ეს ამბავი ჩვენთვის უცხო და დაუჯერებელია.

ოთარმა თავი დახარა.

— სხვა რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ საქმეზე? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— მე ამ საქმის გარშემო სრულებით არაფერი ვიცი. და რაც ოთარმა ილაპარაკა, ეს ამბავი თუ მართლა ასეა, უნდა გითხრათ, როგორც მამამისი, არც ოთარი ყოფილა სულით ჯანმრთელი. მას უნდა ვუმჯურნალოთ!...

მოსამართლე ჩაფიქრდა.

— თქვენ თავისუფალი ხართ. შემდეგ მოწმედ აგრონომი დევიძე გამოიძახეს.

კარებში თამაზი გამოჩნდა.

ოთარმა თავი ასწია, მძიმედ ამოიხარა და თავდახრილ თამაზს შეხედა.

— მოსახსენეთ სასამართლოს, სამართალში მიტეხულმა, ოთარ დევიძემ მოგმართათ თუ არა თქვენ გაყოლოდით თურქეთში? — შეეკითხა თავმჯდომარე თამაზს.

— ჰქონდა მას ჩემთან, მგონი, ასეთი საუბარი. როგორც მახსოვს, ის ერთხელ შეეცადა დავერწმუნებინე, რომ თურქეთში მე მამაჩემის აღარებელ სიმდიდრეს შემეძლო დაეპატრონებოდი და განცხრომისა და ფუფუნებაში მიეცხოვრა. — თამაზმა თავი ასწია და ოთარს სინანულით გადახედა.

— რა უპასუხეთ თქვენ? თამაზი შეკრთა, თითქოს შეურაცხყოფა იგრძნო. მერე გამსჩვალავი მხერა მიაპყრო თავმჯდომარეს და ღმილით უპასუხა:



ჩემი შეხედვაც კი ეზარება. ალბათ იმიტომ, რომ თავის ავადმყოფობა არ სჯერა. მე ახლაც რაიონის აფთაქს გამოვუძახებ, რომ წამლები აიტობუს

გამოატანონ. ქალებს უთხარი ტანი ტილოთი დაუხილონ, ან აბაჯანა-შიაფე-ბინონ. — ექიმმა საჩქაროდ ჩაიწვინა და გზას გაუღდა.

თარი 25

სალამოს სასამართლოს სხდომა გრძელდებოდა. ათი საათი იყო, როცა თამაზი ხალხით საესე კლუბის დარბაზში შევიდა. ის უკანა რიგში მჯდომ ანდროს გვერდით მოუჯდა და უთხრა.

— მეღეა ახლა თავს უკეთ გრძნობს. იგაშმა კიდეც...

— რაო, ხომ არ უკითხავს რამე პროცესზე?

— არაფერი! გახსენებაც არ სურს. პროკურორმა სიტყვა მოათავა?

— ვერ უხუტებ დამცველი ლაპარაკებს.

ჩაფიქრებული ოთარის წინ იდგა მალაი, უღვაშებშეკრეპილი, შიგვკრემანი ახალგაზრდა კაცო და დინჯად ლაპარაკობდა.

„...ამრიგად სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა შესანიშნავად გაარკვია დანაშაულის სოციალური ბუნება. თუმცა ბრალდებელმა დამაჯრებლად დაგვიხატა ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარების პროცესი და დანაშაულთა გამომწვევი მიზეზები, მაგრამ მე მაინც მინდა ერთხელ კიდევ თქვენია ყურადღება მივაქციო საქმის ამ მხარეს.

ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ კიდევ გაგახსენოთ, თუ რა პირობებში იზრდებოდა ადამიანი, რომელსაც დღეს ჰუმანიტარ პრინციპზე აღზრდილი საბჭოთა ხალხი ასამართლებს

ვინ ჰყავდა ოთარს ახლობელი? ვინ იყო მისი აღზრდელი? მამამისი — კოსტა დევიძე, მაგრამ კოსტა დევიძე ისეთი ადამიანი იყო, რომელიც შეიღს სწორ გზაზე დაყენებდა და მის გონებას ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით გაამდიდრებდა? პირიქით, მან ყმაწვილს კაცთმოპულეობა შთაუწერა.

ვინა მარტო მდგომარეობა ახდენს გადამწყვეტ ზეგავლენას ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარების პროცესზე? არა, გარდა ამისა არის კიდევ მეროდ მოვლენა, პიროვნება, რომელიც დიდ როლს თამაშობს ადამიანის შეგნებაზე, როცა ის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

საინტერესოა, ამ შემთხვევაში რო-

მელ გარემოებასთან გვაქვს საქმე? მდგომარეობამ გამოძიერწა ოთარ დევიძე ასეთ ადამიანად თუ მეორე პიროვნებად მოახდინა მასზე საბედისწერო ზეგავლენა. მე დარწმუნებული ვარ რომ ორივე მოვლენასთან ერთად გვაქვს საქმე.

მე მაისი ზეგავლენის მტკიცებას ამ არ შევუდგები, რადგან ეს ყველასათვის ნათელია, და არც მიმაჩნია საჭიროდ კოსტა დევიძეზე დრო დაკარგო რადგან ის, პატარა, უმნიშვნელო ხრახინია, ბოროტმოქმედების პრინციპზე ნაშენი დიდი ძრავის — რომელსაც კაპიტალისტური სამყარო ეწოდება. მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ როგორი იყო ის წრე, საზოგადოება, რომელშიც ტრიალებდა და იზრდებოდა ოთარი და რა გავლენა მოახდინა ამ წრემ მისი ზნეობრივი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე?

გორკის ამბობს: „ბანკირი შობს ბანდისტო“. გორკის მხედველობაში აქვს ის საზოგადოებრივი სისტემა, სადაც ბანკირი — კაპიტალისტია ცხოვრების მესაქე. ძალადობაზე დამყარებულ საზოგადოებრივ სისტემას გორკი უპირისპირებს სოციალისტურ სისტემას, დამყარებულს ჰუმანიზმის, პროგრესისა და თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის მტკიცე საფუძველზე.

ერთი ოკეანესგაღმელი სტატისტიკოსი ამტკიცებდა, რომ სულით ავადმყოფთა ზრდა ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა, შეიძლება, შეშლილთა სამყაროდ გადააქციოსო.

მე ეს ამბავი მომაგონდა მაშინ, როცა აქ ერთმა მოწემ განცვიფრება გამოსთქვა ადამიანზე, რომელიც სიმდიდრისათვის კაცის მოკვლაზე ფიქრობდა, და განაცხადა, თუ ეს ასეა, შემოილი ყოფილა და უნდა ეუმკურნალოთო.

დიან, კომუნისტური მორალით გამსკვალულ ადამიანს ეზიზღება ის საზოგადოება, სადაც ადამიანებს წვრილმანი, ეგოისტური მისწრაფებები ამოძრავებს, სადაც მზად არიან ოქროსათვის, სიმდიდრისათვის მსოფლიო ისევ

ცეცხლის ალში გაახვიონ. — დამცველ-მა მაგიდას შემოუარა, წინ წაღვა და განაგრძო:

— ოთარი მამამისმა საფრანგეთში ჩაიყვანა. აქ ყმაწვილი პატიოსან შრომას კი არ ხედავდა, არამედ იგი არსებითად ცბიერებისა და მუხანათობის პასიური. მაგრამ მაინც მონაწილე იყო.

შეიძლება თუ არა იქ ამ ყმაწვილის გულში გაღვივებულიყო მეგობრობისა და ამხანაგობის მაღალი გრძნობა? არა, არ შეიძლება.

მორალური ვაზრუნის გზაზე შემდგარი ყმაწვილი ნიადავა იცვლის, მაგრამ სულის საშინელ მარტოობას განიცდის. იგი სადღაც უღაბურ, მიყრუებულ ადგილში, ნახევრად მშვიერი, მრეცხავი ქალის ანაბარა მივადებული.

იგი ჰხედავს, თუ როგორ დაწანწალებს მამამისი პარიზის ქუჩებში ლუქმალურისათვის. მას მდგომარეობა არაწმენებს, რომ თავის გატანა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მამამისივით არაფერს არ თაყილობს და არავის არ ინდობს.

ვინ იცის, დიდ ქაობში იქნებ სულიც კი ამოხდებოდათ მამა-შვილს, რომ ლეფვერის ქვრიუს თავშესაფარი არ მიეცა მათთვის. აქაც ცბიერებას ხედავს მოგონილ სიყვარულს მამამისისა და ლეფვერის ქვრიუს შორის. მაგრამ ცბიერება მას მიაჩნია არსებობის ერთ-ერთ საშუალებად.

გაღის დრო, პლექით დასწრელებული პოლინა კვდება და კოსტასაც ეძლევა პირადად, უშუალოდ იყოს ქვრივის ავლა-დიდების ბატონ-ბატრონი. მაგრამ მოულოდნელად თითქოს მიწიდან ამოჩერაო, ჩნდება ლეფვერის ქვრივის კანონიერი ვაჟი, ლუსტი სელიასი. და მამასა და შვილს, როგორც ხიზნებს, ხელცარიელს ისტუმრებს ოჯახიდან.

შემდეგ ახალგაზრდა ოთარს ახალი უბედურება ატყდება თავს. მისი ცოლი, ამ ქაობში გაზრდილი ქალი, „ღვთის მსახურის“ ასული, ძუძუშროვარ ბავშვს მიუგდებს და სამუდამოდ განშორდება. გალატაკებული ოთარი აღარ ესაჭიროებოდა იმ საზოგადოებაში აღზრდილ ქალს, სადაც სიყვარული ვაჭრობის საგანია, სადაც ადამიანი ადამიანისათვის გველია.

ამის შემდეგ, ისინი, როგორც მოგე-

ხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებიან.

აქ კოსტას დარაჯის უფრო მეტად სთავაზობენ და ისიც სიამოვნებით თანხმდება. ხოლო ოთარი ორგანიზებულ, ნახევრად ლეგალურ მანდიტურ ასოციაციაში შეჰყავთ. მისი მიზანია გამცდრება, ხოლო გამდიდრებისათვის ყველა უწმინდური საშუალება მისაღებად მიიჩნია. ასე ანაყოფიერებს ახალგაზრდა დევების შეგნებას კაპიტალისტური ამერიკა, რომლის შესახებ გორკი ამბობდა: „ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ერთნაირად საძაგველი, არაადამიანური მოღმებისანი არიან, მაგრამ ყველაზე უარესი ამერიკის კაპიტალისტებია, ისინი უფრო ტუტუტურად არიან გაუმადლარნი ფულთა“.

თავდასხმიდან მშვიდობით დაბრუნებული ოთარი სინდისის ქეჯნას განიცდიდა თუ არა, ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით რომ დოლარებით სიხარბისა და სინდილის ერთად შეთვისება შეუძლებელია — დამცველი ერთხანს შეჩერდა, შემდეგ ნაბიჯი გადადგა წინ და განაგრძო: ჩვენში, საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებულმა ხალხმა დიდი ხანია ძირფესვიანად შეიცვალა შეხედულება კერძო საკუთრებაზე და საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდა შეგნება „ჩვენი კოლმეურნიობა“, „ჩვენი ქარხანა“, „ჩვენი სარეწაო“. საბჭოთა ხალხი ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლაში დაეაყვაცდა, და მტკიცე ნებისყოფისა და ხასიათის ვახდა. ჩვენში, კოლექტიური შრომის პირობებში, ერთის წარმატებას მეორე როდი ხვდება შეერთა და მტრობით. აქ თითოეული ადამიანის წინსვლა ხალხის კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული. კოლექტიური შრომის პირობებში მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა, ხალხისა და სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად გადააქცია.

საბჭოთა ხალხის ეკონომიურმა და სულიერმა აღორძინებამ მოსპო კაპიტალიზმის გაღმარებისათვის და ადამიანთა შორის მშვიდობა და სიყვარული დაამკვიდრა. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია ხალხის მშვიდობა სუფიქტეს. რადგან თვით ის მომავლადვი სისტემა ძალადობაზე დამყარებული ამიტომაც, რომ კაპიტალისტური ამერიკის მმართველ წრეებსა და



განგსტერებს შორის მანძილი იმდენად დაშორდა, რომ ისინი უკვე ერთმანეთს უმევენებენ მხარს.

აი, რას ქადაგებს ამერიკის მმართველი წრეების ოფიციალური პრესა:

„მკვლელობა, ეს ჩვენი სამუქალბაა რასის ვაუზლოვნებისათვის. სხვა ხალხებს ჰქონდეთ თავიანთი სისტემა, ჩვენი სისტემა მკვლელობაა. ეს არის ამერიკის სისტემა და ამიტომ ეს საუკეთესო სისტემაა!“

რა გასაკვირია, რომ მკვლელობათა რიცხვის მზრვი მსოფლიოში პირველი ადგილი ეკუთრება იმ ქვეყანას, სადაც პრესაც კი ბოროტებას ჰქადაგებს. სადაც მკვლელობა დასასჯელ დანაშაულად, არ ითვლება, იქ სადაც „მკვლელობის ტრესტი“ კი არის ჩამოყალიბებული და ადამიანის მოკვლა ორი ათასი დოლარიდან ხუთი ათას დოლარამდე ფასობს.

საკითხავია: თუ დოლარით დახარბებული პოლიცია ამ ტრესტს ხელს უწყობს, ქვეყნის მმართველი ბურჟუაზიული პარტია ამ შემთხვევაში მასიურობს თუ მფარველობას უწევს ამ მეოცე საუკუნის სამინელებას?

რასაკვირველია მფარველობას! რატომ? ამაზე თვით ამერიკელი პრესა ელაპარაკობ:

„...ბოროტმოქმედთა ბრბო ახლა გადაქცეულია პროფესიონალთა ორგანიზაციად... განგსტერები ინახავენ შეიარაღებულ ხალხის მუდმივ არმიას და ქვეყნის ბევრ ქალაქში დაამტკიცეს თავიანთი უნარიათბა არჩევნების დღეებში. საარჩევნო თაღლითობა წინასაარჩევნო კრებაზე და არჩევნებზე ამფლავებს მჭიდრო კავშირს ამ ბრბოს წევრებსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის. საფუძველი ასეები კავშირის ნათელია... ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ბანდელური ჯგუფები ხშირად ხდებიან პოლიტიკურ კლუბებად, და რომ შეიარაღებული ბანდის მეთაური ხშირად გვევლინება პოლიტიკურ წინამძღოლად.“

მე მგონია, ჩემი კომენტარიები ამის შემდეგ საჭირო არ არის. საჭირო არ არის, რადგან ნათელია, რომ ხელისუფალნი კაპიტალისტურ სახელმწიფოსი ხელს უწყობენ ბოროტმოქმედთა ზრდასა და განვითარებას.

გარდა საკვალური საკოლებისა, სადაც ახალგაზრდობას ქურდობაში, თავდასხმასა და მკვლელობაში წვრთნიან,

ამერიკაში ახალთაობის გახრწნასა და გაათახსირებას ხელს უწყობს მუშაობის ხელუ კინო, რადიო, თეატრი და მუსიკა. ლაფერი ის, რასაც შეუძლია ნორჩ გონებაზე ზეგავლენა მოახდინოს.

მაშინ, როდესაც ჩვენში პრესა ხოტბას ასხამს შრომის გმირებს, ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებულ ვაჟაკებს, მეცნიერებისა და ხელოვნების ნოვატორებს, იქ პრესა ცდილობს ადამიანს სიმკაცრისა და თავზეხელაღებულობის გრძობა ჩაუნერგოს.

ერთ-ერთ გამოჩენილ ამერიკელ განგსტერს — ალ კაპონეს რომელმაც კაცისკვლისა და ძარცვა-გლეჯის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამერიკელმა პრესამ მილიონ ხუთას ოთხმოცდაათი ათასი საგაზეთო სვეტი მიუძღვნა. გარდა ამისა, ეურნალ-გაზეთებში მისი ხუთათასი ფორტოსურათი იყო დაბეჭდილი. ეს გაზეთები უსირცხვილოდ იუწყებოდნენ, კაპონემ შეიღძასი მილიონი დოლარი შეიძინათ. ახლა ამ ლეგენდარულ მძარცველზე კინოფილმი მხალდება, რომელიც ხალხს მხატვრულ ფორმებში უჩვენებს ამ ადამიანის „მოღვაწეობას“.

რა არის ეს, თუ არა მოწოდება იმისაკენ, რომ ახალგაზრდობა გააყვეს ბანდიტის კვალს, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ამერიკაში ყოველ ოცდაათ წუთში ხდება — წინასწარგანზრახული მკვლელობა. ყოველ რვა წუთში — ძარცვა, ყოველ ორ წუთში — ავტომობილების ვატაკება და, რაც მთავარია, ყოველ წელაშად უგზოუყვლოდ იყარება ოცდახუთათასი ადამიანი.

რა არის ამის მიზეზი? ვინ არის ამაში დამნაშავე?

აი, რას ამბობს ამის შესახებ კარლ მარქსი: „თუ მისი თავისუფლება მდგომარეობს არა უარყოფით ძალაში — ესა თუ ის იცილობს, არამედ დადებით ძალაში — თავისი ნამდვილი ინდივიდუალობა გამოამქლავნოს, მაშინ ცალკე პიროვნება კი არ უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულის ანტისოციალური წყაროები უნდა მოისპოს... თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, ეს გარემოებანი ადამიანური უნდა გაიზადოთ“.

ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი, უბადლო ბრძენი — სტალინი ამბობს: „საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მათ“.

ტერიალური პირობები იცვლება და შემდეგ ამისდა თანახმად იცვლება ადამიანთა აზროვნებაც, მათი ზნეჩვეულებანი და მსოფლმხედველობა“.

ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობაში არ მივიღოთ ის ბნელი სამყარო, რომელიც სული უღრმით ახალგაზრდა კაცს, რადგან არ შეიძლება სურნელოვანი ყვავილი გაიფურჩქნოს ამშორებულ კაობში.

მე როდესაც ვუყურებ ამ ახალგაზრდა კაცს, თვალწინ მიდგას მისი მამა კოსტა, რომელიც წინათ ჩვენში რეაქციას ემსახურებოდა და რევოლუციამ ისტორიის სახავეზე გადააგდო.

სიბავით სულდამძიმებულ ოთარს ამერიკაშიც კი ბელი არ წყალობს. კოსტა შევილითურთ თურქეთისკენ მიემზურება ძმასთან, რომელსაც ერთდროს სახლკარი გადაუწვა. ღრმად მოხუცებული, ხეიბარი ძმა ყველაფერს იფიწყებს და თავშესაფარს აძლევს მამაშვილს. კოსტას სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა ხედავს ძმის სომღიდრეს, რომლის მეშვეობით თავის თავი და ოთარი მიიჩნია.

მაგრამ აქაც პარიზის ამბავი მეორდება; ირკვევა, რომ ზურაბის კანონიერი შვილი ცოცხალია. კოსტას იმედები უცრუდება. მაგრამ მან დაიწახა ზურაბის ქონების შენარჩუნების შესაძლებლობა და შვილს კაცისკვლა დაავალა. შეეძლო თუ არა ოთარს უარეყო მამის წინადადება? არა, არ შეეძლო, რადგან მისი მორალური ბუნება უკვე დამაინჯებელი იყო, როცა თურქეთში ჩამოვიდა, თურქეთში სადაც მას ისეთი სულიერი სიღატაკე და სიზიშველე დაუხვდა, როგორც თვალუწედიელ უღაბნოშია, სადაც სივრცე დიდია, მაგრამ არსად არის შესასვენებელი ადგილი.

ჯანა გასაყვირია, სიბნელიდან სინათლეში მოხვედრილ ოთარს თვალზე თუ აუჭრელდა და ჩამოსვლისთანავე არ იყვირა, რა შთააგონა მამამისმა. მე ძეგრა ვულწრფელი ჩვევება სამართალში მიცემულის, თუ როგორ დამწროდა ის მთელი ღამე, დაძებნა მელიტონს, რომ წინ აღდგომოდა ბოროტებას. — დამცველმა ოთარს ვადახვდა, მერე სასამართლოს მიუბრუნდა, ჩაახველა და განაგრძო: — რაც შეეხება მელოტონ დარასელიას სიკვდილს, მე

ამაზე დიღხანს არ შეეჩერდები, რადგან დასაბუთებულია, რომ მისი მკვლელობა დევიძე არ არის. მე ერთ სიტყვასაც არ ვიტყვოდი ამაზე, რომ „ხანულომწიფო ბრალდების წარმომადგენელს ამ შემთხვევისათვის ხაზი არ გაესვა და არ ეთქვა, ოთარ დევიძის დანაშაული აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩადენილი მკვლელობა არისო. პროკურორმა ამის შემდეგ, რასაკვირველია, მოითხოვა დევიძის დასჯა ბრალდების სიმძიმის შესაბამისად.

მე არ მოვიტხოვ სამართალში მიცემულის გამართლებას, მე არ ვითხოვ, რომ საბრალმდებლო სკამიდან წამომდგარმა დევიძემ თავი ისე იგრძნოს, როგორც ცამდე მართალმა, მაგრამ მე მინდა, რომ სიბნელიდან სინათლეში გამოსულს მიეცეს შესაძლებლობა გვიჩვენოს უფრო ნათელი გული და დამტკიცოს, რომ დღეს თუ არა, ხვალ შესძლებს საბჭოთა ხალხის რიგებში ჩადგომას.

ასეთ განაჩენს ვითხოვ მე! ასეთ განაჩენს მოველი, როგორც დამცველი და როგორც საბჭოთა მოქალაქე.

სიტყვის დასასრულს მინდა განვაცხადო, რომ მე შესაძლებლად მიიჩნია ჩვენს პირობებში იმ ადამიანს ხსნა, რომელიც ბედის უკუღმართობამ თავის სამშობლოდან გაიტაცა, გააზრდის ვაზზე დააყენა, მაგრამ მისი ადამიანური ღირებულების სრული წარბოცვა ვერ მოასწრო.

მე არსებითად ბრალს ვდებ იმას, ვინც ოთარსა და ოთარისებურ უბრალო ადამიანებს პატიოსანი შრომით არსებობის საშუალება წაართვა.

მე საბრალმდებლო სკამზე ვხედავი კაპიტალისტურ სისტემას, ისტორიულად განწირულ სისტემას, რომელიც როგორც აჯანჯაკი არაფერს ზოგავს თავისი დანაშაულებრივი სიცოცხლის გასაახანგრძლივებლად.

მე ბრალს ვდებ ამერიკის შეერთებულ შტატების მმართველ წრებს, ტრუმენსა და მის დამქაშებს, რომლებმაც ხალხთა ძარცვა და ქლეტა თავიანთი ცხოვრების კანონად აქციეს. მე ბრალს ვდებ იმპერიალიზმის ასთავიან ურჩხულს, რომელიც ცდილობს მზეს გადაეფაროს და დედამიწა წყვლიადმი მოაქციოს.

## თავეთის თავეთი



ბოროტად მწვერივად...

აქ მტკაცელის ოდენა ფანტელი  
აბრისის ბოლომდე ფარფატებს, —  
და ყინვა

ბრტყელ-ბრტყელი ბალთებით  
მთებს უქერს ყინულის არტახებს,

გულფიცობს,  
არ ჰკარგავს მხნეობას  
აეთრ მუხარადიან დევებთან,  
ზვიადი გომეწრის ხეობა  
წინ უდგას აღმასის დერეფნად.

აქედან მთვირიან ღამეში  
სიანს ჯიხეთა სატახტო ქალაქიც;  
თოვლით და  
ხორხოშლით გალესილს  
გარს აკრავს ვარსკვლავთა ვარაყი.

კვირიდან კვირამდე, დროდადრო  
წარბს შეტყრავს  
ერთბამად ბორბალო,  
ხევებში დამწყვდეულ ქარიშხლებს  
დუმილის დარღვევას ანიშნებს, —

და მართლაც ველური ბღაგილით  
რომ შეიძვრებთან სივრცენი,  
ქვა იყო, ქრილი დაგივლის,  
კლდე იყო, ბელტებად იქცევი...

აქ მხოლოდ ნამდვილი სიცოცხლე  
მაისის დასასრულს იწყება,  
როდესაც  
მთის ბეჭებს, მთის ბორცვებს  
ცხვრის ფარა გადუვლის ზვირთებად.

როდესაც ზვავების ნაქურით  
ყელს ჩაიწმენდავენ მწყემსები, —  
და მათი ოცნება ვაჭური  
შირაქში გათლილი ლურწმებით  
ტყბილ ჰანგად მოივლის მთლიანად  
ლაკვარდში აზიდულ იალახს.

თვითველ ქედსა და ქედს შუა  
ორორი ბრიგადა ბინადრობს, —  
და მიდის ცხოვრება მწყემსურად  
სანამდე გომეწრის მიდამო  
არ გადათეთრდება ფქვილისფრად  
სექტემბრის პირველი თრთვილითა.

ბინები,  
დაბალი ბინები,  
სულ სიპი ლოდებით ნაგები;  
ბინებთან აღმასის კბილებით  
ღრინავენ არჯალი ძაღლები.

ზოგ ბინას ფიქალი ახურავს,  
ზოგს კიდევ თოლუსის ფურცლები,  
ზოგზედაც  
მგლის ტყავი გართხმულა  
აქა-იქ დაკრული ლურსმნებით.

კარს ახლო სარძევე კოდები  
გარს შემოზღუდული ლოდებით;  
კოდებზე კიდეებნამცვრევი  
ტანმომცრო საწველი კასრები;

ჩარდაბქვეშ ყელგაგულღულები  
ყველის და  
ყაურმის გულდები...  
ნამდვილი მაგიდის მაგიერად  
ქვის უზარმაზარი მაგიდა,  
ზედ ხისგან გათლილი ჭურჭელი —  
გულანაქუჭრთმევი, გულჭრელი.

რძეს, ერბოს,  
მადლიან კარაქსაც  
აჭყვია თუშური ბარაქა;  
იმატოს!  
აუგი არა თქვან  
სოფლებში, დაბებში, ქალაქად.



ბოძებზე ცირცელის ტოტისფრად  
ელავენ ლულები თოფისა —

და გარეთ, ბალახის ჯაჯიმზე,  
სარქალი დახარის ჭედლებზე  
გინგლირთქვა

### ბომბუჩის ხეობა

მთვარეა დაირის ოდენა,  
ფერთაყ დაირის ფერია;  
სადაა დაირის დამკერელი, —  
კლდეებზე ჩანჩქრები მღერიან.

კარგი ხარ გომეწრის ხეობავე,  
შენ გვაძატებ ძალას და მხნეობას;  
შენ მთელი თუშეთის ფარების  
ხარ საიალადო კარები.

მომწონხარ მთვარიან დამეში  
მომწონხარ ღრუბლიან დამეშიც;  
მომწონხარ, როდესაც წარბს გიკრავს  
აშარი ქარების თარეში;

ან, როცა ბუღბუღის ენაზე  
გიმოერის გათლილი ლერწამი,  
ან, როცა სურნელით გაბრუებს  
შელის მწვადი დეკაზე შემწვარი.

მომწონხარ წვიმების შემდეგაც,  
რომ ალაპლაძები მზის შუქზე;  
ან ცისარტყელების სარკეში,  
რომ გადაიდღეღე ქვის გულმკერდს...

კარგი ხარ გომეწრის ხეობავე,  
შენ გვაძატებ ძალას და მხნეობას;  
კარგი ხარ, მაგრამ სჯობს, იცოდე,  
გისურვებთ ახლებურ სიცოცხლეს.

დღეს შენი ველური მშვენება  
არ გვაკმაყოფილებს სრულებით;  
დღეს შენი ველური ბუნების  
აღარ ვართ მორჩილი მდგმურები.

ჩვენ განა მარტოდენ მწყემსური  
ცხოვრების ტრფიალი გვაღაღებს;

ჩვენ სწავლის დიადი წყურვილით  
ბედს ვანდობთ მშობლიურ ქალაქებს.

თუ სალამურები გვითლია,  
გვაქედებით ლითონის თლამიაც;  
მიწაზე, მიწის ქვეშ, ცაშიაც  
ვგებულობთ ბუნების ზეაშიადს.

ცეცხლს ვამჩნევთ მდინარის უბეში,  
ამოგვყავს დღუღების კაშხალიც;  
ყამირებს ვაბრუნებთ, ღერს იყრის  
დოლის და თავთუხის მარცვალი.

ნეტავი გაჩვენა ალგანი  
თავისი კაშკაშა ქუჩებით,  
იცოდე, უდაოთ იტყოდი  
რალა მე დაგრჩიო უცვლელი.

ხვალ აქაც ამოვლენ თუშები,  
თბილისში ნაწროთბი თუშები;  
თუშური წალკოტის მშენებლებს  
შრომაში მწყემსებიც ვუშველით.

და მაშინ იხილავ თვითონვე  
როგორი სინათლევ იფეთქებს,  
იქნება მთვარესაც შემურდეს  
სათოხლე ფარებთა სითეთრე.

გაჩნდება ელექტრო საწველი  
გაჩნდება ელექტრო საპარსი, —  
და შენი ველური ბუნება  
თავს დამართოვებს ზღაპარში.

თუ მოვა, დაფრთხება ნადირი,  
წავა და  
წიფლოვანს გადივლის;  
შიშით და შიშბილით შეშლილი  
გაქრება წყვდიადში ლანდივით.

### არწივთა შესაფრენი

თოვლდამდნარ მწვერვალზე ანაზღად  
ქაბუკი მხედარი გამოჩნდა,  
ჩაახედა უფსკრულში ალაზნის, —  
და შებლი შეუკრა ნოქმა.

ცხენდაცხენ თავქვეზე სიარულს  
ფენდაფენ არჩია მხედარმა;  
უფრს უგდებს  
შურთხების ყრიამულს,  
შიშით რომ აშლილან ხევეღმა.

მარჯვნიდან ბორბალო უღიმის,  
მარცხნიდან — სპეროზა ოხერი;  
საარყე ქაბებმის დუღილით  
შფოთავენ პირლია ხორხები.

შორს,  
ლეგა ღრუბლების გადასწვრივ  
ქარვისფრად ანათებს კახეთი,  
ხოლო აქ — სათავე ალაზნის  
საცხეა ყინულის ნახეთქით.



დარჩენილ  
თოვლის ქვეშ ჩანჩქრები  
ჯერ კიდევ ბურღავენ გვირაბებს;  
თუ ჩახვალ, იქავე ჩარჩები,  
ვერ გარგებს მუხლების სიმაგრე.

ვიწროა კლდოვანი ბილიკი,  
კლდის ქიმზე უზანგი წყრიალებს;  
ეს რაა! გადახვალ პირიქით,  
ფერს იცვლი ნაღების ძვრიალზე.

წინაა მრისხანე მასარა,  
წინაა წვერბასრი რკინის მთა;  
ძლივს აგნებ ასავალ-დასავალს,  
მიდიხარ,  
ზეცაში ჰკიდიხარ...

გაპყვები პირდაპირ თუშის კვალს?  
შეგხვდება ისეთი ადგილი,  
ქიქასაც  
ვერ დასდგამ უშიშრად,  
თუ დასდგამ, ყირაზე გადივლის.

მზე ფშავის მთებისკენ იჩქარის,  
მხედარი — ალვანის მხრისაკენ;  
კლდეები უხსოვარ ხნისანი  
ლილისფერ გრილოებს ისხამენ.

### იალაღებზე

ეს ფერდობია თუ — ხალიჩა,  
ველური ყვავილით ნაქსოვი?!  
ეს ჩანჩქერია თუ — ქაშანდი,  
მზის შესაჩერებლად ნასროლი?!

ეს იონჯაა თუ — ჯეჯილი,  
მოვლალი გლეხური მარჯვენით?!  
ეს ჩანჩახებია ხევგალმა,  
თუ ქარქაშიანი ხანჯლები?!

ეს ცვარნამია თუ — განძია,  
მადლიან მიწიდან დაძროლი?!  
ეს დალაღდაწული ძეწნაა,  
თუ ნაოცნებარი ქალწული?!

კლდეების ჩარჩოში ჩამტული  
ცაც ისე მიავაგვს იალაღს,  
ცხვრის ფარას  
ფრენა რომ შეეძლოს,  
ზედ მოექცეოდა მთლიანად.

იქ, სადაც ბილიკი შეეუღლა  
შეჭრილა დაკბილულ ქანჩახსუნულს!  
მრავალი ვაქცაცი ძლუღღსუნული  
ვაქცაცი — სიცოცხლით ჯანსაგსე.

ამ ადგილს ოდითვე მგზავრები  
„არწივთა შესაფრენს“ უხმობენ;  
აქ მხოლოდ ბუნების ბრძანებით  
არწივი დაძვარის რუხ ლოდებს.

შეჩერდა ქაბუჯი მგზავრი და, —  
ცხენს ღონის მოკრება აცალა;  
სევეებმა  
თვალი ჰკრეს ვაღმიდან, —  
და ფრენა დაიწყეს ცალ-ცალად.

სევეებო, ამოდ ფარფაშებთ,  
ვერ იცნობთ ინჟინერ ვაგნიძეს.  
აფთარი მოუქლავთ ვაქცაციებს,  
დაბრუნდით,  
ისევ ის დაგლიჯეთ!..

გალმა რომ  
ლალუმის ხმა დატყვრა,  
არ გუსმით? ვის დასცქერთ ამაყად!  
ვაგნიძის ლომებო იბრძვიან, —  
ფრიალო კლდეებზე გზა გაპყავთ!..

ბექდაბექ ყოჩები მოსჩანან,  
რქები აქვთ სამპირად ნაგრები;  
მიდიან მისძოვენ ნორჩ ბალახს,  
ღამითაც არ ახსოვთ ფარები.

ტაფობზე დედაცხვრის ფარაა,  
ბადალი ვერ ჰპოვო ზღაპარში;  
ერბოა იმისი ნაწველი,  
ოქროა იმისი ნაპარსი.

ფერდობი ჰედლიებს უჭირავთ,  
პალოებს მიუგავთ კანკები;  
ტანს მატყლის ბულულში  
მაღავენ,  
არ დაეწყევლებათ გამჩენი..

ბროლქაფა ჩანჩქრების ჩქრიალზე  
წყრიალებს  
ხმატყბილი ლერწამიც, —  
და ნაკადულების სარკეში  
ჩრდილს ეთამაშება მერცხალი..

## სარკვევით-ამბიტატორი



გულფიცები კაცია ზარიძე,  
სიფიცებს შეამჩნევ ნაბიჯზეც...  
სიბერიით დაერდომილ მწყემსებში  
შნოსა და მარიფათს აღვიძებს.

კვირა დღეს  
მოუხმობს ბრიგადებს,  
ვაუბამს  
ათასგვარ საუბარს...

ტრიალებს,  
ტრიალებს გლობუსი,  
აღვანში ნაყიდი გლობუსი;  
მწყემსები  
ლონდონს და ვაშინგტონს  
უცქერენ წარბების მოღუშვით.

ხედავენ ორფეხა ნადირებს —  
შეყრილებს  
სისხლიან ნადიმზე;  
ხედავენ ჰელიდან შეშლილებს —

ტრუმენებს, ბრედლენებს და  
ჩერჩილებს...

ზარიძის საუბარს ყოველთვის  
თვით ფერმის უფროსიც ესწრება.  
მას დღესაც გლობუსის მახლობლად  
აღვილი დაუთმეს მწყემსებმა.

დაბრუნდა ვეება გლობუსი,  
გამოჩნდა პატარა კორეა;  
პატარა კი არი, მაგრამ ეს,  
რამდენი დუშმანი ჰყოლია?!

დგას მუშტარაული ელდარი,  
კლდის ნახეთქს ეყრდნობა მუშტებით;  
ვერ დაუშალნია ხალათშიც  
მას მუშტისოდენა კუნთები!

## მწყემსები დაძრულან ბარისკან

სექტემბრის ბოლოა, სექტემბრის,  
კაცს გული სიამით გვესება...  
მერცხლები ინდოეთს წასულან,  
ბაეშეები დაჰქრიან მერცხლებად.

მწყემსები ბარისკენ დაძრულან,  
საცაა შემოვლენ აღვანში;  
მხარგამლით ჩამოსულ ვაეკაცებს  
აღვანიც დახვდება მხარგამლით.

ეს განა თოვლია მთებისა,  
ცხვრის ფარა ლაპლაგებს ნამცერგვი;  
ეს განა ხმლებია აწვდილი,  
რქემს მოაბრწყინებენ ვაცები.

ეს განა ღრუბელი ტრიალებს,  
კლდეებზე ამტყდარი მტყერია;  
ეს განა ზეავების ხმა ისმის,  
ქაბუკი მწყემსები მღერიანი..

მორები დაჩეხეს მამებმა, —  
იღულონ თანგირა ქვაბებმა.  
შოთები დააცხვეს დედებმა,  
გინდოდეს, დაჰკეცავ ღვიღებად.

ფიცხოზენ რძლები და სარძლონი,  
ლაწივებზე ხანძარი ეღებათ,  
ეზოში, კიბეზე, კიშკართან  
მოსჩანან ფრთავაშლილ მტრედლებად.  
ზოგი რას აკეთებს, ზოგი რას,  
უსაქმოდ არავინ ჩერდება...

ან როგორ გაჩერდნენ, როდესაც  
მწყემსები სამგზავროდ ჩქარობენ.  
თუ ხვალვე თუშეთის ფარები

არ გასცდნენ აღვანის მთაგორებს.  
ვერ მიადგებიან დროულად  
შირაქის საზამთრო საძოვრებს...

ასეა!  
ნამღვილი მეცხვარე  
ვერ დაიხანგრძლივებს ნადიმზე,  
თუ დაიხანგრძლივებს, მაშინვე  
დაამლობს დამშეულ ნადირებს.

მეცხვარე თავისი ცხოვრებით  
მიგაგეს გამოცილლ ჯარისკაცს.  
თუ ფხიზლად არაა ყოველთვის,  
თოვლივით დადნება ჯაგრისგან.



პატარა ძალაში

ძირს მიწა კაშკაშებს, მალღა — ცა,  
ორივე თანაბრად საჭეები;  
საღლაა ის ძველი აღვანი  
თავისი მხრწოლავი ქრატებით?!

ძირს მიწა ზეიმობს, მალღა — ცა,  
ორივე ვარსკვლავებუთვლილი;  
საღლაა ის ძველი სოფელი  
თავისი ღირღიტა გუთნებით?!

საღლაა ის ძველი ქოხები  
ქარებში აცენებად ნარწევი?!  
ქალაქი გგონია ნამდვილი,  
როს ბახტრიონიდან გასცქერი...

სულ სართულმადალი სახლები,  
სახლები ვეება სარკმლებით.

სულ ჩუქურთმიანი კიშკრები  
შეკრული მზისფერი ფიცრებით.

ვის კარებს შეაღებ, — იმწამსვე  
ღიმი არ გესროლოს ბელადმა,  
მის პატივსაცემად პირსავსე  
არ გამოიცალოს ხელადა?!

ქერ-კედლებს შეჰხედავ, არ გჯერა,  
რომ მწყემსის ოჯახში შეხველი.  
გაწვდილი დაგჩება მარჯვენა, —  
სხვასთან თუ მოვხვდით შემთხვევით...

და, როცა სტალინის ტომებთან  
თვალს მოჰკრავ საამურ საღამურს,  
— ახლა კი მივხვდით სადაც ვარ, —  
შენ ეტყვი შენსავე ალალ გულს...



## დავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის ვაჟი

# გვირთა სისხლით\*



### XIV

სწორედ იმ ხანებში ჩვენი ნაწილი სოფელ პეჩენგოსტში გადავიდა. გოროხოვიდან რომ დაებრუნდი, ვერძი-გორამ ამ სოფელში მიხმო.

სოფლის განაპირა უბანს შუალამისას მივალწიეთ. პეჩენგოსტი მყუდროებას მოეცვა ღამის წყვილიადში შორიდან ლახდებივით ჩანდნეს თოვლის თეთრ ფონზე მწკრივად განლაგებული ქოხები.

სოფელში წინასწარ მზვერავები შევგზავნი, ჩვენივის გამოყოფილი ბინები მოვიყიბხეთ.

მზვერავები მალე უკან დაბრუნდნენ და გადმომცეს, რომ ჩვენივის სოფლის განაპირა სახლები გამოეყოთ.

დალილ-დაქანცული მებრძოლები სახლებისაკენ გარბოდნენ. მებრძოლების დაბინავება იოსებ ტოუტს დაევა-ლუ. ყველა პარტიზანი იჩქაროდა. პირველ რიგში თავისი ცხენი დაებინავე-ბინა ობილ სადგომში. ოთახში გარკვევით ისმოდა ცხენების ვაბმული ჭიხვიბი, მალე ეს ხმაურიც მიწყნარდა.

მას შემდეგ, რაც ბანაკი დაეტოვეთ და გოროხოვის ასაღებად გავემართეთ, ერთი დარდი ჩამყვა და მოსვენებას არ მაძლევდა: ჩემი ასეულის მძიმედ დაჭრილი მებრძოლების ბედი მაწუხებდა. გოროხოვში წასვლამდე მათ თავზე დაეტრიალებდი, მზრუნველობას არ ვაკლებდი. გოროხოვში გამგზავრების წინ უკანასკნელად ვინახულე დაჭრილები, გაეაშხნევე ისინი, ექიმებს და მოსამსახურე ქალებს ვთხოვე გულისყურით და შობბლიური მზრუნველობით მოელოთ მათთვის.

როცა დაჭრილებმა გაიგეს, რომ გოროხოვში მივდიოდი და მძიმე ბრძოლა მომელოდა — გამარჯვება მისურვეს.

პეჩენგოსტში მისვლისთანავე პირველ რიგში ავადმყოფების სახანავად გავეშურე. ბინის კარებს წყნარად მივუქაკუნე. მომვლელმა ქალმა გამილოკარი. უძილობით მიბნედილ თვალებს ორივე ხელების თითებით ისრესდა.

— ოი, დავით ილიას-ძევე, საიდან გაჩნდი?

მძიმედ დაჭრილმა მეტყვიამფრქვევე კავილინმა ამ ქალის სიტყვები, რომ გაიგონა, წამოიძახა: დავით ილიას-ძე მოსულა!

სწრაფად გავჩნდი კავილინთან, მივეალურსე, შუბლზე. ხელი გადავუსვი, მაჯა გავუსინჯე. გოროხოვიდან წამოღებული შოკოლადი და ნამცხვარი სკამზე დავალაგე. ავადმყოფის ჯანმრთელობა ეკითხე.

— ცუდად ვიყავი, დავით ილიას-ძევე, ძალიან ცუდად. არავის ეგონა, თუ გადავჩრებოდი. ორი დღეა, რაც უკეთობა დამეტყო.

— მეც ასე გამჩნევე, ახლა ბევრად უკეთ გამოიყურები, ვინემ წასვლის წინ დაეტოვე. — ვუთხარი მას.

— ექიმები იმედს გამოთქვამდნენ, მალე დადგება ამხანაგი კავილინი ფეხზეო. — დაურთო სიტყვა მომვლელმა ქალმა.

ვინახულე სხვა ავადმყოფებიც, მაგრამ დრო ცოტა მქონდა და დიდხანს აღარ დაერჩინაღვარ მათთან იოსებ ტოუტთან ერთად შტაბისაკენ გავეშურე, შტაბის კარებთან გულში იდგა: ვკითხე—ვერწიგორა შტაბშია თუ არამეთქი. დასტური მომცა. შტაბში შევედი და პეტროს მივესალმე. ის ღიმილით მომეგება, გრძელი წვერები თითებით ჩაივარცხნა და ტკბილად შემეკითხა:

— მამ დაასწარით ნაუშოვის შენაერთს, გოროხოვის აღება? ჩინებული საქმეა!

\* გაგრძელება. იხ. „მნახობი“ № 3

დაწერილებით გავაცანი პეტროს გოროხოვის ბრძოლის ამბები, ველაბარა კე პარტიზან გოგიაშვილის გმირობაზე, ქვერშიგორამ ყურადღებით გადაიკითხა ქალაქის გადაბარება-მიღების აქტი და დასძინა:

— საბჭოთა არმიის წარმომადგენლები უთუოდ მოხარული დარჩებოდნენ, როცა თქვენი ქალაქში დაუხვდით! პეტრომ განმეორებდა: ჩვენ რამდენიმე დღეს დავრჩებით პეჩენგოსტში, დაველოდებით სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილი მშვერავების დაბრუნებას, კულბაკაც წასულია თავისი ბატალიონით და მასაც უნდა დაეუცადოთ.

ის იყო შტაბიდან გამოვლი, როცა გზაში ექიმ ციმერს შევხვდი. შეხვედრისთანავე მომამბა:

— დავით ილიას-ძე! ავადმყოფებთან ყოფილხართ, მითხრეს, ძალიან გახარებულნი არიან დაქირებები, რომ არ იფიწყებ შათ.

ციმერმა მიაბო, თუ რა ვაჭირვება გადაიტანეს ავადმყოფებმა, როდესაც ისინი პეჩენგოსტში მარხილებით გადასაწყვედათ.

— დიდი ქარბუქი იდგა, არამც თუ ავადმყოფებს, ჯანმრთელებსაც სული გვეხუთებოდა, ცხვირ-პირში გვაყრიდა ქარი შიშისა და მოხვეტილ თოვლს. საით ჰქონდათ მარხილებზე მწოლიარებს თავი და საით ფეხები, ვერ გამოიცნობდით. საბნებში გახვეული მოგვეყვავდა ავადმყოფები. დაქირებების ადგილიდან ადგილზე გადასაყვანად მარხილი საუკეთესო საშუალებაა, არც ერთი ავადმყოფის მდგომარეობა არ გართულებულა, უვნებლად მოვიყვანეთ ყველა პეჩენგოსტში.

კავილინის ჯანმრთელობაზე ცკითხ ციქერს.

— კავილინი შედარებით უკეთაა, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერს იტყვის კაცი, ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ისევ სერიოზულია. ჩვენს პირობებში რთული ოპერაციის გაკეთება არ ხერხდება, ავადმყოფების თვითმფრინავით დიდშიწაზე გადაგზავნას ამ ქმად ვერ ვახერხებთ. კავილინი მაგარი ორგანიზმის პატრონია, აი ამან შეიძლება გადაარჩინოს.

— აბა ეცადე, არაფერი დაზოგო ოღონდ კავილინს უშველე რამე. გახსოვს რას გვეუბნებოდა რუდნევი — მისი ყურადღების ცენტრში მუდამ

დაქირილი მებრძოლები იყვნენ, უკუთხარი ექიმს.

ციმერმა რუდნევის სახელს *როსმ* გაიგონა, მისი ცხოვრება *გაიხსენებენ*.

ეს როდი იყო შემთხვევითი. ამ ძვირფას ადამიანის სახელს კოვპაქის შენაერთში ყველა უღრმესი სიყვარულით წარმოსთქვამდა.

როგორ და რა პირობებში დაიღუპა რუდნევი, ეს საბოლოოდ და ზუსტად ჩვენ მხოლოდ ომის შემდეგ გაიგეთ.

1948 წლის ივნისში პეტრო ვერშიგორა თბილისს ეწვია. გულთბილად შევხვდი. გავიხსენეთ ერთად გადახდილი ბრძოლები, მოვიგონეთ რუდნევიც, იმის გარდა, რაც მე ვიცოდი რუდნევეზე, პეტრომ ფრიად საყურადღებო ახალი ცნობა მომამოლა.

ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, — თქვა მან, — უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ, სიმონ ვასილის-ძე რუდნევის დაღუპვის ისტორიის შემსწავლელი კომისია გამოწყო. ამ კომისიაში მეც შევიღიდი. კომისია გაემგზავრა რუდნევის დაღუპვის ადგილზე — ქალაქ დელიატინსა და მის მახლობელ სოფლებში — ოსლავა ჩორნოში და ზარევიჩში. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ ივანე ივანეს-ძე სლინკო, იაკობ გრიგორის-ძე პანინი, გრიგოლ იაკობის-ძე ბაზიმა, და კიდევ სხვებიც. საქმეს ენერგიულად შევუდექით. სოფელ ოსლავაშიათის გლეხებმა ასეთი ცნობა მოგვაწოდეს: დელიატინის ბრძოლების დროს ის იყო დატოვეს პარტიზანებმა ჩვენი სოფელი, ყოველი კუთხიდან გერმანელები კალიასავით შემოგვესიენ. მტრის ჯარით და ტანკებით გაივსო აქურობა, ტყვა არ იყო ქუჩებში. მიცვალებულების საჩქაროდ აკრეფა და დაბარება გვიბრძანეს. გვემბი ავკრიბეთ და დეგმარხეთ. ირგველვი დაქირილების ვულშემზარავი ცენესა ისმოდა. გერმანელებმა შათი დაკითხვა დაიწყეს. როცა დამამყავილუბელი პასუხი და საჭირო ცნობები ვერ მიიღეს, შეუბრალებლად აყუწეს ის ვერ მიიღეს, შეუბრალებლად აყუწეს ის ხიშტებზე ააგეს საბარალნი. დაღუპულ მებრძოლთა დამარხვის დროს ჩვენი ყურადღება ერთმა შავულვაშებიანმა მიცვალებულმა მიიქცია: სოფლის განაბირა მალაობზე ესუნა, სამხრეები ეკეთა. გულმკერდი ორდენ-მედლებით ჰქონდა

დამშენებული. დიოგანოსის შარვალი ეცვა, სამხედრო ფორმის ქუდი თავთან ახლო ეგდო. მარჯვენა ხელში „ტეტეს“ სისტემის რევოლვერი ლულით საფეთქელზე მიბჯენილი ეჭირა, ჩანდა მას თავი მოეკლა იმ რევოლვერით, დაწვი და კისერი სისხლით ჰქონდა გათხზესულა. მიცვალებული დაღუპვის ადგილას დავსაფლავეთ.

გლუხებმა ისიც გვეთხრეს, რომ იმ მიცვალებულის მახლობლად რამდენიმე მებრძოლი ენახეთ განგმირულიო. ალბათ ეს პარტიზანები მთავარი დაზვერვებიდან იყვნენ, კომისარს ახლდნენ და მას იცავდნენ. გლუხებს ვთხოვეთ ეჩვენებინათ ჩვენთვის შეფულვაშებიანის და სხვა მებრძოლების საფლავები. გვაჩვენეს. როდესაც მიწა გავთხარეთ, რუდნევის შავი უღვაშები უცვლელად ენახილეთ, დიოგანოსის მწვანე შარვალიც კარგად შენახულიყო, ყვრიმალს შევით თავის ქალა ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი. ტყვიის გატარება ესინჯეთ ნატყვიარში. როგორც ჩარჩოში მინა, ისე ზუსტად მოექცა გახვრეტილ ძვალში „ტეტეს“ ტყვია. ამჟამა იყო, რომ სასიკვდილოდ დაკრილმა რუდნევემა თავი მოიკლა, მტერს ცოცხალი არ დანებდა. გლუხებმა სხვა პარტიზანების საფლავებიც გვაჩვენეს. სულ სამოცდათორმეტი გვაძი დაფთვალეთ.

მკითხველს ასოვს რუდნევის ვაჟი — პატარა რადიკი. ის დაიჭრა სოფელ სლობოდაკას ახლოს (გვაზდევკოს რაიონი, სტანისლავის ოლქი). სოფელ სლობოდაკის მცხოვრებმა გლუხმა ალექსი იაკობისძე კიფიაკმა ზურგით წაიყვანა დაკრილი ბავშვი თავის სახლში. არალეგალური კომკავშირული ჯგუფის წევრი გინა ნიკიფორენკო დადიოდა ქალაქ სტანისლავში და მოჰქონდა ბავშვისათვის წამლები, მაგრამ საბრალეს ვერ უშველეს, ის გარდაიცვალა. პარტიოტმა კიფიაკმა ბავშვი თავის ეზოში დაასაფლავა.

რადიკის ნეშტიც გადმოვასვენეთ სოფლიდან და მამა-შვილი, სამოცდათორმეტ პარტიზანის გვაძთან ერთად რაიონის ცენტრში, კურორტ ერემჩაში, თვალსაჩინო ადგილას, დავმარხეთ. ქველთან სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა, მიტინგზე მრავალი ორატორი გამოვიდა. ყველანი ხაზგასმით აღნიშ-

ნავდნენ სამშობლოს წინაშე სამოცდათორმეტი პარტიზანის ქრძენ დასახსურებას.

— ყველაზე უძვირფასესი, რაც კი ადამიანს გააჩნია, საკუთარი სიცოცხლე, გაიღეს ამ გამორებმა სამშობლოს დასახსნელად — ამბობდნენ ისინი, — მათი სისხლით მოაწყულა დელიატივის და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მიწოდო-ველები. ქება და დიდება ჩვენი ქვეყნის დამცველებს, მამაც პატრიოტებს, მადლიერი ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაიფიქვებს თქვენს თავდადებას სამშობლოს წინაშე!.

სოფელ ზარევიჩის გლუხებმაც მოგეაწოდეს დელიატივის ბრძოლებზე ზოგი ცნობები, — მითხრა ვერსიგორამ. — გლუხებმა გვიამბეს, რომ როდესაც დელიატივის და მის მახლობელ სოფლებში პარტიზანებს და გერმანელებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, მათ სოფელში ტანკით შეიჭრა გენერლის ფორმაში გამოწყობილი ვიღაც გერმანელი. ის სოფლის განაპირა მარდ-ეკლიან ქაობში ველურ ტახივით შევარდა და მიიმალა.

— ხმა არ გაიღოთ, არ თქვათ, რომ აქ ტანკი დგას, თორემ კატასავით ჩამოგახრჩობთო, — დამუქრებოდნენ გლუხებს გერმანელები.

— გვიდნენ თუ არა ჩვენი სოფლიდან პარტიზანები, იმ წუთშივე გერმანელებმა იწყეს ქაობში დამაიოლო გენერალის ძებნა. ცისფერ მამხალეებს ისროდნენ, მამებარებმა მიაკვლიეს ის და დიდის ვი-ვაგლობით ჯაჭვებით ამოათრიეს ქაობში ჩაფლული ტანკი.

როდესაც გენერალი ტანკიდან გამოძერა, მის წინაშე ლარისძაფივით გაქიმული ოფიცრები და ჯარისკაცები თრთოდნენ, ხელჩამოუღებლად ესაუბრებოდნენო, სიტყვებს გლუხებმა მათმა განმარტებამ ჩვენთვის სარწმუნო გახადა, რომ ის გინერალი უთუოდ ადგილობრივად მოქმედ დივიზიის უფროსი კრინგერი იქნებოდა, სწორედ ის აფთარი კრინგერი, რომელმაც სასტიკად შეგვაფიქროვა პარტიზანები კარპატების მთებში.

დელიატივზე პარტიზანების თავდასხმის ღამეს უდარდელად ეძინა ალბათ ბატონ გენერალს. პარტიზანებმა დაარღვიეს მისი სულიერი მყუდროება, ში-



მის ცხოველური ინსტიქტით შეპყრობილმა კრინგერმა ჰაობში თავის შეფარება მაინც მოასწრო, — დასძინა ვერ-მიგორამ.

XV

პეჩეხვოსტში რამდენიმე დღე დავრჩით. ახლო მიდაპოებში მტერი ერთხელ არ გამოჩენილა, კახტი-კუნტად აღწევდა ჩვენამდე მძიმე არტილერიის ხმა. ჩვენები ერეკებოდნენ გერმანელებს.

ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა, დღე და ღამე განუწყვეტლად თოვდა, სოფლის ვიწრო გზები გაუვლი ვახდა, თიანჭვის ჩაკეტილი ვიყავით პეჩეხვოსტში. ადგილობრივმა გლეხებმა, როგორც ყველგან, ჩვენდამი დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს: დიასახლისები უხვად გვაწვდიდნენ კარტოფილს, პურს, რძეს და ყველს. სამაგიეროდ პარტიზანები მოკოლადასა და სამრეწველო საქონელს ვაძლევდით მოსახლეობას.

მალე მზვერავეებიც გამოჩნდნენ, კულბაკაც დაბრუნდა. მზვერავეების ცნობით საბჭოთა არმია შესვენებას აწყობდა, ზურგის ნაწილებს ელოდებოდა.

კულბაკამ თან მოიყვანა ტყვეობიდან თავდაღწეული და სოფლად თავშეფარებული საბჭოთა მებრძოლები. მათ შორის ერთი ქართველიც იყო.

— სადაური ხარ, ამხანაგო? — ვეკითხები ქართველ მეომარს.

— საგარეჯოდან ვახლავარ, ამხანაგო მეთაურო, ვანო ტობეშაშვილი ვარ!

— მერე, აქ როგორ მოხვდი?

— ქალაქ ლიბავაში, 1941 წელს მძიმედ დავიჭერი და ტყვედ ჩავევარდი. რიგის საკონცენტრაციო ბანაკში მომათესეს. იქიდან გამოვიპარე, მაგრამ გზაში დამიჭირეს და დაბადების დღე მაწყველინეს. უკან გამაბრუნეს და შვიდი დღე-ღამე უტემელ-უსძელი ვიჯექი კარცერში. შუადღეზე ერთ ჭიქა წყალს შემომიღებდნენ, ჩემი სადილ-ვანშიმიც ის ერთი ჭიქა წყალი იყო. გერმანელებს სამუშაოზე გავყავდით ტყვეები, შეშას ვამხადებდით. მეორეჯერ შევიძელი გამოპარვა. იმ დღიდან ვაღწევიტე მტერს ცოცხალი არ ჩავარდნოდი ხელში. პოლონეთის ტყვებ-

ში პოლონელი პარტიზანები აფორმდნენ თავს. მალე მათს პარტიზანულ რაზმს დაეუკავშირდი და შეეუერთდი. რაზმის უფროსი ახალგაზრდა კაციო, საბჭოთა ჯარის მეთაური. ეს რაზმი ლიპსკისა და იანოვის ტყვეებში მოქმედებდა. რაზმის უფროსის ნდობა და ყურადღება დავიმსახურე. სერიოზული დავალებების შესრულებაც მიხდებოდა. მზვერავთა ჯგუფთან ერთად, დაზვერვაზე გამგზავნეს, უნდა დამეთვალიერებინა მდინარე ბუგის მარჯვენა ნაპირი. ჩვენ უკან გამობრუნება ველარ მოვახერხეთ, ვინაიდან მტრის მრავალრიცხოვანმა ჯარმა დაიკავა მდინარეზე ყველა გადასასვლელი, იძულებული შევიქვეითი ადგილზე დავრჩენილიყავით. ამ დროს სოფლიად მოულოდნელად თქვენი ნაწილის მზვერავეებს წავაწყვდით და მათ გამოვყვეით.

— ჯანმრთელობა თუ გიწყობს ხელს? — შევეკითხე ტობეშაშვილს.

— კრილობამ ძალიან შემიფრთხა, თქოში ვარ დაჭრილი, მაგრამ როდი ვეპუები, არაფრად ვაგდებ!

ტობეშაშვილი მეორე ბატალიონში ათეულის უფროსად ჩაირიცხა. შემდეგში მან მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ის თავში მძიმედ დაიჭრა და დიდმიწაზე საავადმყოფოში გავაგზავნეთ.

— მტერი პეჩეხვოსტისაკენ ნელ-ნელა, გამლელი ფრონტით მოიწევს, როგორც ჩანს, ვანზარახვა აქვს ჩვენი ნაწილის რკალში მომწყველევო, — გვაცნობეს მზვერავეებმა. სხვა გამოსავალი არ იყო, პეჩეხვოსტზე ხელი უნდა აგველო, ახალი თავშესაფარი უნდა მოგვეძებნა. ასეც მოვიქვეითი, დავტოვეთ პეჩეხვოსტი და სამხრეთდასავლეთისაკენ ვადავინაცვლეთ. ღრმა თოვლის გამო შორს ვერ შევძელით წასვლა და სოფელ იასტრებოვში დაგბანაკდით.

იასტრებოვშიაც არ დაგვცალდა დიდხანს ყოფნა. მტერმა მიიღწია პეჩეხვოსტამდე, ახლა ჩვენ მის ზურგში მოვექვეითი. გერმანელებმა უკვე გაიგეს იასტრებოვში ჩვენი ყოფნა. ფრონტის მხრიდან ამავე დროს მათ საბჭოთა არმია უტედა. ამიტომ გერმანელებმა გადაწყვიტეს, რა ფასადაც არ უნდა დაჯლომოდით, მდინარე ბუგამდე მივერეკეთ და წყალში გადავიჩვენეთ. მტრის ეს განზარახვა ჩვენ სულ ადვი-

ლად გამოვიცანით. გერმანელები გარს შემოგვერტყნენ და გახსნილი გზა მხოლოდ მდინარე ბუფისაკენ დასტოვეს. სხვა არჩევანი არ იყო: ან მდინარისათვის უნდა მიგვეცა თავი, ან აღმოსავლეთისაკენ გავვერდოთ მტრის რკალი.

მდინარე ბუფი პოლონეთისა და უკრაინა-ბელორუსიის საზღვარია. მისი სამხრეთ-დასავლეთით პოლონეთია, აღმოსავლეთით, მარცხენა მხარეზე—უკრაინა - ბელორუსია. პარტიზანული ბრძოლების ტრადიციის მიხედვით, ჩვენ უფლება არ გვქონდა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადავსულიყავით და იქ მოქმედება დაგვეწყო. ეს გერმანელებმა კარგად იცოდნენ, და ამიტომაც ზუსტად გაიანგარიშეს: მივრეკავთ თუ არა პარტიზანებს ბუფამდე, შემდეგ წყალში გადაცვენის მეტი აბა რა დარჩებათ! მაგრამ მტერი მოტყუვდა.

ჩვენ ბუფზე გადასვლა გადაწყვიტეთ და ამიტომ მდინარეს მიმართულებით გაბედულად წავედით. ვერშიგორას ბრძანებით მდინარეზე გადასვლის დროს ყველას უნდა აეღო იარაღი ხელში და მტრისაგან თავი დაეცვა. ბრძანება ყველამ პირნათლად შეასრულა, დაჭრილებმაც-კი, ვისაც შეეძლო იარაღის მოხმარა, გამოიღეს ბალიშის ქვევლიდან იარაღი და მთლიანი შემადგენლობით მტერს ევეკეთათ. ჩქარა მდინარესაც მივალწვიეთ. ბუფზე ხიდი სრულ წესრიგში აღმოჩნდა, ამიტომაც ხიდზე გადასვლა ვამჯობინეთ, და რაკი-ლა მტერს გამოსავალი არ იყო—პოლონეთის ტერიტორიაზე გადავედით.

ასე მოტყუვდა მტერი, მას არ ეგონა, თუ ჩვენი პოლონეთში გადასვლას გავბედავდით. როგორც ზევით მოვიხსენიე, მტერს მდინარე ბუფში ჩვენი ჩახრჩობა ჰქონდა განზრახული.

ის-კი უნდა აღინიშნოს, რომ ხიდზე გადასვლაც იოლი საქმე როდი იყო. მტერს ხიდზე მაგარი დაცვა მოეწყო, ასეულს და კავესკადრონს მტრისთვის ვერშიგორას განკარგულებით ჩემი ფრონტიდან უნდა შეეტრიათ. სხვა დანარჩენებს ფლანგებიდან უნდა დაერთყათ. ასეთი გეგმით გათვალისწინებული ოპერაცია მარჯვედ ჩატარდა.

როდესაც ხიდის ასაღებად შეტყევიით მივდიოდით, გვერდით ხელის ტყვიამფრქვევით განთქმული ციმბირელი

მებრძოლი იაშჩენოვი მოგვეკრძობა. ჩემს ბრძანებაზე — „წინ!“ — იაშჩენოვი უშიშრად მიიწეოდა. ამ დროს მას უკმაბარის ნაფლეთი შოხუნა თავში. მძიმედ დაჭრილმა იაშჩენოვმა, ინერციის ძალით, მეტრნახევარი მანძილი გაიბრინა და ძირს დაეცა. შეჩერების დრო არ იყო, წინსვლა განვაგრძეთ.

უკვე პოლონეთის ტერიტორიაზე ვართ. მტერი უკან ჩამოგვრჩა, ცოტა უხერხულობას ვგრძნობთ, არ ვიცით, თუ როგორ შეხვდებიან ჩვენს სტუმრობას პოლონელები!

პოლონეთის მშრომელები, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად შეგვხვდნენ. მათ ხომ ჰქირის დღესავით სძაგდათ გერმანელები. ამ დამპყრობლებს პოლონელები ისეთივე თვალთ უცქეროდნენ, როგორც ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მცხოვრებნი.

პოლონეთის ტერიტორიაზე პარტიზანული რაზმები ვერ იყო კარგად ორგანიზებული და თან ცოტანი იყვნენ. გერმანელებს აქ თავი ქულში ჰქონდათ და ხალხში ურცხვად ღალატებდნენ—რუსეთმა ომი წააგოა. სოფელ-ქალაქებში უშიშრად მოკალათებულ დამპყრობლებს ღამის ძილი დაუფრთხოველი ჰქონდათ, განცხრომაში იყვნენ და უდარდელ ცხოვრებას ეწეოდნენ.

პოლონეთში მისვლის პირველი დამე პარტიზანებმა ტყეში გავათიეთ. სახელდათლოდ დაგვზავნეთ ყველა მიმართულებით მზევრავები, ვჩქარობდით მოსახლეობის სულსკვეთების გაგებას და შესწავლას. ვიცოდით გერმანელები არ დაერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, რათა ახალი სისხლიანი პროვოკაციები მოეწყოთ.

როცა მზევრავები დაბრუნდნენ, ჩვენ შევიტყვეთ, რომ მტერს უკვე მოესწრო საზიზღარი პროვოკაციების გავრცელება. გერმანელებმა თურმე ჩვენი შარყებით აავსეს სოფელ-ქალაქი, მოსახლეობას ეუბნებოდნენ—პარტიზანები ცეცხლითა და მახვილით მოდიანო. მაგრამ პოლონელი მშრომელები მტერმა ვერ მოატყუა. მაინც საჭირო იყო სათანადო ზომები მიგვეღო, გაგვეფანტა ის კორები, ბინძური ცილისწამებანი, რომლებიც მტერმა გააერთყელა. საჭირო იყო ხალხთან დროულად მისვლა და ბურუსის გაფანტვა.

მალე ტყე დაეტოვებ და სოფლებში წასასვლელად მოვემზადეთო.

უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე ბუგთან ბრძოლის შემდეგ დაჭრილთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ორ მსუბუქად დაჭრილ მებრძოლს თავშებურუნებულად ვათავსებდით ერთ მარხილზე, დაჭრილთა კოლონა ვაიზარდა. ეს კოლონა რამდენიმე კილომეტრზე იყო გამოილი, ეს კი ჩვენ სწრაფ მოძრაობას ხელს უშლიდა.

ბუგის მახლობლად კამენკა-კრისტინოპოლის რკინიგზა და ელკოვკოსტის შარაგზა მდებარეობდა. პირველ რიგში საჭირო იყო ამ ორი ობიექტის გადალახვა. აქ ჩვენ მტრის სასტიკ წინააღმდეგობას წაეაწყდით, ძალიან გავმაგრებინათ გერმანელებს ეს გზები. ჩვენმა შენაერთმა ორივე უკან გაწმინდა. ამხანაგ ტოკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში მისი ხელმძღვანელობით მესამე ბატალიონმა ისახელა თავი. დამფრთხალ თხის ჯოგით გარბოდა დამარცხებული მტერი, ტოვებდა იარაღს, სურსათს, ყველაფერს, რაც კი გაჩნდა.

სულ მალე კვლავ წინ წაიწიეთ, რკინიგზის ახალი ხაზი — იაროსლავრავარუსას ხაზი გადავლახეთ და სოფელ ბრუნსო-სტარში მივედით. აქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გერმანელები ვაფრთხილდნენ ავიატორებს აწარმოებდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ აქაც გაფანტეთ მტრის მიერ შეთითხნილი ბინძური კორები. ნელ-ნელა გავებით მოსახლეობასთან კავშირი, პარტიზანების გულწრფელმა და პატიოსნურმა მოქმედებამ აქაც ჩქარა გაფანტა გუფგებრობის ბურუსი. პროპაგანდისტებად პოლონური ენის მცოდნე პარტიზანები გამოიყენეთ. პოლონური ენის კარგად მცოდნე მეტყვიამფრქვევემ შჩერბატმა და სხვა ამხანაგებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. პოლონელ ხალხთან უკვე გამოვანახეთ საერთო ენა.

მალე ჩვენი მისვლის ამბავი მთელ პოლონეთში გაიგეს. როგორც რადიო ტალღა, ისე გადადიოდა ერთი რაიონიდან მეორეში ცნობები ჩვენს შესახებ. აწრიალდნენ გერმანელები, შემფოთდნენ დაბა-ქალაქებში დაბანაკებული მტრის გარნიზონები.

ჩვენი პარტიზანული შენაერთი რეგულარული ჯარის შთაბეჭდილებას

ტოვებდა. ხალხში ასეთი ხმა დადიოდა: „პოლონეთში ამ ეამად მოსულთა პარტიზანების უძლეველი ფრთხილ მოქმედებით, მტრის მდინარე დნეპრთან დადგენილი, შეუსვენებლად მოერეება, გერმანელების დღეები დათვლილიაო“.

ამ დროიდან პოლონეთში მყოფ გერმანელებს ძილი დაუფრთხათ, მათ მოსვენება დაკარგეს — ყოველი ერთხეში პარტიზანი ელანდობდათ.

ბრუნსო-სტარიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს დაბა ჩესანუვია. მშვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ ჩესანუვიაში პოლონელი პოლიციელები ბატონობენო. ჩესანუვია განსაკუთრებული ეკონომიურ-სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი იყო.

ჩესანუვიას აღება და გზის გაწმინდა შენაერთის შტაბმა მე დამაველა, თოფის გაუსროლელოდ უნდა აგველო ეს დაბა. ამ დაბის აღების შემდეგ განზრახული იყო მტრის მეორე ძლიერი გარნიზონის განადგურება. ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა მეოთხე და მეხუთე ასულეები. წინასწარ მშვერავები გავგზავნე დაბის თავდაცვის დეტალურად შესწავლის მიზნით, შემდეგ მოვეთათბირე ათეულებისა და ოცეულების მეთაურებს, ყველა მებრძოლსა და მეთაურს უნდა გადაეცვა სანიღბო ხალათები. სათანადო თადარიგანობის შემდეგ გზას გავუდგეით. ორი-სამი კილომეტრი გავიარეთ და მშვერავებიც შემოგვხვდნენ.

— ჩესანუვია გუშაგებით გარს შემორტყმულია, დაბის მისადგომებთან სიცივისაგან გათოშილი მცველები მიმოდინაო. — გვითხრეს მშვერავებმა.

ჩვენ წინ გავეჩეთ, რათა დაბისათვის ალყა შემოგვეტყვა. გუშაგები მალე რკალში მოვიტყიეთ. აქ მოულოდნელი ამბავი მოხდა: თითქოს წინასწარ მოლაპარაკებულები იყვნენო, როგორც კი გაიგონეს ძაბილი „ხელები ზევით“, ყველა გუშაგი წინააღმდეგობის გაუწევლად დაგვემორჩილდა.

— იცი, ვინ ვართ? — ჰკითხეს ჩვენმა ბიჭებმა გუშაგებს.

- დაახლოებით ვიციო.
- აბა, გვითხარით, თუ იციო.
- თქვენ რუსი პარტიზანები ხართ.
- საიდან იციო, რომ ეს ასეა?

— ბავშვებმაც კი გაიგეს, რომ პოლონეთში თქვენი არმია მოვიდა.

— თქვენ პოლიციელები ხართ?

— დიახ!

— ვინ დაგავალათ ჩესანუვიას დაცვა?

— უფროსებმა გვიბრძანეს.

— სად არიან ახლა თქვენი უფროსები?

— აგერ იმ შენობაში, — გუშაგმა ხელი გაიშვირა მახლობელი ქვის სამსართულიანი შენობისაკენ.

— რატომ წინააღმდეგობა არ გაგვიწიეთ, რატომ დაგვემორჩილდით ასე უეცრად?

— ნაბრძანები გვაქვს ასე.

— ამ პასუხმა, ცოტა არ იყოს, განგვაცვივრა.

პარტიზანების თანხლებით პოლიციელებს სადგომისაკენ გავეშურე. თან გუშაგებიც შემოგვიერთდნენ და გამოგვეყვინნ თავიანთ უფროსებთან.

— აი, ეს არის შტაბის ბინა, — მეუბნება გუშაგი. მეუღდაზნოეს ყრუ სადგომს ჰგავდა მათი შტაბი. ახლო-მახლოსულიერი არავეინ ჰქაანებდა, სინათლეც ჩაექროთ. კარების ვაღებმა ვცადეთ, ჩაკეტილი აღმოჩნდა. „აქი აქ არის ჩვენი შტაბი“ — მივმართე გუშაგს.

— დიახ, აქ არის. უფროსები შიგნებშიან უთუოდ.

გუშაგმა ბინაში ჩაკეტილებს დაუძახა — კარები გააღეთო. ხმა არავეინ გასცა, მან კვლავ დაუძახა. დაბოლოს გამოეხმაურნენ, ელექტრონის შუქი აანთეს და კარიც გაიღო.

ჩვენი წინ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შუა ასაკის ქერა პოლონელი იდგა. მალე მეზობელი ოთახებიდან სხვა პოლიციელებიც გამოძერწნენ. ვინაც ქუდი ეხურათ, ხელი აგვიდეს, დანარჩენებმა მორიდებული საღამი მოგვეცეს და ქერა პოლიციელის მახლობლად დადგნენ.

— იცით თუ არა თქვენ, რომ პოლონეთში პარტიზანები მოვიდნენ, — მივმართე პოლიციელებს.

— ვიცით, უკვე გავიგეთ, რომ რუსეთიდან მოსულმა პარტიზანების დიდმა არმიამ გადმოლახა მდინარე ბუგი და წინ მოიწიეს. ამბობენ აქ, ახლომახლოც არიან სხვა პარტიზანებიო, თუმცა დაბაში ისინი ჩვენ ჯერ არ გვიანახავს...

პარტიზანების ხსენებაზე ჩემმა ბიჭებმა ყურები ცქციტეს და ერთი-მეორეს წასაჩურჩულეს: „ხედავს, ნაქვს ყოფილან პარტიზანებიო“.

— შორს არიამ ამ ქამად ადგილობრივი პარტიზანები? — ეკითხები პოლიციელებს.

— რამდენად ჩვენ ვიცით, არც ისე შორს უნდა იყვნენ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ დაემორჩილნით გერმანელებს, უღალატეთ თქვენს ზალსს?

პოლიციელებმა, თითქოს ენა დაებათო, ერთხანს ხმა ვერ ამოიღეს, მერე ისევ ქერამ წაილულულა:

— რა ვქნათ, ჩვენ გერმანელები არ მოგვიპატიენია, იარაღით დაიპყრეს ჩვენი მიწა-წყალი, — თქვა ეს და ისევ გაჩუმდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ძალა აღმართსა ხნავს, რა უნდა გვექნა, — დაიწყო ისევ ქერამ. — მართონ რას გავხდებოდით... დღემდე არ ვეცდებით მოვიშოროთ ეს სამარცხვინო მუნდირი და საქმით დავამტკიცოთ, რომ ჩვენც პოლონელები ვართ...

— მერე და შეიძლება თქვენს სიტყვას კაცი ერწმუნოს, გამოდგებით თქვენ თქვენი ერის ღირსების და უფლებების დამცველებად?

— ვეცდებით...

— ამასაც ენახვთ, საქმე გვიჩვენებს... ახლა ეს სიტყვით, ლიუბლინეცი შორსაა აქედან?

— არა, ეს მახლობელი დაბაა.

— არიან თუ არა გერმანელები ლიუბლინეცში?

— მათი გარნიზონი დგამ იქ ამ ქამად!

— თუ არის რაიმე სამრეწველო ობიექტი ლიუბლინეცში?

— სპირტის ქარხანაა, მას იცავენ გერმანელები.

პოლიციელები არ ტყუოდნენ, სწორ პასუხებს იძლეოდნენ.

ვერწმეორას ვაცნობე, რომ გზა გაწმენდილია, დაბაზე უყენებლად გავლა ახლა უკვე შესაძლებელია-მეთქი. ის იმ ხანად შეხაერთით დაბიდან რამდენიმე კილომეტრით დაცილებით იდგა, ცნობას ელოდებოდა ჩემგან. მალე პარტიზანების კოლონებიც გამოჩნდა, მწყობ-

რამა რაგებმა ლიუბლინეცის მიმართულებით წაიარეს.

— ჩვენ აქედან ლიუბლინეცში წავალთ. მტრის გარნიზონის შემსუსტებაში ჩვენს ნაწილს უნდა მივეშველოთ, — ვუბნებნებით პოლიციელებს.

— ჩვენც თან მოგყვებით, მხარიმხარ ვებრძოლებთ თქვენთან...

— ეს თქვენს სურვილზეა დამოკიდებული... გნებავთ წამოხვალთ, გნებავთ დარჩებით, ჩვენ ძალას არ გატანთ.

— რაკი გერმანელებთან შებრძოლების სამუალებას გვაძლევთ, რასაკვირველია, წამოვალთ. ამასთან ერთი პატარა სათხოვარი გვაქვს: მტერმა არ გვირდა იცოდეს, რომ ჩვენ პარტიზანებს უბრძოლველად დავენებდით, თორემ სახლკარს გადაგვიწვავენ. არც ისე შორს არის აქედან ლიუბლინეცი, მოდი განგაში ავტებოთ, თითქოს აქ ბრძოლა გადავიხადეთ... სროლის ხმას ლიუბლინეცი გაიგონებს და ჩესანუციას ბრძოლით აღებულად ჩათვლის.

— ადვილი საქმეა, — ვუბნებნებით პოლიციელებს. გამოვიძახებ ოცეულის უფროსები და გაეაფრთხილე, რომ ლიუბლინეცში ბრძოლის დაწყების შემდეგ პარტიზანებს პატივს გავსროლოთ ავტომობილს და ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერი. არ გასულა ათი წუთი და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ყველა ჯურის იარაღიდან გაჩაღეს ბიჭებმა სროლა. ისეთი აურ-ზაური დადგა, რომ მთელ ლიუბლინეცს შეძრავდა. ალბათ იკითხავთ, თუ რატომ დაველოდეთ ლიუბლინეცში ბრძოლის დაწყებას და მანამდე არ ავტებთ განგაში? საქმე ისაა, უღროოდ განგაში რომ აგვეტყება — გერმანელები სროლის ხმას გაიგონებდნენ და საბრძოლველად გაემგზავრებოდნენ. ახლა კი ჩვენი ნაწილი ისე წაეპარა ლიუბლინეცს, რომ მტერი ვონს ვერ მოეხდა.

პოლიციელები ყოველ მხრივ ცდილობდნენ ჩვენი გულის მოგებას: — სურსათ-სახოვავის დიდი მარაგი აქვთ გერმანელებს გამზადებული ჩესანუციაში თავის ქვეყანაში გასაზიდად, სარჩო-საბადებელი მოსახლეობას ჩამოართვეს, შეგვიძლია ვინაწევრობთ საწყობებშიო, გვითხრეს მათ, თან გავვიძლევნ და საწყობებს თავზე დაგვაყენეს.

საწყობებში სურსათის დიდი მარაგი აღმოჩნდა; აქ იყო ხორცი, მჭკრე, ღორის ქონი, კვერცხი, ერბო და სხვა და ფქვილი.

სახელაზელოდ დავტვირთეთ ნადავლით მარხილები და ლიუბლინეცისაკენ გავწიეთ.

პოლიციელების ერთმა ნაწილმა დაბიდან გასვლის წინ, სახლებში შეირბინა, ლიუბლინეცში მივემგზავრებითო — გააფრთხილეს ცოლშვილი.

ჩესანუციაში გარკვევით ისმოდა არტილერიის ქუხილი პარტიზანთა ქვემეხები უშენდნენ ლიუბლინეცში დაბანაკებულ მტრის გარნიზონს. თავდაცვის მოხსნაზე და დაბიდან საჩქაროდ გასვლაზე განკარგულება გავეცი. სახელაზელოდ გავემზადენით და პოლონელების თანხლებით ჩესანუციადან სრული წესრიგით გავედით.

ტყვიისფრად ჩამოწვა ცა. მერე თოვა დაიწყო. ნადავლი სურსათ-სახოვავე უხვად მოგვქონდა.

ჩესანუციაში, სხვა დაწესებულებათა შორის, ბანკის შენობაც ავიღეთ. ოპერაცია ერთ ათეულს მიეწინა. ბანკის ასაღებად მებრძოლებს დიდი ჯაფა არ დასჭირებიათ: გაისროლეს თუ არა ორჯერ-სამჯერ ავტომატების მოკლე ჯერი, ბანკის გუმბაგებმა გააღეს კარები და მობრძანდითო, მიიპატიეს პარტიზანები. ათეულმა ბანკი ხელთ იგდო. პოლონური და გერმანული ფულის ნიშნებით გავავსეთ ტომრები და მარხილზე შემოვამყეთ.

განკარგულება გავეცი მთელი ეს ქონება ასეულის მწესათვის ჩაებარებინათ.

არტილერიის ხმა თანდათან ძლიერდებოდა. მალე შენაერთს დავეწიეთ. შენაერთის წინა ნაწილები უკვე გააფრთხულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული.

ადგილზე მისვლისთანავე, ტოუტის თანხლებით, შტაბში წავედით. შტაბი მოთავსებული იყო ლიუბლინეცის ერთ-ერთ გარეუბანში. შტაბში ვერმიგორა დაგვხვდა. ის მაგიდაზე გაშლილ რუკას გულმოდგინედ ჩასცქეროდა. განვილო ბრძოლებზე მოკლე ინფორმაცია გადავეცი, შემდეგ ერთად სპირტის ქარხნისაკენ წავედით, იმ ადგილას, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა.

ლიუბლინეცის ქარხანა ფრონტს ათეული ტონობით სპირტს უგზავნიდა. ქარხნის ალება მესამე ბატალიონს მიედლო და ახლა უკვე გააფთრებული ბრძოლა იყო გამწვლილი. ჩვენები მტკიცედ უტევდნენ შენობაში ჩასაფრებულ მტერს. არტილერიის ცეცხლა ძალზე დაახიანა ქარხნის შენობა გერმანელები მაინც არ დაგვიორჩილდნენ. მტერი იარაღს არ ჰყრიდა, ქარხნის დაზარეულ კედლებში იყო თავშეფარებული და ახლოს არავის უშვებდა. როგორც ეტყობოდა, საბრძოლო საქურველით კარგად იყვნენ მომარაგებულნი. სწორედ ამ დროს რობერტ კლეინი მიუახლოვდა ვერშიგორას და სთხოვა ქარხანასთან მიახლოვების ნება დაერთო. მე გარმანელი ვარ, ვეტყუვი მაგ ჯიუტებს ხელი აიღეთ უაზრო ბრძოლაზე-თქო, დამორჩილებას მოვთხოვი!

პეტრომ უარყო კლეინის წინადადება. კლეინი კი ჩემად მაინც გაპარულიყო. ნანგრევებიდან ერთი-მეორეზე გადმოსროლეს გერმანელებმა, ხელთყუმაბრები, როდესაც რობერტმა შესაძახა გერმანულად, დაგვიორჩილდითო, ამ წინადადებას მტერმა ხელუშვარების დაშენით უპასუხა. კლეინი დაიჭრა, მხოლოდ ჭრილობა სერიოზული არ აღმოჩნდა. მალე ისევ ჩადგა ის მებრძოლთა რიგებში. გერმანელების ეს თავებობა რომ გაიგო, ვერშიგორამ განკარგულება გასცა. შენაერთის ყველა ქვეშეხისათვის თავი მოეყარათ და პირდაპირი დამიხნებით ცეცხლის აღში გაეხვიათ ქარხანა.

გერმანელებმა ვედარ გაუძლეს პარტიზანების შეტევას და დაგვიორჩილდნენ. დაკითხვის დროს ტყვეებმა თქვეს:

— სტალინგრადის ბრძოლებში დავიჭერი და ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ აქ გადმოგვგზავნეს ქარხნის მცველებად, მცირე დასვენების შემდეგ ისევ ფრონტზე უნდა წავსულიყავითო.

ქარხნის ალების შემდეგ ლიუბლინეცში არ ვაჩერებულვართ. დაბას გვერდით აუვარეთ და სოფელ ბოროციკის მიმართულებით წავედით.

ჩემი ასეულის პარტიზანებისათვის პოლონელებს ეთხოვათ — გვიშუამდ-

გომლეთ უფროსებთან, რომ ასეულში ჩავგრიცხონო, ოღონდ ასეულში მიგვიღეთ და სულ მოკლეს ჩვენში დაგვანახვენთ ჩვენს ერთგულებას! დამამტკიცესო.

მებრძოლებმა გადმომცეს პოლონელების დანაბარები. ვერშიგორას მოველაპარაკე. პეტრომ ასე განსაჯა: ჩემის აზრით თავის შეკავება სჯობია, მივალთ თუ არა ბოროციცში, იქ მივცეთ პოლონელებს წინადადება სახლში დაბრუნებაზე, ვურჩიოთ ადგილზე შექმნან პარტიზანული რაზმები და მტერს ებრძოლონო.

ის-იყო ირიერაჟა და პირველი ბატალიონი შენაერთის შტაბთან ერთად სოფელ ბოროციცში შევიდა. სხვა ბატალიონები და ასეულში ბოროციცის გარშემო მდებარე სოფლებში მოთავსდნენ, კერძოთ მეოთხე ბატალიონი დაბანაკდა იმ მხარეს, საიდანაც მტრის შემოტევა იყო მოსალოდნელი.

ლამაზი სოფელი აღმოჩნდა ბოროციცში, ტყეში იყო ჩამჯდარი, სახლები ქუჩის ორივე მხარეზე მწყრივში იყვნენ განლაგებული. როდესაც სოფელს ეუახლოვდებოდით, იმაზედ ვფიქრობდით, თუ როგორ შეგვხვდებოდა მოსახლეობა და აი გამოჩნდნენ სოფელელები: ხალხმა ძალიან გულთბილად მიგვიღო, გარმონებით და გიტარებით შემოგვეგებნენ. მთელი სოფელი, რომელიც გაწამებული იყო ფაშისტების თარეშით, გაბედულად დადგა მებრძოლი პარტიზანების მხარეზე.

მტრისაგან დაპყრობილ პოლონეთში იმ დროს გერმანელ ფაშისტებთან ერთად თარეშობდნენ პოლონელი რეპეციონერები, ბობოლა პანები და ლონდონში გახიზნული მთავრობის წარმომადგენლები. პოლონეთის მშრომელი მოსახლეობა კი დამპყრობლების მიმართ ისევე შეურიგებული იყო როგორც უკრაინისა და ბელორუსიის ხალხები. პოლონელი პარტიზანები ებრძოდნენ მტერს, მაგრამ სამწუხაროდ მათი რაზმები არ იყო ძლიერი. ცალკეულ პარტიზანული ჯგუფები არ იყვნენ ურთერთშორის შემჭიდროებული და შეკავშირებული, ამიტომაც მათ ბრძოლებს სათანადო ეფექტი არა ჰქონდა. რაზმები გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, არ იყო ერთი ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც უნდა

წარემართა მტრის წინააღმდეგ დაწყებული სახალხო მოძრაობა.

ლონდონში გაბიზნული რეაქციული მთავრობის აგენტები აშკარად და ურცხვად უქადაგებდნენ პოლონელ ხალხს ხელი აელო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე. რეაქციული გაზეთი „ნეპოდნაგლოცია“ მოუწოდებდა პოლონელებს არ ჩაწერილიყვნენ პარტიზანთა რიგებში. ეს ბიზნტური გაზეთი თავის ფურცლებზე წერდა, თუ ვინმე პოლონელი განიზრახავს პარტიზანულ რიგებში ჩაწერას, ის მოლაღატეა და სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. ამრიგად, პოლონელი რეაქციონერები მტრის წისქვილზე წყალს ასხამდნენ, ამ ვაჟბატონების პოზიციას ვერმანელების პოზიციისაგან არსებითად არაფრით განსხვავდებოდა.

## XVI

ბოროვეცში ხანგრძლივი დასვენება მოვაწყეთ. ჩვენ პერიოდულად ვაწყობდით ასეთ დასვენებებს. როცა წინ წაიწვივდით და ახალ რაიონში შევიდოდით, ერთ ადგილზე ვრჩებოდით მანამდე, სანამ ირგვლივ მდებარე მოსახლეობის სულსიკვეთებას და განწყობილებას საფუძვლიანად არ შევისწავლიდით. ახლაც ამ მიზნით სოფლებში მშვერაკები დავგზავნეთ, ხოლო თვითონ ბოროვეცში ისეთი მაგარი თავდაცვა მოვაწყეთ, რომ ჩიტი ვერ შემოაფრინდებოდა. ნადავლი სურსათისათვის ვაგებდით ხომ თავსაყრულად გვექონდა. ლაღად და უშიშრად ვისვენებდით. ჯერ კიდევ არ სჩანდნენ მშვერაკები ბოროვეციდან გასვლას მაინცდამაინც არც ჩვენ ვჩქარობდით, ამ სოფლის ახლო-მახლო მდებარე მიდამოების ზედმიწევნით შესწავლა გვექონდა განზრახული.

ერთ დღით ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა პოლონელი, ომის ინვალიდი იყო, ცალი ხელი არა ჰქონდა. მან პარტიზანთა რიგებში მიღება მთხოვა — შერი მინდა მტერზე ვიბოიო. დაიპყრეს თუ არა გერმანელებმა 1939 წელს ჩვენი ქვეყანა, ძმა და მამა ჩამომიხრჩვეს, მე ომში ხელი დავკარგე. აბა ამ ეამად სხვა რა დამრჩენია, თუ არა შურისძიება მტერზეო. ახალგაზრდის გოლწრფელ განცხადებაში მალე დავრწმუნდი, საეჭვო აქ არაფერი იყო, მაგრამ ცალხელა მებრძოლის პარ-

ტიზანად ჩარიცხვა მიზანშეწონილი არ იყო, ამიტომ გადაჭრილი პასუხი არ მიმიცია. შემამჩნია, რომ ვერგმუნებდი და თხოვნა დამიწყო:

— ბრძოლის უნარი არ მაქვს დაკარგული, ამაში თქვენ მალე დარწმუნდებით, დაბეჯითებით ვთხოვთ მიმიღოთ. ავტომატს, ცხადია ვერ მოვიზმარ, მაგრამ რევოლვერის მოხმარა ხომ შემიძლია, ნუ დამტოვებთ, მე ბევრ საქმეში გამოვალდებოთ.

ამ პოლონელმა უეცრად ზობელევი გაიხსენა. როცა ჩვენთან მოვიდა და პარტიზანად მიღება ვეთხოვა, ზობელევს ორივე ხელი დამავებულნი ჰქონდა. ვანა საოცარი არ იყო, რომ ორივე ხელმოკვეთილი ვაჟაკი კვლავ ბრძოლისაკენ მიიწევდა? მის შემხედვარს ეგონებოდა — აბა ამას ბრძოლა საღდა შეუძლიაო, მაგრამ სინამდვილეში ასე როდღე იყო საქმე.

მინდა ვუამბო მკითხველს, თუ როგორ მოხვდა ზობელევი ჩვენს შენაერთში. ზაფხული იყო. სოფელში ვიდექით. დღით ადრე დედაბრების კვილა შესძრა არე-მარე.

— დაიჭირეთ, გვიშველეთ! — იძახდნენ ქალები.

თურმე სწორედ იმ დროს გზად ჩვენი მშვერაკები მიდიოდნენ, მათ ყური მოჰკრეს დედაბრების ჩოჩქოლს და თვალის დახამხამებაზე ადგილზე გაჩნდნენ.

მშვერაკებმა უცებ შენიშნეს ქალვაჟი, რომელნიც პარამუტებით დაშვებულნიყვნენ. დედაბრების ჩოჩქოლზე ქალი დამფრთხალიყო, პურის ყანაში დამალულიყო, ვაჟი კი ადგილზე დარჩენილიყო და ჩვენს მშვერაკებს შებოდა: ხან ის უხელო ბიჭი იყო ქვევით და ხან ჩვენი მშვერაკები. პარტიზან მშვერაკებს ის ქალ-ვაჟი მტრის აგენტები ჰგონებოდათ, ხოლო ქალ-ვაჟს მშვერაკები — პოლიციელებად მიდიდით. ამიტომაც უშებრძოლნენ ერთმანეთს. ის უხელო ბიჭი თურმე იძახდა: საბჭოთა მებრძოლი პოლიციელებს არ დანებდებო.

როდესაც არაქათ-გამოლეული ზობელევი მშვერაკებს შტაბში მიჰყავდათ, გზაში ვერშიგორას შეჰყროდნენ. ზობელევს ეცნო ვერშიგორა, თურმე ერთ დროს ორივენი ერთად



ყოფილან დაზვერვის სკოლაში. ზობელევი ცას სწედომა სიხარულით პეტროს დანახვაზე:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — დაიძახა თურმე მან, — უთუოდ გემახსოვრებით, ვაეციტ ვანკარგულება ჩემს გათავისუფლებამზე.

პეტროს რეკომენდაციით, შტაბში მიყვანისთანავე დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს ზობელევი.

რადისტი ქალი მარუსია და ზობელევი წითელი არმიის ერთ-ერთ რეგულარულ ნაწილში ირიცხებოდნენ მზერავებად. ამეამად ისინი მტრის ზურგში გამოეგზავნათ პარტიზანულ რაზმებთან კავშირის გასამბელად. ორივენი უვნებლად დაეშენენ პარაშუტებით; დედაბრების აურ-ზაური რომ არა, გაუგებრობა თავიდან იქნებოდა აცილებული.

ზობელევი ფინეთის ომის მონაწილე იყო, იქაც თურმე თავი ისახელა როგორც მზვერავემა.

ზობელევმა ხელები დაკარგა, როცა ზამთრის ცივ ღამეებში მოვალეობის შესრულების დროს. მძაფრ ყინებებში გარეთ დარჩა. ოპერაცია გაუქეთეს, სიკვდილს, მართალია, გადაარჩინეს, მაგრამ ხელები დაკარგა. მარცხენა ხელზე მხოლოდ ერთი ცერი ჰქონდა შერიენილი, მარჯვენა ხელი კი მაჯაში მოეკვეთათ.

და აი მარტო ცერით წერასაც ახერხებდა ზობელევი, ავტომატსაც მართავდა, პაპიროსს ახვევდა. იგი შენაერთის შტაბის მზვერავთა ჯგუფში ჩარიცხეს, რაც უნდა რთული დავალება მიენდოთ მისთვის, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ის სანიშნოდ არ შეესრულებინოს.

თავისუფალ დროს ზობელევი ლექსებსაც წერდა, ფანქარს გაიჩუბოდა ცერში და ლექსს უეცრად შეთხზავდა. მართალია იმ ლექსების მხატვრული ღირებულება დიდი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ყურადღებას იქცევდნენ გულწრფელობითა და უშუალობით.

ზობელევი ცოტა ხანს დარჩა ჩვენს რიგებში. მალე მას ძველი პრილობები გაეხსნა და დაეადდა. კარპატების რეიდის წინახანებში ის დიდ მიწაზე გავისტუმრეთ.

აი ეს ზობელევი გამახსენდა, როცა

ცალხელა პოლონელმა პარტიზანთა რიგებში მიღება ითხოვა; ოღონდ მიმიღეთ და მალე დარწმუნდებით რომ ბრძოლაში გამოვადგებითო.

სწორედ იმავე ხანებში ბოროცევი და მის მეზობლად მდებარე სოფელში საავტაციო - საბროპეგანლო მუშაობა გაეახალეთ. ხალხი ერთბაშად მოაწყდა ჩვენს საავტაციო პუნქტებს. წლობით კარჩაკეტილი და მართალ სიტყვას მოწყურებული მოსახლეობა ჩვენი პროპაგანდისტების საუბარს დიდი ინტერესით ისმენდა. შეუსვენებლად, დღე-ღამე მუშაობდა ჩვენი ნაწილის სტამბა. საინფორმაციო ბიუროს ცნობები ასეულ ცალობით მრავლდებოდა და მოსახლეობაში ვრცელდებოდა. ხალხს თვალეები აეხილა, ფაშისტური არმიის განადგურება და გარდუვალი დამარცხება მათ საკუთარი თვალთ დაინახეს.

მზვერავებიც დაბრუნდნენ, საინტერესო და საგულენხმო ამბავი მოიტანეს, გეითარეს—ადგილობრივად, სოფლებში პარტიზანების რაზმები ამოქმედდნენო; ამ ამბავთან ერთად მეორე სასიხარულო და მნიშვნელოვანი ამბავი გადმოგვეცეს: ვარშავის სამხედრო ობიექტები დაბომბეს ჩვენმა თვითმფრინავებმაო.

ჩვენს მზვერავებს ერთ სოფელში ადგილობრივი პარტიზანების კვალისათვისაც მივეწვით.

— ერთის მაგივრად ორი რაზმი აღმოვაჩინეთ,—თქვეს მზვერავებმა,—ერთი რაზმის ხელმძღვანელი ანდრია ბოროდოვოი, მეორეი — ვილაც „ვასკა“ ყოფილა. თითოეული რაზმის წევრთა რიცხვი სამოცდათხუთმეტ მეომრამდე აღწევს. ანდრია ბოროდოვოი თავის რაზმით და „ვასკას“ რამდენიმე რაზმეულ ჩვენ გამოგვეცა. ამეამად აქ არიან ისინი.

ვერშიგორამ როგორც კი ეს სიტყვები მოისმინა, ბოროდოვოი იხმო. შტაბში ვაქაცური აგებულების ალვისხესავით ტანაყრილი, უწვერულვამო ახალგაზრდა შემოვიდა.

— თქვენ ხართ ბოროდოვოი? — შეეკითხა მას ვერშიგორა.

— მე ვახლავართ!

— პოლონეთის ქვეშევრდომი ხართ?

— არა, საბჭოთა კავშირისა.

— მკამ აქ რა ვინდოდა, საიდან გაჩნდი?

— ტყვეების ერთი ჯგუფი აქ მოგვიყვანეს და საკონცენტრაციო ბანაკში მოგვათავსეს. დიდხანს არ ვყოფილვარ ბანაკში, გავიბარენით. იმ დღიდან ვიწყებ ტყვეებში ხეტიალი, მალე გარმანელების ავტომანქანას დავუხვდით, გავაჩერეთ, შიგ მსხლმონი განვითარავთ და ამ გზით იარაღი და საზოგადო ვიშოვნეთ. დღითიდღე იზრდებოდა ჩვენი რაზმი და ახლა ის სამოცდათხუთმეტ ეკამდე აღწევს.

— რას აკეთებთ ამჟამად?

— წვრილ-წვრილ დივერსიებს ვაწყობთ, მტერს მახვს ვუგებთ.

— ებმება კი თქვენს დაგებულ მახეში მტერი?

— ხშირად თარივე ფეხებით ებმება, — თქვა ანდრეიმ და ფართო სახე გაუბრწყინდა, მერე დაუმატა: — ავტომანქანებს ვატყუევებთ, სადაც კი მივწვდებით მტრის საწყობებს ვარბევთ და ვწვავთ, ხიდებს ვშლით.

— აქ, ადგილობრივ მოქმედ რაზმებს შორის არის რამე კავშირი თუ არა?

— როგორ მოვახსენო, ძალიან სუსტი, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, თითქმის არავითარი. ერთი მეორის არსებობა ვიცით მხოლოდ.

— თქვენ პირადად რომელი რაზმის არსებობა იცით, თუ გაქვთ ვისმესთან კავშირი?

— დროგამოშვებით „ვასკას“ რაზმს ვხვდებით, ეს არის და ეს, სხვას არ ვიცნობთ.

— პოლონელ პარტიზანებს ხვდებით?

— ჰო, ვიცით მათი არსებობის შესახებაც, კეთილ სურვილებს ვუთვლით ერთმანეთს, მაგრამ მტკიცე კავშირი ჯერ ვერ დავამყარეთ. მხოლოდ არის ერთი პარტიზანული რაზმი, რომელსაც „პადკოვა“ ხელმძღვანელობს, „პადკოვა“ ფსევდონიმია. ეს რაზმი საბჭოთა სულისკვეთებითაა გამსჭვალული...

— სად იმყოფება ამჟამად ეგ რაზმი?

— ნახვა შესაძლოა, როგორ არა, თქვენს მოსვლას აუცილებლად გაიგებდა და ალბათ მალე აქ გაჩნდება.

ვერშიგორა მცირე ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ ჰკითხა ბოროდოვოის:

— პარტიული ხართ?

— კომკავშირელი ვარ, — უპასუხა ჰაბუშმა.

— ფრონტის ამბები თუ იცით, თუ გესმით რამე?

— კანტი-კუნტად, საბჭოთა გერმანელებს რომ ერეკებიან, ეს ვიცი!

— ჩვენი მოსვლა საიდან გაიგეთ?

— გაიგეთ. ექვსი თვლით დავუწყეთ პირველად ამ ამბავს ცქერა, პოლიციელების პროვოკაციულ მანევრად ჩავთვალეთ. ამიტომაც იყო ეს ორისამი დღე მივიმალეთ. თქვენმა მშვერავებმა გაფანტეს ჩვენი ექვი, ფაქტის წინაშე დავდექით.

— როგორ ფიქრობთ, განაგრძობთ ასე დამოუკიდებელ არსებობას?

— ამ ყოფაში დარჩენა აბა რა ხეირია, უაზრომაც არის ასე განმარტობულად ყოფნა. ჩვენი დიდი სურვილია, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თქვენთან შემოერთება გვინდა. თქვენი დიდი ოჯახის წევრნი გავხდეთ. დღემდე ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს, ალბათ ჩვენს ახლობლებს უკვე საიქიოს ვვინძვართ. თქვენ რიგებში ჩვენს ბრძოლას უფრო მეტი აზრი ექნება.

— საწინააღმდეგო რა გექნება, პირიქით, თქვენი შემოერთებით მოხარული დავრჩებით, მობრძანდით! მეც მზად ვიყავი ასეთივე წინადადება მომეცა თქვენთვის, — დინჯად თქვა ვერშიგორამ.

საქმე სულ ჩქარა დაბოლოვდა: პარტიზანების წარმომადგენლები გაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში და მალე სრული შემადგენლობით, დანარჩენ პარტიზანებთან ერთად, უკან მოვიდნენ.

ვერშიგორამ წინადადება მომცა ახლადმოსულები ჩემს ასეულში მიმიღო. სხვათა შორის მათი სურვილიც ეს იყო.

ამრიგად მეცხრე ასეული ასორმოცდაათი მებრძოლით შეივსო. ამ დღიდან მეცხრე ასეულს ბატალიონის სახელწოდება მიენიჭა. ახალშემოერთებული მებრძოლების მეთაურად ისევ ანდრია ბოროდოვოი დავინიშნეთ.

გულმა გული იცნო. შემოერთებულებმა სულ მოკლე დროში ათვისისგ ჩვენი შენაერთის წესრიგი და ბრძოლების მეთოდი. მათ გვითხრეს: ადგილობრივი პარტიზანული რაზმებს შორის ისეთი რაზმები არიან, რომლებიც კომუნისტური რაზმის სახელწოდებას ატარებენ, საზოგადოებაც ასე ეძახის

მათ, კომუნისტური პარტიზანული რაზმით!

ეს უკვე ძალიან საინტერესო და სასიხარულო ამბავი იყო. როგორც გავიგეთ, ამ რაზმის წევრები ყველა კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური იყვნენ გამსჭვალულები, აღფრთოვანებით შესცქეროდნენ საბჭოთა არმიის ძლიერად აღმავლობას. ეს რაზმი მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენტებისაგან შეესდგებოდა. იყო კიდევ სხვა რაზმებიც. მათ შორის „პოლონეთის მუშათა პარტიის“ რაზმი: ორი კაცი ედგა ამ რაზმს სათავეში: „პოდკოპი“ და „გრომი“. ეს ნამდვილი გეარები არ იყო, კონსპირაციის დაცვის მიზნით რაზმის უფროსები ფსევდონიმებით მოქმედებდნენ.

როგორც ამ რაზმების მოქმედებას, ისე საერთოდ პოლონელ ხალხის ბრძოლას ხელს უშლიდნენ ის ბანდები, რომლებიც პოლონეთში შექმნეს ნაციონალისტურმა ელემენტებმა. ეს ბანდები ლინდონში გადახვეწილ მთავრობას, მიკოლაიჩაკ-სოსნოვსკის ზროვას ემორჩილებოდა. მათ არავითარი ავტორიტეტი არა ჰქონდათ პოლონელ ხალხში, ეს ნაციონალისტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივად მოქმედ მტრის გარნიზონებთან.

— აი, სწორედ ეს ნაციონალისტები, — თქვა ბოროდოვოვი — ვერ გვითმენდნენ, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდნენ. რაც მთავარია, პოლონელი მოსახლეობა იყო ჩვენს მხარეზე და ამიტომ ერთ მუქა ფაშისტურ ჯგუფს არაფრად ვაგებდით!

— პირველ ორ ჯგუფთან — კომუნისტებისა და მუშათა პარტიის რაზმებთან ხომ კარგ განწყობილებაში იყავით. საინტერესოა, რაში გამოიხატებოდა ეს კარგი განწყობილება? — შევეკითხეთ მოსულებს.

— საქმე ის არის, — თქვა ბოროდოვოვი — რომ სწორედ ამ პარტიზანებმა დაგვაკავშირეს პოლონელ ხალხთან. ისინი ჩვენს სასარგებლო აგიტაციას პრობაგანდას უწოდებდნენ. „საბჭოთა პარტიზანები ჩვენი მიწა-წყლის მტრისაგან განათავისუფლებისათვის იბრძვიან, სისხლს ღვრიან, ქება-დიდება მათ“, — ეუბნებოდნენ ისინი გლეხებს.

— საბჭოთა ტერიტორიაზე, სამშობლოს მიწა-წყალზე გადმოსვლას ვუფიქრობდით? — კვლავ იკითხა ვეფხვი.

— ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. მოსახლეობა ხელს ვეწყობდა, მაგრამ გერმანელებმა მდინარე ბუზეზე გადმოსასვლელი გზა ისე ჩაგვიკეტეს, რომ ჩვენი განზრახვა ოცნებად დარჩა.

— ისე კი უნდა ითქვას, რომ პოლონეთის ხალხის განწყობილება კარვად შევისწავლეთ. პოლონელებს ჰქონდათ სძულთ გერმანელები, რას არ სჩადიან ფაშისტები ამ დაპყრობილ ქვეყანაში — ენა ვერ ასწერს. დღეში ათასნაირი ახირებული აზრი მოუფვავთ თავში ხოლმე გერმანელებს. ნათქვამია ძალი ძალის ძვალს არ გასტეხსო, მაგრამ ამას წინათ ფაშისტებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ძალღების სინსილა გაექროთ. ლიუბლინის კომენდანტმა შეკრიბა გლეხები და წინადადება მისცა მათ, ორი დღის განმავლობაში მოეკრიბათ და ჩამოეხრჩოთ ყველა ძალი. ორი დღის შემდეგ თუ რომელიმე ოჯახში ძალს ვნახავთ, ძალს და პატრონსაც ერთ ხის ტოტზე ჩამოვახრჩობო. მთელი დღე და ღამე ისმის ძალების ყუფა-ყმუილი, ძილი გვაქვს დამფრთხალი, წესიერად ვერ მოგვისვენიათ, — ეთქვა კომენდანტს. თქვენთვის გასაგებია, თუ როგორ დიდად საჭიროა გლეხისათვის ძალი, ეს მართლაც ერთგული გუშავი! მაგრამ ძალა აღმართს ხნავს, გლეხებიც ადგნენ და უმრავლესობამ დახოცეს ძალები, მხოლოდ თითო-ორილამ გადაშალა ეს გონიერი ცხოველები, მაგრამ ვაი ისეთ ვადაშალვას! რომელ ოჯახშიაც კი მიაგნეს ძალს, მათ პატრონებს ცხრა პირი ტყავი გააძვრეს და ძალებიც სახლების სვეტებზე ჩამოახრჩობინეს.

— გამოდის, რომ დღეს ლიუბლინეცში არც ერთი ძალი არ არის?

— სწორედ რომ ასეა, ძალს ვერსად ნახავთ!

კიდევ დიდხანს ვესაუბრეთ ბოროდოვოვი. ამ საუბარში ჩვენ ბევრი რამ გამოვარკვეეთ. ახლა უკვე უფრო ნათელი იყო ჩვენთვის, თუ რა ვითარებაში მოგვისდებოდა მომავალი ბრძოლები, ამ საუბრის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ჩვენ „პადაკვას“ რაზმთან



გავაბით პირველი კავშირი, დარბაზობა გავუმართეთ. მშვიდობიან ატმოსფეროში ჩატარდა ეს დარბაზობა და მას შემდეგ განმტკიცდა ჩვენს შორის კავშირი. მათ აღგვითქვეს დახმარება მტრის კომუნუკაციების აღმოჩენისა და განადგურების საქმეში.

ვერსიფორას განკარგულებით პეჩხვის სტში შემოერთებული პოლონელები „პოდკოვას“ და „გრომის“ რაზმში გავგზავნეთ.

ჩვენი მშვერავების ჯგუფები ახლად-მოსული პარტიზანებით შეივსო და გადილდა.

ჩვენს მშვერავებს ლიუბლინეცში ერთი პარტიოტი ქალი გაეცნოთ, ამ ქალს პარტიზანებისათვის ეთქვა:

— მე თქვენ ხშირად გხედავთ ლიუბლინეცის მიდამოებში. საოცარია, რომ სწორედ იმ დროს მოგიხდებათ ხოლმე მოსვლა, როცა დაბაში გერმანელები არ არიან. ეს კარგია, მხოლოდ იცოდეთ, ამ ბოლო დროს ხშირად მოდიან აქ გერმანელები, შესაძლოა ხიფათს გადაეკიდოთ; თადაროგია საჭირო. მე დაბის განაპირა უბანში ეცხოვრობ, ჩემი სახლი უკანასკნელია, ის განმარტოვებულად დგას. როდესაც გერმანელები შემოდინ სოფელში, ჩემი სახლის წინ აუცილებლად გამოივლიან, მეტი სხვა გზა არ არის. თქვენც ხომ ამავე გზით შემოდინართ ჩვენს დაბაში. შორიასლოს მომყევით უკან, დაახანხვებთ თუ რომელ სახლში ეცხოვრობ. როდესაც გერმანელები შემოვლენ ჩვენს დაბაში, ქუჩაში გამოძვალი ფანჯრებზე ფარდებს დაეკიდებ, გავლენ დაბიდან ვარმანელები თუ არა, იმ წუთში ფარდებს მოვხსნი. ამ ნიშანს დააკვირდით და იმით იხელმძღვანელეთ. თორემ შესაძლოა ჩავარდეთ. ხომ იცით, ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტყვიან...

ეს უბრალო მაგალითიც ნათლად მოწმობს, თუ როგორ უცქეროდნენ საბჭოთა პარტიზანებს პოლონეთის უბრალო ადამიანები. მათ კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა ქვეყანა იბრძვის არა მარტო თავისი მიწა-წყლიდან გერმანელების განდევნისათვის, არამედ მთელი დანაგრეული ევროპის ხალხების განთავისუფლებისათვის ფაშისტურ უღლი-საგანს.

XVII

საქართველო

ჩვენი ნაწილის მშვერავების ერთი ჯგუფი სოფელ ლომოსტიას მახლობლად, ტყეში უცხო პირებს წააწყდნენ. უცნობები კარგად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი და შეიარაღებულნი. მათ ჩვენს პარტიზანებს ჰკითხეს—ვინა ხართო. პარტიზანებმა უთხრეს, ვინც იყვნენ. ექვის თვალით დაუწყვეს ცქერა, თითქოს უღიზიანებდა კიდევაც, მაგრამ მშვერავები ჩქარა მიხვდნენ, რომ ეს ღიმილი ნაძალადევი იყო. ესენი იყვნენ ლონდონში გადახვეწილ პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები.

ჯგუფის უფროსმა მათორმა ზომბმა შენაერთის ხელმძღვანელთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა და სათხოვა პარტიზანებს, თუ თქვენი უფროსი თანახმა იქნება—მაცნობეთო.

როცა პეტრომ ეს ამბავი შეიტყო, თითები წვერები წყნარად ჩამოიფარცხნა, გაიღიმა და თქვა:

— მობრძანდნენ, ვნახოთ ერთი რა საქმე აქეთ, ან რით არიან დაინტერესებულიო!

მათორი ზომბი საშუალო ტანის, ჩასკენილი, მაგარი აგებულობის კაცი იყო, ოცდახუთმეტო-ორმოცი წლისა თუ იქნებოდა. ნაცრისფერი ბოროტი გამომეტყველების თვალები ჰქონდა. წარსულში ზომბი ულანთა პოლკის ოფიცერი ყოფილა. მსხვილი მემამულე. ლონდონიდან ინგლისის თვითმფრინავით დაბრუნებული ზომბი პოლონეთის ტერიტორიაზე პარაშუტით დაშვებულიყო. როდესაც ჩვენ პოლონეთში მივედით, იმ ხანად ზომბი ლიუბლინში შექმნილი კონტრავოლუციური სამხედრო ორგანიზაციის „კრაევა არმიის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლებოდა. „კრაევა არმია“ და მისი ხელმძღვანელები ჩვენდამი მტროვლად განწყობილი იყვნენ, აქ მოულოდნელი არაფერი იყო. „კრაევა არმიის“ წევრები როგორც დროს იხელთებდნენ, საბჭოთა არმიის ოფიცრებს და ჯარისკაცებს ზურგში მახვილს სცემდნენ, გზების მოსახვევებში უსაფრდებოდნენ და ვერაგულად ტყვიას უშვებდნენ.

თუ რას წარმოადგენდა ეს „კრაევა არმია“. პარტიზან სიმონენკოს ნაამბობიდან ჩვენთვის სახეებით ნათელი იყო.

ჩვენი შენაერთის მებრძოლს სიმონენკოს საინტერესო წარსული ჰქონდა. ერთ დროს ის თერთმეტ ამხანაგთან ერთად გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკში ტყვედ მოხვედრილიყო, ორი თვის შემდეგ თორმეტივე ტყვე გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან და აღმოსავლეთისაკენ წამოვიდა. მებრძოლების ეს ჯგუფი სრულიად მოულოდნელად და შემთხვევით „კრაევა არმიის“ ნაწილს წააწყდა, ის დამე მებრძოლებმა ხსენებულ ნაწილში გაათიეს, დილით კი, ჯერ ისევე მძინარე მებრძოლებს „მასპინძლები“ თავს დასხმოდნენ, თოყებით შეეკრათ და ვერაგულად დაეხოცნათ.

სრულიად შემთხვევით სიმონენკოს თავი დაეღწია. გამოქცეულიყო. შშიერი, შშიველ-ტიტველი სიმონენკო ერთხანს ტყვეობაში დახეტიალებდა. მას შემთხვევით გაეგო, რომ პოლონეთში საბჭოთა პარტიზანები გადმოვიდნენო. იგი მყისვე ჩვესთან გაჩნდა. სიმონენკო პარტიზანების რიგებში ჩაერიცხეთ. ამჟამად, როცა მან ყური მოჰკრა „კრაევა არმიის“ წარმომადგენლები მოდიან ჩვენთანო, ტუჩებს იკვნეტდა, ავტომატს წარა-მარა ნერვიულად ატრიალებდა ხელში.

— დაწყნარდი, ამხანაგო სიმონენკო, ნუ დღავ, ის შენი „მეგობრები“ უკან ხელცარიელი გაბრუნდებიანო, — დასამშვიდებლად ეუბნებოდნენ მას ამხანაგები.

— რა დამაწყნარებს, თქვენთვის ადვილი სათქმელია — დაწყნარდიო! ამ წუთში თვალინ მიღვას თერთმეტი ხელფეხშეკრული და თავებმოკვეთილი ვაჟაკი! თოჯინა შეხსნა და გაქცევა რომ არ მომესწრო, ორ-სამ წუთში მეც მომკლავდნენ! ადვილად ითქმის, დაწყნარდი..

სიმონენკოს ყოფა-ქცევამ ძალიან დაგვაოქრა, მოსალოდნელი იყო მას რაიმე სკანდალი აეტეხა. უნერხელობის თავიდან ასაცილებლად ესლა მოვიგონეთ. სიმონენკო საგანგებო დავალებით, ზომბის მოსვლის მოსალოდნელ საათებში შორეულ სოფელში გავგზავნეთ.

სიმონენკო კი თავიდან მოვიცილეთ, მაგრამ ახლა მეორე მებრძოლი გავიხიბდა დასაწყნარებელი. ეს იყო ჩვენი ნაწილის კომენდანტი, კოსტია დუდნიკი, გოლიათი, ვაჟაკი, ვეფხვის სისწრაფის

და გამბედაობის ადამიანი. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ კოსტიამ მუშტის გარტყმით, ერთ-ერთი ბრძოლის დროს უსულოდ დასცა გერმანულ მწიწანეთავე ხელაღებული კაცი იყო კოსტია. როცა მან ყური მოჰკრა „კრაევა არმიის“ წარმომადგენლები მოდიანო, იწყო თვალების ბრიალი და კბილებს კრაჭუნი. ვერშიგორამ დაუყოვნებლივ იხმო ის:

— კოსტია, ვერ ხარ დღეს შენ, როგორც გატყობ, კარგ ხასიათზე! — ეუბნება დუდნიკს პეტრო.

— რატომ, ამხანაგო უფროსო, მეცულ ხასიათზე არასდროს არა ვარ!

— გატყობ, რაღაც გაწუხებს!..

— არაფერიც არ მაწუხებს!..

— იცო, კოსტია, დღეს რომ სტუმრებს მოველით?

— დაახლოებით ვიცი!

— ში და შენ როგორც კომენდანტს, თადარიგისაზობა გმართებს, შენ უნდა მისცე დღეს ყველას დარბაისლობის მაგალითი.

— ვეცლები, ამხანაგო უფროსო წესრიგი დავიცვა.

— როგორ თუ ეცლები. ეს შენი მოვალეობაა. სტუმრების მიღებას შენ გავალღებ. ოდნავ გაუგებრობას რომ ადგილი ექნეს, იცოდე პასუხს აგებ!

— მზად ვარ შევასრულო თქვენი ბრძანება!

კოსტიამ ქუსლი ქუსლს მაგრად შეაჯახა, გამოილიო ხელისგული საფეთქელზე მიილიო, სასწრაფოდ შებრუნდა და კარში გავიდა.

ნამუღალდევ იყო. ეზოს კუთხეში საველე სამზარეულოს ირგვლივ პარტიზანები ჩამომსხდარიყვნენ და სადილობდნენ. მსუქანი ბორშის სუნი დამდგარიყო ეზოში. დუდნიკი წესრიგს იცავდა. გოლიათ დუდნიკთან ერთად ეზოში ციმბრუტივით ტრიალებდა პატარა ტანის ისონ ეორკოლიანი.

— მოდიან! — გაისმა ეზოს თავში პარტიზანის ხმა.

— მოდიან, — განმეორდა ეზოს მეორე თავში იგივე სიტყვა.

ზომბი ეზოს მოუახლოვდა, მას წინ სოფლის დაცვის უფროსი, მეოთხე ასიულის პარტიზანი მოუძღოდა. ზომბს ოთხი კაცი ახლდა, ისინი ხელის ტყვიამტრქვევებით, წყვილ-წყვილად დინჯინაბიჯით მოჰყვებოდნენ უფროსს. სტუ-

მრებს ღუდნიკი მიეგება, ხელი აულო და შტაბისაკენ წამოუძღვა.

ვერსიგორამ უცხონი მიიღო.

— მაიორი ზომბი, — ხმაძალა ჩაილაპარაკა ვერსიგორასთან ხელის ჩამორთმევის დროს საშუალო ტანის ჩასკენილმა ოფიცერმა. იმავე დროს მან ხელი გაიშვირა თავისი მხლებლებისაკენ: ტარკოვეცი, პორუჩიკი ოიტეც იანი. ვერსიგორამ სტუმრებს შტაბში მყოფი პირები გააცნო.

— გთხოვთ! — მიმართა მან მოსულთ და თან მაგიდის ირგვლივ შემომდგარი სკამებისაკენ ხელი გაიშვირა. სტუმრები დასხდნენ. შტაბის წევრები და ზოგი დამსწრე მეთაურები, ვის სად და როგორ ემარჯვებოდათ, მოეწყვენენ.

სტუმრები ცდილობდნენ მზიარული და გაღიმებული სახე ეჩვენებინათ ჩვენთვის, მაგრამ არ გამოუდიოდათ.

ჩვენ თავი ისე გვეჭირა, თითქოს მატარებელში შემთხვევით გაცნობილ მგზავრებთან ვყოფილიყავით. რასაკვირველია, თავაზიანობას ვიცავდით. ბატონი ტარკოვეცი გულჩათხრობილი კაცი ჩანდა, მთელი აუდიენციის განმავლობაში მას სიტყვა არ ამოუღია და არ განმარტულა, ხოლო ოიტეც იანი განუწყვეტლვ ცმუკავდა, თვალებს მგელივით აბრიალებდა.

სულგანაბელი ვუსმენდით სტუმრებს, დაინტერესებული ვიყავით რისთვის იყვნენ მოსული, რა საქმე ჰქონდათ ჩვენთან, რას იტყოდნენ!

ზომბი არტისტულად შეირჩა სკამზე და გაბედულად იწყა კითხვების მოცემა: — ვინ ხართ? საიდან მოხვედით? რა შეადგენს თქვენს მიზანს და ა. შ.

საუბრის დროს შევამჩნიეთ, რომ იასონ ჟორჯოლიანი და კოსტია ღუდნიკი ჩურჩულებდნენ. უდროულად და უადგილოდ ჩავთვალეთ მათი ჩურჩული.

იასონი ზეზე ადგა და ნელ-ნელა ოიტეც იანისაკენ მიიწია, დაიხარა და სტუმარს დაბალი ხმით ჩასჩურჩულა: — გთხოვთ, ერთი წუთით აქეთ გამობრძანდეთ. იანი ადგა, ორივენი განცალკავდნენ „პორუჩიკო იანი! ჩვენი შტაბის ოთახიდან მტრის ხელს ჯერ არაფერი გაუტანია და ვერც გაიტანს,

გთხოვთ ნივთი დადგეთ თავის ადგილზე“ — ეუბნება იასონი ოიტეცს.

ოიტეცმა იასონს უხელოვნად და დამბნულად შეეკითხა:

— არ მესმის, თქვენი სიტყვები ჩემთვის გაუგებარია...

— კიდევ გიმეორებთ: ნივთი თავის ადგილზე დადეთ!

ოიტეცმა მხრები აიჩეჩა და იასონს თვალი თვალში გაუყარა:

— თქვენ მთვრალი ხართ, — მიმართა მან ჟორჯოლიანს.

— არაშადავ, მე ვიცი როგორც უნდა გავისწორდე, მხოლოდ ახლა ამის დრო არ არის! — ტუნების კენეტით ჩაილაპარაკა იასონმა. პორუჩიკს ფარჯის უბეში ხელი შეუყო და იქიდან საველე ჩანთა გამოაძრო. ჩანთა ვერსიგორას ეკუთვნოდა. ის ფანჯარასთან იღო. ოიტეცმა თურმე დრო იხელათა, აიღო და თავის უბეში დამალა. უთუოდ ეგონა, ჩანთაში სამხედრო საბუთები იქნებო. ჯამუშს ღუდნიკმა და ჟორჯოლიანმა შეასწრეს თვალი და ის იყო მასთან ჟორჯოლიანი მიიჭრა. ოიტეცი დარჩა ხახა-შშრალი, სხვათა შორის ჩანთაში ხელის საპნისა და პირსახოცის მეტი არაფერი იყო.

ვერსიგორამ ზომბს დაურიდებლად დაუყენა რამდენიმე საკითხი:

— რას მოითხოვთ თქვენ კონკრეტულად ჩვენგან? როგორია თქვენი ღონისძიება ოკუპანტების წინააღმდეგ? როგორია თქვენი საბრძოლო გეგმა?

არცერთ ამ შეკითხვაზე ზომბს დადებითი პასუხი არ გაუცია. ოკუპანტები უნდა გავაძეოთ, მხოლოდ ამისათვის მარჯვე მომენტია საქირე. გერმანელები უნდა წავიდნენ, და ქვეყანას სათავეში სოსნოვსკის მთავრობა უნდა ჩაუდგესო, განაცხადა ზომბმა. მისი სიტყვებით ისე გამოდიოდა, რომ გერმანელები უნდა წავიდნენ აქედან, მაგრამ შემამულეთა და ბურჯუაზიის მიერ შერჩეული ფაშისტური მთავრობა ხელუხლებელი უნდა დარჩესო.

ასეაა, ჩვენთან საერთო ენის გამოხახვა ზომბს არ შეეძლო და ამას არც ჩვენ მოველოდით.

— პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩვენ არ ვერევი, — თქვა ვერსიგორამ, — თქვენს ქვეყანაში ჩვენ განსაზღვრული მიზნით ვართ მოსული: კა-

კობრიობის საერთო მტრის, გერმანელი ოკუპანტების აქედან გაქევაზე გვაქვს მიზნად დასახული. ამავე დროს ვერ ამიხსნად ზოგი ადგილობრივი გარეყრის მტრული განწყობილება ჩვენდამი: სარწმუნო ცნობები ხელთ გვაქვს, რომ ვიღაც გათახსირებულმა არამზადებმა ტყვეობიდან გამოქცეული თერთმეტი მეზობლი მიიღეს, დამე გაათევინეს და გათენებისას მძინარეებს თავები დააყრვივნეს. ადამიანის ამაზე მეტი გათახსირება შესაძლებელია?

— პირველად მესმის ეს ამბავი! — მხრების აწევით თქვა ზომბმა.

— მე ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ! — მკაცრად წარმოთქვა ვერშიგორამ.

ამ სიტყვებზე ოიტეცს შემოფოთება დაეტყო, განზე იწყო ცქერა.

ზომბის დარბაზობის შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო და ჩვენ გავიგეთ, რომ თერთმეტი საბჭოთა მეზობლის ვერაგული მკვლელობის მომწყობი პორუჩიკი ოიტეცი იყო.

პოლონეთში ჩვენ დაზვერვებს გაცილებით უფრო ვაძლიერებულ თავდაცვა სპირდებოდა, ვიდრე უკრაინა-ბელარუსიაში. ჯერ ერთი, პოლონეთი უცხო სახელმწიფო იყო, და მეორე, ამ ქვეყანაში ჩვენ ხომ ორი მოსისხლე მტერი გვყავდა: გერმანელები და ლენდონის ემიგრანტული მთავრობის აგენტები. — პანები და პოლონელი ბურჟუაზია. ეს ეკატატონები პირში გვიციხოვნენ და თანაც დანას ლესავდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

პოლონეთში ჩვენ დაზვერვებიც გაეხშირეთ და გაეძლიერეთ. ბოროტეციდან კვლავ დაგვზავნეთ ყველა მიმართულებით მზვერაგები. აქედან ერთი ძლიერი შემადგენლობის დაზვერვა ვარშავის მიმართულებით წავიდა. დაზვერვა ყოველთვის გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა: ამოწმებდა ადგილზე მოსახლეობის სულისკვეთებას, სწავლობდა მტრის გარნიზონების შემადგენლობას და ბრძოლის უნარიანობას.

ჩვენს შენაერთს მუდამ რეგულარული კავშირი ჰქონდა უკრაინის პარტიზანულ ცენტრალურ შტაბთან.

შტაბს დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ზომბის დიპლომატიური ნაბიჯი, ჩვენ-

თან მისი ოფიციალური დარბაზობა, შევატყობინეთ, რომ ეს დარბაზობა იყო უშინაარსო ლაყბობა და მტრის წინააღმდეგობა.

ზომბმა მალე კვლავ გვინახულა. ამ ჯერადაც უშინაარსო იყო მისი დარბაზობა. ვერშიგორამ ზომბს მტრის საწინააღმდეგო აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდა:

— თუ თქვენ გულწრფელი ხართ და მართლა გსურთ პოლონეთის მიწა-წყლის გერმანელებისაგან განთავისუფლება, ცხელი დღე უნდა დააყენოთ მტერს, იარაღი აისხით! ჩემის დაკვირვებით, პოლონეთში მოკალათებული პიტლერელები ისე უდარდელად გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ამავე დროს მე ერთი რამე მათკენ: — თუ ვინცობაა რომელიმე ადგილობრივმა პარტიზანულმა რაზმმა მტრის საწინააღმდეგო ხმის ამოღება გაბედა, ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები მაშინვე საგანგებო ფურცლებით აფრთხილებენ: „გერმანელებთან უკმაყოფილების ჩამომგდები პირნი საჯაროდ დაიხვერიტებიანო“, — გვეითხებით, სად არის აქ ლოლიკა? განა ეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა?

ვერშიგორას ყველა ეს საყვედური რომ ზომბს უშუალოდ ეხებოდა, ამას თვითონ ზომბიც კარგად გრძნობდა.

— ჩვენ არ ვართ კარგად შეიარაღებული, საომარი მასალის ნაკლებობას განვიცდიით და ამიტომ აქტიურობას ვერ ვიჩენთ... — განაცხადა ზომბმა.

— მაგალითად, რა ვაყლიათ? — შეეკითხა ვერშიგორამ.

— გვაკლია ისეთი დიდიმნიშვნელოვანი მასალა, როგორიც არის ნაღმი. ასეთი რამ არ გავგანძინა.

— ჩვენ უზრუნველყოფთ ნაღმებით, დღესვე გავცემ განკარგულებას საჭირო რაოდენობით გამოჰყონ თქვენი თვის ეს მასალა, დროულად მოაკითხეთ; თუ კი დიდი რაოდენობით დაგჭირდებათ ეს მასალა, დღესვე ვაცნობებ ჩვენ ხელმძღვანელობას და თვითმფრინავით მალე მოგვაწვდიან.

— მაღლობის თქმის მეტი არაფერი დაგვრჩენია, უსათუოდ მოეკითხავთ პირველ რიგში იმ ნაღმების მარაგს, რომელიც თქვენ ამ ეამად მოგვპოვებით.



გაბრუნდა ზომბი თავის ბანაკში და ნალმები არ გახსენებია, მისი მოკითხვაც დაავიწყდა.

ასე უშინაარსოდ დამთავრდა ზომბთან ჩვენი შეხვედრები, მალე ვარშავის მიმართულებით წასული მზვერავებიც დაბრუნდნენ. მათ ბევრი საყურადღებო ცნობები მოიტანეს. ამ ცნობათა შორის ერთი მეტად ამაღელვებელი იყო.

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მოსახლეობას ფაშისტები მხეცურად აწამებდნენ. ამჯერადაც მათ საქონლის ვაგონებში ჩაეყარათ შრომისუნარიანი ქალები და ძალით გაერეკათ თავის ქვეყანაში. ქალების ერთი ჯგუფი ვარშავის მახლობლად, სამხედრო წარმოებებში სამუშაოზე დაეტოვებინათ. მზვერავებს ენახათ ეს ქალები. ჩვენების დანახვაზე სიხარულის ცრემლები დაეღვარათ საწყალ ქალებს.

მზვერავები შეკითხოვნენ — სადაურები ხართ, როდის და საიდან წამოვაყვანესო.

— მეტი წილი უკრაინიდან ვართო, — ეპასუხნათ ქალებს. — სამი წლის წინათ გერმანელებმა ძალით წამოგვრევეს, ერთი წყება ქალებისა აქ დაგვტოვეს, უმრავლესობა გერმანიაში გაისტუმრესო.

— აქ რას აკეთებთო, — შეკითხოვნენ მზვერავები.

— წარმოებებში გვამტყაყტებენს პირუტყვს არ მოეპყრობა აღამიანი ისე, როგორც აქ ჩვენ გვეპყრობიან. ჩამოსვლისთანავე ზოგს ორი, ზოგს სამი ოთხი წლის ბავშვები წაგვართვეს, არც ის გვითხრეს, თუ სად მიჰყავდათ. კინაღამ ქვეა დავკარგეთ, გიყვებით გერბოდ-გამოვრბოდით, ვტიროდით, მაგრამ არაეინ იყო ჩვენი შემბრალეგელი. ხმა არ გაიღოთო, გვიბრძანებდნენ. ჯერით დავსნეულდით. დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ და გავიგეთ, რომ ჩვენი შვილები უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებში მოეთავსებინათ, სწამლავენ და შხამავენ თურმე ბავშვებს, ყოველდღე და საათში საბჭოთა კავშირის გინებას ჩასწიხინებენ.

ვერშიგორას წინადადებით მზვერავები უკან გაბრუნდნენ, პეტრომ მათ დაეაღა ეგებ შესძლოთ ქალების გამოპარება და აქ მოყვანაო.

ხელცარიელი დაბრუნდნენ მზვერავები; გერმანელებს ისეთი მკაცრი მეთვალყურეობა ჰქონოდათ ამ ქალების მიმართ, რომ მეტბრძოლებმა ერთი ქალის გათავისუფლებაც ვერ შესძლეს. ეს ამოცანაც შემდეგი დროისათვის გადავდეთ.

(გაგრძელება იქნება)

იოჰანეს ბახაჩი

## ლექსები



### ჰიმნი საბჭოეთზე

ბარბაროსებთან ბრძოლაში  
 დგებარ გულდაუღრუბველელი,  
 აუღებელი სიმაგრე,  
 სამშობლო თავისუფლების.  
 შეგხარის ხალხთა ოცნება,  
 სიმღერა საგანთიადო,  
 თვალგადაუწვდენ სივრცეზე  
 შენი ვარსკვლავი კიაფობს.

იმედი ყველა ხალხისა,  
 ხარ ჩვენი კანონმდებელი,  
 თავისუფლების მომტანი,  
 სიმართლის მქადაგებელი.

უდიდეს მწუხარებისგან  
 თავი თუ როგორ დავიხსნათ,  
 დიდი ბელადის თვალეგში  
 ვკითხულობთ პასუხს ამისას.  
 შენ ჩვენთან მუდამ ახლო ხარ —  
 სიცოცხლე ჩვენი გულივით.  
 ლენინ-სტალინის დიდ დროშას  
 მარადყამს ვიერთგულებით.

ჩვენი სიცოცხლის აზრი ხარ,  
 ნათელო თვალციკრიანო,  
 ბედნიერები ვიქნებით,  
 ოღონდ შენი გზით ვიაროთ.

შენ გლოცავს ხალხი მრავალი  
 თაყვანით და მოკრძალებით,  
 შენს პურს და ფოლადს უფრთხიან-  
 მხოლოდ ბნელითის ძალები...  
 და შენმა წმინდამ, დიადმა  
 ამ ომმა საკაცობრივად,  
 დაამხო ლამის წყველიადი,  
 დაიხსნა მთელი მსოფლიო.

ბარბაროსებთან ბრძოლაში  
 დგებარ გულდაუღრუბველელი,  
 აუღებელი სიმაგრე,  
 სამშობლო თავისუფლების.  
 შეგხარის ხალხთა ოცნება,  
 სიმღერა საგანთიადო,  
 თვალგადაუწვდენ სივრცეზე  
 შენი ვარსკვლავი კიაფობს.

### მილჰელმ პიქს



ჩვენ შენთან ერთად მოგხუცდით  
 და მაინც დაერჩით ყრმებად...  
 გვირჩევე, გვიყვარდეს პარტია  
 საკუთარ თავზე მეტად.

წინ მიგვიძღვები და შენგან  
 ნათქვამი ერთი სიტყვავე  
 უდიდეს ძალას გვანიჭებს,  
 რწმენას გვინერგავს დიდსა.

გულით ატარებ წამებულ  
 ამხანაგების კენისას,

მათი მწუხარე ლანდები  
 არ გასვენებენ დღესაც.

ტყვიით დაცხრილულთ კივილით  
 ეგ გული დღესაც იწვის...  
 შენ ხარ პარტიის დიდება  
 და სინდისი მისი.

გვირჩევე, გვიყვარდეს პარტია  
 საკუთარ თავზე მეტად...  
 ჩვენ შენთან ერთად მოგხუცდით  
 და მაინც დაერჩით ყრმებად.



სიმღერა ცისფერ ღროშაზე

★

1

გზაზე სიმღერა იფრქვევა —  
ახალგაზრდობა მღერის,  
ცის ლაქვარდამდე იწევა  
ღროშა ლაქვარდისფერი.  
გზას არ გადასცდი, ძმობილო!  
ჩვენ გზას დიდება შეგნის!  
ახალ ქვეყნისთვის საბრძოლად  
ვავშაღეთ ღროშა ჩვენი.

2

გადმოიღვარე, სიმღერავ,  
ცად აიხარდი, ღროშაე!  
მოვდივართ გულით მამაცნი,  
და ომს ვუცხადებთ ომსა!

მშვიდობავე, ხალხთა გულებში  
ძლევის გზას გაიკაფავ.  
მებრძოლო ახალგაზრდობავე,  
მარცხნივ გასწიე სწრაფად.

3

ცისფერ თალიდან გვიღიმის  
მნათობი შუქის მღვრელი.  
შეხედე, მოდის კოლონა,  
ახალგაზრდობა მღერის:  
„ახლა ქვეყანას ვაშენებთ,  
გულს ნეტარება მოსაგს,  
სამშობლოს თავზე ფრიალებს,  
ჩვენი ცისფერი ღროშა!“

თარგმანი გერმანულიდან  
ვახტანგ გიფუქელიძე

## ახალი ნიალვარი \*



თაზი მძაგზი

1.

ვესილი კუტის გზიდან ახალნიად-  
ვარში შედიოდა არანეულებრივი აღა-  
ლი, რომელიც საერთო ყურადღებას  
იპყრობდა.

აღლის თავში მიდიოდნენ ფორნე-  
ბი. პირველ მათგანში, ნაირფეროვანი  
ქსოვილით დაფარულ თივაზე, ორი კა-  
ცი იჯდა. ერთი მათგანი ლუკა მიტრო-  
ფანოვიჩის სადღესასწაულო პიჯაკში და  
თეთრ მაღალსაყლოიან ხალათში იყო  
გამოწყობილი. ის მეტისმეტად მედი-  
დურად გამოიყურებოდა. მედიდურობა  
იმამშიაც კი ეტყობოდა, თუ როგორ ეჭი-  
რა მას აღვირი და როგორ დაუღვევრად  
იქნევდა მათარას. ლუკა მიტროფანოვი-  
ჩის გვერდით, მორჩილი ტანის, შავ-  
თმიანი კაცი იჯდა. მას ახალთახალი  
პიჯაკი ეცვა და მუქი ფერის ფართო  
ფარფლებიანი ქუდი ეხურა.

იგი განუწყვეტლავ აქეთ-იქით იც-  
ქირებოდა და ყველაფერს ყურადღებით  
ათვალიერებდა, თანაც მოკლედ შეჰ-  
რილ უღვაშებს იწიწნიდა. გამხდარ  
სახესა და შავ თვალებში გაკვირვება  
ეხატა. ხანდახან იგი რაღაცას კითხავდა  
ხოლმე ლუკა მიტროფანოვიჩს, მოუს-  
მინდა პასუხს და ისევ განაგრძობდა  
ირგვლივ ცქერას. როცა მან დაინახა  
რამდენიმე დამწვარი და ჯერ აღუდგე-  
ნელი სახლი, თავი თანაგრძნობით გადა-  
აქნია და თქვა:

— ოჰ, ოჰო! ლუკა მიტროფანოვიჩი,  
რა უქნია მტერს, რა საშინელებაა!

ლუკა მიტროფანოვიჩმა არაფერი არ  
თქვა და მხოლოდ ხელი ჩაიჭნია იმის  
ნიშნად, რომ შენ თვითონვე ხედავ, რაც  
არისო...

მეორე დიდ ფორანზე შეზვიუნული  
იყო მომკრთო თეთრი ყუთები. ამ ყუთე-  
ბიდან ირგვლივ ფორთოხლების სურნე-

ლება იფრქვეოდა, და ბავშვები განსა-  
კუთრებული ცნობისმოყვარეობით უც-  
ქეროდნენ მათ. მესამე ფორანზე, რო-  
მელზედაც ეწყო გადაჩეული სათესლე  
ხორბლით სავსე ტომრები, ბრიგადირი  
კოვალჩუკი იჯდა. შემდეგ ნელა მო-  
ჩახრახებდა სრულიად ახალი ტრაქტო-  
რი. ტრაქტორის საქვს იგორი მართავ-  
და. ტრაქტორს სამი ერთმანეთზე გადა-  
ბმული ფორანი მოჰყავდა. პირველი  
ორი მათგანი აგრეთვე დატვირთული  
იყო ყუთებით, რომლებშიაც ეწყო მი-  
ნები, სახურავი თუნუქი, ლურსმნები,  
წიგნები, რვეულები და წამლები სა-  
ვადმყოფოსათვის. უკანასკნელ ფორან-  
ზე ელავა სხვადასხვა ხელსაწყოები: ბა-  
რები, თოხები, ხელის კულტივატორი  
და ქილოფში გამოკრული თეთრეულის  
მთელი ბარდახა იდგა.

ამ ფორანის უკან გალია სოროჩენკო  
ექვს წმინდამატყლოვან ცხვარს მოდე-  
ნიდა. მათ წინ შედიდურად მიუძღოდა,  
რამდენიმე რგოლად რქებდაგრებილი  
დიდი ყონი.

ყველაზე ბოლო ფორანში „კატუშა“  
ეხა. კატუშას აღვირები ვალოდიას ეჭი-  
რა. ფორანზე დედა ცხვარი იყო და-  
რული. ის ხშირად იწედა თავის უმ-  
წყო და წვრილფეხებიან ბატყნისაკენ.  
რომელიც ფორანის გვერდით მიმავალ  
ვანო ჭელიძეს ეჭირა. ვანოს ქუდი არ  
ეხურა და ხალათის სახელო გახსნილი  
ჰქონდა. ბატყანს ისეთი ხშირი, მშზინა-  
ვი, სუფთა და დახვეული მატყლო ჰქონ-  
და, თითქოს საუკეთესო საპარიკმაჩრო-  
ში დაუხუჭუჭესო. ვანო ვალოდიას  
ელაპარაკებოდა და თან ბატყანს ხელს  
ეფერებოდა.

ფორანს მიჰყვებოდა, ზედვე მიბმული  
ოქროსფერი, ჭრელი ძროხა.

ასე შევიდა ახალნიადვარში ვანოს  
თანამგზავრი ქართველი კოლმეურნი —  
გრიგოლა ნონეშვილი.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორასთან მათ კოლმეურნეები შეხვდნენ. შეჯინებე სიმონ ბელოზუბმა, ასეთი სახეიბო ღღის გამო ახალ ჩექმებში და მოქარგულ ხალათში გამოწყობილმა, გრიგოლას, როგორც უფროსს, თეთრ პირსახოცზე დალაგებული პური და მარლიო, თავდახრით მიართვა. გრიგოლამ ჩამოართვა პური, აყოცა მას და ვანოს გადასცა. ვანოს ერთი წუთი ისე ეკავა ხელში პური, რომ არ იცოდა რა ექნა, იმასაც ეკოცნა პურისათვის თუ არა? ძველებური ჩვეულებები მან არ იცოდა; მაგრამ გრიგოლამ ისე შეხედა ვანოს, რომ იმანაც აყოცა პურს. გრიგოლამ ვანოს ისევ გამოართვა პური, მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და ბიცოლა ევდოციას გადასცა თხოვნით, მას შეეხახა ეს პური, მის უკან დაბრუნებამდე, რომ წაეღო საქართველოში. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

მეზოსტენე ვარვარამ თითო პატარა ქიქა არაყი დაუსხა და თანაც ღვეძილიც მიართვა სტუმრებს. გრიგოლამ ძველი ჩვეულების მიხედვით მარტო არაყი დალა და ღვეძელს თავი აარიდა. არაყის შემდეგ ოღნავე შეიკუმხნა და ქიქაში ჩარჩენილი წვეთები მიწაზე გადააშეფა. არაყი ვანომაც შესვა. ახლა ის გრიგოლას აღარ უყურებდა, რადგან თავიდანვე კარგად იცოდა, თუ რა უნდა ექნა ქიქისათვის. მათ შემდეგ იმავე ქიქით, ლუკა მიტროფანოვიჩმაც გადაკრა.

ტრაქტორი ზედ მიბმული ფორნებით კანტორის ეზოში შევიდა. მთელი ქონება სამწერო ნაწილის გამგეს ჩააბარეს. გალია საბოლოოდ ცხვრები ბოსელში შედნა. ლუკა მიტროფანოვიჩმა სტუმრები სახლში მიიბატოდა, მაგრამ ვანო კოლმეურნეობიდან პირდაპირ ბიცოლა მარფასთან გაეშურა მას კვალდაკვალ მიჰყვა ვოლოდკა, რომელსაც თან ოქროსფერი ძროხა მიჰყავდა. ეს ძროხა, ვანოს მამას, პირადად მარფასთვის გამოეგზავნა.

საკითხი, თუ ვის უნდა შეჯიბრებოდნენ ქართველები, ან ვისთვის მიეტანდნენ საჩუქრები, უკვე გადაწყვიტოლი იყო, მაგრამ ვანომ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა. ჯერ კიდევ გუშინ ახალნიადღარში გრიგოლამ ერთი დღით აღრე ჩამოსული, ის საშინლად ლელავდა არ იცოდა რა ექნა და გრიგოლა ვისთვის გაეცნო. ის მეტად ხე-

რიოზული კაცია. დასცინებს, შეძლებდა გალანძლოს კიდეცაც, — მოვლილით და თავათაც არ გვეცოდნია ვესაძლო... ვანო მეტად შეწუხებული იყო. ის ფართო ნაბიჯებით დადიოდა კომკავშირის რაიკომის ოთახში და დროდადრო ნატალიას ეკითხებოდა:

— რა გქნა? ნატაშა მითხარი, როგორ მოვიქცე? ვინმე რომ ნაწყენი დარჩეს, გრიგოლა მე შეეშამს; ისეთ დღეს დამაყენებს, რომ სახლშიაც აღარ წამესვლება. მითხარი რამე, რას მიჩიქე?

ნატაშა იცინოდა.

— შენც ნუ წახვალ, ჩვენთანაც ხომ კარგია?

— მე არ ვხუმრობ.

— აბა მე რა ვიცი, თვით აირჩიე, ვისთანაც უფრო გეხერხება, იმას შეეჯიბრეთ.

— შენ სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ. მე კი რა უნდა უთხრა ხვალ გრიგოლას?

— მე რა ვიცი.

— შენ არ გინდა მიშველო, არც არის საჭირო! ისევ ვორონოვთან წავალ.

— თავიდანვე მასე მოქცეულიყავი. მართლა, ვორონოვმა გთხოვათ, მასთან შეიარო.

— შენ კი განუმებულხარ!

— აბა რად უნდა ვიყვირო? წამოდი, ვორონოვთან მეც წამოვალ.

ვორონოვმა საკითხი მალე გადაჭრა. მან კითხა ვანოს:

— შენი ბიცოლა მარფა, რომელ კოლმეურნეობაშია?

— ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრია.

— მამასადამე, შეჯიბრების ხელშეკრულებაც ლენინის სახელობის კოლმეურნეობას უნდა დაუდღათ. ნაწყენიც არავინ დარჩება. ხომ სწორია?

— სწორია, ანდრეი ივანოვიჩ — გაიხარა ვანომ, — რატომ თავიდანვე ვერ მოვიფიქრე?!

— მე კი უცხად მოვიხაზრე, — გაიღიმა ვორონოვმა.

ვორონოვს იმიტომ ელიმებოდა, რომ ვანოს ჩამოსვლის წინა დღეს, მასთან სერგეი იყო, და მათ უკვე გადაწყვიტეს, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო.

სალამოს სტუმრების ჩამოსვლის აღსანიშნავად ლუკა მიტროფანოვიჩის სახლში სუფრა გაიმალა.

წვეულებაზე ვორონოვი და რაიალმასკომის თავმჯდომარეც მოვიდნენ. ყვე-

ლა ბრიგადირი იქ იყო. მიიწვიეს ნატალია, ბიცოლა მარუა, ლარისა დიმიტრიენა, შოროზი, ფედორჩუკი, მარუსია და გალინა სოროჩინკო.

ლუკა მიტროფანოვიჩი სიხარულისაგან პირდაპირ ბრწყინებდა. ის საერთოდ დიდი სტუმართმოყვარე იყო, მით უმეტეს ახლა, როცა ასეთი სტუმრები ჰყავდა, სიხარულით ცას წყდებოდა. მას ისიც უხაროდა, რომ კოლმეურნეობას თავისი საკუთარი ტრაქტორი ეყოლებოდა და გული საგულეში აღარ ეტეოდა. მიუხედავად ასეთი მღელვარებისა, ლუკა მიტროფანოვიჩის თავი ძალიან დარბაისლურად ეკირა, ისე ლაპარაკობდა, რომ ყოველ სიტყვას ფსიჰქონოდა — სტუმრებს უნდა სცოდნოდათ, რომ მათ საქმე ჩიტრიეკასთან კი არა აქვთ, არამედ დინჯსა და მეურნეობის კარგ მუშაკთან.

მართალია, მისი კოლმეურნეობა ახლა მძიმე მდგომარეობაშია, გასაჭირში ჩავარდნენ, მაგრამ არა უშვავს, ცოტა სულს მოითქვამენ და შემდეგ ერთი ასად გადაუხდიან ქართველებს. ლუკა მიტროფანოვიჩს არასგზით არ უნდოდა, რომ სტუმრებს ნანუშვილის ჩამოტანლი ღვინით გამაჰინძლებოდა. ახლა მან, ლუკა მიტროფანოვიჩმა, უნდა სცეს მათ პატივი, — აი ღვინო, აქ კოლაერატივში ნაყიდი. გრიგოლამ კარგად იცოდა სტუმარ-მასპინძლობის ჩვევები და ამიტომ არ ეწინააღმდეგებოდა, მით უმეტეს, რომ თვითონვე მას ღვინისაგან კი არა, უფრო მაგარი სასმელისაგან უწევდა გული. გრიგოლას საზოგადოებაში თავი დირსეულად ეკირა, სვამდა თავშეკავებულად, ისიც ყოველ ნათქვამ სიტყვას წონიდა, და უქმაცოფილად უყურებდა ვანოს, რომელიც სუფორს მეორე ბოლოში ხმაძილად იტინოდა.

ლუკა მიტროფანოვიჩმა პირველი კიკით შეგობრობის სადღეგრძელო დალია და დახმარებისათვის სტუმრებს მადლობა გადაუხადა.

ლუკა მიტროფანოვიჩის შემდეგ რამდენიმე სიტყვა ვორონოვმა და ვანომ წარმოსთქვა. ვერაჟინ ვერ გააგო, ვანო როგორც საქართველოდან ჩამოსული სტუმარი ლაპარაკობდა, თუ როგორც ახალნიღვარში მცხოვრები.

გრიგოლა გამოვიდა საბასუხო სიტყვით. მან ილაპარაკა თავისი კოლმეურნეობის შესახებ, შეგობრობაზე, ურთიერთდახმარებაზე და ყველას მოუწოდა

ამ შეგობრობის განმტკიცებისა და შეფართოების სადღეგრძელო დალია, და ისურვა, რომ ყველა ისინი განწყობილად მასთან სუფრაზე ისხდნენ: მანუშკა ქართველოში, კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ენახა.

ღამის თორმეტი საათისათვის სტუმრები უკვე დაიძალნენ, ლუკასთან დარჩა მარტო გრიგოლა.

ახლა კი მთელი დილაობატი სადღაც ეშმაკებში გაიფანტა!

ლუკამ გადავილა უქანასკნელი სტუმარი და ოთახში შემომბრუნებისას ბიცოლა ევლოკას უთხრა:

— მოხუცო, ამა ერთი ბოთლი მოგვიტანე!

ბიცოლა ევლოკამ მხრები აიჩჩია. — „რა დაემართა ამ კაცს დღეს, თითქოს პირში არაფერი ჩასვლია“ — მივიდა და ქმარს ყურში ჩუმად ჩაუფუჩუნა:

— არც ერთი წვეთი არ დარჩენილა.

— აი, იქ ნახე.

ევლოკამ გამოიღო გადანახული ბოთლი. წიწკაზე დაყენებული არაყით სავსე.

ლუკა მიტროფანოვიჩმა პირველად ნახევარ-ნახევარი ჭიქა დაასხა. მიუჯახუნეს ერთმანეთს ჭიქები და დალიეს. გრიგოლამ არაყი შეაკო, თუმცა დაღვივისას ძალიან შეყარა წარბები.

— თუ კარგია, თითო კიდევ დაკლიოთ, — გაეხარდა ლუკა მიტროფანოვიჩს.

გრიგოლამ მასპინძლს ხაირით კიდევ დალია — ახლა ის უკვე აღარ იღრთებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაგიდასთან უკვე ნამდვილი ორი მეგობარი იჯდა, რომელთაც თითქოს ასი წელიწადი ეცხოვროთ ერთად. გრიგოლა უქარიხელებს აქებდა. ლუკა მიტროფანოვიჩი კი ქართველებს ლუკა მიტროფანოვიჩს უძნეულებოდა „გრიგოლას“ გამოთქმა და ამიტომ გრიგორის უძახობდა.

— არა, რაც არ უნდა თქვა, ცხოვრებაში კარგი მეგობრის შეხვედრა — ეს ბედნიერებაა. — და ლუკამ უამბო გრიგოლას პეტრეს შესახებ. ყველაფერს დაწერილებით უყვებოდა და ვერც კი ამჩნევდა თუ როგორ მოდიოდა ცრემლები. გრიგოლამ უსმინა, უსმინა და ბოლოს მასაც აეცრებლა თვალები.

შემდეგ სამჯერ გადაკოცნეს ერთმანეთი. ლუკა მიტროფანოვიჩი გრძნობას აყვა და გულახდილად გამოუტყდა გრიგოლას, თუ რა დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა ამ დახმარების გაწევას. ტრაქტორზე მხოლოდ ოცნებობდა, ახლა კი, თითქოს სიზმარი იყოსო, ახალი და საკუთარი ტრაქტორი მიიღო.

ბიცოლა ევდოკია, გულხელდაკრეფილი ღუმელთან იდგა ჩუმად. ის უყურებდა მეგობრებს, აქნევდა თავს და გუნებაში თავის მთვრალ ქმარს კიცხვდა.

11.

მეორე დღეს ლუკა მიტროფანოვიჩს დილით ადრე გაეღვიძა. გრიგოლას მის გვერდით მდგარ საწოლზე ეძინა. რა დაემართა? არც კი ახსოვს, როგორ და როდის დაწვა. ესეც შენი მასპინძელი! ხალხი რას იტყვის?

ხასიათწამხდარი ლუკა მიტროფანოვიჩი საჩქაროდ წამოხტა ლოგინიდან, ტანსაცმელი ჩაიყვია და ჩუმად გავიდა სამხარეულოში. ბიცოლა ევდოკიას უკვე ღუმელი გაეჩაღებია და საუზმეს ამზადებდა.

— ევდოკია, გუშინ მე ხომ არაფერი... ისეთი?... — შეეშვებულმა ჰკითხა ცალს.

— არაფერი... — საყვედურის კილოთი უბასუხა ევდოკიამ, — მიკვირს, ხალხის როგორ არ გრცხვენია?

— აღარ იტყვი, რა იყო? — ჰკითხა უკვე სრულიად სასოწარკვეთილმა ლუკა მიტროფანოვიჩმა.

— შეკითხები კიდევც არც კი გრცხვენია!

— მაინც რა მოხდა? თქვი ქალო! — დაეინებით ეკითხებოდა მოხუცი.

მაგრამ ბიცოლა ევდოკია განზრახ არაფერი ეუბნებოდა, რომ ლუკა მიტროფანოვიჩს თავისი დანაშაული უფრო მეტად ეგრძნო.

„შეიძლება ამატებს, — იმშვიდებდა თავს ლუკა მიტროფანოვიჩი — ასეთ საქმეში ქალს არ დაეჯერება“.

ის მივიდა კარებთან ფრთხილად გამოაღო და საქციელწამხდარი იქვე აჩერდა — გრიგოლა უკვე ჩაცმული საწოლთან იდგა და უძლიერად მას.

— დილაშვილობისა! როგორ ხარ, თავი ხომ არ გტკივა?

— გამდლობთ, არა მიშავს. თქვენ როგორღა ხართ?

— ხართ კი არა, ხარ. გუშინ ჩვენ ხომ „შენობით“ დაველიეთ!

გრიგოლამ გაიღიმა, მისი თვალები

ბრწყინავდნენ. საერთოდ ის ძალიან ყოჩაღად გამოიყურებოდა.

„მაგარი ვაჟაკი ყოფილა, — გულისხმობდა ლუკა, — და ერთბაშად! — გრცხვენია რეულა, — დედაკაცი ტყუილობრალიდ მაშინებდა“ — გადაწყვიტა მან.

— მოხუციო, საუზმის საქმე როგორა გაქვს? ამ ადამიანს პირი დააბანინე.

ერთი საათის შემდეგ კოლმეურნეობის კანტორაში გრიგოლა, აქტის თანახმად, ლუკა მიტროფანოვიჩს საჩუქრებს აბარებდა. ის თვითეულ წვრილმანსაც ყურადღებით აღევნებდა თვალყურს, რათა ყველაფერი ზუსტად ყოფილიყო ჩაწერილი. სახლში დაბრუნებისას მან დაწვრილებით უნდა მოახსენოს თავისიანებს, თუ რას როგორ გამოიყენებენ უკრაინელები საჩუქრებიდან, რა უფრო საჭირო აღმოჩნდა მათთვის და რა ზედმეტი. იქ, საქართველოში ყველაფერი უნდა იცოდნენ და ამის გამო გრიგოლა სზირად ეკითხებოდა:

— ხომ არ დაგვეცინებთ ამისათვის? შეიძლება ეს ბარები გამოსადეგიც არ იყოს თქვენთვის!

— რას ამბობ! — ამშვიდებდა ლუკა მიტროფანოვიჩი, — ახლა ჩვენთვის ყველაფერი საჭიროა. ბარები კი ოქროს ფასაც გვიღირს. შემოდგომა მოდის, ხეებისათვის ორმოცბია ამოსათბრელი. ერთი საიტყვით, თქვენთანებს დიდი და დიდი მადლობა ვადაწვით. აი, ეს მატერიები კი... აღბათ თავათ მოიკლეს და ჩვენ გამოგვიზავენეს, არა?

როცა საჩუქრების ამბავი მოთავდა, ორთვალა ფორანში „კატუმა“ შეაბეს და კოლმეტივის მეურნეობის დასათვალეირებლად წავიდნენ. სერგეიც თან წაიყვანეს.

რა თქმა უნდა, ლუკა ცდილობდა. ის ეჩვენებია გრიგოლისათვის, რაც საუკეთესო იყო, ცუდისათვის კი გვერდის ავლა უნდოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში გრიგოლა აღარ იყო ისეთი დამყოლი, როგორც სუფრაზე მხიარულების დროს. ახლა ის შარიან ინსპექტორს უფრო გავდა, ვიდრე სტუმარს. ის ჩამოსული იყო შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად, და მამასადამე, კარგად უნდა ცოდნოდა, თუ ვისთანა აქვს საქმე. ხელშეკრულების ყოველი მუხლი ურყევი და აშკარა უნდა ყოფილიყო. გრიგოლამ უნდა იცოდეს, თუ რა მოთხოვნები წარუდგინოს თავის კოლმეურნეობას. ყველაფერი უნდა



გაითვალისწინოს, რომ შეჯიბრება არ ჩაეშალათ. ვინაც ეჯიბრებიან, მას კარგად უნდა იცნობდნენ.

გრიგოლა ლენინის სახელობის კოლმეურნეობას კი არ ათვალთვრებდა, არამედ სწავლობდა.

„იმ წამსვე შეატყობ, რომ კარგი მეურნეა, — ფიქრობდა პატივისცემით გამსქვალული ლუკა მიტროფანოვიჩი. — ვერაფერს ვერ გამოაპარებ, და ალბათ, მისგანაც არც არაფრის დამალვაა საჭირო“.

ნახევრელი ყველაფერში მალე და კარგად ერკვეოდა, გამოთქვამდა თავის აზრს და აღტაცებას; თუ რამე მოეწონებოდა, უთუოდ იტყოდა, მაგრამ უკმაყოფილებასაც არ მალავდა. სწორეთ ამიტომ უფრო მეტად მოწონდა ის ლუკა მიტროფანოვიჩს. მოხუცმა არც თავად იცოდა საკუთარი გრძნობების დამალვა. გრიგოლა ისეთივე სიყვარულით და სიფრთხილით ეპყრობოდა ლუკა მიტროფანოვიჩის კოლმეურნეობას, როგორც თავის საყუთარს, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი კოლმეურნეობა ათასი ელომეტრის მანძილით იყო დაშორებული მისი შობლიური კოლმეურნეობისაგან. ეს საერთო, სახალხო მეურნეობა იყო და გრიგოლას, მოუსვენარი ბუნების პატრონს, არ შეეძლო გულწრფელად არ დაინტერესებულყო მისი ბედობლით. ლუკა მიტროფანოვიჩს ესმოდა გრიგოლას გულისთქმა, და თუმცა თავიდან ცდილობდა მიეჩქმალა მეურნეობის დამრიდოვანი მხარეები, მაგრამ შემდეგ ამაზედაც ხელი ჩაიჭინა:

„არაფერი სასიერცხო არ არის, — გადაწყვიტა მან ისეთი გრძნობით, როგორც ეს ემართება ავადმყოფს, როცა ის ეჭიმთან ტანისამოსს იხდის, — შინაური კაცისაგან დასამალი არაფერია“.

როცა გრიგოლას მოსწონდა რამე, ტუჩებს რაღაცნაირად აცმაცუნებდა და მხიარულად იღიმებოდა. თუ რამეს უწყსოს შეამჩნევდა, ჩუმად და საყვედურით შეხედავდა მასპინძელს, ზოგჯერ გაკვირებული იტყოდა კიდევ:

— ოჰოჰო, ლუკა მიტროფანოვიჩ!

მან ყველა ესო ფიქრდაფიქრ შემოიარა, დათვალთვრა ჩამონგრეული და შემომწვარი კედლები, თივით ოდნავ დაფარული სახლის სახურავები და მალაღი საკვამურები, ახალი ამუშავებული და დაუმთავრებელი სახლებიც.

დაბრუნებისას, როცა უკვე ფორანში იჯდა, მაშინ თქვა:

— როგორ ვერ მოგხატავდი! რომ საჭირო იყო უფრო მეტად მინისკის სახურავი თუნუქის და ლურსმანის წამოღება.

საჯინბოშოვაც მივიდნენ დასათვალთვრებლად.

გრიგოლამ იქ ნახა, რომ მის მიერ ჩამოყვანილი ცხვრები ძალიან ვიწრო გადალობილში იყვნენ შერეკილი. კუთხეში ერთად შეყუდებული ცხვრები საბრალოდ ბლაოდნენ.

— ოი, ოი, ლუკა მიტროფანოვიჩ! — და საყვედურის ნიშნად თავი გადააქნია ლუკას თავის დღეში არ უგრძობნია ისეთი სირცხვილი, როგორც ახლა. ის გაწითლდა და ჩუმად, ისე, რომ გრიგოლას არ დაუნახა, სიძინ ბელოზებს მუშტი უჩვენა.

ბოსტანში დიდხანს დადიოდა კვლებს შორის გრიგოლა და სდუმდა. კომბოსტოს უმველებელი თავების, პომიდორის და შესანიშნავი კარტოფილის გროვების მნახველი, ის კმაყოფილები-საგან ტუჩებს ილუკავდა და ლუკა მიტროფანოვიჩს პატივისცემით უცქერდა. ლუკა მიტროფანოვიჩი კი, ისე, მოულოდნელად, ერთბაშად აღაპარაკდა იმის შესახებ, რომ მომავალ წელს მათ გაცილებით უკეთესი ბოსტნები ექნებოდა ამომწვალ მინდორზე გამეწინებულ სერგეის უკრინდა, რომ ლუკა მიტროფანოვიჩი სწორედ იმ მინდორზე ლაპარაკობდა, რომლის ამოშრობის შესახებ აქამდეც ის ვერასგზით ვერ შეუთანხმდა ლესიას. სერგეი ძლიერს იყავებდა ღიმილს. მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი ესმისო.

კოლმეურნეობის დათვალთვრება ბოსტნის ნახვით მოთავდა. ლუკა მიტროფანოვიჩი ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ერთი უხერხულობა შეიქმნა, რამაც სერგეი გულიანად გააცინა ლუკა მიტროფანოვიჩის კი ხასიათი წაუხდინა სტუმრების ახალნილოვრებში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში.

— ვინ იცოდა? თითქოს ესმაცმა ყველაფერი განზრახ აურ-დაურია, — ამბობდა ხოლმე შემდეგ ამ შემთხვევის შესახებ ლუკა მიტროფანოვიჩი, — თითქოს აღმძინის გონება დამძინებლად...

სინამდვილეში ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: ბოსტნიდან წასვლის შემდეგ, გვერდით ჩაუარეს, შორის სი-

მინდს (ვერ მოიფიქრა, რომ გვერდი აეკლოთ) გრიგოლამ დაინახა თუ არა ასეთი შესანიშნავი სიმინდი (მან არ იცოდა, რომ სწორედ აქ ჰყოფდა საზღვარი ორი კოლმეურნიების მიწებს), ჩამოხტა ფორანიდან და სიმინდში შეირბინა. ის არჩევდა მალალ სიმინდს, სიყვარულით ხელს უჭერდა დიდრონ ტაროებს და ყნოსავდა კიდეც მათ.

— ასეთ გვალვიან ზაფხულში, ასეთი შესანიშნავი სიმინდის ყანა, პირდაპირ სასწაულია! მადლობელი ვარ, ლუკა მიტროფანოვიჩ, მადლობელი. აი, ამის ამბავს კი ჩაუტან ჩვენებს, — და გრიგოლამ მაგრად ჩამოართვა ხელი მოხუცს.

სერგეი სიცოცხლეს ძლიერძლივობით იკავებდა, ლუკა მიტროფანოვიჩს კი გამბედაობა არ ეყო, ეთქვა, რომ ეს სხვისი სიმინდია და ვერ ვაბედა კარგი ხასიათი წაეხდინა ადამიანისათვის და... გაჩუმდა, არაფერი არ თქვა.

III.

რამდენადაც იკლებდა სერგეის წასვლამდე დარჩენილი დღეების რიცხვი, მით უტორო ემატებოდა მღელვარება მას. გარკვეული გრძნობა აწვალებდა — უნდოდა უკვე დონბასში ყოფილიყო და იმავე დროს ახალნიღვრის მომზარებაც ენანებოდა.

ვორონოვის თხოვნით სერგეი მასთან მივიდა, ვორონოვმა მოხუცა თვალები და ჰკითხა:

— როგორ ხარ, მაიორო. ხომ არ მოგწყინდა?

— მოსაწყენად დრო არ მაქვს.

— დარჩენა არ გადავიწყვეტია ჯერ?

— არა, უკვე მალე გავუდგები გზას.

— ეს ცუდია მე კი მიხდოდა კიდეც ერთი საქმის შესახებ შეთხოვნა შენთვის, ხომ არ მოგებზრდა?

— თქვი, თქვი.

— გესმის, საქმე შემდეგშია... ბიძაშენს ხუთწლიან გეგმას შენ უდგენ...

— ხო, მე...

— მაშასადამე, კოზირიც შენ ხელშია. ქართველების ჩამოსვლა, ეს მართო ლენინის სახელობის კოლმეურნიების საქმე კი არ არის. ლაპარაკი მართო ქელიძეს და ლუკა მიტროფანოვიჩს ხომ არ ეხება. იეს ჩვენი პარტიის პოლიტიკის განხორციელებაა პრაქტიკაში.

— კი მაგრამ, ვინ არის ისეთი, რომ ეს არ ესმოდეს?

— ზოგს ესმის და ზოგს არა. მეუბნები ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ყველას ესმოდეს. სტუმრები უმარტონ უნდას კოლმეურნიებაში კი არა... ჩამოსვლამა არამედ ჩვენს რაიონში არიან, და ეს დღესასწაული მთელი რაიონის დღესასწაული უნდა იქნეს.

მოიხმარე შენი კომპაგმირლები და ვანო ქელიძე, დაათვალიერე გეგმა და შეჯიბრების პროექტი შეადგინე. იცოხელმეკრულება ისე შეადგინე, რომ ყოველი ვალდებულება რეალური და აბსოლუტურად ზუსტი იქნეს. ეს პირველი შეორე — მოამზადე და უზრუნველყავი კრების მოწვევა, რომელზედაც კოლმეურნიები ხელშეკრულებას დაამტკიცებენ. კრებას დაესწრებიან ყველა სოფლის დელეგატები, სტალინის სახელობის კოლმეურნიებიდან სტუმრები, სარაიონო ორგანიზაციების წარმომადგენლები და შეიძლება ვინმე ოლქიდანაც ჩამოვიდეს. ლუკა მიტროფანოვიჩის მოხსენების მომზადებაში მონებმარე.

კრებაზე გრიგოლა და ვანო ქელიძეც გამოვა. იმუშავე მაიორო, და საქმიანობიდან თავისუფალ დროს იმაზე ილაპარაკე, რომ შენ აქ ძალიან მჭირდები.

ოლქიდან ვორონოვი ამ ცოტა ხნის წინად დაბრუნდა. პარტიის საოლქო კომიტეტში, სხვა მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად, მან სერგეის შესახებაც ილაპარაკა — თუ რას აკეთებდა ის უწინ, ახლა როგორ მუშაობს რაიონში, როგორია მისი აჯანმრთელობა და ამასთან დაკავშირებით მისი დონბასში მუშაობის შესახებაც. ვორონოვმა რჩევა ჰკითხა, თუ როგორ მოეხერხებია სერგეის რაიონში დატოვება. მას ურჩიეს წერილი მიეწერა უ. კ. ბ. (ბ) ც. კ. კადრების განყოფილებაში. საოლქო კომიტეტის მდივანი დაჰპირდა, რომ მის თხოვნას მხარს დაუჭერდა, ამ ხანად ვორონოვი ცენტრალური კომიტეტის პასუხს ელოდებოდა და ყოველგვარად ცდილობდა, რომ პასუხის მოსვლამდე სერგეი როგორმე ახალნიღვარში დაეტრევიბია.

IV.

გრიგოლა უწინ უკრაინაში არას დროს არ ყოფილა აქ მას ყველაფერი ინტერესებდა. მან შემოიარა სოფლის ყველა ჭეჩები, დაათვალიერა ელმეტ-

როსადგური, ზეთისახდელი ქარხანა და წისქვილი, მინდორშიაც ხშირად იყო კომბინთან და სალუწმანქანებთან, გემო გაუსინჯა სახამთროსა და ცერაცს, დაათვალიერა მესი-ი და სტალინის სახელობის კოლმეურნეობასაც ესტუმრა.

მან ბევრი კოლმეურნეები გაიცნო. დადიოდა კლებში, სკოლაში და ბიბლიოთეკაში. იმ კრების მოწვევის დროისათვის, რომელზედაც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება უნდა მიეღოთ. ის უკვე საკმაოდ გაცნობილი იყო არა მარტო კოლმეურნეობის ცხოვრებასა და პირობებს, არამედ მთელი რაიონის ცენტრსაც.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კრება სარაიონო კლებში შესდგა. ასეთი კრება ჯერ რაიონს არ ახსოვდა. ბევრი სტუმრები დაესწრნენ სოფლებიდან და მეზობელ კოლმეურნეობებიდან იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ დარბაზში მოხვედრის საშუალება უვლას არ ჰქონდა და ამხანაგების სიტყვებს და ფანჯრებიდან ისმენდნენ. დარბაზს ამშვენებდნენ დროშები, პორტრეტები, ლოზუნგები და მწვანე მცენარეები. პრეზიდიუმში ისხდნენ რაიონის საუკეთესო ადამიანები. ფერდაკარგულმა

ლუკა მიტროფანოვიჩმა გაიკეთა სათვალეები და მოსწენების კითხვა დაიწყო. ძალიან დღეაღდა, ხელები უჯანკალებდა და ბოხი ხმა უჩვეულოდ უწყობდა ახალზე. ვიღაც დამსწრეთაგანი ხმა-მალღაც კი ამხნვევდა. ლუკა მიტროფანოვიჩის შემდეგ გრიგოლა გამოვიდა; მან მოკლე, მაგრამ მგზნებარე სიტყვა თქვა. ის მოუწოდებდა ხალხს, რომ გაჰიკრებნენ, რომელიც ეწვია ახალ ნიაღვარს, გული არ გაეტეხა მათთვის და გაბედულად შებრძოლებოდნენ მას. გრიგოლამ კრებას პირობა მისცა, რომ ქართველები არ დაივიწყებენ უკრაინელი მეგობრებს და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარი დახმარებას ვაუწყებენ. ერთი ან ორი დღით ხომ არ დამეგობრებულან! გრიგოლამაც და ყოველმა ქართველმა იცის, თუ ქართველთა კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ხელუხლებელი ვადარჩა, და ბედი ეწვია თავის მიწაზე არ უხალა ვერაგი ფამისტები. ეს იმიტომ მოხდა, რომ უკრაინაში იწვოდა სოფლები, რომ შტერთან პრძოლაში სისხლისაგან იცლებოდა რუსეთი. უკრაინა და ბელორუსია.

შემდეგ, როცა ვანო სიტყვით გამოვიდა, იგრილა ტამმა და მთელი ზუთი წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ვანომაც სამკოთა ხალხის შეგვიძობაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე წელში სისხლით იყო შეკავშირებული, ხოლო შემდეგ, ომამდე — დამშვიდებული შრომით და ამ ახლო წარსულში — ხელახლა სისხლით მოსხურებულა. როდესაც ვანო ლაპარაკობდა იმ ადამიანებზე, რომლებმაც ის გადაარჩინეს, იგზებდა თუ როგორ იბრძოდა შემდეგ პარტიზანულ რაზმში და ფრონტზე, დარბაზში ბევრმა ტირილი დაიწყო.

როდესაც ლუკა მიტროფანოვიჩი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახელით და გრიგოლა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, მთელ ხალხით გაჰვიდა დარბაზში და ფანჯრების იქვეთაც, ძლიერი ტამისცემა გრიალებდა.

ამის შემდეგ სიტყვა ლესიას მისცეს: — ამხანაგებო, გულწრფელად უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენ, სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეებს, ახლა ჩვენი მეზობლების მდგომარეობა გეშურს, გეშურს ქართველთა კოლმეურნეობასთან მათი დამეგობრება და ვნაობით, რომ ჩვენს მეზობლებთან ადრევე არ ვმეგობრობდით და არც შეჯიბრების ხელშეკრულება დაგვიდგია. მაგრამ შეჯიბრება არა მარტო ორ კოლმეურნეობას შორის შეიძლება იქნეს დადებული, და ჩვენ უნდა ვმეგობრობდით არა მარტო მეზობლებთან! შეცდომების გამოსწორებაც გვიანი არას დროს არ არის. ჩვენც გვინდა ჩავებათ შეჯიბრებაში ერთდროულად ლენინის სახელობის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებთან. სოუ თქვენ, ამხანაგებო, წინააღმდეგი არა ხართ... — დარბაზში ხელახლა გაისმა ტამის ცემა, — თუ, თქვენ, ამხანაგებო, არ წახვალთ წინააღმდეგი. — განაგრძო ლესიამ, — იმ შემთხვევაში ჩვენ წამოვყენებთ ჩვენს პირობებს...

ლესიამ გაშალა ქაღალდის ფურცელი და რამდენიმე წუთი კითხულობდა თავის კოლმეურნეობის ვალდებულების მუხლებს. შემოვიდა მან ლუკა მიტროფანოვიჩის შეხედა.

— გარდა ამისა, ამხანაგებო, — განაგრძო ლესიამ, — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს-

თან შეთანხმებით ურთიერთდახმარებისათვის გადაწყვეტიტ, მომავალი წლის გაზაფხულზე, საერთო ძალებით ამოვართ სოფლის ბოლოში რომ ჰაობიანი მინდორია. ლენინის სახელობის კოლმეურნობა დაგვეხმარება საბოსტანე კულტურების თესვებით და თავისი გამოცდილებით. ამოშრობილ მინდორში მოსტანება და კენკერს გავამჩნევთ. აქ მიწა ძალიან კარგია, ლუკა მიტროფანოვიჩს კი ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენც ჩვენს მეზობლებს გამწევი ძალით, ხარისხოვანი სიმინდის თესვით და საკუთარი გამოცდილებით დავეხმარებით. შემდეგში კი იმაზე ვიფიქრობთ, რომ როგორმე, საერთო ძალებით, აკურის ქარხანა ავაშენოთ. თქვენ, ამხანაგებო, წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

— დიდი ხანია დრო იყო ასე მოქცეულიყავით, — რომელიღაც კუთხიდან დაიძახა ფედორჩუკმა.

ლუსია იდგა სიკნახე, უყურებდა სერგეის და უღიმოდა მას. სერგეიც უღიმოდა მას და ფიქრობდა იმის შესახებ, რომ ახლა აღსრულდა ის, რაზე-დაც სერგეი ფიქრობდა სოფელში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე: კოლმეურნობათა შორის ჩამოყალიბდა კარგი, კეთილშობილური დამოკიდებულება და ლუკა მიტროფანოვიჩი თავს კარგად და მკვიდრად გრძნობდა.

მეორე დღეს სტუმრებს აცოლებდნენ. შუა ქუჩაში ორი მანქანა აუჩქარებლივ მიდიოდა. მათ უკან მიჰყვებოდნენ ლუკა მიტროფანოვიჩი, გრიგოლა და კოვალჩუკი, მათგან ცოტა მოშორებით — ბიცოლა ევდოკია, მორიხი, სერგეი და ვალია მიდიოდნენ. ყველაზე ბოლოში ნელა მიაბიჯებდა ვანო. მას გვერდით მიჰყვებოდნენ ბიცოლა მართა და ნატალია. ბიცოლა მართა ტიროდა, ნატალია თავს იმაჯობდა, მაგრამ ეტყობოდა ეს მას ძვირად უღირდა. ვალია ნატამას ხშირ-ხშირად თანაგრძნობით შეხედავდა ხოლმე.

— ალბათ, ჩვენმა ნატალკამ ამ დამით უკვე მოიტარა, — თქვა სერგეიმ.

— ვერას ვზით ვერ გადასწყვიტეს, ვინ ვისთან წავიდეს, — უბასუხა ვალიამ, — რა თქმა უნდა, იტარებდა. მაგრამ ხომ ვერ დამალავ...

სოფლის ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, ვალია ნატამასთან მივიდა, ვანო კი როგორღაც სერგეის გვერდით მოხვდა. რამდენიმე ხანი ჩუმად მიდიოდ-

ნენ. შემდეგ ვანომ სერგეის მხებულა, საქციელწამხდარმა გალიძმა და თქვა: — მთელი დავიდარაბნ...  
სერგეი პეტროვისი, ქვეყნის...  
წამოიწყეთ და სულ ჩემს საუბელუროდ...

— რაში მადანაშაულებ? — ჰკითხა სერგეიმ.

ვანოს სახეზე სიმწრის ღიმოლმა გადაურბინა და მან უამბო სერგეის, რომ ნატამასთან საქმე ვერ მოაწესრიგა. აქამდე თითქოს ყველაფერი გამორკვეული ჰქონდათ. ნატამა აღრიცხვიდააც კი უნდა მოხსნილიყო; ამ საკითხის მოსაგვარებლად ისინი ორთავე ერთად იყვნენ ოლქში, მაგრამ გულში, როცა უკვე სამგზავროდ უნდა მომზადებულიყო, მოულოდნელად დარჩენა გადაწყვიტა და თქვა:

— ახლა ახალნაღვრიდან არსადაც არ წავალ!

— როგორ თუ არ წახვალ? — გაუკვირდა ვანოს. — ხომ შეთანხმებულა შენი წამოსვლა, რაღა მოხდა?

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მართალია გადაწყვეტილიყო, მაგრამ ახლა წამოსვლა არ შემოძლია.

ვანო სულ აირია, დაიბნა და კითხვობოდა:

— რატომ არ შეგიძლია?

— იმიტომ, რომ არ შემოძლია. სინდისი ნებას არ მაძლევს. რაიონში ასეთი მნიშვნელოვანი საქმეები დაიწყეს, მე კი ყველაფერი მივატოვო და წამოვიდე, არ შემოძლია.

— მაგრამ შენ ხომ...

— არავითარი „მაგრამ“... მძიმე წელიწადია, მოსავალს ცუდი პირი უჩანს. წინ ბევრი სიძნელე მოგველის, მე კი, თითქოს შევიმინდიო, უნდა მივატოვო აქაობა და წამოვიდე?

— ნატამა, ნუ ხუმრობ!

— არაფერსაც არ ვხუმრობ. შენ კი, თუ მართლა ნამდვილად გიყვარვარ, აქ დამი, ახალნაღვარში, ჩვენ ხალხი გვიტარდება და შენთვის სამუშაოც გამოიძებნება.

— მე სახლში მელოდებიან.

— წადი, ყველაფერი გამოარკვიე, მოაწესრიგე და მერე ჩამოდი.

— რას ამბობ, ასე მოულოდნელად როგორ იქნება?

— რა არის აქ მოულოდნელი? როგორ არ გესმას, რომ მე არ შემოძლია! ასეთ დროს ჩემი აქედან წასვლა არ შე-



იძლებოდა — ნატალიამ შეხედა ვანოს და ატირდა. — მაინცადა მაინც რატომ მე უნდა წამოვიდე, და არა მენ დარჩე აქ? აბა თქვი, რატომ?

ისინი თითქმის დილაძდე დაობდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერ დასკვნადე ვერ მივიდნენ.

ხასიათწამხდარი და აღელვებული ვანო სერგეის რჩევას თხოვდა.

რა უნდა ერჩია მისთვის სერგეის? სერგეი თავადეე აპირებდა აქედან მალე წასვლას და გრძნობდა, რომ ახალნიღვარის დატოვება ძალიან გაუძნელდებოდა, ამიტომ ნატალიას საქციელი გუნებაში მოსწონდა კიდევ.

— რა უნდა გირჩიო, — უბასუხა სერგეიმ. — ეს თავაზიანობის საკითხია, მესამე ამ საქმეში არ უნდა ჩაეროს. მე მგონია, რომ ყველაფერი კარგად გათავდება და თვითონ თქვენეე მოილაპარაკებთ საბოლოოდ...

სერგეი რომ სადგურიდან დაბრუნდა, დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა. გზაზე სააღმშენებლო განყოფილებაში შეიარა, იქიდან კლუბში და ვერც

კი შეამჩნია, თუ როგორ გაიჩინა სამმა საათმა კლუბიდან მომავალი ფედორჩუქს შეხედა და სწრაფად წასთან წავიდა.

მზე უკვე წაიღოდა, როცა სერგეი სახლში დაბრუნდებოდა. შესახვევიდან მთავარი ქუჩაზე გასვლისას სერგეი ვილაცას კინალამ დაეტყა... ეს ვანო უკლიძე იყო.

ვანოს გაეღიმა და საქციელწამხდარმა აუხსნა სერგეის, რომ იგი იძულებული იყო ვასილი კუტიდან უკანეე წაქეზას ჩამოყოლოდა, რადგან ვაგონში გამოარკეია, რომ საფულე მთელი საბუთებით ბიცოლა მართასთან მაგიდაზე დარჩენოდა. — მიმავალი მატარებლიდან ვაღმოვხტო, — დაუმატა მან. როცა ამას უამბობდა სერგეის, მისი თვალეე მზიარულად და ცილქურად ბრწყინავდნენ.

ფსიქოლოგის დიდი ცოდნა არ იყო საქრო, ადამიანი მიმხედარიყო, რომ აქ საქმე მარტო საბუთებს არ ეხებოდა.

სერგეიმ გაიღიმა და რომ ვანო აღარ გაეჩერებია, სახლში წავიდა.

თავი მეცხრა

1.

კოლმეურნეობები საწმომადგომო ყანებს თესავდნენ. ეს ხანა გლეხებისათვის ყოველთვის სასიხარულო იყო. წელს კი ისინი ხასიათწამხდარი და დაღვრეილი იყენენ: მარცვალს მშრალ მიწაში ჰყრიდნენ და ჰორიზონტს შიშით შეყურებდნენ — ეგებ ერთი ღრუბელი სადმე გამოჩნდესო. ვორონოვის ენერგია და სიმტკიცე იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში ხალხი ხასიათეე მოეყარა.

კოლმეურნეობაში მხოლოდ ლუკა მიტროფანოვიჩი იყო კარგ გუნებაზე. ქართველების დახმარებით და საკუთარი ტრაქტორის შექებით გულგამაგრებული, მომავალზე ის დიდ იმედებს ამყარებდა. ახლა მას გაცილებით მეტი დრო რჩებოდა თავისუფალი, ვიდრე უწინ. ყოველ საღამოს გაზეთებს კითხულობდა, საშკითხველოშიაც კი მივიდა და წიგნი წამოიღო. წიგნში არც მუბოსტენობასა და არც მუბაღეობაზე არაფერი ეწერა, იქ სიმინდის ჰიბრიდობის ამბავი იყო მხოლოდ აღწერილი. ლუკა მიტროფანოვიჩი ისე ჩუმად კით-

ხულობდა ამ წიგნს, რომ სერგეისაც არ უძებლდა.

ამ დღეებში სერგეი უკვე გასამგზავრებლად ემზადებოდა. მან ხუთწლიანი გეგმის შედგენა დაამთავრა და დარწმუნდა იმაში, რომ ტყენარგის საქმე საიმედო ხელში იყო. მხოლოდ სერგეის მეტისმეტად ენანებოდა, რომ საკუთარი ახრების განხორციელებას ვერ იხილავდა. ახალიწიღვარში დარჩენა კი აღარ შეეძლო: ტრესტიდან კატეგორიული დეპეშა მოვიდა — სერგეი საჩქაროდ უნდა წააუღოყო დონბასში და მუშაობას შედგამოდა. ამ დეპეშის ასლი იხოვნეთ, რომ დაეჩქარებია სერგეის წასვლა, ვორონოვმა მიიღო. ამის შესახებ სერგეის ფედორჩუქმა უთხრა.

სერგეის წასვლის წინ, ორი დღით აღრე. თათბირი შესდგა, რომელზედაც წინასწარ კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ირჩეოდა. თათბირს ლუკა ხელმძღვანელობდა, მომხსენებელი სერგეი იყო.

როდესაც თათბირის დამთავრებისას სერგეიმ ლუკას გადასცა სქელტანიანი წითელი რვეული გეგმით, ის ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს საფუთე-

სო მეგობარს დასცილდო. სერგეი და-  
ნაღვლიანდა კიდეც იმის გამო, რომ ახ-  
ლა, როდესაც ყველაფერი დაბოლოე-  
მას უახლოვდება, ის უნდა დამორღეს  
იმ ხალხს, რომელითანაც შემოაბდა და  
რომელიც შეუყვარდა კიდეც.

კანტორიდან სერგეი და ლუკა მიტ-  
როფანოვიჩი ერთად დაბრუნდნენ, მთე-  
ლი გზის მანძილზე ჩუმად იყვნენ, ბო-  
ლოს ლუკა მიტროფანოვიჩმა თქვა:

— ეხ, ეხლა რომ პეტრე ცოცხალი  
იყოს!...

სერგეის მოხუცი ებრალებოდა: „გო-  
უნხელდება — ფიქრობდა ის. — ნუ თუ  
ასე აუცილებელია იქ, სკოლაში ჩე-  
მი ყოფნა? — წასვლის გახსენებაც არ  
უნდაა. — „როცა მანქანაზე ვიქნები,  
მამინ შოვიფიქრებო“..

მეორე დღეს სერგეი მტს-ში წავიდა.  
ფედორჩუკი ხშირად რამდენიმე დღით  
მიდიოდა ხოლმე სოფლიდან, ასე რომ  
შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ სე-  
რგეი ფედორჩუკის უნახავი წასუ-  
ლიყო.

ფედორჩუკი მტს-ში არ დაუხვდა.  
სერგეის უთხრეს, რომ ბიგიადა  
სტალინის კოლმეურნეობაში, აი იქვე,  
სოფლის ბოლოში მიწებს ხნავსო. სერ-  
გეიმ გადაწყვიტა იქ წასულიყო ფე-  
დორჩუკთან გამოსამშვიდობებლად. რო-  
დესაც ფედორჩუკმა სერგეის მისვლის  
მიზეზი გაიგო, თვალები გაუფართოვდა  
და გაკვირვებული უყურებდა მას. თხო-  
ვდა რამდენიმე ხნის შემდეგ ჰკითხა:

— შენ ჰქუაზე ხომ არ შეშლილხარ?

— განა შეშლილს ვგეგვარ?

— გავხარ. — მტკიცედ უპასუხა

ფედორჩუკმა.

— მიხვც რატომ?

— თუ გინდ იძიტომ, რომ წასვლას  
აპირებ. ვინ გავდებს? სამუშაო არა  
მაქვს აქ, თუ რა? შენ თვითონვე ამბობ-  
დი, იქ კაბინეტის მუშაი გავხდებო, ეს  
— პირველი. მეორე კი — აი რა: ამ-  
ხანაგებს ასე არ ეთხოვებიან. თუ გული  
იქეთ ძალიან მიგიწევს და აღარ დარჩე-  
ბი ჩვენთან, მამინ წასვლის წინ თითო  
კიჭა მაინც უნდა დავლიოთ, და გამგ-  
ზავრებისას, წესის თანახმად, ყველანი  
ერთად დავსხდეთ. შემდეგ კი სადგურ-  
ზე მე თვითონ მიგიყვან. ეგებ მის ფე-  
ხით წასვლას აპირებ?

სერგეის გაეცინა და ველარაფერი  
უპასუხა.. ფედორჩუკთან ლაპარაკისა  
და დამშვიდობების დრო კიდეც ექნე-  
ბოდა, აქ კი, მინდორში სერგეი სულ

სხვა მიზეზმა მოიყვანა: მას მარუსიას  
ნახვა უნდოდა.

სერგეის არ შეეძლო მარუსიას სუნახ-  
ვად წასვლა. ეს რამდენიმე დღემდე  
შეხვედრია მას, და მოულოდნელად  
იგრძნო, თუ რა მწვავედ განიცდიდა  
მარუსიას უნახაობას.

რაც უფრო მეტი ვიდრე უბრალო  
მიხვევა, იყო მიზეზი მარუსიასთან შე-  
ხვედრის სურვილისა.

და ახლა, როცა მან მარუსია დაინა-  
ხა, განსაკუთრებით ღრმად იგრძნო ეს.  
მარუსიამ ის-ის იყო მანქანა ბენზი-  
ნის ჩასახსმელად გააჩერა, როცა სერ-  
გეი დაინახა, მანქანას გარსაცმი გაუხს-  
ნა და აკუმულიატორის გამტარებს და-  
უწყა თვალთვრება.

სერგეი მივიდა მასთან და მიესალმა.  
ქალს საქციელი წაუხდა.

— გაგიძარჯოთ! — უპასუხა მან  
წყნარად.

— მარუსია, ზეგ მე მივიღებარ, —  
დაიწყო სერგეიმ. — შენთან ლაპარაკი  
მინდოდა, მაღლობა უნდა გადაგინადო  
ყველაფერი იმ კარგისათვის, რაც მე  
აქ, ახალნიღვარში განვიცადე და კიდეც  
მინდა გითხრა...

მარუსია შეკრთა, შემინებული თვა-  
ლებით შეხედა მას და საჩქაროდ ხელი  
გაუწყოდა:

— ყველაფერ საუკეთესოს და ბედ-  
ნიერებას გისურვებთ, სერგეი პეტრო-  
ვიჩ! ნუ გამიჯავრდებით თუ რაიმე ისე  
ვერ გავიფიქრე, როგორც საჭიროა. ჩვენ  
ყოველთვის გვემასხვრებით, ყოველ-  
თვის...

ის წყნარად და დამშვიდებით ლაპა-  
რავობდა, მაგრამ ყოველი სიტყვის  
თქმაზე კიდეც უფრო და უფრო მეტად  
ფითრდებოდა.

სერგეიმ ჩაახველა, ხელი ჩამოართვა  
და ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო.

— მარუსია. — დაიძახა ერთ-ერთმა  
ტრაქტორისტმა. — ბენზინის ვედრო  
მომეცი, მალე!

მარუსიამ მაგრად მოუჭირა ხელი სე-  
რგეის ხელს, შემდეგ უხალისოდ გა-  
თავისუფლა იგი, აიღო ვედრო და აი-  
ცი კი მოუხუნდნია. ისე წავიდა ჯიბურისა-  
კენ.

სერგეიმ მას თვალი გააყოლა. მან  
იცოდა, რომ დღეს მარუსიასთან კვლავ  
შეხვედრას ვეღარ მოახერხებდა. „შე-  
იძლება ასე უკეთესიც იქნეს, დონბასი-  
დან მოვეწიარ“. — ფიქრობდა ის.

სოფლისაყენ მომავალ სერგეის გზაში პიონერთა კოლონა შეხვდა. რომელსაც წინ ტოლია და ექვია მიუღწევბოლნენ, ხელში ცარიელი კალათები ეჭირათ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. გაუსწორდნენ თუ არა სერგეის, მხიარულად მიესალმნენ; სერგეიმ სალამზე უპასუხა მათ და კეთხა, თუ სად მიდიოდნენ.

— ტყეში, — მხიარულადვე უპასუხა ექვნიამ. — რკოს მოსაგროვებლად მივდივართ.

და ხელახლა, ისევე როგორც გუშინ თათბირის გათავების შემდეგ, სერგეი სევდამ მოიცვა.

## II.

წყნარი და სასიამოვნო სექტემბრის ღუჯა — უკანასკნელი დღე სერგეის ახალნიღვარში ყოფნისა. ხვალ დილით სადგურზე წავა.

სერგეი სამგზავროდ ნივთებს ალაგობდა, ხელახლა — ეს უკვე რამდენჯერმე — თავის ჯარისკაცის ტომარაკს თავს უკრავდა. ბიცოლა ევდოკიამ გზისათვის იმდენი გემრიელი რაღაცეები მოკუმბადა რომ აღარც ტომარაკში და აღარც ჩემოდანში არ ეტყოდა, წაღება კი აუცილებელი იყო, რადგან მათი და ტოყვბა მოხუცებს გულს ატევიდა.

სკამზე იწყო ჩექმები, დაბამბული ხალათი, ორი პერანგი და შანელი. ყველაფერი ეს სერგეიმ ღუჯა მიტროფანოვისს უფემქაშა, მაგრამ სერგეის წასვლით ის ისე იყო შეწუხებული, რომ საჩუქრებისათვის ხელიც არ უხლია. ბიცოლა ევდოკია უხმოდ იწმენდა ცრემლებს და ჩალაგებაზე ეხმარებოდა სერგეის.

ამ წუთებში სერგეი განსაკუთრებულად მუვავედ გრძნობდა მომავალი განშორების სიმძიმეს. სერგეის უნდოდა დაემალა ცუდ გუნებაზე ყოფნა და ცდილობდა ეხუმრა, მაგრამ ღუჯა მიტროფანოვიჩზე არც ეს მოქმედებდა და იგი დაჟინებით დღმდა. მარტო სერგეი ზომ ვერ ილაპარაკებდა სულ, ეუხერხულვბოდა კიდევ, სინამეძე კი უფრო მეტად მძიმე ასატანი იყო. „თითქოს ავადმყოფის საწოლთან ვიყოთ“. — გაიფიქრა სერგეიმ, დაანება თავი ნივთების ჩალაგებას, გვერდზე მიუჯდა ღუჯა მიტროფანოვიჩის, პაპიროსი ამოიღო, მოხუცსაც მიაწოდა და თავათაც მოსწია.

ღუჯა მიტროფანოვიჩმა თამბაქოს ბოლი ხარბად შეისუნთქა.

— რატომ ჩაფიქრებული ხარ? — კითხა სერგეიმ. მას უწყნარდნენ მიტროფანოვიჩი როგორმე ლაპარაკში გამოეწვია.

— ეს — ჩაიქნია ხელი ღუჯა მიტროფანოვიჩმა. — პეტრე იყოს...

— ისევე მაგაზე?

— ეტყობა ვებრდები. ბავშვურად აზროვნება დავიწყე, — გაიღიმა ღუჯა მიტროფანოვიჩმა და სერგეის შეხვდა. უშენოდ ძალიან გამიჭირდება სერგეი, ესეც არ იყოს, სახლი გამოცარიელდება. სალ მარტონი დაერჩები. ჩემი ნება რომ იყოს, არას გზით არ მოვიცილებდი. ყველა სადღაც მიდის, ყველას სადღაც ეჩქარება, ჩვენ, მოხუცები არავის აღარ ვუნდივართ.

— რას ამბობთ ღუჯა მიტროფანოვიჩ, როგორ თუ მარტო? მთელი ნახევარი სოფელი თქვენი მეგობრებია.

სერგეის მოხუცი გულწრფელად ებრალებოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს რამეში მართლაც დაშინავე ყოფილიყოს ღუჯა მიტროფანოვიჩთან.

— სიმართლე ითქვას, მხიარულებსათვის არაერთი საბაბი არა მაქვს. მაინცთამაინც ჩვენი საქმეები არც ისეთი სანუგეშოა. შენ წახვალ და მე ისევე მძიმე მდგომარეობაში ჩავევარდები.

— თქვენც ხელებს ნუ ჩამოვშვებთ!

— ხელებს არ ჩამოვშვებ — ცოტაოდენი სიმრავით თქვა ღუჯა მიტროფანოვიჩმა, — მაგრამ ეს არაფერს არ უშველის.

— კი მაგრამ თქვენ ზომ საბჭოთა სახელმწიფოში ცხოვრობთ, არ დაგტოვებენ, დაგეზმარებიან.

— ვიცი, შენ რა გგონია, ვანა ადვილია თხოვნა, როცა ორი ათასი დენგეტინა მიწა მაქვს?

— რა გავწყობა...

— ვიცი... უშენოდ ძალიან გამიჭირდება. განსაკუთრებით ამ წელიწადში. სიმართლე გითხრა, შენი იმედი მქონდა.

ამ ლაპარაკმა სერგეი ააღელვდა. მას გაახსენდა თავისი პირველი ბაასი ბიძამისთან იმის შესახებ, თუ როგორი რთულია ასეთი დიდი მეურნეობის ხელმძღვანელობა და როგორი ხელმძღვანელებია ამისათვის საჭირო. ღუჯა მიტროფანოვიჩის თვალბში სერგეიმ საყვედური ამოკითხა: „აი, შენც გარბიხარ. ენით ლაპარაკი ადვილია, როცა კი



საქმე საქმეზე მიდგა, მაშინ გაქცევა ამ-  
ჯობინე“.

ძალიან ეძნელებოდა სერგეის ახალ-  
ნიღვარის დატოვება მისი შესანიშნავი  
ადამიანებით და საინტერესო საქმე-  
ებით. მას გულს ტყენდა ლუკა მიტრო-  
ფანოვიჩის ტანჯვა.

სერგეის უცრად სული შეიხუთა, უნ-  
დოდა მალე გათავისუფლებულიყო ამ  
მძიმე მდგომარეობიდან. მოხუცებს უთ-  
ხრა, რომ ფედორჩუკი და გორონოვი  
ჰყავს სანახავი, მალე დებრუნება დაპ-  
პირდა და სახლიდან საჩქაროდ გავიდა,  
სერგეი მიდიოდა ქუჩაზე და ამით-იმით  
ყურადღებით იყურებოდა. ამგებ ალა-  
რასოდეს არ მომიხდეს ახალნიღვრებში  
ყოფნა. კიდევ ერთხელ უნდა დავათვა-  
ლიერო ჩემი მშობლიური ადგილები“.  
ცოტა ხნით ხილზე შეჩერდა და შემდეგ  
მინდვისასვე გაემართა. ის იმაზე ფიჭ-  
რობდა, რომ ლუკა მიტროფანოვიჩს  
მართო მოელის ხელწლიანი გეგმის  
კოლმეურნეთა საერთო კრებაზე დამტყ-  
უყრზე გამარჯვებაში დარწმუნებული  
უნდა წავიდეს და მიუხედავად იმ უილ-  
ბლობისა, რომელიც მათ წელს ეწიათ,  
კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა  
მოჰკიდონ ხელი მუშაობას. შესძლებს

თუ არა ლუკა მიტროფანოვიჩი ძველ-  
ფერი ამის ხალხის შეგნებამდე დაყვა-  
ნას? ეყოფა თუ არა მას ძალა და ღირ-  
წმუნდება საკუთარ თავში და კოლმე-  
ურნეებში? იქნებ მართლაც უკეთესი  
იქნეს, რომ სერგეიმ სოფლის მეურნეო-  
ბას და მებოსტნეობას მოჰკიდოს ხელი  
და მიწა ვენახებით დაფაროს?

სერგეის ტყენარგების საკითხიც აღე-  
ლებდა. შეძლებენ თუ არა კომკავშირ-  
ლები ამ უდიდესი საქმის დაძლევის?  
გახდება თუ არა ახალნიღვრები ახალ-  
გაზრდობის ახალი მოძრაობის ინიცია-  
ტორად?

მას ისიც აწუხებდა, თუ როგორ ჩაი-  
ვლიდა წელს სამემოდგომო ღრესა; თუ  
წვიმა არ მოვიდა, ნასვენი მიწები დაძ-  
ლევენ თუ არა წრევანდელ გვალვას?

გზა პირდაპირ მდინარისაკენ ეშვებო-  
და. აქედან მთელი სოფელი მოჩანდა,  
წისქვილი, ელემტროსადგური და კაშ-  
ხალი. მოედნის ცენტრში, სახლებით შე-  
მორკალული, ძმათა სასაფლაოს ამწვა-  
ნებულ გორაკზე, შშის სხივებით აელვა-  
რებულ ობელისკი იდგა.

სერგეი გაჩერდა, რამდენიმე ხანს  
უყურა მას და შემდეგ აჩქარებული და  
მტკიცე ნაბიჯით რაიკომისაკენ გაი-  
შურა.

## თავი მათი

### I.

გორონოვი სერგეის კარებში შეხვდა,  
შეიპატივთვალა კაბინეტში და სახოვა დამ-  
ჯდარაყო, მაგრამ სერგეიმ უარი უთხ-  
რა, გაიარა-გამოიარა კაბინეტში და ფან-  
ჯარასთან გაჩერდა.

— შენ, მაიორო, თითქოს იცოდი,  
რომ შენი მოსვლა სწორედ ახლა იყო  
საჭირო. — გორონოვი პაპიროსს უკი-  
დებდა და თან დაჟინებით უყურებდა  
სერგეის. — უკვე კაცს ვაგზავნილი  
შენს მოსაყვანად, ძალიან კარგია, რომ  
მოდი.

გორონოვი კარებთან მივიდა.

— ლენა, თუ ვინმემ მიცითხოს, სთხო-  
ვე, დამიცადოს.

დახურა კარები და რბილ სავარძელ-  
ზე დაჯდა.

— აბა მაიორო, მიაშვე რაგორ მო-  
გწონს აქაურობა?

სერგეი სდუმდა. შობლზე ხელით ნა-  
ოკებს ისარესდა და თან ფიჭრობდა, სა-

იდან დაეწყო. შემდეგ უცბად მობრუნ-  
და გორონოვისაკენ:

— აი რა, ამხანაგო მდივანო, რაიო-  
ნის საქმეებზე მე და შენ შემდეგში ვი-  
ლაპარაკებთ.

— რატომ? — გაიკვირვა გორონოვმა.

— ასეა. — ახლა მე სხვა საქმეზე ვარ  
მოსული. — ამოიხვნეშა სერგეიმ და  
საჩქაროდ დაათავა: — მოკელი შენთან,  
რომ აღრიცხვაზე ამიყვანო. ამიყვან? მე  
ვიცი, რომ შენ დონბასიდან დეპუტა მი-  
იღე, ფედორჩუკმა მითხრა.

რამდენიმე წუთი გორონოვი ჩუმათ  
იჯდა და გაფართოებული თვალებით  
უყურებდა სერგეის. შემდეგ უცბად  
ადგა, სერგეის მკლავში ხელი მოჰკი-  
და, მიიყვანა სავარძელთან და გვერდში  
მოისვა.

— შენ სერიოზულად ლაპარაკობ,  
მაიორო?

— დიან, სერიოზულად. — უბასუხა  
სერგეიმ.

— ყოჩაღ, მაიორო, მე ვიცოდი, რომ ეს ასე იქნებოდა.

სერგეიმ არაფერი არ თქვა.

ვორონოვმა ჩამქრალი შაპიროსი სავფრთღში ჩააგდო, ამოიღო კოლოფი და სერგეის მიაწოდა. ორივემ მოსწიეს.

— შესანიშნავია. დღეს სწორედ ოლქში წასვლას ვაპირებ და წასვლის წინ შენი მუშაობის შესახებაც მოვილაპარაკებთ. სამუშაო რაიკომშიაც არის, მტსში და რაიკომსკომში. სად გინდა რომ იმუშაო?

— დაიცა, — შეაჩერა ის სერგეიმ. — ჯერ ხომ აღრიცხვაზე არ გყვიარ აყვანილი. შეიძლება გავიღწახდეთ კიდეც იმისათვის, სკოლაზე რომ უარს ვამბობ... აღვირიცხები კი ერთი პირობით...

— პირობით? — ჰკითხა ყურადღებად ქცეულმა ვორონოვმა. — აბა თქვი, რა პირობაა? ეგებ რაღე ისეთია, რომ შესრულებაც არ შეიძლება, აბა თქვი...

— მე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობა მინდა, რომელიც კოლმეურნეობის, სულ ერთია. ოღონდ, თუ ხალხი თანახმა იქნება და ამირჩევს.

ვორონოვი ჩაფიქრდა. შემდეგ დამწვიდებული და მტკიცე ხმით დაიწყო, მაგრამ ისე ლაპარაკობდა, თითქმის ბოლომდე რაღაცას არ ამბობდა და იგრძნობოდა მისი ფარული სურვილი, გადაეთქმევინებინა სერგეისათვის ეს აზრი.

— მე წინააღმდეგი არ წავალ. მაგრამ სჯობს, ამ საკითხის ირგვლივ ყველაფერი დამშვიდებით მოვიფიქროთ, როგორც დადებითი ისე უარყოფითი. ხალხი რა თქმა უნდა დათანხმდება და ავირჩევს კიდეც. აქ შენ ყველას ძალიან მოსწონხარ. ახალნიღვარში უკვე კარგად გიცნობენ. მაპატიე, მაგრამ გულახდილად უნდა ვითხრა. შენი ჯანმრთელობის შესახებ მე ყველაფერი ვიცი. შენთვის აუცილებელია უფრო მშვიდი სამუშაო და მკურნალობა. კოლმეურნეობაში კი ამას ვერ მოახერხებ.

სამუშაო იქ ბევრია. შემდეგვე კიდეც მეტი იქნება. თუ ხელს მოჰკიდებ, უკან დახევა აღარ შეიძლება. გვიან იქნება, ხალხი შენგან გაცილებით უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ლუკა მიტროფანოვიჩისაგან. ამ წელიწადს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა, მოთ უმეტეს იმ კოლმეურნეობაში. ჩვენ ამას თვალს ვერ ავარიდებთ. გაორკაცებული ენერჯით მუშაობაა საჭირო, რომ ხალხს გული არ გაუტყდეს და იბრძოლოს სიძნელეების წინააღმდეგ და ახალი მოსავლი-

სათვის. ბრძოლა ადვილი არ იქნება, შეგწევს თუ არა ამისათვის, ძელაუ...

სერგეი ვორონოვს უკვე არაფერი უნდოდა, მდინარეს უყურებდა. ნაპირიდან ზევითა მხარეზე გორაკებისა, ცნ მზის-უშხირას ყანა მოჩანდა. გორაკზე ტრაქტორი მოკოჩავდა, ის ორი მიმბმული სათესით მზისუშხირის გასწვრივ მიდიოდა და სათესების უკან, სახნისებო მტვერს აყენებდა.

— მძიმე წელიწადი რომ იქნება, სწორედ იმიტომ მინდა დავრჩე, — მტკიცედ თქვა სერგეიმ. — რაც შეეხება სიძნელეებს, შენ თვითონაც კარგად იცი, რომ ადვილად ვერაფერს ვერ მი-აღწევ...

— თუ სიძნელეები არ გაშინებს, მაშ, კეთილი... მაგრამ გულახდილად უნდა ვითხრა, რომ მე არ მინდა შენი კოლმეურნეობაში მუშაობა.

— რატომ?

— შენ გგონია მე დებეშა მართოდონდასიდან მივიღე? არა, კიდეც მეორე დებეშაც მოვიდა...

ვორონოვმა სერგეის ქაღალდის მოგარბო ფურცელი გაუწოდა. სერგეიმ ჯერ ქაღალდს შეხედა და შემდეგ ვორონოვს. როდესაც მეორედ წააციოხა დებეშა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ სწორედ მას, სერგეი რუდენკოს საჩქაროდ იბარებენ კიევში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

— ვინ მიცნობს მე იქ? — იკითხა სერგეიმ.

— მაშასადამე, ვიცნობენ. უნდა შეგეკითხოვნ, დათანხმდები თუ არა ახალნიღვარში პარტიის რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობაზე.

— აა! მხოლოდ ახლა გავიგე ყველაფერი!

— მაშ, რა გეგონა?

ვორონოვმა ნამამლა გაიცინა, გაიცინა სერგეიმაც.

— მე კი, შენს ჯინაზე, ვთხოვ სამუშაოდ სხვაგან გამიშვან.

— მავითი ვერ შემაშინებ. წავიდეთ კიევში. იქ კომისიამ გაგატარებენ. ერთი-ორი თვე გაიკამებენ... შეიძლება ნაომის ნატეხსაც რამე მოუხერხონ, შემდეგ კი უკანვი! ახალნიღვარში დაბრუნდები.

უკვე საღამო იყო, როცა სერგეი რაიკომიდან ბრუნდებოდა, ის ნელი ნაბიჯით გადადიოდა მოედანს. სახეში გრილი ნიავი უბერავდა; ზევით, ცაში ღრუბლები მისცურავდნენ. სახლში ყველა-

ფერი ისევე უცვლელად დახვდა, როგორც დატოვა. მან სანქაროდ და დაუღვერად ჩაალაგა ნივთები ჩემოდანში, ხუფი დაახურა და ლოგის ქვეშ შეწია. სკამზე გადაიდებული, ლუკა მიტროფანოვიჩისათვის ნაჩქარი ნივთები დარჩა. სერგეის მათი ალაგებაც უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ოთახში მოულოდნელად ლუკა მიტროფანოვიჩი შემოვიდა, ცუდ ხასიათზე ყოფნის აღარაფერი ემჩნეოდა. გაცხარებით აქნიდა ვაზეთს და თან ყვიროდა:

— სერგეი, აი ის, სწორედ ის, რაც ჩვენ გვესაჭიროება! აბა, წიკითხე!

პირველ გვერდზე, მოწინავეს გვერდით, დაბეჭდილი იყო სსრ მინისტრთა საბჭოსი და საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „ლონისძიებები კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებების დარღვევის ლიკვიდაციისათვის“.

სერგეიმ სანქაროდ გადაიკითხა ვაზეთის გვერდი, ჩათავების შემდეგ, ისევ თავიდან დაიწყო კითხვა. სწორედ ის იყო, რაც ახლა კოლმეურნეობებს ასე ესაჭიროება! ამ დადგენილებაში ის თითქოს საკუთარ აზრებსა და გორონოვთან ნაუბრას ცნობდა. აქ ყველაფერი იყო: ლუკა მიტროფანოვიჩის სურვილები, სერგეის აზრები, ფედორჩუკის ოცნება და გორონოვის მუშაობა. გვარების დაუსაბულებლად იხსენიებდნენ კულჩიციებს და გოლუნენკოებს. ყველაფერი ეს შეკრული და გამოქვეყნებული იყო ღრმა აზრებით. ამ სტატიაში ყველაფერი ის იყო, რაზედაც სერგეი ფიქრობდა, მაგრამ ისიც იყო, რაზედაც მას ვერ არ უფიქრია, საჭირო კი იყო ეფიქრა. პარტია სერგეის დახმარებას უწყობდა, ახლაც ისევე, როგორც ყოველთვის, სერგეი გრძნობდა პარტიის მტყიცე და საიმედო ხელს.

## II.

მეორე დღით სერგეიმ ადრე გაიღვიძა. პირველად იყო, რომ ის გაღვიძებისთანავე არ აღდა საწოლიდან. თვალში იწვა და კერს შეჩერებოდა. თავს კარგად და მსუბუქად გრძნობდა, მშვიდნიერ ხასიათზე იყო.

სერგეის გაახსენდა, რომ დღეს ის ღონბასში წასვლას აპირებდა. მაგრამ ყველაფერი გამოჩვეული და უკვე გა-

დაწყებული იყო. სერგეი იქ რჩებოდა და იცოდა, რაც უნდა გაეკეთებია. გული მხიარული და დამშვიდებული კმენდა.

სერგეის მოაგონდა მარუსიასთან ლაპარაკი და დამშვიდობება იქ, მინდორში, ტრაქტორთან. მას თვალწინ წარმოუდგა მისი სეკედიანი თვალეები და მოხდენილი ტანი. ეს მოგონებები ახლა მხოლოდ სიხარულს იწვევდნენ მასში, მას სიამოვნებას გუროდა ის აზრი, რომ უსათუოდ კიდევ შეხედება მარუსიას კიევში წასვლის წინ. სერგეიმ მოლიმარი და გაოცებული ლესიას სახეც წარმოიდგინა, როცა ის გაიგებდა, რომ სერგეი ახალნიღვარში რჩებოდა.

ხვალ სერგეი კიევში მიდის, ახლა კი მან დაუყოვნებლივ წერილი უნდა მიწეროს ივანე ბობროვს. ყველაფერს მიწერს — ლუკა მიტროფანოვიჩზე, გორონოვზე, ქართველ სტუმრებზე და იმის შესახებაც, რომ ავადმყოფი სერგეის ნაცულები ღონბასში ჯანმრთელი ახალგაზრდები წავიდნენ... ყველაფერი დაწერილებით უნდა მისწეროს, რათა ბობროვმა სწორად გაიგოს სერგეის საქციელი.

ოთახი დაბინძურებული იყო. — „ვერ, ალბათ. მზეც არ ამოსულა“. — გაიფიქრა სერგეიმ.

სერგეიმ სანქაროდ გადაიძრო საბანი, წამოხტა ლოგინიდან, მან მამინვე იგრძნო ნამიანი სიგრილე. თანჯარასთან მივიდა, იქიდან ყვავილები გადმოიღო და ეზოში გაიხედა.

მთელი ცა ღრუბლებით იყო დაფარული. წყნარი და თბილი წვიმა ედინებოდა მოწყურებულ მიწას. ეტყობოდა, წვიმა ვერ კიდევ ღამით მოსულიყო... მიწა ისე იყო გაუღრმითილი. მეტ წყალს აღარ იღებდა, და მთელი ეზო ტბორებს დაეფარათ. შუა ქუჩაში ამღვრეული და აქაფებული წყალი მიედინებოდა.

კიშკართან ლუკა მიტროფანოვიჩი იდგა. მას პოჯაკი და ჩექმები ეცვა, მაგრამ მქუდი არ ეხურა. პირდაპირ დატბორულ წყალში ჩამდგარყო. თმიდან წყალი ღვარად ჩამოდიოდა. საყელოში ჩაუდიოდა. სველი ტანსაცმელი მთლად შემოკროდა ტანზე, თავი ზევით აიწია, სახე მხიარული წვიმისათვის შეეშვირა და მხიარულად, მთელი ქუჩის გასაგონად ვილაყას უყვიროდა:

— დაეთესავთ, გასმის დაეთესავთ!..

თარგმანი რაჭმდის გვმბძპისა.

## სონეტები

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,  
რადგან მათხოურად გადაიქცა ახლა ღირსება,  
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,  
რადგან სიცრუით ერთგულების ძალა იესება,  
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,  
რადგან მრტულობით შელახულა უმანკობა,  
რადგან დიდებას სამარცხეინოდ უთხრიან საფლავს,  
რადგან ძლიერი დაიმონა კოკლმა დროგამ.

რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,  
რადგან უვიცი და რეგენი ბრძენობს აღვილად,  
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,  
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩაგარდნილა.

ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქციეას ვარჩევ,  
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

როცა საათის ხმა მომესმის, მარად უცვლელი,  
და მზეს შევხედავ, ბინდებში რომ თავი დახარა,  
როცა შევნიშნავ, როგორ დაჰკენ იის ფურცლები  
და ნაწნავებში ჩაქსოვილა ვერცხლის ჭალარა,

როს ქვითინებენ ხეივნები ფოთოლმოცლილი,  
სადაც მეცხვარეს იფარავდნენ ჩრდილები ხეთა,  
და როცა ბალახს, შემოდგომის ცელით მოცელილს,  
ზაფხულის ბალახს სასაფლაოს ფორანზე ვხედავ,

მე ჩამაფიქრებს ბედობალი შენი მშვიდების,  
ღროის უღაბნო კიდევ ბევრჯერ მოსაიღილია,  
ხენი კვდებიან, როს ყვავიან ახალშენები,  
როცა სხივები ენძელების მოსვლას ილიან.

ძვირფასო, ეამის უღმობელი ცელი არ ცხრება,  
მაგრამ დასტოვე მოდგმა ღროის დასამარცხებლად.

ჩემს სატრფოს თვალებს არ გამოჰყვა სხივი მნათობის  
და მის ბაგესაც წითელ მარჯანს ვერ შევიდარებ,  
არც გულმკერდი აქვს თოვლისფერად გადანათოვი,  
შავ მავთულებად ჩამოხლართულ ნაწნავს ატარებს.

ბევრჯერ მინახავს ალისფერი და თეთრი ვარდი,  
 სატრფოს ღაწვები სულ სხვაგვარად შეუფერიათ,  
 მე ისიც ვიცი, მისი მკერდის სურნელის გარდა  
 უფრო ნეტარი სურნელუბა ქვეყნად ბევრია.

ტყბილია ჩანგი, მე კი სატრფოს სმენა მწაღია,  
 მისი ბაასი სიმის ხმაზე შეტალ ვიწამე,  
 არსად მინახავს, ქალღმერთები როგორ დადიან,  
 ჩემი სატრფო კი, ვიცი, დადის დედამიწაზე.

ვიცი და მაინც საგანძურად გულში ვატარებ  
 და მირჩევნია, უსამართლოდ ვისაც ვაღარებ.

• •

როდესაც სატრფო ერთგულებას მიმტკიცებს ფიცით,  
 ვიცი, რომ სტყუის, მაგრამ მაინც ვუჯერებ სატრფოს,  
 მისდა იფიქროს, — ამ ცხოვრების მე არა ვიცი  
 და როგორც ქაბუქს ყოველივე მხიბლავს და მათრობს.

მერე კი მჯერა, რომ მას სჯერა ბავშვი ვარ წმინდა,  
 თუმც კარგად იცის — სიყმაწვილე გადაჰყვა წარსულს,  
 მეც ჩემი სატრფოს სიცრუისა მჯეროდეს მინდა,  
 ვტყუთ ორივე და სიმართლის გამხელა არ გვსურს.

სიმართლე ვიცი, მაშ, სიცრუე რად ვათარეშეთ,  
 სინამდვილისგან რად გვიხდება ურცხვად გაპარვა?  
 არ არის ტრფობა მოჩვენებით ნდობის გარეშე,  
 სიბერემ იცის სიყვარულში წლების დაფარვა.

ასე ტყუილმა გაგვიხადა ორივე მონებად,  
 რადგან ამ ტყუილს მოაქვს მხოლოდ სიამოვნება.

• •

ო, მაშინ თითქოს სუსხიანი იდგა ზამთარი,  
 რადგან უშენოდ ზამთარსა ჰგავს ჩემი ცხოვრება,  
 ყველგან სიციფე, სიბნელი და ყველგან აღდარი,  
 ყველგან დეკემბრის სიშიშვლე და გამათხოვრება.

ეს მაშინ იყო, როცა დაქანა ტურფა ზაფხული  
 და შემოდგომას დახუნძული ხეთა რტოებით  
 დაქონდა ტვირთი, გაზაფხულის მზით ჩასახული,  
 ვით ქვრივის საშოს ტვირთი ქმრისაგან დანატოვები.

იდგა ეს უხვი მოსაეალი, მაგრამ ბუნება  
 დაობლებული იყო თითქოს და გაქურდული,  
 შენ თუ არა ხარ, გაზაფხულის მზეც იბურება,  
 შენ თუ არა ხარ, აღარ ისმის ფრიხველთ ქლურტული.

ან თუ მოისმის, სიმღერა ჰგავს სევდას და წუხილს  
 და თრთიან ზამთრის სიახლოვით ფოთლები რუხი.



ო, თუ კი სპილენძს, ოკეანეს და დედამიწას,  
 დრო უღმობელი სასაფლაოს კართან მოდენის,  
 სიკვდილისაგან სილამაზეს ვილა დაიცავს,  
 დროს რას დააკლებს მისი ძალა ვარდისოდენი.

ზაფხულის სუნთქვამ უნაზესმა ვით აიტანოს  
 მოიერიშე დღეთა მძლავრი ქარტეხილები,  
 როცა ინგრევა მიუწვდომელ კლდეთა ბიტალო,  
 რკინის ჭიშკრები, დროის ხელით დატეხილები.

ფიქრო საზარო, სიტურფეა გადასარჩენი,  
 დროის მარგალიტს დროის რისხვა რად ემტერება,  
 ვინ შეიჩეროს ჟამის სრბოლა მძლავრი მარჯვენით,  
 ან ვინ აკრძალოს სილამაზის გაცემტვერება.

ვერვინ შესწყვეტოს სილამაზის გადაშენება,  
 მხოლოდ მელანი შეინახავს სატრფოს მშვენებას.

ძვირფასო, ჩემთვის შენი სახე როგორ დაჰქნება,  
 ისეთივე ხარ, როგორც წინათ მყავდი ნახული,  
 მას შემდეგ სამი სუსხიანი ზამთრის კლანჭებმა  
 ტყეებს მოგლიჯეს სიამაყე სამი ზაფხულის.

სამ ვარდობისთვის წაეყარა ფოთლები რუხი,  
 სამი აპრილის სილამაზეს და სურნელებას  
 ცეცხლად მოედო სამ ივნისის სიცხე და ბული,  
 დაჰქნა ყოველი, არ დამჰქნარა შენი მშვენება.

როგორც ისარი საათისა, მშვენიერებაც  
 მიიპარება და არ რჩება მას ნაკვალავი,  
 იქნება დაჰქნა ეგ სიტურფეც ნაირფერება,  
 მე კი უგუნურს მატყუებენ ჩემი თვალები?!

ყოველი ჰქნება, რაც მშვენებით მოდის ჩვენამდე,  
 მაგრამ სიტურფე მჰქნარი იყო შენს გაჩენამდე.

სარკე გაჩვენებს მიმავალი მშვენების ღაღადს,  
 დაკარგულ წუთებს — საათების ქორონიკონი,  
 მაგრამ სტრიქონი თუ მიანდე თოვლისფერ ქალღღს,  
 ცხოვრების წიგნად გაგიხლება შენი სტრიქონი.

სარკეში იგრძნობ, რომ ღარები სახეს ფარავენ  
 და სილამაზეც სასაფლაოს მიეპარება.  
 ისარი გეტყვის, რომ საათში დრო შემპარავი  
 მარადისობის ქვეყანაში მიიპარება.



კარგო, ვის ძალუძს ყოველივეს დამახსოვრება? —  
ქალაღს მიანდე შენი ფიქრი გულნაწვილები,  
და თუ ოდესმე მოგაგონდა შენი ცხოვრება,  
გაშალე წიგნი, შენთან მოვლენ შენი შეილები.

გადაგეშლება წარსულ დღეთა სარკე მთლიანი  
და შიგ მრავალი რამ იქნება სარგებლიანი.



ო, უღმობელო გულცივობა როგორ დამწამე,  
შენთვის მომიხდა საკუთარი გულის ღალატი,  
ის არ ვიკმარე სატანჯველად, შენ რომ მაწამებ,  
და შენთვის გავხდი საკუთარი თავის ჯალათი.

განა შენს მტრებთან ვარ ნაზი და ამაგიანი?!  
განა მეგობრად მივიჩნიე შენი მოძულე?!  
განა საკუთარ თავს არ ვუხდი სამაგიეროს,  
როს წარბებს შეკრავ მრისხანებით ცეცხლით მოცულებს?!  
მე ერთი გრძნობაც არ დავტოვე შენაცოდები,  
თუ შენი სულის გაღმერთებას ვერ შევთვისა,  
ამ უღაბნოში ხატად დამაქვს შენი ცოდვები  
და მორჩილი ვარ შენი ერთი გამოხედვისა.

მაგრამ ყოფილხარ თვალხილულთა ტრფობით გართული,  
მე კი თვალები სიყვარულით მაქვს დაშანთული.

თარგმანი ინგლისურიდან **რეზო თაბუჯაშვილისა**.



## ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული ნარკვევი \*

### IV

ილიას ნაწარები პირველი პერიოდისა (1857—1861 წწ.) — ილია ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და საბატონო ეპოქის დამფუძნებელი მოძრაობის იდეოლოგი.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავთ: მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში — ნიკოლოზ ბარათაშვილს, საუკუნის მეორე ნახევარში — ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ქართული მწერლობის ეს ტიტანები არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა.

მე-18 — 19 საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალური გარდატეხა ქართველი ხალხის ისტორიაში.

ამის შემდეგ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ძველ საქართველოსთან ერთად, დასრულდა გახვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ორგანიული ნაყოფი იყო სულ სხვა საზოგადოებრივი გარემოსი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზას იკვლევს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა.

ბოგზია ნიკილოზ ბარათაშვილისა, მისი „მერანი“, რომელიც პროტესტანტული სულისკვეთებით არის შთაგონებული, მისი „ბედი ქართლისა“, რომელშიაც ჩვენ გვაქვს სათავეები მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, — განსაზღვრავს ძირითად წამყვან ხაზს, მთავარ მაგისტრალს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისას.

„უდად ზომ მანც არა ჩაივლის ეს გამწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მანც დარჩება, რომ ჩემს შემდგომად მომებსა ჩემსა სიძნელე გზისა ვაუაღვილდეს...“

ილია ჭავჭავაძე იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის იგი დიდი მოძმე, რომელმაც განაგრძო მისი სავალი, შეასრულა ნ. ბარათაშვილის მიერ დაწყებული დიდი საქმე ქართული მწერლობის განახლებებისა; ილია იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის შემცველი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ერის მესაიდუმლე, ერის ზრახვათა გამომსახველი.

ილიას სახელთან განუყრელია სახელი აკაკისა. ილიამ და აკაკიმ ერთად აზიდეს ტვირთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა, ახალი გზები გაუხსნეს ქართულ ლიტერატურას, აავსეს იგი ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი შინაარსით.

\* ვაგრძელება. იხ. მნათობი № 6.



ილიამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ორი საბჭოთაო მსგეჰნა დაისახა: ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ილიამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი შინაარსი მისცა მას, გარკვეული პოლიტიკური პროგრამის სახით ჩამოაყალიბა იგი.

ნაცვლად რომანტიკული მოთქმისა საქართველოს წარსულზე, რაც შეადგენდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის მთავარ საგანს, ილიას ხედვა თავიდანვე მომავლისაკენ არის მიბურობილი.

ერთ-ერთ თავის ადრინდელ ნაწარმოებში „ქართველის დედას“, რომელიც ჯერ კიდევ 50-იან წლებშია დაწერილი (1858 წელს), ილიას წერს:

ქართველის დედო! ძეძუ ქართველისა  
უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა;  
დედის ნანასთან ქეთიინი მთისა  
მას უშზადებდა მომავალ გმირსა...  
გაქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა.  
მონობის ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,  
სრულად მოგვიღო სიცოცხლის ძალა,  
თვით შენი შევიღე ჩრდილად შესცვალა...

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარბულა,  
რაც უწვალის დროთ ხელით დანთქმულა;  
მოგიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდითთ ვხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშეთ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივეეთ მომავალი ხალხს...

ილია მიმართავს ქართველის დედას:

აღზარდე შეილი, მივე ძალა სულს, —  
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ქმობას, ერთობას, თავის უფლებას,  
რომ სიყვითისთვის გული უფროდებს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს!..

რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ეს დიადი იდეები „ქმობა, ერთობა, თავისუფლება“ — უნათებს საველ გზას ერის თავისუფლებისათვის მებრძოლს, ამ დიადი იდეების დროშის ქვეშ მოუწოდებს იგი ქართველ ხალხს რომ „მომავლისათვის ბედთანა ბრძოდეს“.

ილია ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას აერთებს სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

„შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი  
ძლევაშოსილის ამ საუკუნის“ —

წერს ილია.

ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ილია იწყებს სამწერლო მოღვაწეობას, ჯერ კიდევ სრულ ძალაში იყო ბატონყმობის ინსტიტუტი.

ილია გამოდის როგორც შეურიგებელი მებრძოლ ბატონყმობის წინააღმდეგ.

ილიასათვის ერი ეს იყო თვით მშრომელი ხალხი, ერის თავისუფლება ილიას ესმოდა როგორც მშრომელი ხალხის თავისუფლება.

ილიას ამავე დროს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქართველი ხალხის განთავისუფლება ეროვნული და სოციალური ჩაგვრისგან შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით.

ქაბუჯი ილია ილაშქრებდა ცარიზმთან ყოველგვარი შემარიგებლობის წინააღმდეგ, იგი მოუწოდებდა, რათა ბოროტების ეს სათავე ძირითურთ ყოფილიყო მოთხრილი.

ლექსში „გუთნის-დედა“ (1858 წ.), ილია წერდა:

მა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,  
რომე იჩენოს მარტო მიწანი  
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,  
რომელიც უშლის თესლს ამოსვლას?

„ქართველი სტუდენტების სიმღერაში“, რომელიც ასევე ილიას სალიტერატურო მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთვნის (დაწერილია 1860 წელს), ქართველი სტუდენტები სიამაყის გრძნობით აცხადებენ:

დედამ რომ შვილი გაზარდოს  
ემაგრე ჩვენისთანაო!  
ცართან მშობას არ ვკადრულობთ,  
მაგრამ ვნატრობთ გლუხთანაო.

ხოლო ქართველ სტუდენტთა მეორე სიმღერაში, რომელიც 1858 წელს არის დაწერილი („ჩემი თარიღალი“), ილიას ცარიზმი წარმოდგენილი ჰყავს როგორც ურჩხული, რომელიც ვერ ძღება ხალხის სისხლით.

ჰე, ძმანო, ნეტავი ჩვენი,  
ღღეს მოგვეცა შეება ღზენა,  
მამულისა სიყვარულმა  
ძმობა გულში ჩაგვიყენა.

რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,  
ჩვენი სისხლისთვის გრგვინავდეს,  
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,  
თუ გულში ძმობა პრწყინავდეს.

ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,  
წინა წავიდეთ გაბედვით,  
ჩვენ ცარი ვერას დავაკლებს  
თავის ბრმა წინასწარ ზედვით.

ასეთია ის პროტესტანტული სულისკვეთება, რომლითაც შთაგონებულია ილიას შემოქმედება.

გავეცნოთ ამის შემდეგ ილიას პირველი პერიოდის მთავარ ნაწერებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

პირველი დიდი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ილიამ ფართოდ გაშალა თავისი მსოფლმხედველობა, არის პოემა „აჩრდილი“.

„აჩრდილი“ (პირველი რედაქცია) იწერებოდა 1858 წელს და დასრულებულია 1859 წლის დასაწყისში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> პოემა დათარიღებულია 26 იანვრით 1859 წლისა. ციტატები „აჩრდილიდან“ ქვემოთ მოგვყავს 1858 — 9 წლის ტექსტის მიხედვით.

პოემა წარმოადგენს მოწოდებას ბრძოლისაკენ ეროვნული თავისუფლები-სათვის, ბრძოლისაკენ სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად.

პოეტი ხედავს თავის დამონებულს მამულს, რომელსაც აღქვს ბორჯილე-ბი, დამონებულ ხალხს, რომელიც გერ ისევ ძილს არის მიცემული.

მაგრამ, ჰე, ველო! სად არის გმირი,  
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი!  
იგი აღარ გყავს, მის მოედანი  
ჯავით აღვსილა, გაუქმებულა,  
და შენი ხალხის ფიქრნი, ზრახვანი  
მამულისათვის დაძინებულა...

პოეტი წყევლა-კრულვით მოიხსენებს ერის მოღალატეებს, რომელნიც —

გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,  
მთავრის ღიმილზედ პატიოსნებას,  
და დაუანგებულ ბორჯილზედ სცვლიან  
თავის მამულის თავისუფლებას

პოეტი ასევე წყევლა-კრულვით მიმართავს თვითმპყრობელობას, ხალხის დამმონებელს „ბნელ დემონს“ („ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის“, — ამბობს პოეტი):

ბნელო დემონო! ადავსე გესლით  
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება  
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით  
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება.  
... ბნელზედ გაივლა ხალხმა ნათელი  
და მონობაზედ სასუფეველი!  
მას აქეთ წინ გზა დამონებისა  
და უკან კვალი უმეცრებისა  
ხალხს დაულოცე და დაუნიშნე,  
ყოველი აზრი შენ მას მოუვალ,  
და იმ იმედით დღეს დაძინე,  
რომ დაიძინებს იგი კიდევ ზვალ.

მაგრამ პოეტი უწინასწარმეტყველებს „ბნელს დემონს“, რომ იგი შემ-ცდარია თავის ანგარიშში, რომ ხალხი თავს დააღწევს საუკუნოვან ძილს და მოიბოვებს თავისუფლებას. პოეტი მიმართავს თავის დამონებულ სამშობლოს სიტყვებით:

ნუ შიშობ ველო! შენს მშვენიერ ხალხს  
წარუღუნ წელნი ძილის ეამისა,  
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ეარსკვლავს,  
სისხლი მამათა დაიხსნის შვილსა!  
წარუღუნ ეს წელნი ძილის ეამისა  
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!

პოეტი მოელის იმ დროს, როდესაც საქართველო, და საქართველოსთან ერთად კავკასიის მოძმე ერები, გაერთიანდებიან ერთის აზრით თავისუფლები-სათვის ბრძოლისათვის, —

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელდებიან!

## პოეტი მოელის იმ დროს —

თავისუფლების მშვენიერის სხივთ მზურვალემა,  
ოღეს დაადნობს დაქანგებულს დიდ ხნის ბორკილსა.



ასეთია თავისუფლების ის სული, რომლითაც შთაგონებულია პოემა „აჩრდილი“.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პოეტი „აჩრდილში“ უმღერის როგორც ერის თავისუფლებას, ისე ამასთან ერთად „შრომის ახსნის“ საქმეს; პოეტისათვის ეს ორი დიადი საქმე, თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა, — განუყრელია.

პოეტი „აჩრდილში“ შემდეგი სიტყვებით მიმართავს დამონებულ ყმას:

ყმავ!.. შენში კაცის გრძნობას არ ხედვერ,  
დედის ძეძუდამ შეილსა ავღლეჯენ,  
და, ვინ უწყს, საით სიდ გაჰყიდიანი..  
შეუბრალებელ ხელთა სთხრიან  
დედის გულშია უკეთეს გრძნობას,  
ცოდვად უთელიან შეილსა ტრფობას...

პოეტი დაუსახავს დამონებულ ყმას მომავალი თავისუფლების იმედს; იგი მოუწოდებს დამონებულ ყმას ბრძოლისაკენ, მხნეობისაკენ:

მხნე იყავ მუდამ, ნუ დაეცემი,  
ძნელ ტანჯვებშია გამოიკალე,  
მომავალია ნუგეშ მომცემი,  
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ხვალე.  
... მაშინ ეგ შენი წურვა ოფლისა,  
შენ გეყუთვნება და შენ ცოლ-შვილსა..  
ეგ მწუხარე ხმა შენ სიმღერისა,  
დაბლად გუგუნი დაღონებულა,  
მღერა, — ვით კენესა საწყალ მებრისა,  
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, —  
მხიარულ ხმებად გარდაგეცელების;  
და შენს გუთანზედ გულით ღმობილი  
იტყვი სიმღერას თავისუფლების.

ასეთია ის დიადი იდეები, ეს ორი დიადი საქმე, — თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა, — რომელთა მქადაგებლად გამოდის ილია ამ თავის პირველს დიდ ნაწარმოებში, პოემა „აჩრდილში“.

იმავე 1858 — 1859 წლებში, როდესაც დაიწერა პოემა „აჩრდილი“, ილიამ დაიწყო დიდი პროზაული ნაწარმოები, რომელშიაც ვაერთიანებული იყო იდეა სამი ნაწარმოებისა, — „კაცია-ადამიანისა“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“.

ილიას დაუწერია ამ პროზაული ნაწარმოების ორი ესკიზი (მოთხრობა „კოლა“ — ორი ვარიანტის სახით და მოთხრობა „კაკო“).

პირველი ესკიზი (მოთხრობა „კოლა“) თემატიკურად ენათესავება „გლახის ნაამბობს“. გლეხი გაბრძო აქ გამოყვანილია გლეხი ზაქროს (პოემა „კაკო-ყაჩაღის“ პერსონაჟის) სახელწოდებით. ამას გარდა „კაცია-ადამიანის“ თემიდან აქ შეტანილია ერთი-ორი დეტალი.

ეს პირველი ესკიზი ილიას დაუწერია 1858 წელს.

მეორე ესკიზი, — მოთხრობა „კაკო“ — დაწერილია ამის შემდეგ, 1858—1859 წლების მიჯნაზე. მოთხრობა „კაკო“ უფრო ფართოდ არის გაშლილი. მოთხრობის პირველ ნაწილში გადმოცემულია ზოგად ზაზუნაში „კაცია-ადამიანის“ თემა. შემდეგ მასთან გადაბმულია თემა „გლახის ნაამბობის“ (დათიკო, „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი, წარმოდგენილია ლუარსაბ თათქარიძის შვილად). დასასრულ მოთხრობაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტის ხაზიც (— გაბროს, „გლახის ნაამბობის“ გმირს, ამ მოთხრობაში „კაკო“ ეწოდება), მაგრამ მოთხრობა დასრულებული არაა.

ამ სამი ნაწარმოების თემატიკური რკალიდან მოთხრობა „კაკო“ — ში უფრო სრულად არის წარმოდგენილი ის ნაწილი, რომელიც „გლახის-ნაამბობის“ თემას შეეკავს. მოთხრობის საერთო კონფერენცია და სიუჟეტის განვითარების ძირითადი ხაზი აქ იგივეა, რაც „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელ რედაქციაში. მთავარი, რითაც განსხვავდება „კაკოს“ ეს ნაწილი „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელი რედაქციისაგან, ის არის, რომ „კაკო“ — ში ჯერ კიდევ არაა შეტანილი ეპიზოდური ჩანართი მოთხრობა მღვდელის შესახებ („გლახის ნაამბობის“ IV — VI თავები). განსხვავება აგრეთვე ზოგიერთ სხვა დეტალებში, კერძოდ თხრობის სტილში; მოთხრობა გადმოცემულია მესამე პირით, და არა თვითონ გმირის საუბრის სახით, როგორც ეს არის „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელ რედაქციაში.

მოთხრობა „კაკო“, როგორც აღვნიშნეთ, დასრულებული არაა, ცხადია იმიტომ, რომ ავტორს შემდეგ განუზრახავს მისი სიუჟეტის უფრო ფართოდ გაშლა სამი ცალკე ნაწარმოების — „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“ და „კაკო-ყაჩაღის“ სახით.

ამთ შორის ილია პირველად შესდგომია „გლახის ნაამბობის“ — ს დამუშავებას. „გლახის ნაამბობზე“ ილიას უმუშავებია 1859 წელს.

მაგრამ 1859 წელს ილია თუმცა შესდგომია „გლახის ნაამბობის“ ცალკე მოთხრობის სახით დამუშავებას, მაგრამ არ დაუმთავრებია კი. მაინც ძირითადი რკალი მოთხრობისა ამ წელს, 1859-ს არის მოხაზული. ამიტომ იყო, რომ ილია „გლახის ნაამბობს“ თავის „პირმშოს“ ეძახდა და მის თარიღად 1859 წელი აქვს აღნიშნული, რაკი მთელი მხატვრული კონცეფცია ამ დროს, 1859 წელს ჰქონია ჩამოყალიბებული. („გლახის ნაამბობის“ ტექსტს მიწერილი აქვს დათარიღება: „1859 წელი, პეტერბურგი“).

ამის შემდეგ ილია ამ მოთხრობას „გლახის ნაამბობს“ ორჯერ კიდევ დაბრუნებია. 1862 წელს ილიას გადაუხედავს და „ჩალხი გაუკრავს“ მოთხრობის პირველ ნაწილისაფეთის. ეს პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ (I — VI თავები) დაიბეჭდა ილიას ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

1863 წლის შემდეგ დაიხურა „საქართველოს მოამბე“ და ილიას „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი დაუმუშავებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა. უფრო გვიან, 1871—3 წლებში, როდესაც დაარსდა ჟურნალი „კრებული“ და ილიას მიეცა შესაძლებლობა „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილის დაბეჭდვისა, ილიამ დაამუშავა მოთხრობის მეორე ნაწილიც და გამოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წელს).

ასეთია ისტორია „გლახის ნაამბობის“ დაწერისა და მისი ცალკეული ნაწილების თარიღები.

ამრიგად „გლახის ნაამბობი“, მისი პირველ ნაწილი (დაწერილი 1859 წელს) — ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია ილიასი მხატვრული პროზის დარგში და ამიტომ იყო, რომ ილია, როგორც მოვიხსენეთ, მას თავის „პირმშოს“ ეძახდა. „დეე მაგ პირმშომან ძემან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა“, — სწერდა ილია ერთ წერილში „გლახის ნაამბობის“ შესახებ ნიკო ნიკოლაძეს.

„გლახის ნაამბობი (ისევე როგორც მისი პირველი ესკიზი — მოთხრობა „კაკო“) — გამსჭვალულია პროტესტის სულით სოციალური უსამართლობის

გამო, „გლახის ნაამბობი“ წარმოადგენს დიდი მხატვრული ძალის ნაწარმოებს, მიმართულს ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ.

ამავე დროს „გლახის ნაამბობი“ უკვდავ ნაწარმოებად რჩება ქართულს მწერლობაში, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის პირველი სრულყოფილი უბადლო ძეგლი.

„გლახის ნაამბობის“ შემდეგ, მომდევნო 1860 წელს, დაწერილია ილიას დრამატული პოემა „ქართველის დედა“ (პირველი რედაქცია).

„ქართველის დედა“, ისევე როგორ „აჩრდილი“, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების ამსახველი ნაწარმოებია.

„ქართველის დედა“ ეს არ არის წარსულის რომანტიკა (როგორც ამას შეცდომით ფიქრობდნენ), არამედ ავტორი აქ ხატავს მომავლის სურათს. პოემას ილიას ავტოგრაფებში აქვს შემდეგი მეორე სათაური: „ს ც ე ნ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ“. პოეტს ამ „სცენაში მომავალი ცხოვრები-დამ“ ესახება საქართველოს მომავალი განთავისუფლების გზები, როგორც შედეგი ხალხის აღდგომისა, ხალხის რევოლუციური ბრძოლისა. ამრიგად „ქართველის დედა“ ეს არის მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს თავისუფლები-სათვის, და არა ისტორიული წარსულის სურათი, — წარსულის რომანტიკა.

რომ ილია ამ პოემით მომავლისაკენ იხედება, და არა წარსულისაკენ, ეს ცხადია მიძღვნის ტექსტიდან, რომლითაც იხსნება ილიას ხელნაწერებში ეს დრამატული პოემა.

ილიასეულ 1860 წლის ხელნაწერში ეს მიძღვნა ასე იკითხვის:

აჰ, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,  
სადაც გონება ჩვენი ზწირად ერთად ჰფრენდა,  
სადაც ჭაბუკი ფანტაზია გალაღებული  
უკეთესო ყვეილთ ქართულის გულში ღზენათა ჰკრფდა.

მყოზადს ავხადე ერთი კუთხე ფიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე. — მომიტევე მე სთამამე,  
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,  
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ შე!

ამ შესავლიდან იდეა პოემისა საცხებით ნათელია.

ხოლო როგორ აქვს ილიას წარმოდგენილი საქართველოს განთავისუფ-  
ლების საქმე? ილიას იგი ესახება როგორც შედეგი ხალხის გამოღვიძებისა,  
ხალხის აღდგომისა, ხალხის ბრძოლისა.

პოემა იხსნება დედის შემდეგი მონოლოგით:

<sup>1</sup> იმავე მიძღვნის მეორე შემდეგბროინდელი ვარიანტი ილიას ხელნაწერებში ასეა წარ-  
მოდგენილი:

აჰ, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,  
რომელნიც ერთად გვეინატრია უცხოეთში ჩვენ,  
რომელთ იმედი, ღეთიურ სხავით გამბრწყინებული,  
დღესაც გულში გვაქვს მტყიცე სჯულად, მამო, მე და შენ.  
მყოზადს ავხადე ერთი კუთხე ფიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე. — მომიტევე მე სთამამე...  
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —  
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ შე.





... ჩემი მამული საქართველოს დღეს მიცოცხლებია!  
 ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
 კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიჭრსა ჰფიჭრობს, —  
 და ეს ფიჭრა მთელ კავკასის თავისუფლებას...  
 დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!

პოემაში, ქვემოთ, შვილი იმავე სიტყვებით მიმართავს დედას:

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედაე, ამაგი:  
 ჩვენი მამული საყვარელი გაღვიძებულა!  
 მთელი კავკასი, თვის შეილებით, ვითა ზღვა შვი,  
 ერთისა აზრით, ერთის ფიჭრით აღელვებულა...

აქ ნათლად ჩანს ილიას ღრმა რწმენა ხალხის უძლეველი ძალისადმი. ისტორიის მამოძრავებელ ძალად ილიას ხალხის მასები მიაჩნდა. დიდია გაღვიძებული ხალხი, — ამბობს ილია, — ხალხი მთაგონებული თავისუფლების სიყვარულთ.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ილიას შეხედულებით საქართველოს განთავისუფლების საქმე გადაჯაჭულია მთელი კავკასიის თავისუფლებასთან. ეს კონცეფცია გატარებულია როგორც „ქართველის დედაში“, ისე „აჩრდილში“.

„ქართველის დედას“ შემდეგ, იმავე 1860 წელს, ილია წერს პოემას „კაკო ყაჩაღი“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“).

თუ „ქართველის დედა“ მთაგონებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით და მიმართულია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, „კაკო ყაჩაღი“ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული.

ილიას „კაკო ყაჩაღი“ ბევრ ზაზუნებში ეხმაურება ხალხურ თქმულებას არსენას შესახებ, სადაც ჩაგრული გლეხობის იდეალური გმირის სახეა წარმოდგენილი, რომელიც ქედს არ იხრის უსამართლობის წინაშე. თვით პოეტი ხაზს უსვამს ამ კავშირს არსენას თქმულებასთან ზაქროს სიტყვებით:

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,  
 ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოხული,  
 ის იყო ჩემი ჯავრი და ლენა,  
 ის იყო ჩემი გული და სული.  
 ის მე ბევრ რამეს გულს ჩამძახებდა;  
 ხან მომაღენდა, ხან მაღონებდა...

„კაკო ყაჩაღი“, გლახის ნაამბობთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი, და ამასთან ყველაზე რადიკალური ხასიათის ნაწარმოებია, რაც კი ქართულ ენაზე დაიწერა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ილიას ეს ნაწარმოებნი შორსაა რაიმე შემარიგებლობისაგან, ისინი პირდაპირ მოწოდებას შეიცავენ ბრძოლისაკენ. როგორც „გლახის ნაამბობში“, ისე „კაკო ყაჩაღში“ საკითხს ბატონსა და ყმას შორის თოფი წყვეტს. აქ მოცემულია იგივე კონცეფცია, რომელიც შემდეგ ილიამ გამოხატა სიტყვებით:

„თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მართო თოფია,  
 შინ უღლით გაქნილ ცხოვრებას ოში სისხლის ღერა სჯობია!“

„კაკო ყაჩაღში“ ილიას პოეტური ტალანტი სრულ სიმწიფეს აღწევს. თავისი მხატვრული ღირსებებით „კაკო ყაჩაღი“ ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტუ-

რი ქმნილებაა, რომელიც ილიამ შექმნა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

ქართული  
ენის  
ისტორია

გარდა ზემოჩამოთვლილ მთავარ ნაწარმოებთა „აჩრდილისა“ (1858-9 წ.), „გლახის ნაამბობისა“ (1859 წ.), „ქართულის დედასი“ (1860 წ.), „კაკო ყაჩაღისა“ (1860 წ.), აგრეთვე გარდა დასახელებული ლექსებისა „გუთნის დედა“ (1858 წ.), „ქართულის დედას“ (1858 წ.), ქართველ სტუდენტთა სიმღერა (1858 და 1860 წ. წ.), ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის ამავე პირველ პერიოდს ეკუთვნის ლექსები:

„ნანა“ (1859 წ.), „ელეგია“ (1859 წ.), „მტკვრის პირას“ (1859 წ.), „დაკარგული ედემი“ (1859 წ.), „დაე თუნდ მოვეცდე“ (1858 წ.), „მესმის, მესმის სახატრელი“ (1860 წ.), „იანიჩარი“ (1860 წ.), „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი...“ 1861 წლის დასაწყისი) და სხვანი, რომლებიც შთაგონებულია მისი დამონებული სამშობლოს ხვედრით, რომლებშიაც აისახა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები.

ცალკეა აღსანიშნავი ილიას ვრცელი ლექსი „მუშა“, დაწერილი 1860 წელს. როგორც ვხედავთ ამ ლექსიდან, ილია ჯერ კიდევ ამ პირველ პერიოდშივე ილაშქრებდა არა მხოლოდ ბატონ-ყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, არამედ სოციალური უსამართლობის საკითხს ილია უფრო ფართოდ აყენებდა.

ასეთი იყო ილიას შემოქმედება პირველი პერიოდისა, 1857 — 1861 წლებისა.

ილია ქვეყანამის შემოქმედება სამოციანი წლების მიჯნაზე მოასწავებდა ახალი ეპოქის დასაწყისს ქართულს მწერლობაში.

ილია ქვეყანამისა და აკაკი წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ სამოციანი წლების ქართული ლიტერატურა გადავიდა ახალ იდეურ საფუძვლებზე, გაიშალა დიდი მნიშვნელობისა და დიაბაზონის ლიტერატურის სახით, ნამდვილი ხალხური ლიტერატურის სახით.

ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის იმავე პირველ პერიოდს — 1860 წელს ეკუთვნის კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა კახლოვის «შემოღობის» თარგმანზედა“<sup>1</sup>, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს (№ 4).

ამ წერილში ილიამ აღძრა ზოგადი საკითხები ლიტერატურისა, კერძოდ საკითხი ახალი სალიტერატურო ენის შესახებ (არქაული მართლწერის მოხსნის საკითხი).

ილიას ეს წერილი ყუმბარის ნამდვილი აფეთქება იყო.

ამ წერილის გამო ძველი თაობის ბანაკიდან ილიას წინააღმდეგ გაილაშქრეს ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზედ პოეტმა ქალმა ბარბარე ჯორჯაძემ, რევაზ ერისთავმა, სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა, გ. ბარათაშვილმა, ექვთიმე წერეთელმა (გიორგი წერეთლის მამამ). ახალი თაობიდან ილიას მხარეზე გამოვიდნენ „თერგდალეულნი“ — აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, რომელთაც დაბეჭდეს წერილები „ცისკარში“. „ცისკარშივე“ (1861 წ. № 6) პასუხი გასცა ძველი თაობის ბანაკს ილიამ.

ასეთი იყო დასაწყისი „მამათა და შვილთა“ იმ ბრძოლისა, რომელიც გაიმართა საქართველოში სამოციან წლებში.

<sup>1</sup> წერილი დათარიღებულია 5 ნოემბრით (1860 წლისა).

## V

ილიას მოღვაწეობა საქართველოში ღაბრუნების შემდეგ 1861—1883 წლებში.  
„საქართველოს მოსახე“.

ილია საქართველოში დაბრუნდა, როგორც მოვიხსენიეთ, 1861 წელს.

ის სულიერი მღვდლყარება, რომელსაც განიცდიდა ილია, როდესაც იგი, ხანგრძლივად მოშორებული თავის ქვეყანას, ისევ ბრუნდებოდა თავის დედა-სამშობლოში, — სამშობლოსადმი მოვალეობის ის დიდი გრძობა, რომლითაც შთაგონებული იყო ილია, — ასეთის სისხვსით იგრძნობა ილიას „მგზავრის წერილებში“.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, — ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგი არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდევცა, რადგან ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დერიტა დაღებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მომიყოლოს და მაიპმოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლავის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადახვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევცა და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური. მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ეუთხრა და იმ სიტყვით გულის-ტკივილი მოეურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არ ეოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?

„გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევც, იმიტომ, რომ იმის სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მართო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დემილიც გასაგონია; ჩემ სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის.

„მაგრამ ამას სულ სიტყვანედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ რომ საქმე მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმნე?..“

დედა-სამშობლომ საქმე მოსთხოვა თავის შვილს, — ბრძოლა სამშობლოს გამოსხსნისათვის, ბრძოლა ჩაგრულთა თავისუფლებისათვის. და ილიამ ღირსეულად შეასრულა ეს ვალი დედა-სამშობლოს წინაშე.

ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარემოში შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი, ილიას მოთავეობით, იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის“ სახელით არის ცნობილი.

გიორგი წერეთელი — თავის ცნობილ წერილში მე-19 საუკუნის ქართული დასების ისტორიისათვის, შემდეგს წერს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული მწერლობის იმ ახალი ხანის შესახებ, რომელიც იწყება ილია ქავჭავაძის „პირველი დასის“ გამოსვლით საზოგადოებრის ასპარეზზე:

„ქართული ლიტერატურის ახალი ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, — წერს გიორგი წერეთელი, — რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა-წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც ილია ქავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცის-

1 იხ. „კვალი“, 1897 წ., № 46, გვ. 815.

კარში“ და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებად იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ლუმანიტაჟურული წრის ამფრიალბელი, პეტრე ნაკაშიძე, გიორგი ყაზიბეგი, ივანე მელიქიძე, მიხეილ ყიფიანი, ივანე ბერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი ჩიქოვანი, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ჩიქვაძე, ილია წინამძღვარიშვილი და ვახტანგ თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადა კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჰაბუკია ილია ჭავჭავაძე თავის ახალ-დაწერილ ლექსების და „გლასის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულბდა თავის საკუთარ წრეს, და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში“.

\*

1863 წელს ილია აარსებს ჟურნალს „საქართველოს მოამბე“, რომელიც ახალ დასის ტრიბუნას წარმოადგენს. ეს ჟურნალი ხსნის ახალ ხანას ქართულ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

გავეცნობთ აქ თვით მესამოცი წლების მოღვაწეთა მიერ მოცემულს შეფასებას იმ როლისას, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ შეასრულა.

ნიკო ნიკოლაძე, — წერილში, რომელიც მან გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლიდან ცხრა წლის შემდეგ, 1872 წელს, წერდა:

„ვის არ ახსოვს ეს წელიწადი (— 1863 წელი), როცა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, — როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება უწინდელ კალაპოტს სცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... და როცა, მეორე მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობას, ე. ი. ახალ ცხოვრებას, და ძველ კაცობას, ე. ი. ძველ წესსა და სჯულს შუა?.. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ, თავი შეაფარა „ციცკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ციცკარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდებდა ძველსა და ახალ შუა ჩვენს ცხოვრებაში...“

„დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალ დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი, — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დადავდა და ჰკილადა ძველი საზოგადოების უმეცრებას და გულგრილობას საზოგადო საქმისათვის, და მაშინ, როგორც ახლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო ამ სიტყვის გავრცელება და მისი გაძლიერების მომხრება საზოგადოებაში“.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, ძველ საზოგადოებრივ წყობას „საქართველოს მოამბის“ სახით გაუჩნდა „ახალი საშიში მტერი, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ჰქადაგებდა... და რომელიც იყო მომავლის ძალა და იმედი“<sup>1</sup>.

მეორე მესამოციანელი მოღვაწე — გიორგი წერეთელი, — რომელიც 1863 წელს რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, იგონებს, თუ როგორის აღფრთოვანებით შეხვდნენ „საქართველოს მოამბის“ გამოსვლას რუსეთში მყოფნი „თერგდალეულნი“:

„პეტერბურგის სტუდენტობა აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ლუმანიტარული მიმართულებისას. „საქართველოს მოამბემ“ დაჰკმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შეხვდა მან თავის

<sup>1</sup> იხ. ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, ჟურნალი „კრებული“ 1872 წ., № X — XII, გვ. 151 — 4.

მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და — ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც<sup>1</sup>.

გიორგი თუმანიშვილი იგონებს „საქართველოს მოამბის“ გამოცემის წინას: „ეს იყო საყოველთაო გამოცოცხლების ხანა. ეს იყო დიდი იმედების ხანა... ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით ჰკითხულობდა მთელი მამინდელი საზოგადოება. ახალგაზრდობა აღმერთებდა მას“<sup>2</sup>.

გავეცნოთ ილიას ნაწერებს, რომლებიც ამ ხანაში, 1861 — 1863 წლებშია დაწერილი.

1861 — 1863 წლებს ეკუთვნის ილიას უმნიშვნელოვანესი თხზულებანი: „მგზავრის წერილები“ და „კაცია-აღამიანი!“

„მგზავრის წერილები“ ეს არის არა მხოლოდ მაღალ-მხატვრული ნაწარმოები, არამედ ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. „მგზავრის წერილებში“ მოცემულია მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ ამ ნაწარმოებში ჰპოვა თავისი სრულყოფილი გამოხატულება.

„მგზავრის წერილები“ დაწერილია 1861 წელს. მაგრამ დღის სინათლე მან ბევრად გვიან იხილა. ეროვნული რადიკალიზმი იმდენად მკვეთრად არის გამოვლინებული ამ ნაწარმოებში ყოველგვარი „დიპლომატიური“ საფარველის გარეშე, რომ ცენზურას სამოციან წლებში აუკრძალავს მისი დაბეჭდვა. უფრო გვიან, 1871 წელს, თუმცა მოხერხდა ამ ნაწარმოების გამოქვეყნება, მაგრამ შემოკლებით. მხოლოდ 1892 წელს, ე. ი. 31 წლის შემდეგ ამ ნაწარმოების დაწერიდან, შესაძლო გახდა სრულად გამოქვეყნება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა.

ილიას მეორე ნაწარმოები ამავე პერიოდიდან, ეს არის, როგორც მოვიხსენებთ, „კაცია აღამიანი!“<sup>3</sup>. ამ ბრწყინვალე სატირულ ეპოპეას ცენტრალური ადგილი უჭირავს ილიას მხატვრულ მემკვიდრეობაში, როგორც წერის ბრწყინვალე ოსტატობით, ისე იმ ღრმა საზოგადოებრივი ინტერესით, რომელსაც წარმოადგენდა იგი თავისი ეპოქისათვის, როგორც დიდი მამხილებელი ძალის მხატვრული ტილო.

ილიამ ამ თავისი უცვლადი ნაწარმოებით საბოლოოდ დაამკვიდრა ქართული მწერლობაში რეალიზმის ტრადიციები. ამდენად ილიას „კაცია-აღამიანი!“ ეპოქალური მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ამ ნაწარმოების დაწერის ისტორიისა და თარიღის შესახებ.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ილიას თვდაპირველად ერთი ნაწარმოების სახით ჰქონდა მოაზრებული „კაცია-აღამიანი!“<sup>4</sup>, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაიადი“.

მოთხრობაში „კაკო“, რომელიც 1858-9 წლებშია დაწერილი და სადაც გაერთიანებულია ამ სამი ნაწარმოების სიუჟეტი, წარმოდგენილი „კაცია-აღამიანის“ პირველი ესკიზი. ამ ესკიზში მხატვრული ქარგა „კაცია-აღამიანისა“ ჯერ კიდევ ზოგადი ხაზებით არის ასახული, მაგრამ ამ სქემატურ ფონზე უკვე დიდი ტიპები ლუარსაბ თათქარიძისა და დარეჯანისა უკვე მოცემულია.

<sup>1</sup> იხ. „კვალი“, 1897 წ., № 46, გვ. 815.

<sup>2</sup> იხ. გ. თუმანიშვილი, წერილი გაზეთში „Закавказье“, 1907 წ., 9 სექტ.

ამ პირველ ესკიზში წარმოდგენილია ელემენტები „კაცია-ადამიანის“ I-IV თავებიდან. „კაცია-ადამიანის“ დანარჩენ ნაწილებიდან აქ გვხვდება მხოლოდ ზოგიერთი დეტალი ერთი-ორი ხაზმოსმით.

ეს რაც შეეხება „კაცია-ადამიანის“ ამ პირველ ესკიზს, რომელიც ჩართულია მოთხრობაში „კაკო“ და რომელიც 1858-9 წლებს ეკუთვნის.

მას შემდეგ, რაც ილიამ განიზრახა ამ თავისი აღრიხდელი შთანაფიქრის სამი ცალკე ნაწარმოების სახით დაწერა, პირველად, 1859 წელს, ილია, როგორც მოვიხსენეთ, შესდგომია „გლახის ნაამბობს“; 1860 წელს დაიწერა „კაკო ყაჩაღი“.

რაც შეეხება „კაცია ადამიანს“, იგი სჩანს იწერებოდა 1859 — 1863 წლებს შინილზე. ხოლო უკანასკნელი დამუშავება „კაცია-ადამიანისა“, მისი საბოლოო რედაქცია ეკუთვნის 1863 წელს.

ამავე 1863 წელსვე „კაცია-ადამიანი“ დაიბეჭდა ილიას ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ილიას ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი, რომლითაც იხსნება ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (წერილი „საქართველოს მოამბეზე“).

ამ წერილში ილია თავის პროგრამას ქვეყნის განახლებისას მკვიდრ ფილოსოფიურ საფუძველზე ამყარებს. ილიას მოძღვრებით, ცხოვრება არის მუდმივი მოძრაობა, იგი მუდმივ განვითარებაშია, მუდმივ განახლებასა და ზრდას განიცდის. „ცხოვრება—იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი, და მერე ქვდება, იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიძარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისავე მოყვანილის ნაყოფისავე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი... ცხოვრება—იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისთვისა...“

ილიას მოძღვრებით კაცობრიობის ისტორია ეს არის ერთი მთლიანი განუწყვეტელი ჯაჭვი პროგრესისა.

„გული სხვაგვარად სცემს, — წერს ილია, — როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალი აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ქვდება თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა, და ისე არ შეადგინოს ისტორიული ყვავილითა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინამსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერია...“

„... ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა. მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ გრეხილი აზრისა განუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი. ამასთანაც დაუქციველი, მარად მყოფი საღაროცა აქვს, — მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან“.

ფილოსოფია ხელოვნებისა და მეცნიერებისა ილიას შეგამებული აქვს შემდეგი დებულებით:

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან... მეცნიერება და ხელოვნება ისმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა, და როცა მოსწევნს სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალი ცხოვრების გამოსაყვანად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ, და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“.

ილია უარყოფს თეორიას ხელოვნებისა ხელოვნებისათვის. დაე—ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, — წერს ილია, — ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი ხალხის ცხოვრებასა, — ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნება ჩავიდეს ცხოვრების ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისთვის“.

დასასრული, ილია ამ წერილში შემოხზავს თავისი დასისა და ერის ნაღის სამოქმედო პროგრამას:

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენნი პირველი და უკანასკნელი სურვილია... თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხალხს. მე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება, თავის სრულის ვითარებითა... ჩვენი — აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუ ჩაბახილის ამოქანა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა...“  
 „ქურნალის დანიშნულება, — ილიას სიტყვით, — ეს არის დასახვა ღონისძიებათა — „რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანას“.

„მოგვიტევოს მკითხველმა, — წერს დასასრულ ილია, — თუ ეს სტატია შეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველს. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებია მკითხველისათვის...“

მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირობებისა, ილიამ შესძლო თავისი იდეების ხალხთან მიტანა.

\*

ილია ჭავჭავაძე და მისი დასი, — 60-იან წლებში, სალიტერატურო-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად, პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

1862 წელს ილია ჭავჭავაძე, ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად, შეეცადა დაეარსებინა ქართული ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება იყო ხალხში (პროტოტიპი შემდეგდროინდელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა). მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო ასეთი ორგანიზაციის მოქმედებას.<sup>1</sup>

1863 — 1865 წლებში საქართველოში მზადდებოდა საგლეხო რეფორმა. ილიას ამ დროს შეტაცება მოუხდა რეაქციონურად განწყობილ თავადაზნაურობის წრეებთან.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქრისტეფორე მამაცაშვილი თავის მოგონებებში სწერს:

„ევროპის რუსეთში რომ გლეხები გაანთავისუფლეს, საქართველოშიაც დაარსდა თავადაზნაურთა კომიტეტი იმისათვის, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო გლეხთა განთავისუფლების საქმე ჩვენში. მაშინდელმა საგუბერნიო მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულ პირებს გაეგზავნათ მისთვის წერილობითი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხობა, — უმიწოდ თუ მიწიანად...“

„კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დაადგინა, რომ გლეხები უნდა განთავისუფლდნენ უმიწოდ, მოწვეულ იქმნა თავადაზნაურთა საგანგებო კრება კომიტეტის შრომის განსახილველად.“

„ოქმების წაყითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტო და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცეს. კრების უმეტესობა ამ აზრმა ააშფოთა.“

„ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასავე გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით, ეხლავე უნდა მოეჭკოლო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გამობორო ვმსა-

<sup>1</sup> საისტორიო შოამბე, III, 1947 წ., გვ. 148 (ა. თოფაძე, ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტალური მასალები).



ხურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა, — ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ეფუძის გათხრის შემოფერტყნით და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დაეცვათო. შემდეგ ჩაწერა დი. რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის ანტონ ფურცელაძე და წერილის ავტორიც, — მუდმივ შორიანხლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი“.

ქრისტეფორე შამაცაშვილის ცნობით, თავადაზნაურობის მეორე კრებაზე ილიას შეტაკება მოუხდა იმავე საკითხზე რეაქციონური თავადაზნაურობის ცნობილ მეთაურთან გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრან-ბატონთან<sup>1</sup>.

ილიას ყურნალმა „საქართველოს მოამბემ“ ერთი წელი იარსება. ყურნალის მუშაობას დიდად ხელს უშლიდა და აფერხებდა მკაცრი, შეიძლება ითქვას პირდაპირ ველური საცენზურო პირობები.

ილია წერდა ყურნალის ერთ-ერთ ნომერში (1863 წ. № 11):  
„წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თვითონ ვსთხოვდით ჩვენს ყურნალსა, რასაც მისგან მოველოდით, — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... ყურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქტორმა და რომლის ძლევააც შეიძლება. ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მცვალინეობა და თავგამოდება უქმია. ზოლო თუმცა გზა გახილული გვექონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძობა არ გავვიყიდინია... როგორც გონება ჩვენი ჰქრიდა, როგორც გული გვითხრობდა, — ისე ელაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო, და კვლავაც ასე მოვიქცევით — თუნდ ამით ჩვენ ყურნალს ბოლო მოედოს... ყველაზე დიდი ნაკლოვანება ჩვენის ყურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არა ჰქონდა, — ეგ ინტერესია ყოველ ყურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვეტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ყურნალმა, არამედ ვერც კი გახვდა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერაც სცადა ყოველივე იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“. ამის გამო ჩვენს ყურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყუო ტრიალი მას, რაც ახლო გასასიხჯი იყო“.

ასეთ მძიმე საცენზურო პირობებში ილიამ შესძლო გამოეცა 1863 წლის მანძილზე „საქართველოს მოამბის“ 12 წიგნი, რის შემდეგაც ყურნალი დაიხურა.

„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე 1863 წელს დაიბეჭდა ილიას შემდეგი ნაწერები:

„კაცია-ადამიანი?!“ მთლიანად;

„გლახის ნაამბობი“ — პირველი ნაწილი (I — VI თავები);

„კაკო ყაჩაღი“ — პირველი ნაწილი;

ნაწყვეტები „აჩრდილიდან“;

ყურნალის მეთაური, ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი „საქართველოს მოამბეზედ“; პამფლეტი: „რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“;

<sup>1</sup> იხ. ქრ. შამაცაშვილის წერილი „ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან“, კრებულში: „ილია ჭავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 66 — 8.

ლექსები: „მუშა“; „გუთნის-დედა“; „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში“; „მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული“; „იანიჩარი“; „პოეტი“; „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“; „ხმა სამარიდამ“; „მტკვრის პირას“ და სხვანი.

ვაშთაგრებთ რა ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი ხანის (1857 — 1863 წლებს) მიმოხილვას, აქ საჭიროა ცალკე საგანგებოდ შევჩერდეთ უღარესად მნიშვნელოვან საკითხზე — ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

ახალი ქართული მწერლობის ორ დიდ კორიფესს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ამ ორ განუყრელ თანამგზავრს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის ასპარეზზე, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვისთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების საქმეში.

ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად უნდა მოხსენებულ იქმნეს აგრეთვე დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის შესანიშნავმა სახელმძღვანელოებმა ხელი შეუწყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფართოდ გავრცელებსა და დანერგვის საქმეს.

ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა მოხსენებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი სტალინის ვენიალური მოძღვრება ენის შესახებ, მოგვცა ამომწურავი შეფასება იმ ღვაწლისა, რომელიც ამ საქმეში მიუძღვის ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოღვაწეებს. ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა აღნიშნა:

„ახალი ლიტერატურული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის უდიდესმა მოღვაწეებმა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, აგრეთვე გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქერიეი“, აგრეთვე აკაკი წერეთლის ნაწარმოებნი „ბაშო-აჩუკი“ და სხვ., ახალმა ენამ სავსებით განდევნა დრომოკმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატის ლიტერატორები. საქართველოს ყველა კუთხეში ახალი ლიტერატურული ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოებს, რომელზეც ქართველი ხალხის თაობები აღიზარდნენ...“

„მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემდეგი თაობა ძირითადად განაგრძობდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხაზს და ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული ენის განუწყვეტელ განვითარებას.“<sup>1</sup>

„ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმა“, — გვასწავლის დიდი სტალინი. ამიტომ ენის ისტორია უმნიშვნელოვანესი მხარეა ერის კულტურის ისტორიისა.

იმისათვის, რომ უფრო ახლო გავერკვეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმესთან, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთავარი მომენტები.

ქართული ენა — ერთი უძველესი სალიტერატურო ენათაგანია. ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია აქვს. უძველესი

<sup>1</sup> აბ. კ. ჩარკვიანი, საანგარიშო მოხსენება თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, გამომცემლობა „კომუნისტი“, 1951 წ., გვ. 70 — 1.

ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლები ქართული ლიტერატურისა აღწევს მე-5 საუკუნემდე.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში სამი საფეხური: პირველი — ძველი ქართული სალიტერატურო ენა, მეორე — საშუალო ქართული, მესამე — ახალი ქართული.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა — წარმოდგენილია მე-5 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებში. ამ ენაზეა შექმნილი მთელი რიგი კლასიკური ძეგლები ქართული მწერლობისა, როგორც თხზულებანი ვიოკრი მერჩულისა, მთაწმიდელებისა და სხვანი.

საშუალო ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლები მე-11 — 12 საუკუნეთა საზღვარს ეკუთვნის („ვისრამიანი“, „შაბთელის „აბდულმესიანი“). ხოლო საშუალო ქართული სალიტერატურო ენა უმაღლეს სრულყოფას აღწევს შოთა რუსთაველის უკუდავს გენიალურ ქმნილებაში „ვეფხისტყაოსანში“.

საშუალო ქართული თავისი სტრუქტურით ახლო დგას ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხთაგან აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი მომენტები.

ქართულ სალიტერატურო ენას, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, როგორც ძველ-ქართულს, ისე საშუალო-ქართულსა და ახალ-ქართულს, — საფუძვლად უდევს ერთი და იგივე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტი (ქართულ-კახური, მესხური), რომელიც იესებოდა და მდიდრდებოდა ყველა სხვა ქართული დიალექტებისა და კილოების ენობრივი მასალით.

ქართული სალიტერატურო ენა, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, როგორც ძველ-ქართული, ისე საშუალო-ქართული და ახალ-ქართული, საერთო ენა ქართველი ხალხისა, უმაღლესი ფორმა ენისა, — „რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები“. სალიტერატურო ქართული ენა მთელი ისტორიის მანძილზე საერთო ენა იყო მთელი ქართველობისათვის, ყველა ქართველი ტომისათვის, როგორც ქართულისათვის, ისე გურულისათვის, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურისათვის, ისე იმერლისათვის, როგორც კახელისა და მესხისათვის, ისე მეგრელისა, ქანისა, სვანისა და აფხაზისათვის.

ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართული სალიტერატურო ენისათვის — მისი განვითარების ყველა სტადიებზე დამახასიათებელია ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა. ამით აიხსნება, რომ თვით ძველ-ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები, რომლებიც თხუთმეტი საუკუნით არის დამორებული ჩვენი დროიდან, როგორც მაგალითად მე-5 საუკუნის ძეგლი „წამება შუმანიისი“, თითქმის დაუბრკოლებლად გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის. ხოლო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქართული — იმდენად აღბეჭდილია ნამდვილი ხალხურობით, იმდენად ნათელია და გამჭვირვალე, რომ ამ ენას შერჩენილი აქვს, თვით პოეტის სიტყვები რომ გავიძეოროთ. „სიღბო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა“. რუსთაველის ენა, მიუხედავად ზოგიერთი სტრუქტურული სხვაობისა, საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობს და ინარჩუნებს თავის უქცობელ შვენიერებას.

•

ახალი ქართული სალიტერატურო ენა თავისი ახალი სტრუქტურული წყობით — თანდათანობით ყალიბდება და გზას იკვლევს ლიტერატურაში ახალ საუკუნეთა მანძილზე. მე-17 — 18 საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებულია ამ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი სახეობა. სულხან-შაბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიკრთუისა“ (მე-17 საუკუნის ბოლო) — უკვე წარმოგვიდგენს ახალი ქართული სალიტერატურო

ენის ამ აღრინდელ სახეს. ხოლო დავით გურამიშვილის „დავითიანში“ (18 საუკ.) ეს აღრინდელი სახეობა ახალი ქართული სალიტერატურო <sup>განვითარების</sup> დევ უფრო სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ტეხილი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების საქმე შეაფერხა ანტონ კათალიკოზის და მისი სკოლის მოძღვრებამ ენის შესახებ. ანტონ კათალიკოზმა დანერგა ქართული ლიტერატურაში სამი სტილის თეორია და ნაცვლად ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისა სამი სალიტერატურო მეტყველება დააკანონა. ლიტერატურის ძირითადი დარგებისათვის მიღებული „მაღალი“ და „სამუშალო“ სტილის ქართული ეს იყო ხელოვნური სქოლასტიკური ენა, რომელთაგან პირველი — ძველი ქართულის დამახინჯებულ მიბანძვას წარმოადგენდა, ხოლო მეორე — სამუშალო ქართულისას. ანტონ კათალიკოზის სკოლის ენა საეკლესიო დამორბეულია ხალხურ ენას, ხალხის ენას. ამრიგად ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად ქართული სალიტერატურო ენა მოსწყდა ხალხურობას, რაც ყოველთვის შეადგენდა ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

ანტონ კათალიკოზის სკოლამ ამასთან ერთად დააკანონა რთული ორთოგრაფია ქართული სალიტერატურო ენისათვის, გადმოიტანა ხუცური დამწერლობიდან მხედრულ ანბანში ზედმეტი ასოები (რაც მხედრულში თავიდანვე არ არსებობდა) და ამას გარდა შემოიტანა ახალი ზედმეტი ასოებიც კი.

ასეთი იყო ის ვითარება, რაც დამყარდა ქართულს მწერლობაში ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართული ენის ბუნებრივ განვითარებას უღიღესი საფრთხე შეუქმნა ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართული ენა უკვე აღარ არის ენა სახელმწიფოსი, სახელმწიფოებრივი ენა. ქართული ენა განდევნილია საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან, ქართული ენა ყოველმხრივ შევიწროებას განიცდის, ქართული ენა განდევნილია თვით სკოლიდანაც. ცხადია ასეთს ვითარებაში, როდესაც საქართველო უფლებებო კოლონიის მდგომარეობაში გადავიდა და ქართული ენის უფლებები ყოველ მხრივ შეიკვეცა, ქართული ენის ნორმალური განვითარება დიდად შეფერხდა.

კერძოდ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო და რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისამდე სახელმწიფო ენის როლს ასრულებდა (იგი მიღებული იყო როგორც საქმის წარმოების ენა სახელმწიფოში) — მოესპო ბუნებრივი განვითარების თავისუფალი სარბიელი.

თვით ქართული ლიტერატურის ასპარეზიც დიდად შეიზღუდა, მისი დიპაზონი შევიწროვდა.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში გაბატონებულია ანტონ კათალიკოზის დროგადასული ენობრივი ნორმები.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართული ენის ტრადიციები არ მიწელებულა საესებით; იგი თანდათანობით ისევ ზას იკვლევს მწერლობაში.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის წამყვანი მწერლებიდან კერძოდ ალექსანდრე ჭავჭავაძე ანტონ კათალიკოზის სკოლის ნორმების მიმღევეარია, მაგრამ გვიანი პერიოდის ზოგ ნაწარმოებში („გოგჩის ტბა“) იგი ნაკლებ ემორჩილება ამ ნორმებს.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, იგი, გვიან ხანაში, „თერგდალეულებთან“ კამათის დროს, თუმცა მფარველობის ქვეშ იღებს ანტონ კათალიკოზის სკოლის მოძღვრებას, მაგრამ თავის პოეზიაში იგი არ მისდევდა მას. გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ენა, რასაკვირველია, ეს არ არის ანტონ კათალიკოზის

სკოლის ენა, არამედ ძირითადად ახალი ქართულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ორბელიანის ენა მაინც ერთგვარის არქაიზაციით ატვის ქვბეჭდილი. თავის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებში, როგორც არის „საღამოს ქადაგება“ „შეხვედრისა“, ჰიპნოზის მამულისადმი „სადღეგრძელოდან“ და სხვანი, გრიგოლ ორბელიანის ენა, თუმცა დამძიმებულია არქაიზმებით, მაგრამ მაინც უპირატესად ახალი ქართულის რკალში ექცევა. აღსანიშნავია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე, რომელიც ასე შეუთრგებლად ებრძოდა ანტონ კათალიკოზის სკოლის ენობრივ ნორმებს, აფასებდა გრიგოლ ორბელიანს როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს და მის ენას არ გამოთიშავდა ახალი ქართულის ენობრივი წრიდან.

კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრივ მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მედი ქართლისა“, თუმცა ასევე აღბეჭდილია ერთგვარი არქაული ელფერი, მაგრამ ძირითადად იგი ახალი ქართული სალიტერატურო ენის რკალს ეკუთვნის.

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, ეს უდიადესი ქმნილება მე-19 საუკუნის ქართული პოეზიისა, ამავე დროს არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის პირველი უბრწყინვალესი ძეგლი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ისევე ვერ გამოითიშება ახალი ქართული სალიტერატურო ენის წრიდან, როგორც ვერ გამოითიშება ამავე რკალიდან ილია ჭავჭავაძის „განდევილი“.

მე-19 საუკუნის 40-იან 50-იან წლებში ახალი ქართული სალიტერატურო ენით წერს კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი („სამი სტილის“ თეორია, როგორც ცნობილია, კომედიისათვის ხალხურ ენას შესაწყნარებლად თვლიდა). ხოლო 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, ახალი ქართული სალიტერატურო ენით წერენ თავის მოთხრობებს დანიელ ქონქაძე და ლავრენტი არდაზიანი.

ამრიგად იმ დიდი რეფორმისათვის, რომელიც მოახდინა ქართულს მწერლობაში ილია ჭავჭავაძემ — ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებით, უკვე შემზადებული იყო ნიადაგი ქართულ მწერლობის წინა პერიოდში.

აქ საჭიროა ამავე დროს შემდეგიც აღინიშნოს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა თანდათანობით გზას იკვლევდა ქართულს მწერლობაში, მაინც მე-19 საუკუნის სამოციანი წლების კარგებთან, როდესაც მოღვაწეობა დაიწყო ილია ჭავჭავაძემ და ახალმა დამამ, საერთო მდგომარეობა ქართული სალიტერატურო ენისა — სავალალო სურათს წარმოადგენდა. ძველი და დროგადასული ჯერ კიდევ ჩრდილავდა ახალს, აფერხებდა ახალის დამკვიდრებას. ანტონ კათალიკოზის მოძღვრება ენის შესახებ ისევე ძალაში იყო. ფართო გავრცელებით სარგებლობდა დრომოკმული ნორმები, გაბატონებული იყო ძველი ორთოგრაფია. ქართულ სალიტერატურო ენას აუღდა რაიმე ერთიანობა. ქართული სალიტერატურო ენა მოკლებული იყო ხალხურობას.

ასეთი იყო მდგომარეობა ქართული სალიტერატურო ენისა, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძე და მესამოცე წლების მოღვაწეთა რაი.

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული ენის აღორძინების საქმეში განუზომელად დიდია.

ილია ჭავჭავაძე არის ფუძემდებელი ახალი ქართული მწერლობისა არა მხოლოდ როგორც განმაახლებელი მისი შინაარსისა, არა მხოლოდ როგორც გადამყვანი ქართული მწერლობისა ახალ იდეურ საფუძვლებზე, დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში რეალიზმისა, არამედ უდიდესი რეფორმატორი ქართული სალიტერატურო ენისა.

საფუძველი, რომელსაც დაემყარა ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად მესამოცე წლების ქართული მწერლობა სალიტერატურო ენის განახლება-გადეხალისების დროს — ეს იყო თვით ცოცხალი ენა ხალხისა, ეს **დაუშვებელი** ზღვა ენობრივი სიმდიდრისა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დაამკვიდრეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოღვაწეებმა, ეს არის ხალხური ენა, ამ სიტყვის სრული, ნამდვილი მნიშვნელობით.

ეს რასაცირველია არ ნიშნავს იმას, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა ვისაა და თვის ისტორიულ ძირებს. ხალხურობა სრულიადაც არ ნიშნავს ენის ერთგრაფიულობას. პირიქით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და სრულყოფას მკვიდრი საფუძველი შეუქმნა მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ, რომლის უმდიდრესი ენობრივი საუნჯე, საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი, განსაკუთრებით რუსთაველის ხანიდან ვიდრე შეცხრამეტე საუკუნემდე, ქართული ენის უძვირფასეს ფონდს წარმოადგენს; ახალმა სალიტერატურო ენამ მიიღო ეს შექცვიდრობა, აითვისა მისი საუკეთესო მონაცემები, მისი საუკეთესო ტრადიციები.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოოდ დამკვიდრება ქართულს მწერლობაში სამოციანი წლების დასაწყისის ეკუთვნის.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა ილიას სალიტერატურო მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.

1859 წელს ილიამ შექმნა „გლახის ნაამბობი“, ეს პირველი სრულყოფილი ძეგლი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა მხატვრულ პროზაში.

შემდეგ, 1859 — 1863 წლებში, იწერება „კაცია-ადამიანი?“ — ახალი ქართული სალიტერატურო ენის მეორე უბრწყინვალესი შედეგები.

1860 წელს ილია წერს „კაკო ყაჩაღს“; 1861 წელს „მგზავრის წერილებს“.

1860 — 1861 წლებს ეკუთვნის ილიას კრიტიკული წერილები, რომლებშიაც ილია ეხება როგორც ლიტერატურის ზოგად საკითხებს, ისე ენის საკითხებს. ამ წერილებში ილიამ დაარღვია ძველი ბანაკის რეტროგრადული შეხედულებანი ენის შესახებ და კერძოდ დაასაბუთა ახალ ორთოგრაფიაზე გადასვლის საჭიროება.

ბრძოლა ახალსა და ძველს მიმართულებას შორის სალიტერატურო საკითხთა გამო საბოლოოდ გადაწყდა 1863 წელს, როდესაც დაიწყო გამოხსვლა ილიას ეურნალმა „საქართველოს მოამბე“-მ. ამ ეურნალმა საბოლოოდ დამკვიდრა ქართულ მწერლობაში ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

დასასრულ, აქ საჭიროა ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ ილიას ღვაწლი ახალი ქართული ენის დამკვიდრების საქმეში უაღრესად მრავალმხრივია. უნივერსალური ხასიათისაა. ილიამ ღვაწლი დასდო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას არა მხოლოდ როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა, რომელმაც სრულყოფილი სახე მისცა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ბელეტრისტიკაში, მხატვრულ პროზაში, პოეზიაში. ილია არის რეფორმატორი ქართული ენისა მთელი მოცულობით. ილია პუბლიცისტი, ეურნალისტი, ილია კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ილია ეკონომისტი, სოციოლოგი, ილია მოაზროვნე — ფილოსოფოსი, ასევე სრულყოფილად ქედს ახალ ქართულ ენას მწერლობის ყველა დარგებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოციანი წლების მიჯნასთან, ვიდრე ილია გამოვიდოდა სამწერლო ასპარეზზე, ქართული სამწერლო ენა ყველა შემოდასახელებულ სფეროში დაკნინებისა და დაცემის გზაზე იყო დამდგარი. საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოსპობამ მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს უუფლებო კოლონიის მდგომარეობაში ყოფნამ სამოციანი წლის მანძილზე, ქართული ენისათვის უფლებების აყრამ, შევიწროებამ, ღვეხამ, თავისი ნაყოფი გამოიღო, სამწერლო ქართული ენა გაღარიბდა, ჩამორჩა ეპოქას.

ილია ქავჭავაძე — სამწერლო ენის ყველა დარგის ამ დიდი მასშტაბის რეფორმის დროს, მისი გადახალისება-განახლების, მისი გამდიდრებულადა შევსების დროს, — ასევე ემყარება ხალხურ ენას, ამ დაუშრეტელ, უწყობს ენობრივი სიმდიდრისას, ემყარება ამასთან მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მემკვიდრეობას. ქართული ენის მდიდარს ლექსიკურ ფონდში ილია პოულობს დასაყრდენს ახალი გამოთქმების, ახალი საჭირო სიტყვებისა და ტერმინების ჩამოსაყალიბებლად.

ახალი ქართული ენა მდიდრდება, იხვეწება, იუმჯობესებს თავის წყობას, თავის სტრუქტურას.

ასეთი იყო ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა ახალ ქართულ მწერლობაში, საბოლოო დამკვიდრება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რაც შესრულდა დიდი ქართველი მწერლის ილია ქავჭავაძის მოღვაწეობის შედეგად.

ამ უდიდეს ეროვნულ საქმეში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში, ილია ქავჭავაძის უახლოესი თანამოღვაწეა აკაკი წერეთელი, ეს მეორე ტიტანი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა.

შემდეგი თაობა ქართველი მწერლებისა განაგრძობს ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ამ დიდი ფუძემდებლების ხაზს.

ქართველი მწერლების დიდ პლეადაში, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში, ცალკეა აღსანიშნავი დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის სახალხო სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყვეს ხელი ერთიანი სალიტერატურო ენის საყოველთაო გავრცელებას.

## VI

1864 — 1876 წლები

1864 წლიდან მოკიდებული იწყება ახალი პერიოდი ილიას ცხოვრებაში. როგორც მოხსენებული გვქონდა, ილიამ 1863 წლის განმავლობაში მეტად შიშივ საცენზორო პირობებში შესძლო გამოეცა „საქართველოს მოამბის“ 12 წიგნი, რის შემდეგაც ეურნალი დაიხურა.

1864 წლის დასაწყისიდან მოკიდებული, რა დროიდანაც შეწყდა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლა, — ვიდრე 1877 წლის დასაწყისამდე, როდესაც გამოვიდა „ივერია“, — ილიას საკუთარი ორგანო არა ჰქონია.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ილია, რომელიც იმ დროს უკვე დაოჯახებული იყო, იძულებული ხდება შევიდეს სამსახურში და თბილისიდან პროვინციაში გადავიდეს სამუშაოდ.

ილია ოჯახს 1863 წელს მოეკიდა. ილიას მეუღლე იყო ოლგა თადეოზის ასული გურამიშვილი.

ილიამ თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო თბილისში, სადაც ოლგა, ინსტიტუტის ახლად დამთავრების შემდეგ, ცხოვრობდა თავის ნათესაებთან (ოლგა დედით ობოლი იყო). გვიარისწერა მოხდა 21 აპრილს 1863 წლისა.

მეუღლე ილიასი, როგორც გადმოგვცემენ ყველა თანამედროვენი, და როგორც ამით შესახებ წერს ილიას პირველი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე, „იყო ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგარძნობი, დიდად მოსიყვარულე თავის სახელოვანი ქმრისა და მალმერთებელი მისის ნიჭისა“.



ოლგა ქავჭავაძისა შემდეგ დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა იმ დროს არსებულ ქართულ დაწესებულებებში, — კერძოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ილია დიდად აფასებდა თავის ცხოვრების თანაგზავრს, სიყვარულთა და პატივისცემით ეკიდებოდა მას.

ილიამ უძღვნა ოლგა ქავჭავაძისას „განდევილი“.

ოლგა ქავჭავაძისამ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლის დროს ოლგა ქავჭავაძისა მიიმედა დასტრეს. ამის შემდეგ ოლგა ქავჭავაძისამ თუმცა წლები იცხოვრა, მაგრამ იგი ამ ქვეყანას უკვე აღარ ეკუთვნოდა.

ილია იწყებს სამსახურს და სამუშაოდ გადადის პროვინციაში 1864 წლიდან.

1864 წლის აპრილში ილია დანიშნეს იმერეთში, საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. ილიას მოვალეობაში შედიოდა შესწავლა ბატონ-ყმობის ნიადაგზე წარმომდგარი ურთიერთობისა მებატონეთა და გლეხთა შორის.

ადგილობრივის რეაქციონურ თვადანჯანურობას დიდად საწყენად დარჩა პროგრესიული მოღვაწის — ილიას დანიშვნა ამ თანამდებობაზე. ილია ერთ-ერთ წერილში სწერს თავის მეუღლეს ქუთაისიდან: „ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ევაშნიკათ. აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპელებიო, ყმების წამრთმეებო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან...“

1864 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გადაყრდნა (დასავლეთ საქართველოში იგი 1865 წლამდე დარჩა). ილია ამ დროს, 1864 წლის ნოემბრიდან, დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში.

მომრიგებელ შუამავლის მოვალეობას შეადგენდა მოწესრიგება იმ ურთიერთობისა, რომელიც დამყარდა ყოფილ მებატონეთა და გლეხთა შორის ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, მიწების მიზომვა გლეხებისათვის და სხვა. ილიას სამუშაო უბნებს შეადგენდა გარე-კახეთის უბანი თბილისის მახრისა და მცხეთის უბანი დღუშეთის მახრისა.

ილია მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე დარჩა სამი წელი (1868 წლის თებერვლამდე).

ილიას ეს წლები მუდმივად ხალხში უხდება ყოფნა. იგი ახლო ეცნობა გლეხობას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას. იგი ყოველდღე ხდებდა ზაქროსა და კაკოს დვიძლ მძებს, ვაბრთელსა და პეპიას, თავის მოხვევს... კავშირი ხალხსა და მწერალს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. „თუ არ ცხოვრების მორეეში, საგანს სად იპოვის წერისათვის — მწერალი?“ — წერდა თვით ილია.

ხალხის სულის სარკეს ილია პოულობს, სხვათა შორის, ხალხურ სიტყვიერებაში, ქართული ხალხის ზეპირსიტყვაობის უმდიდრეს საუნჯეში.

ქართული ხალხური სიტყვიერება სიყრმიდანვე იტაცებდა ილიას. ზოლო ამ პერიოდში, 1864 — 1868 წლებში, ილიამ შეისრულა თავისი დიდი ხნის სურვილი ქართული ხალხური სიტყვიერების საფუძვლიანი შესწავლისა. დასახელებული წლების მანძილზე, როდესაც ილიას მუდმივად ხალხში უხდებდა ყოფნა და ხშირი მოგზაურობა სოფლიდან სოფლად, ილია იწერს ქართულ ხალხურ ლექსებს, „გლეხურ სიმღერებს“ (როგორც მას ილია უწოდებს), ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანდაზებს.

უფრო გვიან, 1871 — 1873 წლებში, ილიამ დღუშეთიდან გამოუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს რამდენიმე ათასი „გლეხური სიმღერა“ ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად. ჟურნალში ამ ლექსების მხოლოდ მცირედი ნაწილი დაიბეჭდა. „გლეხური სიმღერები“ 1873 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (რადიველ ერისთავის მიერ შეკრებილ ზეპირი სიტყვიერების მასალასთან ერთად).

ილიას მიერ შეგროვილი ხალხური სიტყვიერების ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებული დარჩა.

ივანოვიჩი  
ნიკოლოზი

1868 წლის თებერვალში ილია დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთის მაზრისა. ილიამ ამ თანამდებობაზე დაპყრო ხუთი წელი (1873 წლის მაისამდე).

დუშეთის მაზრის გლეხობაში ამის შემდეგ კარგა ხანს იყო დარჩენილი ხსოვნა ილიაზე, როგორც დიდად გულისხმიერ ადამიანზე, რომელიც განსაკუთრებულ თანაგრძნობას იჩენდა გლეხობისადმი, იცავდა მათ ყოფილი მებატონეებისა და ჩინოვნიკების თვითნებობისა და შევიწროებისაგან.

სამსახური მომრიგებელ მოსამართლედ ილიასათვის ბევრად უფრო სამძიმო აღმოჩნდა, ვიდრე წინანდელი სამუშაო მომრიგებელი შუამავლისა. ჯერ ერთი, მოსამართლედ მუშაობა მოითხოვდა მთელ დროს. ამასთან, რაც დრო გადიოდა, ილიასათვის აუტანელი ხდებოდა იმდროინდელი „სულ“-ს სახაზინო სული, მისი „სიღამპლესი“, როგორც ამბობს ერთგან ილია.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ილია სამსახურში ყოფნის დროს, როგორც ირკვევა, დიდ მატერიალურ ვაჭირვებას და შევიწროებას განიცდიდა.

ერთ წერილში ილია სწერს თავის მეუღლეს:

„კარგ სიკეთეს შევეყარებით მე და შენ ძირითადი სუღობაში, — სულ დავიღუპებით. დაღუპვასა და ზარალს ჯანი ვაგვარდეს, ნეტავი ერთი ოთახი მაინც იყოს, რომ წვიმისაგან შევეფარებით... ცუდად არის ჩვენი საქმე...“

მეორე წერილში ილია სწერს მეუღლეს:

„საქმე ეხლა ისე მოეწყვა, რომ რაც შეიძლება მალე დაეხსნოს თავი სამსახურსა და მოვშორდე სუღის ნაწილის სიღამპლესსა და სიმყარესს... ქვეყანა აღიდა; იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავირჩინოთ... მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამსახურიდან რომ გამოვალ, ყინულზე იქნება დაწერილი“.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში და 70-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი ჯგუფი ქართველ მოღვაწეთა, რომლებიც თავს იყრიან ვახუთ „დროებას“ და ჟურნალ „კრებულის“ ვარშემო. ამ ჯგუფში არიან: გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე (რომელსაც განკერძოებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ჯგუფში), კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი. ამ ჯგუფთან დაახლოებულია აჯავი.

ქართველი ახალი თაობა, მიუხედავად დასთა შორის სხვაობისა, ახალი თაობის საერთო ფრონტის მთავარ წინამძღოლად იმავე „ძველს“ მებრძოლს, (თუმცა ხნით ჯერ კიდევ ახალგაზრდას) — ილია ჭავჭავაძეს თვლიდა.

როდესაც 1866 წელს გიორგი წერეთელი შეუღლა „დროების“ გამოცემას, ილიამ პირველი ნომრისათვის დაწერა წერილი „თბილისი“ („ზოგიერთი რამ“), რომელიც ერთ-ერთი უბრავენიველესი პუბლიცისტური წერილია ილიასი. მაგრამ ეს წერილი „დროების“ პირველ ნომერში ვერ გამოქვეყნდა, — იგი ცენზურამ აკრძალა.

ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება იწყება 70-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ქართულ საეკონომიკურ მუშაობაში ჩაება უცხოეთიდან ახლადდამბრუნებული ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე, „დროებისა“ და „კრებულის“ ჯგუფი, — აგრეთვე ახალი თაობის ბანაკის სხვა წარმომადგენლები, მიმართავენ ახალი თაობის ძველს მდროშეს და ნაცად ხელმძღვანელს ილია ჭავჭავაძეს ხელთ აიღოს მათი მე-თაურობა.

ნიკო ნიკოლაძე ერთ წერილში წერს:

„სახელმწიფოებრივიდან რომ დაებრუნდი და ქართული ეურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იანი წ.), ილია ჭავჭავაძე... დღემთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დღემთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევე ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871 — 1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვარ დღემთს „გროვიტ“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მალალაშვილი, სანდრო ერისთავი „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ლოლობერიძე და თქვენი უმადბლესი მოსამსახურე). ბევრჯერ დავგვიპატივინა: მოდიოთ, მეთაურად გავვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ მეთქი.

„განახლებული, გადავიძებული „დროება“ და სხივმოსილი „ქრებული“... საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიას ხელში ჩაეგბარე...“<sup>1</sup>  
ილია ახალგაზრდული ენერგიით ჩაება მუშაობაში.  
გამხნეებელი მოღვაწეთა ახალი გუნდის გამოსვლით, ილია წერდა (1872 წ.):

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?  
აწმყო თუ არ გეწყალობს, მომავალი ჩენია,  
თუმცა ძველი დავმორდნენ, ახალი ხომ შენია...  
მათ ახალთ აღიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წერილ-შეილი წამოგეწერენ, ნაზარდნი, გულ-მტაცები,  
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები...  
მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,  
მათი გულთა ფიციარი შენი მტაცევ ზღუდეა...  
მათ თვის მტრდით შექმნსრონ მტერთა სიმავრენია,  
ჩემო კარგო ქვეყანავ, მამ რად მოგიწყენია?

\*

გავეცნოთ ილიას ლიტერატურულ მუშაობას აღნიშნულ პერიოდში, 1864—1876 წლების მანძილზე.

1865 წელს ილიამ დაწერა „გლეხთა განთავისუფლებების პირველი დროების სცენები“<sup>2</sup>.

ამ ნაწარმოებში, უნდა ვიფიქროთ, ბევრია შეტანილი ილიას პირადი შთაბეჭდილებებიდან, როდესაც ილიას, როგორც მომრიგებელ მუშაშემსრულებს, უხდებოდა დაკვირვებოდა ნაყმევთა და ნაბატონართის მომხრის შექმნილი ურთიერთობას ბატონყმობის გადაფარდნის პირველ ხანებში.

სცენები დიდი რეალისტური ხელოვნებით არის აღბეჭდილი.

მომდევნო 1866 წელს არის დაწერილი ილიას ერთ-ერთი უშესანიშნავესი პუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ“. როგორც მოხსენებული გვექონდა, ეს წერილი დამზადებული იყო ვაზეთ „დროების“ პირველი ნომრისათვის, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1866 წლის მარტიდან<sup>3</sup>. მაგრამ წერილი ვერ დაიბეჭდა. ავტორის ეროვნული რადიკალიზმი, რომელიც ჩქეფს ამ წერილის თვითველი სტრაქიონიდან, იყო იმის მიზეზი, რომ წერილი ცენზურას აუკრძალავს.

1 იხ. ნიკო ნიკოლაძის წერილი რ. ხომლელისადმი ცერნალი „განთიადი“, 1915 წ., № 8, 21 — 2).

<sup>2</sup> დაიბეჭდა ვაზეთ „დროებაში“ 1867 წელს. ამ წელსვე იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

<sup>3</sup> წერილი პირველ რედაქციაში ატარებდა სათაურს: „ტფილისი“.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1870-იანი წლების დასაწყისში, ილია ისევ ცდილა ამ წერილის დაბეჭდვას და გადმოუგზავნია იგი „ქრებულნი“ ჟურნალის გაერთიანებული რედაქციისათვის. მაგრამ წერილი ამ მეორეჯერაც დაბეჭდეთ. 1872 წელს ილია ერთ წერილში ავონებს კირილე ლორთქიფანიძეს: „რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს. მაცნობე, დაბეჭდავთ მან სტატიას თუ არა. ოღონ ვე დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმობთ...“

მაგრამ ამ მესამეჯგონაც, 1872 წლისათვის, ვერ მოუხერხებიათ წერილის დაბეჭდვა. მხოლოდ უფრო გვიან, 1876 წელს, ათი წლის შემდეგ ამ წერილის დაწერიდან, მოხერხდა მისი გამოქვეყნება (ისიც იმიტომ, რომ ამ დროს ცენზურის სათავეში შემთხვევით იყო ლიბერალურად განწყობილი მწერალი). დაიბეჭდა იგი „დროების“ 1876 წლის 14 მარტის ნომერში.

1871 წელს ილიამ გადაამუშავა თავისი ადრინდელი დრამატული პოემა „ქართლის დედა“.

დრამატული პოემის ამ ახალ რედაქციაში შეტანილია ილიას დიდი ჰიმნი — ო და თ ა ე ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს („თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“...)

ახლად არის დაწერილი აგრეთვე ჯარის სიმღერა („ქართველო ხელი ხმალს იკარ, დრო დაგვიდგა დიდებისა...“), რომელიც, ილიას სიტყვით, „გლეხურ კილოზედ არის მოწყობილი“, და რომელიც, როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილი წერილიდან, თვით ილიას მოსწონდა.

დრამატული პოემა მიძღვნილია „თერგდალეულის“ პეტრე ნაჯაშიძისადმი, რომელიც ილიას სტუდენტობის დროის მეგობარი იყო და „საქართველოს მოამბის“ ხანის თანამოღვაწე.

წერილში 1871 წლის 19 მარტის თარიღით ილია სწერდა პეტრე ნაჯაშიძეს: „პეტრე! გიგზავნი ხელანალად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართლის დედას“... გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა... მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდად, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად“.

ილიას ეს პოემა დაიბეჭდა „ქრებულნი“ 1870 წელს (მარტის თვეში).

იმავე 1871 წელს „ქრებულნი“ (თებერვლისა და მაისის ნომერებში) — გამოქვეყნდა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ილიას „მ გ ზ ა ე რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“.

1871 წელს არის დაწერილი ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისის (კომუნის დაცემის დღე)“.

პოეტი წერდა კომუნის დაცემის გამო:

ტივითმძიმეთ და მაშვართ მხსნელი

დიდი დროშა დაიშალა...

კვლავ ქვეუნისა მზავრავ ძალამ

იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის

საოცარი იგი ვრი,

კვლავ დაიდგა დიდ წამების

მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეუნისთვის დაიღვრა

წმინდა სისხლი წამებულის,



კვლავ დამარცხდა დიდი საქმე  
 ყოვლად მზსნელის სიყვარულის  
 კვლავ შეფერხდა ისტორია,  
 განახლების შესდგენენ ძალნი,  
 და კვლავ დღესასწაულობენ  
 გამარჯვებულნი მტარვალნი“.

ლექსი დათარიღებულია 1871 წლის 29 მაისით, ე. ი. დაწერილია პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ უახლოეს დღეებშივე.

ერთი რუსი მწერალი სამართლიანად წერს ილიას ამ ლექსის გამო:

„Не только в грузинской, но и в русской поэзии того времени не найдется другого стихотворения, прославляющего с такой силой и ясностью мысли борцов Парижской коммуны 1871 года“<sup>1</sup>.

1872 წელს არის შესრულებული ილიას მიერ პოემა „აჩ რ დ ი ლ ი ს“ ახალი რედაქცია.

აქ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით როგორც „აჩ რ დ ი ლ ი ს“ ტექსტის ისტორიაზე, ისე მისი დაბეჭდვის ისტორიაზედაც. ცენზურა, როგორც ირკვევა, სისტემატურად აფერხებდა ამ პოემის გამოქვეყნებას. პოემა, შეიძლება ითქვას, თითო სტრიქონობით არის გამოტაცებული ცენზურის ხელიდან.

პოემა „აჩ რ დ ი ლ ი ს“, მისი პირველი რედაქცია, როგორც აღნიშნული გვქონდა, ილიამ დაწერა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1858 — 1859 წლებში. პოემა ილიას დაუმთავრებია, როგორც გვიჩვენებს მისთვის მიწერილი თარიღი, — „26 იანვარს 1859 წელსა“.

ილიას იმავე 1859 წელსვე უცდია პოემის დაბეჭდვა. ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წლის № 12-ში დაიბეჭდა კიდევ ერთი ნაწყვეტი პოემიდან (თავი V). მაგრამ ბეჭდვა ამაზე შედგა. საცენზურო მიზეზების გამო პოემის გამოქვეყნება ჟურნალში შეუძლებელი გამხდარა.

შემდეგ, 1860 წელს, ილიას უცდია „აჩ რ დ ი ლ ი ს“ ცალკე გამოცემის სახით გამოქვეყნება. პოემა თბილისში უნდა გამოსულიყო და გამოცემისათვის ზრუნვა მინდობილი ჰქონდა პოეტის მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს (თვით ილია, ამ დროს ჯერ კიდევ სტუდენტი, რუსეთში იმყოფებოდა). მაგრამ პოემა ვერ დაიბეჭდა. ცენზურას, როგორც მოსალოდნელი იყო, აქამადაც არ მიუცია ნებართვა ამ ნაწარმოების გამოშვებისა.

შემდეგ, 1863 წელს, როცა ილიამ დააარსა საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ილიას ისევ ცდილა დაბეჭდვა პოემა, მაგრამ ცენზურული დაბრკოლებანი ამ შემთხვევაშიაც ვერ გადაულახავს. ჟურნალში დაიბეჭდა XXI, XXVI და XXVII თავები, მაგრამ ამასაც შეჰხებია ცენზურის ხელი (XXI თავიდან ცენზურას ამოუღია მეორე ნახევარი).

შემდეგ წელს, 1864-ში, კირილე ლორთქიფანიძემ, მისი რედაქციით გამოსულ კრებულ „ჩანგურში“ დაბეჭდა ერთი ნაწყვეტი „აჩ რ დ ი ლ ი ს“ (თავი V), რომელიც წინათ „ცისკარში“ იყო გამოქვეყნებული.

ამრიგად 1859 — 1864 წლების მანძილზე შესაძლო გახდა „აჩ რ დ ი ლ ი ს“ მხოლოდ ცალკე ნაწყვეტების გამოქვეყნება. მაგრამ მიუხედავად ცენზურის ბარიერისა, ილიას თხზულება მაინც ცნობილი გამხდარა ფართო საზოგადოებაში. ილიას პოემა, როგორც ირკვევა, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რასაც ადასტურებს ჩვენ დრომდე მოღწეული პოემის პირები.

1871 წელს, როდესაც დაარსდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, ილია ისევ შეეცადა „აჩ რ დ ი ლ ი ს“ დაბეჭდვას.

<sup>1</sup> В. Гольцев, Грузинские писатели девятнадцатого века, М. 1948, стр. 57.

მაგრამ პოემის დაწერიდან უკვე 12 წელი იყო გასული. ზოგი პოლიტიკური ელემენტი პოემისა — ის ნაწილი, რომელიც ბატონყმობას ეჭმებოდა — უკვე დაძველებული იყო. ამასთან პოემის მეორე ნაწილი, სადაც უწარმოვდგინოდა საქართველოს ისტორიის სურათები, ჩანს პოეტს აღარ აქმაყოფილებდა. ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ ილიამ 1872 წელს ხელახლა გადაამუშავა პოემა.

გადაამუშავებდა შეეხო პოემის პირველ ნაწილს (თავები 1—18). ხოლო პოემის ბოლო, რომელიც უმთავრესად ისტორიულ სურათებს შეიცავს (19—25 თავები) — ის ნაწილი პოეტს 1872 წელს არც შეუსწორებია და არც დაუბეჭდავს. რით იყო გამოწვეული ისტორიული ნაწილის გამოშვება, ამის პასუხს იძლევა თვით ილია ერთ წერილში, რომელიც მიმართულია დავით ერისთავისადმი („სამშობლოს“ ავტორი). წერილი დაწერილია 1872 წლის ივლისში; ილია აქ წერს:

„მე არადერსა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდევ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ, ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო შეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... შარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი... მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტყინავ და განკითხვა არსით არი...“

რაც შეეხება პოემის პირველ ნაწილს, რომელიც ავტორმა 1872 წელს გადაამუშავა, მთავარი ცვლილება მასში, პირველ რედაქციასთან შედარებით, წარმოდგენილია XIII—XIV თავებში. ავტორმა აქ განაზოგადა კერძო მავალითი ბატონყმობისა და ფართოდ გამალა იღვა შრომის განთავისუფლებისა.

ილიას უნათებდა პარიზის კომუნის მაგალითი, პარიზის კომუნართა მიერ გადახდილი ბრძოლა, როდესაც იგი „აჩრდილის“ ახლადდაწერილ ნაწილში შრომის განთავისუფლების დიადი საქმის შესახებ წერდა:

შრომა, ამ ქვეყნად ტყვედა პურობილა,  
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-უნებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
და დასამსხვრევად გამოხადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვევამოსილის ამ საუკუნის.  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგარა იბრძვის.  
ველარ ვანუძღვებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლას,  
ველარ ვანუძღვებს ქვეყნის მძარცველი  
ჰემშარიტებით აღძრულსა ბრძოლას,  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღუვალების.  
შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ჰემშარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით...  
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან  
ძობა, ერთობა, თავისუფლება,  
ვლის გვირგვინით აღარ ივლიან  
კაცთმოყვარება და სათნობა,  
ილო ილო ქვეყანამ ძველმა,  
რომ დღე-ღა-ღღე მის წყობა ირღვევა,  
და ამ ზეიადმა საუკუნეებმა  
უნდა შეას იგი შრომის სუფევა.

საკმაო გადავიკითხოთ ილიას ლექსი „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ და „ანრდილის“ XIII—XIV თავები, რათა ცხადი გახდეს, რომ ილია „ანრდილის“ დასახელებული თავების წერის დროს შთაგონებულია პირიზის კომუნის დიადი მაგალითით: „ანრდილის“ ეს XIII—XIV თავები შეიცავს პირდაპირ პარალელიზმს ილიას ლექსთან პარიზის კომუნის შესახებ.

პოემა „ანრდილის“ ამ ახალ რედაქციაში, შედარებით აღინდელ რედაქციასთან, შეტანილია, ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ცვლილებებიც, მაგრამ ეს ეხება თემის მხატვრულ გამლას და არა პოემის შთაგონ მაგისტრალურ ხაზს.

პოემის ეს ახალი რედაქცია დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1872—1873 წლების მანძილზე. მაგრამ დაიბეჭდა არა სრულად. ცენზურამ ამოიღო მთელი რიგი ადგილები პოემიდან. (ასე ამოღებულია მთლიანად IX თავი, რომელიც იწყება სიტყვებით: „მაგრამ, ქართველნი, სად არს გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ესტირი...“, აგრეთვე ცალკეული ადგილები დანარჩენი თავებიდან).

1873 წლის შემდეგ ილია ერთხელ კიდევ დაუბრუნდა პოემას; ილიამ შეიტანა პოემაში ახლადდაწერილი ისტორიული ნაწილი (მე-19 თავიდან — 25 თავიამდე) და პოემას მისცა ის სახე, რომელსაც მას დღესაც აქვს.

პოემის ეს ბოლო რედაქცია ილიამ შემდეგ დაბეჭდა „ივერიაში“ 1881 წელს (№№ 2 და 3). მაგრამ პოემის „წვალება“ ცენზურის მიერ არც ახლა დასრულდა. ცენზურამ ახლაც ამოიღო პოემიდან მთელი რიგი ადგილები. სახელდობრ პოემის მეორე ისტორიული ნაწილიდან ამოშლილია ოთხი თავი (22, 23, 24, 25 თავები); ამას გარდა პოემის პირველი ნაწილიდან ამოღებულია ცალკეული ადგილები.

დასასრულ, 1892 წელს „ანრდილი“ დაიბეჭდა ილიას თხზულებათა გამოცემაში. აქ აღდგენილია ის ადგილები, რომლებიც „ივერიაში“ არ დაბეჭდილია, გარდა 22 და 23 თავებისა, რომლებიც ცენზურამ არც 1892 წელს ვერ შეგვა.

ასეთი ეს გრძელი თავგადასავალი „ანრდილის“ ტექსტის ბეჭდვისა, რომელზედაც ჩვენ აქ იმისათვის შევჩერდით ასე დაწერილებით, რათა გვეჩვენებინა ის ყოვლად აუტანელი საცენზურო პირობები, რომელშიაც ილიას უხდებოდა მუშაობა. პოემა, როგორც ვნახეთ, მართლაც თითო სტრიქონობით ყოფილა გამოტაცებული ცენზურის ხელიდან.

აქ საჭიროა ამასთან ისიც აღვნიშნოთ, რომ ცენზურის წყალობით ჩვენ დღეს არა გვაქვს „ანრდილის“ სრული ტექსტი. პოემისა 22 და 23 თავები დაკარგულია. „ანრდილის“ ბოლო რედაქციის პირველნაწერი ავტოგრაფები არ შენახულა, ხოლო ნაბეჭდ ტექსტში ეს ორი თავი, როგორც მოვიხსენიეთ, ამოშლილია ცენზურის მიერ. რას შეიცავდა „ანრდილის“ ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ შენახულა.

ამავე პერიოდს, 1872—1873 წლებს ეკუთვნის „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილის დამუშავება.

ჩვენ უკვე შევეჩეთ „გლახის ნაამბობის“ ტექსტის ისტორიას, რომლის პირველი რედაქცია, როგორც აღნიშნული გვეონდა, 1859 წელს ეკუთვნის.

პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“, I—VI თავები, დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ — 1863 წელს.

1863 წლის შემდეგ დაიხურა „საქართველოს მოამბე“, ილია პროვინციაში გადავიდა სამუშაოდ და „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი ილიას შეუსრულებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა.

უფრო გვიან, 1871—1873 წლებში, როდესაც დაარსდა ჟურნალი „კრებულში“, ილიას მიეცა სამუშაოება „გლახის ნაამბობის“ გამოქვეყნებისა და ილია შესდგომია მოთხრობის მეორე ნაწილის დამუშავებას. როგორც ირკვე-



ვა ილიას წერილებიდან, „გლახის ნაამბობის“ ეს მეორე ნაწილი ილიას შეუსრულებია 1872 წლის დეკემბერსა და 1873 წლის იანვარში.

„გლახის ნაამბობი“ მთლიანად დაიბეჭდა 1873 წელს თბილისში „მთლიანად დაიბეჭდა“  
 ლის“ 1—3 ნომერებში.

1870-იან წლებს ეკუთვნის გამწვანება „მამათა და შვილთა“ ბრძოლისა, რაც ახალ თაობასა და ძველ ბანაკს შორის 60-იანი წლებიდან წარმოებდა.

1871 წელს ილიამ დაწერა ცნობილი „გამოცანები“, რომელშიაც სამარცხენო ბოძზე გააკრა მთელი კონსერვატიული-რეაქციული ბანაკი „მამებისა“.

უშუალო მიზეზი „გამოცანების“ დაწერისა— ეს იყო თავადაზნაურობის კანაილიის მოქმედება იმპერატორის ალექსანდრე II-ის ჩამოსვლის დროს საქართველოში. თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორის მისართმევად, თავადაზნაურობის ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ამ შემთხვევის გამო, დაადგინა— ახალთაობის ჯგუფის გავლენით— მოეთხოვნათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში, რის შესახებაც შედგენილი იქმნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა, მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის სურვილის თანახმად, გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც, ნაცვლად უნივერსიტეტისა, მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში...

ადრესის ისტორიამ, და საერთოდ იმ ლაქიურმა სულმა, რომელიც დატრიალდა თავადაზნაურობის მოთავე წრეებში იმპერატორის ჩამოსვლის გამო, გამოიწვია ილიას აღშფოთება. ილიამ გაბედულად გამოუცხადა ბრძოლა მთელ რეაქციონერ ბანაკს და თავის „გამოცანებში“ დაუნდობლად ამხილა ქვეყნის ორგულნი.

„გამოცანები“ ორ წყებად გამოქვეყნდა.

პირველ „გამოცანებში“ სამარცხენო ბოძზე იყენენ გაკრულნი:

რევაზ ანდრონიკაშვილი, — მარშალი თავადაზნაურობისა, ერთ-ერთი მეთაური რეაქციონერთა დასისა;

გიორგი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, სენატორი (ავტორი წერილისა: „**о существе крупных единиц**“), სადაც იგი იმ აზრს იცავდა, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერ);

ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, ძმა პირველისა, ყოფილი გენერალი, დიდი მემამულე, ცნობილი რეაქციონერი.

პლატონ იოსელიანი, — რომელსაც ილია რეაქციონერების ბანაკის თანამგრძნობლად სთვლიდა;

დიმიტრი ჯორჯაძე, კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი;

იასე ქავჭავაძე, — წევრი გუბერნიის სამმართველოსი;

ბესარიონ ლოლობერიძე, ყოფილი „ახალი აღთქმის კაცი“ („თერგდალეული“), რომელიც ერთხანად „ძველ თაობას“ მიემხრო, და რომელსაც ილია ძველისა და ახლის შუა ჩატყობი ხილს უწოდებდა.

ილიამ ქვეყნის ორგულთა რიცხვში თუმცა არ გარია გრივოლ ორბელიანი, მაგრამ მაინც ერთგვარი საყვედურით მოიხსენა იგი. გრივოლ ორბელიანის შესახებ ილია წერდა მერვე „გამოცანაში“:

„**კობულთა იგი ჯმუხი**  
 პირად ბადრი, ტანდაბალი,  
 საქმით წმინდა, გულმხურვილე,  
 სიტყვა-ტყბილი, ჭკვა-მალაღი.  
 ძველთაგანი ცგლა დარჩა  
 გრძნობით სავსე, გონიერა,



მაგრამ გაუბედავია,  
 თუმცა უყვარს თვისი ერი.  
 ის ძველის და ახლის შუა  
 შემეერთავე ზილია,  
 მაგრამ ამ კარვსაც ქვეყანა  
 ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდა”.

გამოცანების“ მეორე სერიამი („კიდევ გამოცანები“) მხილებულნი იყვნენ როგორც ქვეყნისა და ერის ორგულნი:

მიხეილ ლორის-მელიქოვი, იმ დროს თერგის ოლქის უფროსი, შემდეგ რუსეთის იმპერიის კანცლერი, რომელმაც, ილიას სტყვიით, „გრაფობისთვის ერი დაკლა“;

იოსებ თარხნიშვილი, გენერალ-ადიუტანტი, რომელზედაც ილია ამბობს— „ჯილდოსთვის ბევრი დაქსაქსა მან საქართველოს შვილია“ და რომელმაც ილიას სიტყვით, ქართველ დედათა წყველა დაიმსახურა;

მიხეილ თუმანიშვილი, ლიტერატორი, ღინოვნიკი, რომელსაც ილია ძველებს ლაქიად სთვლიდა, და რომელსაც ილიამ „ქართველი ძაღოაღინი“ უწოდა.

„გამოცანების“ ამ მეორე სერიის ბოლოში ილია ჭებას შეასხამს ძველი თაობის კეთილშობილ წარმომადგენელს დიმიტრი ყიფიანს, როგორც „ქვეყნის საყეთილოდ“ მოღვაწეს.

ილიას „გამოცანები“ — მოწმენდილ ცაზე მგზის გაავარდნას უდრიდა. „გამოცანები“ ხელნაწერად ვრცელდებოდა.

„ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, — სწერდა სერგეი მესხი კირილე ლორთქიფანიძეს; — ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა...“

ილიას ეს „გამოცანები“ 1871 წლის დეკემბერში დაიწერა და გავრცელდა.

ამის შემდეგ, 1872 წლის იანვარში გრიგოლ ორბელიანმა პასუხი გასცა ილიასა და ახალთაობას ლექსით: „პ ა ს უ ხ ი შ ე ი ლ თ ა“.

ამის საპასუხოდ ილიამ დაწერა თავისი ცნობილი „პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ ი“, სადაც ილიამ მალა აღმართა ახალი თაობის დროშა და კვლავ შეუბრალებლად ამხილა „ძველების“ ბანაკი, რომელიც ერის მომავალს „მკედრის სუღარას“ აფარებდნენ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანი თუმცა „ძველების“ დამცველად გამოვიდა, მაგრამ სინამდვილეში იგი „ახლებთან“ უფრო ახლო იყო, ვიდრე „ძველებთან“. როდესაც გრიგოლ ორბელიანს წაუკითხავს ილიას ლექსები, — გრიგოლს უთქვამს: „არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს თავისი შვილისაგან. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოთ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი იღუმთლი გულის ზრახვანი!“

ამრიგად, გრიგოლი ამ შემთხვევაშიაც ამკლავებდა იმ გაუბედაობას, რასაც ილია უსაყვედურებდა მას „გამოცანებში“. გაუბედაობა ყოველ შემთხვევაში გმირობა არ არის... ხოლო ილია გაუბედაობას ერის სამსახურის საქმეში — ლალატს ადარებდა.



ილიას, როგორც მოვიხსენეთ, მთელი წლების მანძილზე პროვინციაში მოუხდა ყოფნა. ილია პროვინციიდან თუმცა ხელმძღვანელობდა „ახალი თაობის“ საქმეს, მაგრამ მისი მუშაობა ძალზე შეფერხებული იყო. ილია მოწყვეტილი იყო დედაქალაქს, თავის წრეს; ილიას არ ჰქონდა თავისი საკუთარი ორგანო, ხოლო არსებული გამოცემები „კრებული“ — „დროება“ თუმცა ახალი ბანაკის ხელში იყო, მაგრამ ილია მაინც არ იყო კმაყოფილი იმ დროინდელი სალიტერატურო საქმიანობით. ილია მეტს ესწრაფოდა, მეტს მოითხოვდა.

წერილში ეურხალ „კრებულის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაის პეტრე უშიკაშვილისადმი, ილია სწერდა (1872 წლის სექტემბერს):



ვის შემოსავლიდან დახმარებას უწყევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს; ბანკი თავისი შემოსავლიდან ინახავდა ქართულ გიმნაზიას, წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო და მთელ რიგ სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ასეთი დანიშნულება მიეცა ქართულ ბანკს ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და მოღვაწეობით.

მას შემდეგ, რაც 1872 — 1873 წლების თათბირებზე ბანკის დაარსება გადაწყდა და ბანკის წესდების პროექტის დამუშავება საზოგადოებამ ილიას დაავალა, ილიამ თავი დაანება სამსახურს და დღემთიდან თბილისში გადმოსახლდა.

1873 წლის დასაწყისი ილიამ მოანდომა ბანკის წესდების პროექტზე მუშაობას. 1873 წელს გამართულ საორგანიზაციო კრებაზე საბოლოოდ მიღებულ იქმნა დადგენილება ბანკის ტიპის შესახებ ილიას წინადადებათა თანახმად. ამის შემდეგ ილია გაგზავნილ იქმნა რუსეთში ბანკის წესდების სათანადო ინსტანციებში ვასატარებლად და ამას გარდა საბანკო საქმის ტექნიკის გასაცნობად.

ილია რუსეთში გაემგზავრა 1873 წლის ზაფხულში. ილიას მოუხდა მთელი წელიწადი დარჩენილიყო რუსეთში 1873 წლის ზაფხულიდან — 1874 წლის გაზაფხულამდე, რადგან წესდების გატარება სათანადო ინსტანციებში და მისი დამტკიცება გაძნელდა. საბოლოოდ წესდება დამტკიცებულ იქმნა 1874 წელს.

ილია ჩამობრუნდა საქართველოში და შეუდგა ბანკის ორგანიზაციას. ბანკი გაიხსნა 1875 წელს. საზოგადო კრებაზე ილია აირჩიეს ბანკის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ ილიამ სრული 30 წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე და დიდი ენერჯია შეაღია ქართული ბანკის საქმეს, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ილიას მუშაობის შედეგად გადაიტყა მთელ რიგ ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობის ბაზად.

1873 — 1874 წლებში, როდესაც ილია ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო რუსეთში იმყოფებოდა, ილიამ წამოიწყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სალიტერატურო საქმე. — საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ქართულად თარგმნას. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, შექსპირი, რუსთაველთან ერთად, ილიას უსაყვარლესი მწერალი იყო.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ილია გატაცებული ყოფილა შექსპირით. 1859 წელს, როდესაც ილია სტუდენტი ავადმყოფობის გამო დროებით ჩამობრუნდა რუსეთიდან საქართველოში, ილიას თბილისში დაუდგამს ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირისა“, რომელშიაც მეფე ლირი თვით ილია ყოფილა.

შემდეგ, 1874 წელს, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც ილია რუსეთში გაემგზავრა, ილია წერდა კრიტიკულ წერილს შექსპირისა და რუსთაველის შესახებ, რომელშიაც გაშლილი უნდა ყოფილიყო შექსპირის პამლეტისა და რუსთაველის ტარიელის სახეები<sup>1</sup>.

ილია, როგორც მოხსენებული გვქონდა, რუსეთს გაემგზავრა 1873 წლის ზაფხულში და რუსეთში მთელი წელიწადი დაჰყო, 1873 წლის ზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე. ილიამ აქ იპოვა თავისუფალი დრო შექსპირზე სამუშაოდ. ილია პეტერბურგში გაეცნო ახალგაზრდა სტუდენტს ივანე მაჩაბელს, რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და ინგლისური ბრწყინვალედ იცოდა. ილია შეუდგა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნას.

<sup>1</sup> იხ. ცნობა ამის შესახებ ბარბარე თუმანიშვილის წერილში 1873 წლის 16 თებერვლის თარიღით (გამოქვეყნებულია ი. ვრიშაშვილის მიერ), ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულა, 1939 წ. გვ. 82.

ივანე მაჩაბლის დახმარებითა და თანამშრომლობით. ილია ამავე დღეს შესდგომია ინგლისური ეხის შესწავლას შექსპირის დედანში გასაცნობად, ილია სწერს თავის მეუღლეს ოლგას პეტერბურგიდან 1873 წელს 21 დეკემბრის თარიღით:

„... ჩემო კარგო!.. აქაური ამბავი რა მოგწერო: მე ინგლისური ენის სწავლას შევეუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ინგლისური მეცოდინება იმდენად, რომ სუბექტის თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა...“

„ლირის“ თარგმანი 1873 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში უკვე ძირითადად დამთავრებული ყოფილა. ილია კმაყოფილი იყო ჩატარებული მუშაობით. წერილში 1873 წლის 19 დეკემბრის თარიღით ილია შემდეგსა სწერს თავის მეუღლე ოლგას:

„ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას. ვედივარ დიდიან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასერიწოდ. იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თითონ მოვიდა და მთხოვა, — შექსპირის ტრაგედია, კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურად ვადავთარგმნეთ, წაგვიკითხო. წავედი წასაკითხავად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს... ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად ვადმოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება... შენ ხომ იცი, ჩემი ნაჯღაბის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოლდა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მავ თარგმნისათვის ვაგვიტყუებოდა და აღტაცებაში მოსული“.

ილია, რომელიც საერთოდ დიდად თავდაპყრილი იყო თავისი ლიტერატურული საქმიანობის შეფასებაში, ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს ლირის თარგმანზე, ლაპარაკობს ისე, როგორც მას არასოდეს არ ულაპარაკებია არც ერთი თავისი ნაწარმოების შესახებ. აქედან ჩანს, თუ როგორის განსაკუთრებულის ვატყუებთ უმუშავნია ილიას შექსპირის თარგმანზე. ილიას ამისათვის გაუმეტნია თავისი დიდი ტალანტის ძალა.

„მეფე ლირის“ თარგმანი ილიას და ივანე მაჩაბელს დაუმთავრებია 1874 წლის 1 იანვარს. წერილში თავის მეუღლე ოლგასადმი ილია სწერს:

„აქამდინ ჩვენს თარგმნის ლირს (პირველ ნაწილს) წაკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალი წლის პირველ დღეს სრულად ვაეთავეთ თარგმანი“.

ასეთია ისტორია „მეფე ლირის“ თარგმანისა, რომლითაც ილიამ, ივანე მაჩაბელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ვადმოქართულებას, და რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განაგრძო ივანე მაჩაბელმა.

მას შემდეგ, რაც ილია არჩეული იქმნა ქართული ბანკის თავმჯდომარედ 1875 წელს, ილიამ მთელი 1875 წელი და 1876 წლის პირველი ნახევარი. ბანკის — ამ ახალი საქმის — ორგანიზებას მოანდომა.

მხოლოდ 1876 წლის ნახევრიდან ილიამ შესძლო მოეცალა იმისათვის, რომ შესდგომოდა მთავარი საქმის — თავისი ძველი განზრახვის განხორციელებას, — პერიოდული ორგანოს გამოცემას.

1876 წლის ივნისში ილიამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მიეღო ნებართვა ყოველკვირეული გაზეთის გამოცემისა ფართო პროგრამით.

1876 წლის სექტემბერში ილიამ მიიღო ნებართვა, გამოეშვა 1877 წლიდან თბილისში პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“.

(დასასრული იქნება)

## სოფრომ მგალობლიშვილი

დაბადებულია 100 წლისთავის გამო



სოფრომ ზაქარიას-ძე მგალობლი-  
შვილი\* ცნობილია როგორც ხალხოს-  
ნური ლიტერატურის ყველაზე პოპუ-  
ლარული წარმომადგენელე საქართვე-  
ლოში. მან რეალისტურად დაგვიხატა  
რევოლუციამდელი ქართველი გლეხო-  
ბის შრომისა და ბრძოლის სურათები.  
მართალია, მწერალი ყოველთვის ღრმად  
ვერ სწვდებოდა გლეხთა მოძრაობის  
არსს, მაგრამ მათი ყოფა-ცხოვრება, გან-  
ცდები და მისწრაფებანი მას გადმოცე-  
მული აქვს დიდი ცოდნითა და სიმართ-  
ლით.

### 1.

სოფრომ მგალობლიშვილმა საშწერ-  
ლო მოღვაწეობა დაიწყო გასული საუ-  
კუნის 70-იანი წლების დამდეგს. ეს  
იყო ნაციონალურ-გამანათლებლურ-  
ლი მოძრაობის მერე, „რაზნოჩინური“  
პერიოდი, როდესაც ბატონყმობის გა-  
უქმების შედეგად უმიწოდ დატოვებულ  
გლეხობას „თავისუფლება მიეცა, რომ  
შიშშილით მომკვდარიყო“ (ილია ჭავ-  
ჭავაძე). მემამულეთაგან მიწის გამო-  
სასყიდი ფასები, იჯარა, ღალა, კულუ-

ხი და სახელმწიფო გადასახადები ბევ-  
რად აღემატებოდნენ გლეხთა შეურნეო-  
ბის შემოსავლიანობას. ამავე დროს,  
პოლიტიკურ და იურიდიულ უფლებებს  
მოკლებული შრომელი გლეხობა გა-  
ნიცდიდა მეფის მთავრობის მკაცრი კო-  
ლონიური პოლიტიკის სიმძიმეს. იზრ-  
დებოდა გლეხთა მოძრაობა, ხშირდებო-  
და მათი გამოსვლები მემამულეთა  
და მეფის ხელისუფალთა წინააღმდეგ.  
მაგრამ ამ მოძრაობას აკლდა ორგანიზე-  
ბულობა და მთლიანობა. ჩვენში ჯერ  
კიდევ არ იყო აღმოცენებული მუშათა  
კლასი. ამიტომ გლეხობა მოკლებული  
იყო მისი მოძრაობის სწორი გზით წარ-  
მმართველ ძალას, მოკლებული იყო  
სწორ ხელმძღვანელობას. გლეხობას  
აკლდა თავისი მდგომარეობის ნათელი  
შეგნება და პერსპექტივის სიცხადე.

საქართველოს სოფლის შრომელთა  
გაღატაკების პროცესმა 70-იანი წლების  
დასაწყისში წარმოშვა ჩვენში ხალხოს-  
ნური მოძრაობა, როგორც პროტესტი  
ბატონყმობის ნაშთებისა და გლეხობის  
პაუპერიზაციის წინააღმდეგ. ცნობილია,  
რომ ხალხოსნობა წარმოადგენდა

\* დაიბადა 1851 წლის 20 ივლისს ზემოქართლის სოფ. დირში. წერა-კითხვა ასწავლა მამამ.  
ამავე სოფლის მღვდელმა ზაქარიამ. დაწყებითი განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავ-  
ლებელში, საშუალო განათლება — თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1873 წელს, სემინარიის  
კურსის დასრულებისთანავე, შეუდგა მასწავლებლობას ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში.  
ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს. ამავე წელს წაება ხალხოსნურ მოძრაობაში, რომლის  
ცენტრიც ქ. გორი იყო. რევოლუციური მუშაობისათვის ორჯერ დაპატიმრეს. 1893 წელს მოკ-  
ლე დროით გადავიდა სამუშაოდ ქ. ფოთში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამმართველოს მდივ-  
ნად. 1897 წ. გადმოვიდა თბილისში სინოდალური კანტორის მდივანად. ამ თანამდებობაზეც მუ-  
შაობდა 1910 წლამდე. თანამშრომლობდა მრავალ პერიოდულ ორგანოში. მხატვრულ ნაწერებთან  
ერთად სოფრომს ვეუთენის მეტად მნიშვნელოვანი მემარტული ხასიათის ნარკვევები. გარდაიც-  
ვალა 1925 წლის 30 ნოემბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

წერილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მართულებას. ხალხოსნებს სწამდათ, რომ გლეხობას შეეძლია შევიდეს სოციალიზმში კაპიტალისტური ეტაპის გაუვლელად და პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე. ხალხოსნურ მიმართულებას ხელმძღვანელობდა მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალისტური წყობილების მოწინააღმდეგე, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია. ეს ინტელიგენცია ფიქრობდა გლეხობაში განათლების შეტანის გზით დაეხმებებინა გლეხობისათვის მისი მძიმე ეკონომიური და ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობა, აეშვიდრებინა იგი მემამულის, ბურჟუაზიისა და მეფის წინააღმდეგ.

სოფრომ მგალობლიშვილი ამ ხალხოსნური ინტელიგენციის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია. ის, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში. მწერლის შემოქმედების იდეურ-მხატვრული განვითარება ხდებოდა ამ მოძრაობის განვითარების შესაბამისად.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „გამანათვისებელმა მოძრაობამ რუსეთში განვლო სამი მთავარი ეტაპი, რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასის შესაბამისად, რამაც თავისი დაღი დაასვა მოძრაობას: 1) თავადაზნაურული, დაახლოებით 1825 წლიდან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული, 1895 წლიდან...“<sup>1</sup>

სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედება ვითარდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი უკანასკნელი პერიოდის მანძილზე და ასახავდა გლეხთა მოძრაობის ორ პერიოდს: მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან 1905 წლის რევოლუციამდე და მის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამდე. ამისდა მზიხედვით განვითარდა მისი შემოქმედებითი მეთოდიც: პირველი პერიოდის გულუბრყვილო რეალიზმიდან მეორე პერიოდში იგი გადავიდა კრიტიკულ რეალიზმზე.

საქართველოს ხალხოსანი მწერლები, მათ შორის სოფრომ მგალობლიშვილიც, თავიდანვე გატაცებული იყვნენ ილია ჭავჭავაძის ლოზუნგით: „ჩვენ უნდა

მივსციტ მომავალი ხალხს“. ჯერ კიდევ მოუფიქრობის დროს სოფრომ მგალობლიშვილი ამბობდა: „ჩვენ სწავლავს გლეხობისათვის გამოვიყენოთ... ჩვენ უნდა ვისწავლოთ და ხალხს გამოვადგეთ. თავი დაედოთ მისთვის“ („წარსულიდან“). ასეთი იდეალებით შთაგონებული გამოეთხოვა ის საშუალო სკოლას.

მწერლის ღრმა რწმენით მხოლოდ განათლების საშუალებით შეიძლება „გაჭირვებულ ხალხს... გავაგებინოთ თავისი ვინაობა, გავაცნოთ თავისი ცხოვრება, შევახედოთ ამ ცხოვრებაზე ნათელი თვალით, რომ აღამაინს და ემსგავსოს“ („წარსულიდან“).

თავისი შემოქმედების პირველი პერიოდის ნაწერებში („დედა მაია“, „ღამის მეხრე (ვიცო“, „ვირევაზე“, „წარსულიდან“ და სხვ.) სოფ. მგალობლიშვილმა უმთავრესად გვიჩვენა გლეხეცობის უპირობო ყოფა, მისი ულამაზო ექსპლოატაცია მემამულეთა და ჩარჩ-ვაჭართა მხრივ, მისი სიბნელე და უწიგნურობა. ამ პერიოდში მწერალს ყელაზე მეტად იზიდავდა სოფლის მინდორ-ველი „რომელიც ხაყუ-იყო მომკლებით, გუთნის მესრეებით, მწყემსებით“. და მართლაც, მის მოთხრობებში ნათლად მოჩანს გუთნის კვლი და ნამგლის პრიალი, ისმის ღრმული და მწყემსის სალაშური. მწერალმა გვიჩვენა „მდაბიო ხალხის“ მიძმე ხვედრი და მისი მოუშხადებლობა ამ ხვედრისაგან თავის დასაღწევად.

მართალია, სოფრომ მგალობლიშვილი იმ თავითვე ხედავს სოფლის სოციალური იდეერეციაციის ფაქტებს, ხედავს კლასობრივ ბრძოლას, გლეხობის გულშეშხარავ სილატაკესა და მის უწყალო ყველიფას თავადისა, კულაკისა, ვაჭრისა, გზირისა და სამოვდელოების მხრივ, მაგრამ მწერალს ვერ მიუგნია ამ უსამართლობის ნამდვილი მიზეზისათვის და ვერც უჩივრებს გლეხობას ხსნის გზას.

ვინ დააწესა ბეგარა, ღალა, კულუხი, შესაწირაი? „რათ მიაქვთ, რათ მართმევენ? — კითხულობს სოფრომის გლეხი, „ეგრე გამიგია რათ არის როზოც დღუს და გადმორდის, და როცა კი შიმშილით კუჭი უხმება?“ (ღამის მეხრე (ვიცო“), მას უყვირს, რატომ სჯიან უდანაშაულო კაცს. სოფრომ მგალობლიშვილი, ისე როგორც მეორე ხალხოს-

<sup>1</sup> Ленин, XVII გვ. 341 (მესამე გამოცემა).



სანი მწერალი ნიკო ლომოთური, გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ გლეხის უბედურების მიზეზი მხოლოდ უსწავლელობა და ცრუმორწმუნეობაა. მკითხავი, შელოცვები, სალოცავები, ხატზე გადაცემა, ხატის განარისებვა, შესაწირავი, ჭოტის ძაბილი — აი ბოროტებანი, რაც ხალხს არბევს, აუძლეურებს და ელეტს. სანამ ცრუმორწმუნეობა არ მოგვისპია, ხალხს სიკეთე არ ელირსებაო — არწმუნებს თავის მკითხველს სოფრომ მგალობლიშვილი. ამასთან ის ხელდას, რომ ახალგაზრდა გლეხებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც უკვე დაქვემდებარებულნი ზოგიერთი ძველი რწმუნის ძალაში, მაგრამ არა აქვთ ეს გააზრებული. „ერთს სწამდა, რომ ჭოტის ძაბილი კაცს მოჰკლავს, მეორეს არა სჯეროდა, არა სწამდა, რადა სწამდა ერთს და რად არა სწამდა მეორეს — ეს არც ერთმა არ იცოდა და არც შედოილენენ იმის გამოძიებაში“ (ღამის მეხრე ექვთა).

ცრუმორწმუნეობის ტყვეობიდან გლეხობის დახსნა მწერალს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ სწავლა-განათლების გზით.

ხალხს უკვე ჰქონდა მისწრაფება განათლებისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იყენებდა მას პრაქტიკულად. „მე თუ წიგნი ვიცი ძლიერ ბევრს კი მადგება“ — აცხადებს სოფრომ მგალობლიშვილის ერთ-ერთი პერსონაჟი — ელენაბედი ხარებაშვილი („ცვრევაზე“). ავტორის სურს წიგნიერება აქციოს მოქმედ ძალად და ამით უფრო გააძლიეროს მისი შეძენის წყურველი მშრომელთა შორის.

სწავლა-განათლება სოფრომ მგალობლიშვილს მიაჩნდა არა მარტო ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში ის ფიქრობდა, რომ სწავლა-განათლება არის აგრეთვე გლეხობის შინაგან მტერთან ბრძოლის ერთადერთი იარაღი. მისი აზრით, წინათ „ხალხს მხოლოდ ვარეშე მტერი აწუხებდა, ეხლა კი შინაური მტრები ჰყავს ზედ მოსეული, რომელთანაც ბრძოლა სწავლის იარაღით უნდა და არა ხმლით“ („წარსულიდან“). ამ მკვლარ გზას ადგა სოფრომ მგალობლიშვილი. როგორც ხალხოსანი მწერალი, იგი გლეხობას მოუწოდებდა კლასობრივ მტერთან ებრძოლა არა მარტო, არამედ მორალუ-

რი ზეგავლენით. კარგი მაგალითი, დარწმუნებით.

აი, გლეხი მგელ-ბაბია „მგელ-ბაბია მთავარი გმირი მოთხრობისა „წარსულიდან“. მას უნდა შური იძიოს, სამაგიერო უზლოს თავის ერთადერთი ქალიშვილის შეურაცხყოფელსა და მისი სიკვდილის მიზეზს — თავად რევაზ მორთულაძეს. მგელ-ბაბია ცამდის მართალი კაცია, სწორია მისი გადაწყვეტილება: მოკლას ხალხის საზიზღარი მტერი, პირუტყვი თავადი, და სოფელს მოაცილოს ერთი ხორცმკები. მაგრამ მგელ-ბაბია ეერ ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას. საქმარისი გახდა სხვების რჩევა, რევაზის მიერ დანაშაულის აღიარება და მისი დიდის შევედრება იმისათვის, რომ მგელ-ბაბიას ხელი აეღოს თავის განზრახვაზე, ეპატიებინა დანაშაული ხალხისა და პირადი მტრისათვის.

მგელ-ბაბია მტრის გასანადგურებლად ამოწვილ ფიზიკურ იარაღს მორალური იარაღით ცვლის, გონიერი და სოციალური მიზანშეწონილი მოქმედების მაგიერად წერილობრივად უსანქცემენტალურ მოქმედებას ირჩევს.

სოფრომ მგალობლიშვილი ფიქრობდა, რომ ხალხის საკეთილდღეო ბრძოლა უნდა ყოფილიყო „ბრძოლა პატარსწორი“, რომელიც გამოირიყვანდა სისხლსა და სასჯელს. „როცა ეცმსახურებით ხალხსა და წმინდა აზრებს, მაშინ სასტიკ სასჯელზე აღარ ვფიქრობთ“ — წერდა იგი.

ს. მგალობლიშვილის პირველი პერიოდის შემოქმედებაში გლეხი პასიური, უპერსპექტივო და უინიციატივოა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ პერიოდში გლეხობის კლასობრივი თვითშეგნებისათვის გააკეთა მწერლის მხატვრულმა სიტყვამ, ეს იყო მოწოდება იმისაკენ, რომ გლეხს დაენახა თავისი თავი და გამოეკეცულიყო. შემდეგ მისი გლეხები მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ ყველაფერი მათი უხეირობის ბრალია; „ჩვენ თვითონ ვართ უთაურები და უხერხულნი“ — აცხადებს ისინი. მათ უკვე საჭიროდ მიაჩნიათ ერთობა, ერთიანი პირი, შეთანხმებული მოქმედება. ისინი უკვე კვლავ ითმენენ თავიანთ ადამიანურ ღირსებათა შელახვას და უსწორდებიან თავის შეურაცხყოფელს („დემეტრეს სახლობა“). მართალია, დამცირებისადმი შეურაცხებლობის ეს გრძობა ეერ გასცილ-

ბია პირადის ფარგლებს, ვერ ასულა კლასობრივი შურისძიების გრძობამდე, მაგრამ მტრის გამოცნობისათვის ამა-საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გაეიხსენოთ სოსე კაიშური. „მარ-თალი კაცია რად უნდა იტანჯებოდეს“ — ამბობს იგი, როდესაც შვილივით გაზრდილ მარჩენალ კამეჩს ართმევს მას ქიტესა მოურავი, როცა თხოვნითა და ვედრებით ვერას აწყობს, გაბოროტებული სოსე შურს იძიებს მოურავზე იმით, რომ ჰკლავს მის პატარა უღანაშაულო შვილს („მთიული სოსე“). სოსე კაიშურის შურისძიება პირადულია, მოურავში ის ხედავს პირადსა და არა კლასობრივ მტერს. ამიტომაც ის განმარტობული მებრძოლი „შავი ბედისა“. გაბრიელ ხარებაშვილი ამბობს: „შავათ (თავადაზნაურობის, გ. თ.) ხელშია სიმართლეცა და კანონიცა“, მაგრამ ამავე დროს კარგად ესმის, რომ გლეხობა თავისი ადამიანური ღირსებით არ ჩამოუყარდება თავადაზნაურობას. მას შესაძლებლად მიაჩნია თავისი ქალიშვილი მიათხოვოს აზნაურ გველესიანს, რადგან „ისიც კაცია და მცეცა“ („ეცრევაზე“). გაბრიელ ხარებაშვილის ასეთი განცხადება ვერ არის გაბედული, იგი ბოლოსდაბოლოს მინც ეთანხმება თავის მეუღლეს, რომ გლეხის ქალი დაიზავრება აზნაურის ოჯახში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მის შეხედულებაში ფესვს იღვამს სოციალური თანასწორობის იდეა.

სოფრომ მგალობლიშვილის გლეხები ერკვევიან აგრეთვე თავის „შინაურებშიც“. ისინი რწმუნდებიან, რომ არა მარტო თავად-აზნაურობის წოდებიდან გამოდიან მათი მტრები და ორგულები. ასეთები თვით გლეხობაშიც მოიპოვებიან. ესენი არიან ბოხოლა გლეხები. მეველე გლეხი ტარე კახნიაშვილი კარგად ხედავს, რომ ფილუა ეშმაკურაშვილი და მისთანა „ავი კაცები“, „ქვეყნის ამომგდენები და ამტუტებელი“ წარმოშობით გლეხები არიან. ფილუა ყველა პატიოსან მშრომელს სძულს სიცოცხლეში, არ ებრალებათ იგი არც მკვლარი და მხოლოდ ერთი მუჟა თავად-აზნაურობა და სამღვდელეობა აცილებს მას სამარისაკენ („მეველე“). ასევეა სოსიკა პურიჭამიაშვილი, სოფლის მჭამელი, „იუდას კერძი“ და ისაკა ბლუნძელაშვილი, მიღუქნე-ვაჭარი, რომელიც წოდებით გლეხია, მაგრამ ისეთივე მკვლაველი და ამწიოკებელია

მშრომელებისა, როგორც შემამულე, მღვდელი და კულაკი. *მეველე*

სოფელს უნდა თვითვე გაეფხოს თავისი სამეურნეო საქმე, უნდა ჩამოიშოროს კულაკები, ვაჭრები, მოიჯარადრენი, მოურავები და სხვა მხაგვრელები. გლეხობის მოკლე ყმაწვილკაცები ფიქრობენ თვით გაუსწორდენ ამ მხაგვრელებს. მაგრამ ისინი მხოლოდ იმას ახერხებენ, რომ ჩასაფრებულნი წავსიონ მათ და სცემონ კეტებით („ლამის მეტრე (კეკო“)“. ამაზე შორს ვერ მიდიან უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხები.

ს. მგალობლიშვილის გლეხები ილაშქრებენ აგრეთვე ძველი ოჯახური ურთიერთობისა და ყოფა-ცხოვრების უკუღმართი წესების წინააღმდეგ. ისინი ხმას იმაღლებენ პიროვნების დამამცირებელ ძველ ტრადიციულ-ჩვეულებათა წინააღმდეგ, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფრომ მგალობლიშვილის მოთხოვნების ქაღალა ტიპები.

ახლაზრდა ნინო ხარებაშვილს უკვე ვეღარ აშინებს ძველი ადათები. ეს გონა წინააღმდეგობას უწევს გათხოვების ძველ წესს, თვითონ ირჩევს საქმროს მშობელთა დაუკითხავად. მართალია, ნინოს დედამამა „ეშმაკულის მოვლინებად“ აცხადებს მის საქციელს. მაგრამ იმდენად მტკიცეა ქალიშვილის გადაწყვეტილება — ბოლომდე დაიცვას პიროვნული თავისუფლება, — რომ მშობლები იძულებული ხდებიან თანხმობა მისცენ („ეცრევაზე“).

ქალის გამოფხიზლების სურათი დახატა მწერალმა აგრეთვე მოთხრობაში — „გმირისეული ქალი“. ამ მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი სალომე მტკიცე რწმენითა და ნებისყოფის ქალია. დედის სურვილს — მითხოვდეს მემამულის მოურავს, გაზრწნილ და გადაგვარებულ, მაგრამ მდიდარ კაცს — ის სასტიკად აღუდგება წინ და ინტიმურად მიენდობა თავის მომავალ საქმროს, საყვარელ დათვიანს. მაგრამ ამ უკანასკნელის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, სალომე გაბედულად და საქვეყნოდ ზრდის ქორწინების გარეშე შობილ შვილს, უმწიკვლოდ ინახავს დღეუპული საქმროს სიყვარულსა და პატივისცემას.

სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედების მეორე პერიოდი სრულებით ახა-

ლია როგორც იდეურ, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ჩვენში პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე განმოდის მუშათა კლასი. 1895 წლიდან განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული პერიოდის დაწყებასთან ერთად დაიწყო ნიადაგის მზადება პირველი რევოლუციისათვის. მუშათა კლასის ბრძოლის მიზნებისა და საშუალებების გაქრობამ სოფრომ მგალობლიშვილს გარკვევით დაანახვა, რომ გლეხობას აღარ შეეძლო ძველი გზით მოქმედება, რომ ხალხოსნური მოძრაობა და იდეები დამარცხებულია, 1905 წლის რევოლუციამ კი მწერალი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ხალხოსნური მოძრაობა უტოპიური გამოდგა, „მშვიდობიანი გზით რევოლუცია ვის გაუგონია“. ცხოვრების მჭკრეტელობით აღქმის პრინციპიდან მწერალი გადადის ცხოვრების აქტიური გარდაქმნის პრინციპზე. გულუბრყვილო რეალიზმის მეთოდთან — კრიტიკული რეალიზმის მეთოდზე.

1905 წლის რევოლუციის დროს და მის შემდეგ დაწერილ მოთხრობებში („ჯორ-ზაქარა“, „და შეჭვიცეს“, „პირველი სისხლი“, „საფლავში ჩამომძახე“, „წითელი სარჩული“ და სხვ.) სოფრომ მგალობლიშვილმა უკვე გარკვეულად გამოიჩინა გლეხობის საარსებო ინტერესების სწორი გაგება. მისთვის ნათელი გახდა ბრძოლის ახალი, რევოლუციური მეთოდის პროპაგანდის საქირიება. ახლა სოფრომ მგალობლიშვილი არწმუნებს მკითხველს, რომ გლეხკაცობის ბრძოლის რევოლუციური მეთოდი არის ერთადერთი საშუალება „შინაგან მტარებთან“ ანგარიშის გასასწორებლად და ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად. გამოჩნდნენ ბრძოლის მეთაურებიც, სოფრომის გლეხობა ახლა იბრძვის იმისათვის, რომ დაიბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის, რაც მას შეუქმნია თავისი შრომითა და ოფლით: „აბა, მიიხედ-მოიხედო, ყველაფერი ჩვენივე არის გამზადებული, სხვა კი ძღება, სუქდება; მადლობისა და შეწყალების მაგივრად გვიანძღავენ. გვაგინებენ, ცხვარში ძმარს გვადენენ და ყოველივე ეს ჩვენი ქალაჩუნობის ბრალია“ („და შეჭვიცეს“).

თავის ყველაზე უფრო პოპულარულ მოთხრობაში — „ჯორ-ზაქარა“ სოფრომ მგალობლიშვილმა თვალწინ გადა-

ვიშალა გლეხთა მოძრაობის სურათები რევოლუციის დამარცხებამდე. ეს მოთხრობა დაწერილია 1907 წელს. იგი ამჟღავნებს ავტორის რევოლუციურ განწყობილებას, მის ახალ თვალსაზრისს და შემოქმედების ახალ მეთოდს.

ავტორი პირველ ყოვლისა გვაცნობს ქართლის ყმა-გლეხების სულიერ ვითარებას ბატონყმობის გადავარდნის წინ. თავისი დუხჭირი ცხოვრების გამო ისინი ცხოვრების ბელსაც კი შენატრიან. ეკონომიურ ჩაგვრასთან ერთად გლეხები განიცდიან უფლებრივ მონობასაც. მწერალი მწვავედ ამხილებს იმ ველურ და ადამიანის ღირსების ყველაზე უფრო დამამცირებელ მოვლენას, როგორც იყო ე. წ. პირველი დამის უფლება: „გაიხედე რამდენი ახალგაზრდაა ამ ჩვენ სოფელში უცოლოდ დარჩენილი, რამდენი ქალია გაუთხოვარი... აკაც ქალი ვერ უთხოვია ბატონის შიშითა... პირველი დამე კანონით ჩემია... წადი და შენ სამართალი და კანონი სთხოვე“.

ასეთ მდგომარეობაში ხედება ქართლის გლეხობა ბატონყმობის გადავარდნას. რევოლუციამ გლეხობას იმედოვანი გაუცრუა. მანიფესტის გამოცხადების შედეგ ყველა დარწმუნდა, რომ უმიწოდ დარჩენილი გლეხი არ შეიძლება თავისუფალი იყოს, რომ ის ცვლავ მემამულის ყმად რჩება, რინიდან გლეხის საარსებო წყარო — ადგილ-მამული ისევ მემამულეს დაუტოვა მეფის ხელისუფლებამ. იბრძება გლეხთა უწყალოფილება, გლეხობის ბრძოლას მემამულეთა და მათი მოურაგების, კულაკებისა და პოლიციელთა წინააღმდეგ მეთაურობს გლეხი ზაქარა ჯილაური, ჯორ-ზაქარად წოდებული.

ზაქარა ჯილაური შეძლებული ოჯახიდანაა. მაგრამ ჯილაურები არ სარგებლობენ დაქირავებული შრომითა და, მამსადადამე, მათი შეძლებული ცხოვრება საკუთარი ოფლითა და ჯანით არის მონაგარი. ზაქარა ჯილაური თავის სოფლის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას მეთაურობს უანგაროდ. ის მალე გადატაცდა: ყოფილმა ბატონმა, მემამულე ესტატე მარუშიძემ უჯანონოდ წაართვა მას მიწა, გაუღობა კარმიდამო, მაგრამ ამან ვერ გატეხა ზაქარა, ვერ მოდრიკა იგი; პირიქით, ამით უფრო გასაყლდევია ზაქარა ჯილაურ-

რი, უფრო მტკიცედ და წინდახედულად აღვივებს გლეხობაში რევოლუციურ განწყობილებას.

ზაქარა ჯილაურმა თავიდანვე იცოდა, რომ გლეხი მხოლოდ იარაღით შეძლებდა თავისუფლების მოპოვებას და მას თავიდანვე ჰქონდა „გადაწყვეტილი ნადირის მაგივრად ბატონებზე ენადირა“. ზაქარა ჯილაური ერთობის მქადაგებელია, მოითხოვს მიწას, თავისუფლებას, თვითმართელობას. მიზნის განსახორციელებლად მას საჭიროდ მიანინია გლეხობის დარაზმვა, კოლექტიური ბრძოლა. იგი ამრავლებს თავის თანამოაზრეებს, აღგენს ცხრა კაცისაგან შემდგარ მებრძოლ რაზმს. პირველი იერიში ამ რაზმმა მიიტანა მემამულის დამცველ პოლიციელებზე. ზაქარა ჯილაურის მუშაობის შედეგად სოფელმა პირი პირს მისცა, გაერთიანდა: „ძალა ერთობაშია. თუ ერთად ვიქნებით, ერთ პირზე ვიდრებით, ისე დაიმსჯერება ძალა მთავრობისა, როგორც კიდევ მიხეთქებული გემი“. ის მოითხოვს „ძალას ძალა ვუფაროთ... შეგვაწუხებენ, შევაწუხოთ, დაგვეკრენ, დავკრათ, მოგვეკრენ, მოვკლათ“.

1905 წლის რევოლუციამ, „ახალმა სიომ... ერთობის ხმამ, თავისუფლების დროშის ფრიალმა“ დიდი აღტაცება გამოიწვია ზაქარა ჯილაურის სოფელ ტორტლაში: „აღარ იყო სოფლად ქურდობა, ავაზაკობა, ცილისწამება, მრუშობა, ერთმანეთზე სასიძვარი, კიცხვა-დაცინვა, განუკითხაობა ურთიერთისა; აღარ აწუხებდა ამ სოფლებს მამასახლისი და გზირი, მღვდელი და ბერი, მთავარი და მედავითნე, იასაული და ყახანი, ბატონი და მისი მოურავი“. სოფელს განაგებდნენ ხალხის რჩეულები — ზაქარა ჯილაური და მისი თანამოაზრენი. მათ შეგნებული აქვთ, რომ „ხალხმა თვითონ უნდა უპატრონოს თავის თავსა“. ხანში შესული ზაქარა ვაყმაწვილა რევოლუციამ, „ახალი ძალა შეემატა მის სულსა და იგი აღფრთოვანებდა“.

მაგრამ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. სოფლის მმართველებმა კვლავ დაიწყეს გლეხობის რბევა-დაწოკება. ჩააყენეს ეგზეკუციები. ატუსაღებენ რევოლუციონერებს. ხალხს კი არა სურს დაუბრუნდეს მონობას, ის იარაღს მიმართავს. „გებრძოლოთ უსამართლობას, სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს, სისხლს სისხლი მოსდევს,

მსხვერპლს მსხვერპლი“ — აცხადებენ სოფრობის მეორე პერიოდის მოთხოვნათა გმირები. მას ახლა უკვე ირვად აქვს შეგნებული, რომ რევოლუციური ბრძოლა ბევრს შეიწირავს, „ბევრი უმანკო სისხლი დაიღვრება, მაგრამ გამარჯვება ჩვენია“!

სისხლი დაიღვარა. ზაქარა ჯილაურის ოჯახშიც. უთანასწორო ბრძოლაში მემამულის მცველ ჩაფართო ტყვეთ დევნა ზაქარას მიუღწევ — მარინე, დაცვა მისი უფროსი ვაჟიც. კვლავა ზაქარა არ შემდრკალა. მან გადაწყვიტა სისხლი აეღო, გადაწყვიტა მოეკლა მტარვალი, სოფლის მტანჯველი მემამულე მარუშშიძე და მისი ბოროტი შვილი არჩილი. ზაქარა ერთხელაც არ დაეშვებულა თავისი განზრახვის შესრულებაში, რადგან, როგორც თვით ამბობს, მის მხარეზე იყო სიმართლე და ხალხის თანაგრძნობა. ყველაზე შესაფერ დროდ მან არჩია აღდგომის დამე; როცა თავადი მარუშშიძე და მისი შვილი არჩილი მღვდელს მიყვებოდნენ ეკლესიის შემოსავლელად, ზაქარა ჯილაურისა და მისი უმცროსი შვილის მიერ გასროლილმა ორმა ტყვიამ გული გაუღმირა თავადსა და მის შვილს; „დაიქცა აღისფერი სისხლი თავადებისა“, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ზაქარა ჯილაურისათვის. ის მიუბრუნდა იქვე მდგარ მღვდელს, რომელსაც პირზე შერჩა მისალმოცი სიტყვები: „ქრისტე აღსდგა“, და მრისხანედ მიახალა: „სტყუი, მამაო, ჯერ ხალხისათვის ქრისტე არ აღმდგარა, მაგრამ მწამს, იგი ოდესმე აღსდგება და მოგვანიჭებს ჩვენ სასუფეველსა“. გლეხი-რევოლუციონერი თავის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ეკლესია და ეკლესიის მსახურნი სტყუიან, რომ ისინი მემამულეთა და მეფის მოკავშირენი არიან.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას უქმად არ გაუვლია. სოფრომ მაგალობლიშვილს, მისი მეორე პერიოდის მოთხოვნათა გმირებს შერჩათ მტკიცე რწმენა, რომ რევოლუციის იდეები უამველად გაიმარჯვებენ. ავტორის საყვარელი გმირი ჯორჯ-ზაქარა თავისი ერთგული სიათით დარჩა ხალხთან და გამარჯვების ღრმა რწმენით გახედა მის მომავალს.

პირველი რევოლუციის შემდეგ სოფრომ მაგალობლიშვილის მოთხოვნებს წითელ ხანად გასდევს ხალხის განთავისუფლებისათვის რევოლუციური

ბრძოლის აუცილებლობის იდეა, „მოა და ბარი თუმცა ჯერ მთლიანად არ გასწორებულა, მაგრამ დიდი ხანი აღარ გაივლის, გასწორდება“ („წითელი სარჩული“). ახლა მოხუცებიც კი სინანულით იგონებენ იმ დროს, როცა ისინი ერთობის ხალხს არ მიჰყვებოდნენ, მხარს არ უჭერდნენ: „განა უწინ კი არ იყვნენ „ერთობის“ კაცები თუ... იყვნენ, იყვნენ. მაგრამ სად იყო ჰეჟა, რომ არას ვუგონებდით“ (იქვე).

მოთხრობა „პირველი სისხლი“, შეიძლება ითქვას, ჰიშნია თავისუფლებისა. აქ ხარობს ბუნება, ყუავილეები, ჩიტები, ცხოველები, ხარობს დაბეჩავებული იდამიანი იმის გამო, რომ მოჰკლეს გოლიათი, რომელსაც თავისუფლება წაგლიჯა ხალხმა. მაგრამ სტირის ვარდი, სტირის ბუღბუღი იმის გამო, რომ დაიღვარა პირველი სისხლი ხალხის საყვარელი ჰაბუკისა, ვინც თავისუფლება მოსტაცა გოლიათს. მას ხელთ ეპყრა დროშა წარწერით: „ბრძოლა თავისუფლებისათვის“, მწერალიც დარწმუნებულია, რომ „იმ დალოცვილის თავისუფლების მოპოება მარტო სისხლით შეიძლებოდა“.

სოფრომ მალობლიშვილი მიხვდა, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის სუსტი კავშირი. ზაქარა ჯილაური მან ისე დააბერა მემკვიდრეთან ბრძოლაში, რომ ქალაქისა და მუშის დახმარების აუცილებლობა ერთხელაც არ აგარმნობინა. მაგრამ ნაკლი თავისი შემოქმედებისა ახლა მწერალმა ნათლად შეიგნო და მოთხრობაში „და შეჰვიცეს“ მას გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მოთავედ და პროპაგანდისტად გამოჰყავს მუშა ილიკო მშველიძე, ყოფილი გლეხი სოფელ ნაკელარადან. ზაქარა ჯილაურის ადგილი ილიკო მშველიძეს დაუთმო, მას ახალი დროშა გადასცა სოფრომ მალობლიშვილმა. მარტო ილიკო მშველიძე ზოგჯერ იესო ქრისტეს სიტყვებით მიმართავს გლეხებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმია. არსებითად კი, მას კარგად ესმის და სხვებსაც არწმუნებს. რომ „ღმერთს არ გაუჩენია არც ბატონი, არც ყმა, არც მდიდარი და არც ღარიბი. ყველა ეს ჩვენი გაჩენილია, ყველა ეს ჩვენი უგუნურობის ნაშობია. მიწა, აი ეს დედამიწა, ჩვენი სისხლითა და ოფლით მორწყული, არავის საკუთრებად არ გაჩენილა... მიწა

იმისია, ვინც იმას ამუშავებს, ვისაც იმასი ოფლი და სისხლი უწვივება და ასე უნაყოფიერებია იგი, მამ მიწა ხალხისა, საერთოა“. ილიკო მარტო ერთი სოფლით არ იფარგლება. ამ მხრივაც ვაუსწრო მან წინ ზაქარა ჯილაურს, რომელიც თავის სოფელს არ გასცილებია. ილიკო შოთხოვს „ყველა სოფლები გადავებათ ერთობის ჯაჭვითა, მაშინ ვერაფერი ვერ გადავიძლებს“. ილიკოს მგზნებარე სიტყვები ღრმად სწვდება ხალხის გულს. როცა ერთ-ერთი რევოლუციური სიტყვის წარმოთქმის დროს იგი პოლიციელთა ტყვიით განგმირული იქცემა, ხალხი შეფიცავს, რომ განაგრძობს ბრძოლას...

ხალხის გათვითცნობიერებისა და რევოლუციის საქმეს ეწირებიან სოფრომ მალობლიშვილის გმირები. მისი ერთი პატრიოტული მოთხრობის გმირი მათელოში კვდება იმ იმედით, რომ სიმართლე გაიმარჯვებს და მას საფლავში ჩასაგბებენ თავისი ხალხის სამღვდელ აღდგომას („საფლავში ჩამომძახე“).

თუ შემოქმედების პირველ პერიოდში სოფრომ მალობლიშვილი იფარგლებოდა სოფლის მშრომელთა ჩამორჩენილობის, სიღატაკისა და სოციალური ჩაგვრის შეუფერავი სურათებით, მეორე პერიოდში მწერალი საკმაო სიცხადით ამხედრებდა ხალხს იმ უკუღმართი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ამ სიღატაკისა და ჩაგვრის საფუძველს წარმოადგენდა.

მებრძოლ გლეხთა მეთაორების გვერდით სოფრომ მალობლიშვილმა მოგვცა ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებულ ქართველ გლეხ ქალთა მოხდენილი სახეები. დემეტრეს სახლობა, ქვრივი ნენე, ცულოთ ჩეხავს მის დამამცირებელსა და ნაშუსის ამხელელს—ჩარჩ ყაზარას („დემეტრეს „სახლობა“), რევოლუციის პერიოდში ერთი სოფლის ყრილობაზე გამოსული „ერთობის მოციქული“ გლეხი-ქალი მოუწოდებს ქალებს: „მამაკაცებს მივებადით, დროებით უნდა გადავიდეთ თითისტარი და ნემსი, აკვანიც მივდგათ გვერდზე, მოვიკრიფოთ სულის ძალა... გადავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ეს ჩვენი გულის ფიცარი ცინე-სიმაგრედ, საღ კლდეთა“ („ჯორ-ზაქარა“).

ზაქარა ჯილაურს მხარში უდგას თავის მუღლს — მარინე, ის ამხევეებს გლეხებს — არ შედრკნენ განსაცდელის ეამს, რომ „სოფელმა თვითონ უნდა იზრუნოს თავისთვისა“. მარინე კისრულობს იმ ქალების მეთაურობას, რომლებიც მამაკაცებთან ერთად „ძე ლომებივით გაუმკლავდებიან“ ხალხის მტრებს. ჩვენიცა გვაქვს იარაღი: დედის გული. ვიხმართ ფრჩხილები, კბილები, ქვა და გუნდა, ბარი, თოხი, ხე-ლი, ფეხი — წარმოსთქვა მტკიცედ მარინემ, კალთა ჩაიჭრა სარტყელში და ქორივით შემოაგლო თვალი ხალხსა. ხალხი აზრილდა. დედაცაი იწვევდა სამრძოლველად. ეს არ მომხდარა მის დღეში“ (იქვე). მასწავლებელი ქალი თვალე გატაცებული მხახურო საქმისა, თავის საქმროს გარდაცვალების შემდეგ მხნედ აგრძელებს საგანმანათლებლო მუშაობას ერთ-ერთი სოფელში („საფლავში ჩამომძახე“): ეფროსინე გეგელაშვილს სკოლა აქვს გამართული თავის ხალხში და უფასოდ ასწავლის სოფლის ღარიბ გოგონებს („წარსულიდან“). თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული დავითის დედა, ქეთევანი, ამაყობს იმით, რომ „ალალი ბუძე უწოვებია“ ხალხისთვის თავდადებული შვილისათვის („პირველი სისხლი“).



აღსანიშნავია სოფრომ მგალობლიშვილის დამოკიდებულება ქალაქისადმი. ცნობილია, რომ ხალხსნებს არ ესმოდათ ქალაქის მრეწველობისა და კულტურის მნიშვნელობა რეჟისორის მოძრაობისათვის. ისინი ვერ ხედავდნენ ქალაქის მუშათა კლასის წამყვან როლს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

სოფრომ მგალობლიშვილიც, როგორც ხალხისანი მწერალი, ამჩნევს კაპიტალისტური ქალაქის მხოლოდ უარყოფით მხარეებს: შრომელი ფენების ექსპლუატაციას, ხელოსნების დარბევას, საკუთრებას მოკლებული ხალხის გაჩანაგებას, ბურჟუაზიული ურთიერთობით გამოწვეულ უსამართლობას, მატყუარობასა და გაზრწნილებას. მისთვის ქალაქი „საესეა ბოროტებითა, ურთიერთისადმი ადამიანთა შე-

რითა, სადაც ძმა ძმას ბადეს უგებს. პყიდის, ჰქეჯნის მის სულსა და გულსა, სადაც თითქმის ყველას ხელთ აულია ყასბის დანა და დაუქმდომლად ჰლაღრავს ყელსა უმცროსთა ძმათა“ („დემეტრეს სახლობა“). სოფრომ მგალობლიშვილს შეუშინეველი დარჩა ქალაქის მუშათა უბნები, პროლეტარიატი. ქალაქი თბილისი გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევის სოფრომ მგალობლიშვილს გამოცვლილად ეჩვენებდა. მაგრამ გამოუცვლია იგი იმას, რომ „დარბაისლების ნაცვლად კინტოებით ავსილა“ („გზა-გზა“). ამავე დროს მწერალს მხედველობიდან არ ეპარება ჩინოორდენების მაძებარი მოხილევები, თავდაზნაურული წრიდან გამოსული, გამეშინებული და ფუქსავატი ინტელიგენტები, რომლებიც მალაღი თანამდებობის მიღებაზე ოცნებობენ, ადვილად ღალატობენ საკოლეებს, რომ სხვა, დიდი გავლენის მქონე პირთა ქალიშვილები შეირთონ და მზითვად „ხაჩალნიკობა“ მიიღონ („დიდ ზალაში“).

ცხადია, ასეთი ცალმხრივი და ყალბი წარმოდგენა ქალაქზე იყო სიმართლის გზიდან გადახევივა. ამას არ შეეძლო არ შეეზღუდა ს. მგალობლიშვილის რეალიზმი. ამით უნდა აიხსნას დემეტრეს უფერული და ყალბი სახე. სოფლიდან გამოსული პატროსანი შრომელი გლეხი — დემეტრე ავტორს მიჰყავს არა თავისი კანონზომიერი, ბუნებრივი გზით — ქალაქის ფაბრიკისა და პროლეტარიატისაკენ, არამედ ხელოვნური, არაბუნებრივი გზით — ქალაქის კინტოებისაკენ. მწერალი ვერ ხედავს დემეტრეს ცხოვრების ბუნებრივ ტენდენციას, მის სოციალურ პერსპექტივას. ამიტომ იგი კინტო-ყარაჩოღელთა წრეში შეჰყავს, შეძლევს მეგლანედ აქცევს მას, ჩარჩის მოგაღედ ხდის და უდროოდ ღუპავს. ასევე საბედისწერო აღმოჩნდა ქალაქი დემეტრეს სახლობისათვისაც. შვილებისათვის თავდადებული და ქმრის ერთგული, პატროსანი გლეხი-ქალი ნენე, აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდა ქმრის საკედლის შემდეგ. მან „ამჯობინა ნამუსიანი სიღარიბე უნამუსო სიმდიდრეს“. მაგრამ ავტორმა ვერ გამოუჩინა ამ შრომისმოყვარე ქალს შესაფერი ადგილი-ქალაქში. სოფრომ მგალობლიშვილის ქალაქი მას მხოლოდ შეძაობისაკენ მიჰყავნებს.

გმირისეულის ქალმა — სალომემ დაინახა, რომ „ქალაქშიაც მრავლად ყოფილან გაქირავებისა და მწუხარების შვილნი, დარწმუნდა, რომ აქ უფრო ბლომა ხარკს ერეზავს სიღარიბე, რომ კაცს აბიწიერებს, სულს უფუძვებს, ნამუსს ართმევს“. მაგრამ მისთვის აუხსნელი და გაუგებარი დარჩა „რა იყო მიზეზი, რომ სიღარიბე აქ, ქალაქში სწორად აბიწიერებდა დაბალს მუშა-მოწამართე ხალხსა და იქ, სოფლად კი — იგი ამ მხრივ ხელშეუხებელი, წმინდა იყო“.

მწერლისთვის ქალაქი მხოლოდ მანკიერებათა და ბიწიერებათა დიდი წყაროა.

ასეთი იყო სოფრომ მალოზლიშვილის ქალაქი მისი შემოქმედების დასაწყისში. ასეთად დარჩა იგი ბოლომდე. მან ვერ შეისლო კაპიტალისტური ქალაქის ჩრდილოვან მხარეებს იქით დაუნახა ქალაქის პრაგრესული ტენდენციები.

\* \*

სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირთა სახეების გვერდით სოფრომ მალოზლიშვილი გვიხატავს რევოლუციის შემდგომი დროის თავადაზნაურთა გასრწნილ ტიპებს, ცხოვრებაში „გაბათილებულ კაცებს“, რომლებიც მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ „ქმყანა შეაწუხონ“.

„ხატის კურატივით ჩასუქებულა“ თავადი იერონიძე („თავადი იერონიძე“) გადაგვარებული ადამიანია. იგი ოცნებობს ბატონყმობის დაბრუნებაზე; წინააღმდეგია ხალხის განათლებისა და სურსარსებთან თათქარიძისაგვით ამბობს: „სულ ამ სწავლად დაღუბა ქვეყნიერება“.

ანტისოციალური ტიპია აგრეთვე თავადი რევაზ მორთულაძე („წარსულიდან“) — ეს ხორცმეტი, როგორც ავტორი უწოდებს, მხოლოდ ქვიფისა და ოლეობისათვის ცხოვრობს. ის ოცნებობს ლამაზი გლეხი-ქალების გატაცებასა და გაუპატიურებაზე, ღარიბი და უმწურო ხალხის დამცირებასა და შეურაცხყოფაზე.

თავადი ესტატე მარუშიძე („ჯორჯაქარა“), გლეხთა რევოლუციური მოძრაობით შეშინებული, ჩაფარ-პოლიციელებით იმაგრებს ზურგს. რაც უფრო იზრდება და ფართოვდება გლეხთა მოძრაობა, მით უფრო მეტი სიმკაცრით

ეპყრობა იგი მათ, არბევს და აწიოკებს მშრომელებს თავისი კოფურავების საშუალებით. თვითონ კი მხდელი და ლაჩარია. „სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე მალა ყვიროდა, თუმცა ორივე ფეხით სთელავდა ხალხსა... რუსის ჩინოსნების წინ კი ძლიერ უყვარდა წაქაყვა და მლიქვნელობა“.

სოფრომ მალოზლიშვილი ხედავს თავადაზნაურობის რღვევასა და ფენებად დაშლას, გამოწვეულს სოფლის-მეურნეობაში კაპიტალის შეჭრითა და ფულის ტრიალით. მსხვილ შემამულეთა გვერდით იგი ხატავს „მომხანიებელ“ ლიბერალურ აზნაურთა წარმომადგენლებსაც.

თავადი პეტრე ერეკლიძე („ჯორჯაქარა“) გრძნობს, რომ ძველი სიმკაცრე გლეხებისადმი აღარ გამოდგება. მისი აზრით, საქიროა დათმობა და მშვიდობიანი შორიგეობა. გლეხი მას ისეთივე ადამიანად მიაჩნია, როგორც აზნაური.

\* \*

სოფრომ მალოზლიშვილის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ თემას წარმოადგენს ინტელიგენციის საქმიანობა.

ცნობილია, რომ ხალხოსნები ვადაქარბებით აფასებდნენ ინტელიგენციის როლს რევოლუციურ მოძრაობაში.

სოფრომ მალოზლიშვილს, ისე როგორც სხვა ხალხოსნებს, მხედველობაში ჰყავს არა ყოველგვარი ინტელიგენცია, არამედ მშრომელი გლეხობის ერთგული და მისი ინტერესებისათვის მებრძოლი დემოკრატიული ინტელიგენცია. ასეთი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ცოცხალი ტიპები დახატა სოფრომ მალოზლიშვილმა თავის ნაწერებში („წარსულიდან“, „საფლავში ჩამომხახე“ და სხვ.). მათი უანგარო შრომისა და პატრიოტობის საყურადღებო ეპიზოდები უჩვენა მწერალმა თავის მკითხველებს.

სოფრომ მალოზლიშვილმა მოგვცა აგრეთვე არისტოკრატიული წრეებიდან გამოსული გადაგვარებული ქართველი ინტელიგენტების მეტად დამახასიათებელი ტიპები. მაგალითად, ესტატე ლამურაძის უსაქმობად და საფათურაკო საქმედ მიაჩნია ქართული ენის უფლებების დაცვა და მისი სწავლების გაუ-



მკვლევებაზე ზრუნვა. ის გაურბის საზოგადოებრივ შრომას, რომ მოხელის თბილი ადგილი არ დაკარგოს („დღიური ბიძია თომასი“).

ერთი მკაფიო ტიპი გადაგვარებული ქართული ინტელიგენციის სოფრომ მგალობლიშვილმა მოგვცა იუდა ლეჟიაშვილის სახით. მოთხრობას, რომლის მთავარ გმირსაც იგი წარმოადგენს, ეწოდება „წითელი სარჩული“. ამ გმირის ცხოვრების მიზანია „სამსახურის გიბის ზემო საფეხურზე ავიდეს“, გერმანიის ჩინი და წითელ სარჩულთან მჭიდრი მიიღოს. სახელი — იუდა — შემთხვევით არ უწოდებია მისთვის ავტორს. თავისი კარიერისათვის ის დალატებას სამშობლოს, ხალხს ღედაუნას. ის იტანს ყოველგვარ დამცირებას თავისი უფროსისაგან, ჭიმუნჯეებსა და წიპურტებს არც უშინდება და არც უკადრისობს, ოღონდ მეფის სამსახურში აღმატება და ახალი ჩინი მიიღოს. იუდა ლეჟიაშვილი ეთანხმება თავის ბრძანებებს, რომ საქართველოს სკოლაში ადგილობრივი ენები არ უნდა ისწავლებოდეს, რომ ქართული ენა ძალღერი ენაა. იუდას აღარც ქართველობა მოწონს და ლაერანტი არდაზიანის სოფლის გვარს, ლეჟიაშვილს, ლეჟივად აკეთებს. მას გააჩნია უფროსთა მორჩილების დიადი ნიჭი. მლიქვნელობით, ლაქუციით, თვალთმაქციობით მან მართლაც მიაღწია წითელ სარჩულს, მაგრამ, იფეთქა 1905 წლის რევოლუციამ. ლეჟივი შემფოთდა; ნუთუ ამდენი ვიღვალანით მიიღებული დიდი თანამდებობა უნდა დაღუპოს? მას ეშინია „ახალი სიონი“ პეტერბურგიდან, მაგრამ დარწმუნებულია „მეფე არ შეიღვია თვითმპყრობელობას“ და ძველი რეჟიმში დარჩება. ეს გადაგვარებული ინტელიგენტი ქართველმა საზოგადოებამ გარიყა, უკუაგდო. მას აკაკი წერეთლის ღამურას ბედი ეწია და სივდიით დაასრულა თავისი უშინარსო სიცოცხლე.

აღნიშნულ მოთხრობებში ინტელიგენტ აპოლოსის სახით სოფრომ მგალობლიშვილმა მოგვცა აგრეთვე ქართველ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ინტელიგენციამში ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი. ერთი შეხედვით ეს არის პატიოსანი კაცი, რომელიც ნამდვილად წესს და განიცდის ეროვნული კულტურისა და დიდაენის დევნას მეფის მოხელეთა მიერ, მაგრამ ის

უმოქმედო, უნიციტატივო და უპირატეტივო ადამიანია. ხედავს უსუსურად მას, მაგრამ არ იბრძვის მის წინააღმდეგ; მას ნამდვილად აწუხებს ქართული ლიტერატურის დევნა, ქართული გამომცემლობის მატერიალური გაჭირვება, მაგრამ მზად არის ლეჟივისაკენ აპატიოს ორპირობა, თუ ეს უკანასკნელი მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს ქართულ ბეჭდვითი სიტყვას.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სოფრომ მგალობლიშვილის შეხედულებაში ინტელიგენციის საკითხზე ისაა, რომ მან მშვენივრად გაიგო ინტელიგენციის კლასობრივი ბუნება, გაიგო, რომ ყოველ წოდებას ყავს თავისი ინტელიგენცია, რომელიც როგორც წესი, მხოლოდ ამ წოდების ინტერესებს ემსახურება. გლახთა მოძრაობის შესწავლამ მისთვის ნათელი გახადა, რომ თავადაზნაურთა და სასულიერო წოდებიდან გამოსული ინტელიგენცია „თავის გულის სიმების ვერ გადააბნის ხალხის გულის სიმებთან“ ისე, როგორც ამას შეძლება და გლახთა და მუშათა წრიდან გამოსული ინტელიგენცია („საფლაოში ჩამომხაბე“). სოფრომ მგალობლიშვილმა პირველი რევოლუციის შემდეგ თავის შემოქმედებაში დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მშრომელ ხალხს შეეძენა თავისი „ღვიძლი შვილი“, თავისი ინტელიგენცია, როგორც უფრო საიმედო ხელმძღვანელი ძალა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

• •

სოფრომ მგალობლიშვილის ლიტერატურული სტილის განვითარებასთან ერთად ევოლუციას განიცდიდა მისი ენა და წერის მანერა. ის არც ამ მხრივ დალატობს ხალხოსნურ მწერლობას. ხალხოსანი მწერლები განგებ ბაძავდნენ ხალხურ მეტყველებას, რომ ვითომდა უფრო გასაგები ყოფილიყო სოფლის მშრომელთათვის. ნაცვლად იმისა, რომ ხალხის მეტყველება ამაღლებინათ სალიტერატურო ენამდე, ისინი პირუტყ იქცოდნენ: სალიტერატურო ენა დაჰყავდათ ამა თუ იმ კუთხურ ქარგონამდე. შემოქმედების პირველ პერიოდში ჩვენი ავტორიც გადაჭარბებით სარგებლობდა ზემოქართლის დიალექტით. მართალია, მან უხვად შემოგვიანა ქართლის ხალხური ლექსიკა, მაგრამ საკუთარი თხრობის ენაც



ამით ჰქონდა სტილიზებული, რაც უეჭველად ამცირებდა მის მხატვრულ ღირსებას. გაჭიანურებული დიალოგები და უმნიშვნელო ემპირიული ეპიზოდების მეტად დეტალური აღწერები ჩრდილავდნენ მოვლენების დინამიურ ჩვენებას, მოქმედების პროცესს.

მეორე პერიოდის ნაწერებში სოფრომ მგალობლიშვილი აღარ იჩენს გაჩაყვითლებულ მიდრეკილებას კუთხური დილექტისადმი. ის ნაკლებად მიმართავს ქართულ კილოსა და სიტყვებს მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივ თემას და ადამიანებს უბრუნდება („ჯორჯაქარა“). შემდეგ კი საბოლოოდ დამკვიდრდა იგი საესეებით გამართულ ქართულ სალიტერატურო მეტყველებაზე და ლამაზი პოეტური სახეებით გაამდიდრა თავისი მხატვრობა. ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს ჩანს ბუნების აღქმასა და გამოხატვაში („პირველი სისხლი“, „მწყერაობა“, „უკვდავების წყარო ვარ“ და სხვ.). ამასთან აღსანიშნავია, რომ ბუნება მას აღებული აქვს არა იზოლირებულად, არამედ ადამიანთან და მის შრომასა და ცხოვრებასთან კავშირში. ბუნება თითქოს იმიტომაც მშვენიერად და წარმტაცი, რომ ის ადამიანს ახარებს, ატკბობს, აიძულებს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პირველ პერიოდში სოფრომ გულუბრყვილობის მითოდით უდგებოდა საქმიანსა თა ცხოვრების ასახვას. მწერალი ზოგჯერ კმაყოფილებოდა ცხოვრების გარეგანი, ფორტოგრაფიული ჩვენებით. მას უფრო მეტად აინტერესებდა ხალხის ყოფის ეთნოგრაფიული დეტალები, ვიდრე მისი სოციალური ტენცილები და განცდები. ნატურალისტური შტრიხები ჰარბად იყო მწერლის ადრინდელ შემოქმედებაში.

შემოქმედების მეორე პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, მწერალმა მოიმარჯვა კრიტიკული რეალიზმის მეთოდი. ამ პერიოდში ის არა მარტო აგებინებდა გლეხს თავის მძიმე ყოფას, არამედ კიდევაც მოუწოდებდა, ამხედრებდა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. მწერალი არ კმაყოფილებოდა იმით, რაც იყო, არამედ ეძიებდა იმას, რაც უნდა ყოფილიყო.

სოფრომ მგალობლიშვილმა გვიჩვენა ქართლის სოფელი მთელი სისრულითა და უშუალოდ. გატაცებით წერდა იგი უბრალო ხალხის ცხოვრებაზე, მის განცდებზე, იდეალებზე. მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში!

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურა

დემოკრატიული უზრუნველყოფის მხარე

მოკლე მიმოხილვა



ექვსი წლის წინათ უნგრელმა ხალხმა საბჭოთა ჯარების დახმარებით დაამხო ჰორტიის ფაშისტური რეჟიმი. უნგრეთი იქცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნად. ექვსი წელიწადია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა დგას სოციალისტური განვითარების გზაზე და დიდი საბჭოთა კავშირის ისტორიული მხარდებით შთაგონებული ეწევა დიდ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

უნგრეთის ხალხმა გაანდგურა ამერიკელი იმპერიალისტების აგენტურა უნგრეთში, ყოველგვარი რაიკები და მათი დამკვეთები, დიდი წარმატებით შეასრულა სამწლიანი გეგმა და უკვე მეორე წელიწადია თავისი პირველი ხუთწლიანი განხორციელების შედეგად დემოკრატიული უნგრეთი ფხიზლად დგას მშვიდობის სადარაჯოზე.

ისევე, როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, უნგრეთში სახალხო დემოკრატიის რეჟიმი ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას. დიდი სტალინის ინიციატივით ჩვენი ქვეყანა სისტემატური ძმურ დახმარებას უწევს ამ ქვეყნებს მათი სამეურნეო გეგმების განხორციელებაში.

სამეურნეო აღმავლობას თან სდევს კულტურული აღმავლობა. დემოკრატიული უნგრეთის ლიტერატურამ დაარღვია ჰორტიის რეჟიმის დეკადენტური ლიტერატურის ფორმები და მტკიცედ დადგა დიდი უნგრელი რევოლუციური პოეტების—შანდორ პეტეფისა და ენდრე ადის ტრადიციების გზაზე. მეოცე საუკუნის უდიდესი უნგრელი პოეტი ენდრე ადი 1905 წელს შემდეგ

გი სიტყვებით ესალმებოდა რუსეთის რევოლუციას: „სლავები მსოფლიოს ასწავლიან ახალ რევოლუციას... ახლა აღარ არის და არც იქნება შენერება. შეიძლება წითელი დროშა უკვე ფრიალებს კრემლზე. ეს გაუგონარი მიწისძვრა ისტორიის სიამაყე იქნება... ხალხი აღსდგა და სახეს უცვლის ქვეყანას... ჩვენ შეგვიძლია მივყვეთ რუსეთის მაგალითს!“.

სამუუხაროდ, ენდრე ადი მძიმე ავადმყოფი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომენტში და 1919 წელს გარდაიცვალა კიდევ მაგრამ მისი მემკვიდრეობა იქცა მაგალითად ახალი უნგრეთის მოწინავე მწერლებისათვის.

შანდორ პეტეფის და ენდრე ადის რევოლუციური შემოქმედება დაუპირისპირდა ბუდაპეშტის ბურჟუაზიის საყვარელ დეკადენტურ-ფორმალისტურ პოეზიას, რომელიც გაყვანილი იყო იმპერიალისტური დასავლეთისათვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტიზმით. პეტეფისა და ადის პოეზიის ხალხურმა და რევოლუციურმა ტრადიციამ გაიმარჯვა უნგრეთის ლიტერატურაში. მათ, ვინც გაიგეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და უნგრეთის 1919 წლის პროლეტარული დიქტატურის არსი, — შესძლეს პეტეფისა და ადის დიდი დემოკრატიული ტრადიციების გაგრძელება. ისინი დღეს სწავლობენ საბჭოთა პოეზიის გამოცდილებას, ითვისებენ სოციალისტურ რეალიზმს.

თანამედროვე უნგრეთის ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ მწერლები: ბელა ბალაში, ანდორ

გაბორი, შანდორ გერგელი, ანატოლ ჰიდაში, ზოლტან ზელკი, დიულა იე-ში, ბელა ილუში, დეიო ტიმბორი და საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის გათავისუფლების შემდეგ მუშათა და გლეხთა ფენიდან გამოსული უნგრელი ახალგაზრდა მწერლების მთელი პლეადა: პეტერ კუცკა, დიულა ტოტი, ფერენც იუნასი და სხვები. უნგრეთის რევოლუციური ლიტერატურის წარმომადგენელია აგრეთვე მწერალი-ბოლშევიკი მატე ზალკა (გენერალი ლუკაჩი), ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ მებრძოლი ინტერნაციონალური ბრიგადის სამხედრო კომისარი, რომელიც გმირულად დაიღუპა ფრონტზე 1937 წელს.

ბელა ბალაში (დ. 1886 წ.) მწერალი ანტიფაშისტია, რომანისტი, დრამატურგი და კინოს თეორეტიკოსი. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი წიგნი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის „ჰაინრიხ იწყებს ბრძოლას“, „კარლ ბრუნერი“, „კარლ, სადა ხარ?“. საბჭოთა მკითხველები იცნობენ ბალაშის ოთხმოქმედებიან კომედიას „ქვეყნიური და ზეციური სიყვარული“.

ანდორ გაბორი (დ. 1884 წ.) მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეა: პოეტი; დრამატურგი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. გაბორმა თავისი მოღვაწეობა ყურნალისტიკით დაიწყო. თავის პირველ ლექსებში იგი დასცინოდა მეშინაურ რომანტიკას. პირველი მსოფლიო ომის დროს გაბორმა სახელი გაითქვა თავისი კომედიებით, რომელთაგან ყურადღებას იმეცხე „დოლარპაპა“. ამ კომედიაში იგი აკრიტიკებს წერილ ბურჟუაზიას. უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თვეებში გაბორი აქტიური თანამშრომელია, განათლების კომისარიატისა. ხელისუფლების დაცემის შემდეგ მას აპატიმრებენ, მაგრამ მალე ემიგრაციაში გაზრის და საბოლოოდ გადადის კომუნისტების მხარეზე. 1918 წელს გაბორმა გამოაქვეყნა რომანი, რომელშიც გადმოსცა სიმართლე მაშინდელ უნგრეთის მძიმე პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. საყურადღებოა, რომ ამ რომანის ახალმა გამოცემამ (1947 წ.) დიდი ინტერესი გამოიწვია დემოკრატიული უნგრე-

თის მკითხველ მასაში, მაშინ, როცა იგი თავის დროზე შეუშინებელი მარხა. გაბორი ითვლება უნგრული რევოლუციური მწერალთა და მხატვართა კავშირის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

შანდორ გერგელი (დ. 1896 წ.) ახალი უნგრეთის მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. პირველ მსოფლიო ომში მან დაპატიმრდა მხედველობა და ქუჩაში მეწვრილმანებით ირჩენდა თავს. რამდენიმე წლის შემდეგ გერგელს დაუბრუნდა მხედველობა. მან დაიწყო წერა. მისი პირველი ნაწარმოებები გამოხატავენ საშინელ სიღატაკეს, ომის სიმკაცრეს და უაზრობას. მის რომანებში გამოიხატა ლემპენ-პროლეტარიატი, რომელიც სტაქჟინად იბრძვის არსებული წყობილების წინააღმდეგ. გერგელი ასახავს უნგრელ გლეხობას, რომელიც მემამულეთა ბოროტებაში იმყოფება, და რევოლუციური პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის გაერთიანებულ არაოპორტუნო ბრძოლას კომუნისტების ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირში გამოვიდა გერგელის რამდენიმე რომანი რუსულ და უნგრულ ენებზე („ღამე ბუდაპეშტზე“, „ღამე გრგვინავს“, „1514“ და სხვ.). კომუნისტი მწერალი გერგელი დღეს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგშია.

ანატოლ ჰიდაში (დ. 1899 წ.) საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი უნგრელი მწერალია. ჰიდაშმა თავისი მოღვაწეობა საავტორიო ლექსებით და სიმღერებით დაიწყო. იგი თავიდანვე ახლოს იდგა მუშათა წრეებთან. ჰიდაში დიდხანს იმყოფებოდა ემიგრაციაში რევოლუციური მოღვაწეობის გამო. იგი იბეჭდებოდა უმთავრესად სახლ-ვარგარეთულ უნგრულ კომუნისტურ პერიოდულ გამოცემებში. ჰიდაშის რევოლუციური ლექსები, განსაკუთრებით „ბუდაპეშტის მარში“, დიდად პოპულარულია უნგრეთის მუშათა წრეებში. ჰიდაშის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობები გლეხებისა და პროლეტართა ბავშვების შესახებ. 1925 წლიდან ჰიდაში იმყოფებოდა ქ. მოსკოვში, მაგრამ არ გაუწყვეტია კავშირი უნგრეთის რევოლუციონერებთან. ჰიდაში უნგრეთის განთავისუფლების შემ-

დღგ დემოკრატიული უნგრეთის ერთ-ერთი თვალსაზრისით ლიტერატურული მოღვაწეა და უნგრული პოეზიის პოპულარიზატორი საბჭოთა კავშირში. ჩვენში ცნობილია მისი შრომები შანდორ პეტეტის შემოქმედების შესახებ და რომანი „ბატონი ფიციკი“.

ზოლტან ზელკი (დ. 1906 წ.) ერთ-ერთი უნივერსული პოეტი და დემოკრატიული უნგრეთისა. დაიბადა მუშის ოჯახში. ლექსების პირველი კრებული მან გამოცა 1932 წელს. ამას მოჰყვა შემდეგი ექვსი კრებული. მთელი თავისი შემოქმედებით ზელკი დაუკავშირდა უნგრეთის შრომელთა ცხოვრებას. მისი უკანასკნელი ლექსები მიძღვნილია ახალი დემოკრატიული უნგრეთის ბრძოლისა და მიღწევებისადმი. ზელკის უკანასკნელი ლექსებიდან ყურადღებას იქცევს ლექსი „საბჭოთა ჯარისკაცის საფლავთან“: ღუნაის ნაბიჯს გამირულად დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცის საფლავზე გამოხატული ხუთქიმიანი ვარსკვლავი პოეტს მიუთითებს აღმოსავლეთისკენ, საკოლმეურნეო მინდვრების ქვეყნისაკენ.

პოეტი დიულა იეში (დ. 1902 წ.) უნგრეთის პოეტების უფროსი თაობის საღკეთესო წარმომადგენელია. დაბადებულია გლეხის ოჯახში. უნგრეთის პროლეტარული დიქტატურის პერიოდში მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში, როგორც უნგრეთის წითელი არმიის მებრძოლი. იეშის კალამს ეკუთვნის ოცდახუთი წიგნი. თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებში, პოემაში „სიკაბუე“ იგი უმღერის 1919 წლის უნგრეთის პროლეტარულ დიქტატურას. 1934 წელს იეში მოწვეული იყო საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე. უნგრეთში დაბრუნების შემდეგ მან დასწერა წიგნი „საბჭოთა კავშირი“. ლექსში „გუთანი მოდის“ (1945) პოეტი წათლად გვიჩვენებს, თუ რა მოუტანა უნგრეთის გათავისუფლებამ უნგრელ გლეხობას. ლექსში „მხურავები“ პოეტს ესმის სახლის მხურავთა შრომის რიტმი, რომელიც მასაც აქვზებს შრომისათვის და ისიც მზად არის თავისი მოწოდებაც ისეთივე ხმით და იმავე სიმაღლიდან გადასცეს ქვეყანას.

ბელა ილეში (დ. 1894 წ.) ცნობილი რომანისტი, ჟურნალისტი და ბელეტ-

რისტი. რომანით „სპარტაკი“ ილეშიმა გამოამკვლავა რევოლუციური მსოფლმხედველობა (1919 წ.) და მასვე დროს შევიდა უნგრეთის კომუნისტურ პარტიაში. მან ითამაშა მნიშვნელოვანი როლი უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ გაიქცა საზღვარგარეთ. ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიაში ყოფნის დროს მან გამოცა მოთხრობების კრებულები, რომელშიაც გამოხატა რუსინელი დატაკი გლეხობის ცხარე ბრძოლა სასულიერო და სამხედრო-მემამულური წოდების წინააღმდეგ („ნიკოლოზ შუგაი“, 1923). საბჭოთა კავშირში გადმოსვლის შემდეგ ილეში სწერს დიდ მოთხრობებს და პიესას „იყიდეთ რევოლვერი“, რომელიც დაიდგა მოსკოვში, რევოლუციის თეატრში. 1929 წელს გამოდის მისი რომანი „ტისა იევის“, რომელშიც ავტორი ერთი მუშის ავტობიოგრაფიის ფორმით გამოხატავს უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდის მოვლენებს (ეს რომანი ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1931 წელს). ბელა ილეში არის ერთი იმ მცირერიცხოვან მწერალთაგანი, რომლებიც ასახავენ იმიერკარპატის გლეხობის ცხოვრებას (რომანები „ქარპატული რაპსოდი“ და „ახალი ღვინო“, ნარკვევები „ჩირაღდნები ვერხოვინაში“).

ახალგაზრდა პოეტი პეტერ კუცკა (დ. 1923 წ.) ახალი თაობის პოეტების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მან გაიარა პროლეტარის ცხოვრების მკაცრი სკოლა ბურჟუაზიულ უნგრეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ქარხანაში. ქარხანაშივე დაიწყო ლექსების წერა. 1944 წელს მან დასტოვა პორტის არმია, რომელშიც ის იყო გაწვეული და თან გაიყოლა 13 მხანაგი. პირველი ლექსები პოეტმა დაბეჭდა 1947 წელს. მის ლექსებში ძლიერად მოსჩანს პუბლიცისტური ნაკადი. ამავე დროს მისი ლექსები ღრმად ლირიკულია და გამოხატავენ სიცოცხლის სასიხარულო აღქმას. პეტერ კუცკას პოეზიაში ნათლად იხატება იმ ადამიანთა გრძნობა, რომლებიც აშენებენ ახალ ცხოვრებას დემოკრატიულ უნგრეთში. ლექსი „ხე-

ლის ჩამორთმევა“ სწორედ სიხარულის იმ გრძნობითაა გაელენილი, რომელსაც განიცდიან ახალი უნგრეთის ნამდვილი პატრონები — მშრომელი ადამიანები.

დიულა ტოტი ამავე თაობის პოეტია, დაბადებული ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი აქტიურად მონაწილეობს გათავისუფლებული უნგრეთის მშენებლობაში, სწერს ოპტიმისტურ ლექსებს, რიტმიული გარკვეულობით და სახეების უბრალოებით აღბეჭდილს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ლექსი „ზეცა ბრწყინავს“.

22 წლის ფერენც იუხასი აგრეთვე ღარიბი გლეხის ოჯახიდან არის გამოსული. იგი ბავშვობის წლებიდან დაჭირავებული შრომას ეწეოდა. პირველი ლექსი დაბეჭდა 1947 წელს. მისი ლექსი „სიმღერა ტრაქტორზე“ ნათელი ფერებით გვიხატავს ახალ მოვლენებს უნგრეთის სოფელში, მისწრაფებას კოლექტიურ შრომისაკენ.

ახალგაზრდა პოეტი ლასლო ბენიამინი (დ. 1915 წ.) თავის პირველ ლექსებს, რომელთაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს, სწორედ ჯერ კიდევ მუშად ყოფნის დროს. უკანასკნელ წლებში მან გამოსცა ლექსების ორი კრებული. მალალი იდეურობა და პოეტური ოსტატობა ახასიათებს ბენიამინის ლექსებს. ცნობილია მისი ლექსი „გაზაფხული უნგრეთში“, სადაც უნგრული გაზაფხულის პოეტურ აღწერას მოსდევს განახლებული უნგრეთის ცხოვრების სურათი. ლექსი თავდება პოეტის მიმართებით თავის ბიჭუნასადმი:

„რაც ჩვენ სიკვდილით  
გვემუქრებოდა,  
დე, შენთვის იყოს მხოლოდ  
თამაში“.

საყურადღებოა აგრეთვე პოეტის ფერენც კაპოშის შემოქმედება. კაპოში იყო მოჯამაგირე, რომელმაც მიწა მიიღო მხოლოდ მიწის რეფორმის გატარების შემდეგ. მისი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1948 წელს. ლექსში „ხის თევზზე“ პოეტი ლაპარაკობს თავის ახალ ბედნიერ ცხოვრებაზე და ადარებს მას წარსულ სიღატაკს

და მოჯამაგირის დამამკირებელ შრომას.

მწერალმა-ბოლშევიკმა მატე შალკამ (1896—1937) ავსტრია-უნგრეთის ოფიცრის ტანსაცმელით გამოიარა პირველი მსოფლიო ომის წლები. 1916 წელს იგი რუსეთის არმიის ჩაუვარდა ტყვედ. 1918 წელს ხაბაროვსკში შეადგინა, მადარების წითელგვარდიული რაზმი. 1920 წლიდან იყო ს.კ.კ. (ბ) წევრი, ჯერ მუშაობდა მოსკოვის ხელოვნების ორგანიზაციებში, 1928 წლიდან კი ს.კ.კ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს იგი წავიდა ესპანეთში და ინტერნაციონალური ბრიგადის სამხედრო კომისიის პოსტზე ყოფნის დროს დაიღუპა.

მატე შალკამ თავისი შემოქმედება დაიწყო პატარ-პატარა მოთხრობებით, რომლებშიც გამოხატა სტუდენტების და გლეხების ცხოვრება. მისი შემოქმედების მთავარი პრობლემაა — ადამიანში საზოგადოებრივი შეგნების გამოღვივება. იგი გვიხატავს ადამიანის გზას შეუგნებელი კლასობრივი ინსტინქტის გამოღვივებიდან კომუნისმის იდეების რეალისტურ შეგნებამდე. „უბრალო ადამიანი“ არის მატე შალკას გმირი, ნაჩვენები მოქმედებასა და განცდითარებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „მტაცებელი“, „ცისფერ ღუნაიზე“, „დროშა“, „მეფისათვის“, „პირველი, მეორე, მესამე“ და სხვა, ნარკვევები „ხოლია“, „იანოშ-ჯარისკაცი“, „შიროსლავი ომობს“, აგრეთვე რომანი „დობერდო“, რომელშიც სიმართლით და გამომეტყველად არიან აღბეჭდილი უნგრეთის არმიის ჯარისკაცები, თავისი სურვილის წინააღმდეგ მონაწილენი პირველ მსოფლიო ომში, რომანი „დობერდო“ დღეს დიდი წარმატებით სარგებლობს დემოკრატიული უნგრეთის მკითხველ მასაში.

ბელა ილუშის ცნობით, სახალხო დემოკრატიის დამყარების პირველი წლის შემდეგ შესამჩნევი შეიქმნა ლიტერატურისადმი ინტერესის გაძლიერება მთელს უნგრეთში. აღსანიშნავია, რომ ყველაზე უკეთ იყიდება ისეთი პოლიტიკური ნაწარმოებები, როგორცაა მა-

ტიას რაკოშის სტატიების კრებული, ე. ვარგას სტატიების კრებული, გეორგ ლუკაჩის „ლიტერატურა და დემოკრატია“. მხატვრული ნაწარმოებებიდან დიდ ინტერესს იწვევენ საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები, მათე ზალკას „დობერდო“, ანდორ გაბორის „დოქტორი არაინ“, დეირი ტიბორის „დაუშთაყრებელი ფრაზა“, რომელშიც პორტის რეჟიმის სოციალური ანალიზია მოცემული, კოვაი ლერინცის ისტორიული რომანი ჰუსისტების მოძრაობის შესახებ, რომელშიც აღიარებულია, რომ XV საუკუნის ისტორიული სიმართლე ჩეხების მხარეზე იყო და უნგრელები აღარ უნდა თელიდნენ ჩეხებს მტრად. დიდი წარმატება აქვს ბოლდირაჟის სტატიების კრებულს მოსკოვის მცხოვრებთა შესახებ. ამ სტატიებში გა-

მოთქმულია ალტაცება ახალი ქვეყნის აღამიანთა საქმიანობის განხორციელების იბეკლებოდა განუცხმის „სტრუქტურა დიარსავ“ („ახალი უნგრეთი“). უნგრეთის მწერლებს მკიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა მწერლებთან, აგრეთვე მოძმე დემოკრატიული ქვეყნების მწერლებთან. უნგრელი მწერლები და კულტურის მოღვაწეები ამასწინათ ესტუმრნენ საქართველოსაც და დიდად ალტაცებულნი დარჩნენ დიდი ბელადის სამშობლოს ცხოვრებით.

დღევანდელი უნგრეთი მტკიცედ აშენებს სოციალიზმს, ფხიზლად დგას მშვიდობის სადარაჯოზე და ბედნიერად გრძნობს თავს დემოკრატიული ქვეყნების ძმურ ოჯახში. მას ამშვენებს მისი პირველი — მხატვრული ლიტერატურაც.

## კომუნიზმის დიდი შენახულობანი

„ჩვენი წყობილება, საბჭოთა წყობილება, — სწრაფი წინსვლის ისეთ შესაძლებლობას გვაძლევს, რომლებზედაც ოცნება არ შეუძლია არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას“.

მ. სტალინი.

★

ხალხმა ჩვენს ეპოქას დიდი სტალინური ეპოქა უწოდა. ჩვენ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში, მილიონთა მიწეფარე შემოქმედების ეპოქაში, გაბედული შემართებისა და დიად საქმეთა ეპოქაში“ („პარადა“). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ვითარდება სწრაფი ტემპით, განუზრგელი აღმავლობის გზით მიდის წინ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, განუწყვეტლივ იზრდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება, მისი ეკონომიკის აღმავლობა, ყველა ჩვენი მიღწევა ხორციელდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ლენინ-სტალინის პარტია წარმოადგენს ჩვენი განვითარების წამყვან ძალას, რომელიც წარმართავს საბჭოთა საზოგადოებას კომუნისტური გზით.

ყოველდღე უფრო ნათლად და მკაფიოდ ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში კომუნისტური საზოგადოების ნიშნები. ეს ნიშნები მოჩანს შრომის ნაყოფიერების უჩვეულო ზრდაში, მეცნიერებისა და ტექნიკის განუზრგელ აღმავლობაში, საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნების ზრდაში, მუშებისა და გლეხების კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელ აღმავლობაში.

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღეგნებს თვალყურს საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებს. ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებით დაამთავრა ომის შემდგომი ხუთწლიანი, გადაადგმულა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი კომუნისტური გზისაკენ.

ჩვენ ვიმყოფებით კომუნისტური საზოგადოების აგების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის გამამყვეტ ეტაპზე, პროგრამისა, რომელიც დასახა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წ. 9 თებერვალს.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული გადაწყვეტილება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელსადგურების აგებისა და სარწყავი არხების გაყვანის შესახებ გვიჩვენებს იმ გრანდიოზულ სამუშაოთა მასშტაბებს, რომელთა შესრულება მხოლოდ სოციალისტური სისტემის პირობებშია შესაძლებელი. უმოკლეს ვადაში — ხუთი წლის განმავლობაში მწყობარში უნდა ჩადგნენ გიგანტური ჰიდროელსადგურები, რომლებიც 22 მილიარდ კილოვატსაათ ელექტოენერგიას გამოიმუშაებენ; 1950—1957 წლების პერიოდში 28 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა უზრუნველყოფილი იქნება წყლით. ეს საბჭოთა ადამიანის ნების მიხედვით უზარმაზარ სივრცეზე შესცვლის და გააჯანსაღებს ჰავას, უღამინობსა და გვალიან სტეპებს აყვავებულ ბაღებად გადააქცევს. სოციალისტური ქვეყნის ასეთ შესაძლებლობას წინასწარ ჰვრეტდა ფრ. ენგელსი, როდესაც წერდა:

„Люди, ставшие, наконец, господами своего собственного бытия, становятся вследствие этого господами природы“.

პარტია მიისწრაფვის შეაიარაღოს საბჭოთა ხალხი ყველაზე მოწინავე



მეცნიერებით. არცერთ ეპოქაში მეცნიერებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი გარდამქმნელი ძალა, როგორც აქვს საბჭოთა მეცნიერებას. ძლიერამოსილი სოციალისტური ქვეყნის ყოველი ახალი მიღწევა სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს მთავალი ინტერესის მსიკლეობაზე, აკობრიობის ბედზე.

ჩვენში შეიქმნა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენების განუახლებელი შესაძლებლობანი.

ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინის ინიციატივით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო მუშაობა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, კერძოდ წყლის ენერჯის გამოსაყენებლად. 1920 წელს შემუშავებულ იქნა ქვეყნის ელექტროფიკაციის საპროექტო გეგმა. ვ. ი. ლენინმა აგრ კიდევ 1918 წ. მისცა მეცნიერებათა აკადემიას მითითება ელექტროფიკაციის პრობლემის დამუშავების შესახებ. მაშინ წამოაყენა ლენინმა თავისი ცნობილი გენიალური დებულება, რომ „კომუნისში — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. (ვ. ი. ლენინი).

მტრებსა და გარეშე მყურებლებს მაშინ ქვეყნის ელექტროფიკაციის გენიალური ლენინური მიზანდასახულება უნაყოფო ფანტაზიად მიაჩნდათ. „შეიძლება თუ არა წარმოიდგინოთ, — წერდა ინგლისელი შვერალი ჰერბერტ უელსი „გოელროს“ გეგმის შესახებ, — უფრო გაბედული პროექტი თვალწინდებელ ბრტყელ ვაკეზე, დასუსტებული ტყეებითა და გაუნათლებელი გლეხკაცებით, ტექნიკის უმნიშვნელო განვითარებით და მომავლადვი მრეწველობითა და ვაჭრობით?“

თავის ფანტასტიკურ რომანებში 3 უელსი „თამამად“ იყურებოდა ათასი წლების წინ — მომავლისაკენ. მაგრამ ის უნდობლად უსმენდა „კრემლის ფანტაზიორს“, როგორც მან უწოდა ვ. ლენინს. „მე პირადად არავითარი მსგავსის წარმოდგენა არ შემიძლია“ — წერდა მაშინ 3. უელსი.

მაგრამ ლენინის გენიის ძალა სწორედ იმაში იყო, რომ უსაშინელესი შემთხვევისა და ნგრევის წლებში მან შეესწო ახე ნათლად და რეალურად განქვერიტა ახალი სამყაროს დიდი მომავალი. უკვე ვ. ი. ლენინის სიცოცხლეშივე ამუშავდა რამდენიმე დიდი ელსადგური, ხოლო იმავე ხანებში

შენდებოდა შატურის, შტეროვის, ნიკოგოროდის, ვოლხოვის და სხვა ელექტრო ელექტრო სადგურები.

„გოელროს“ გეგმის ლენინმა უწოდა პარტიის მეორე პროგრამა. ი. ბ. სტალინმა ელ. ი. ლენინსადმი ვაგზავნი წერილში მაღალი შეფასება მისცა „გოელროს“-ს გეგმას. ეს წერილი დაიწერა 1921 წლის მარტში. „გოელროს“ გეგმის შესრულების ვადად დაწესებული იყო 10 — 15 წელი, ხოლო 15 წლის თავზე იგი შესრულებული იყო 2 1/2-ჯერ ვადაქარბებით.

სსრ კავშირის წყლის რესურსების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში „თეთრი ნახშირის“ მსოფლიო მარაგი 27%-ზე მეტია. ჩვენი მდინარეები ენერჯის ძალით 26-ჯერ აღემატებიან ჩვენს ყველა ელსადგურის სიმძლავრეს ერთად აღებულს. ჩვენი ქვეყნის დიდ მდინარეთა ენერჯის რესურსები კოლოსალურია, უკანასკნელი ცნობებით ის უდრის 300 მილიონ კილოვატს, ხოლო ამერიკის შერათებული შტატების, კანადის, ნორვეგიის, საფრანგეთის, იტალიის და გერმანიის ჰიდროენერგორესურსების პოტენციური სიმძლავრე მთლიანად 175 მილიონ კილოვატს უდრის.

ბუნების გარდაქმნის დიდი სტალინური გეგმის ფართო განხორციელება დაიწყო პარტიისა და მთავრობის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით 120 მილიონ ჰექტარ ფართობზე მინდორსაკავი ტყის ზოლების გაშენებისა და წყალსატეგებისა და გუბურების მოწყობის შესახებ. უდიდეს ღონისძიებას ბუნების ძირფესვიანი გარდაქმნის დარგში წარმოადგენს კუბი-შევისა და სტალინგრადის შემძლავრი ჰიდროელსადგურების მშენებლობა ელგაზე, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ-უკრაინის და ჩრდილო ყირაზის არხების გაყვანის სამუშაოები, კახოვის ჰიდროელსადგურის მშენებლობა მდ. დნეპრზე და ვოლგა-დონის არხის სამუშაოები.

კომუნისში ის დიდი მშენებლობანი, რომლებიც დასახულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით, წარმოადგენენ მნიშვნელოვან რგოლებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გეოგრაფიულ გარემოსა და ბუნების გარდაქმნის დარგში. ეს მშენებლობანი ცხადად

მოწმობენ იმას, თუ რა გოლიათური ძალები გააჩნია კაბიტალიზმის ბატონობისაგან განთავსულებულ ხალხს, კომუნისტური და სტალინიზმის

რუსეთის მთავარ მდინარეს ვოლგას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს იმ ძირითად ბუნებრივ „ლიტის“, რომლის ირგვლივ იქმნება მრავალი ფრადი მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონი. „დიდი ვოლგის“ პრობლემის გადაჭრა მოასწავებს უდიდეს სატრანსპორტო, ენერჯეტიკულ და სამელორაციო შესაძლებლობათა შექმნას.

1950 წლის 21 და 31 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ მდ. ვოლგაზე.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური უდიდესი იქნება მსოფლიოში. მისი სიმძლავრე 2 მილიონ კილოვატს შეადგენს. წელიწადში გამოიმუშავებს ათ მილიარდ კილოვატს. ამ სადგურის ენერჯია განკუთვნილია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო, მიზნებისათვის. 6 მილიარდს და 100 მილიონ კილოვატსათვის ყოველწლიურად მიიღებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი; ორ მილიარდსა და ოთხას მილიონ კილოვატს მიიღებენ კუიბიშევისა და სარატოვის ოლქები; მილიარდნახევარი კილოვატსათვის მიმარდება ერთ მილიონი ჰექტარი მიწის მორწყვას ვოლგისპირა რაიონებში.

ამ გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო 1950 წელს და დამთავრდება 1955 წელს. ისტორიას ჯერ არ ახსოვს სამშენებლო სამუშაოთა ასეთი ტემპი.

სტალინგრადის ჰიდროელსადგურის სიმძლავრე იქნება 1,7 მილიონი კილოვატი, იგი წელიწადში გამოიმუშავებს 10 მილიარდ კილოვატსათა ენერჯიას. აქედან მოსკოვს ყოველწლიურად გადაეცემა 4 მილიარდი კილოვატსათა, ცენტრალურ შევნიწინადადებთან ოლქებს 1,2 მილიარდი კილოვატსათა, ვოლგის ექვთა და კასპის ზღვის სანაპირო რაიონებს — 2 მილიარდი კილოვატსათა. ხოლო სტალინგრადის, სარატოვის და ასტრახანის ოლქებს — 2,3 მილიარდი კილოვატსათა ენერჯია. სტალინგრადიდან მოსკოვამდე გადამცემი ხაზის სიგ-

რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი ბრძენი პარტია, როგორც არს ლენინ-სტალინის პარტია. ჰიდროელექტროსადგურები

რძე დაახლოებით 1000 კილომეტრი იქნება და ის შეუდარებელი იქნება მსოფლიოში თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით. სტალინგრადის წყალსაცავიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გაყვანილ იქნება მაგისტრალური არხი, რომლის საშუალებით მოირწყება ვოლგისა და მდინარე ურალს შორის მდებარე 6 მილიონი ჰექტარი სახნავი მიწა. ნეკიბაიურის საშუალებებით უნდა მოირწყას 1,5 მილიონი ჰექტარი მიწა. სარაის ტბებში გადაქაჩივნი წყალს, მოეწყობა გრანდიოზული წყალსაცავები, საიდანაც გაიყვანება არხების მთელი სისტემა, სარაის დაბლობის და ნოღაის სტეპების 5,5 მილიონი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად. ყოველგვარ ეს მტკიცე ხაზს შეუქმნის მეცხოველეობას, დამუშავდება სამრეწველო მნიშვნელობის თვალწინი ნივთი მასივები.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო მიმდინარე წელს და დამთავრდება 1956 წელს. საგუბრები, რომლებიც მოეწყობა კუიბიშევისა და სტალინგრადის ზემოთ ბევრად დიდი იქნებიან მსოფლიოში ამჟამად არსებულ უდიდეს ასუანის (გევიბტი), ვილსონის (ა. შ. შტატების) და ლოიდის (ინდოეთი) საგუბრებზე. საგუბრის ზემოთ შეიქმნება უხარამბარი წყალსაცავი, რომლის სიგრძე იქნება 500 კმ. და სიგანე ზოგიერთ ადგილებში — 40 კმ. კუიბიშევის ზღვის ფართობი 5000 კვადრატულ კილომეტრს მიაღწევს. თითქმის ასეთივე სიდიდისა იქნება სტალინგრადის ზოგადმართო კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია 10-ჯერ გადააჭარბებს მეფის რუსეთის ელექტროენერჯიის წარმოების დონეს და თითქმის 6-ჯერ გადააჭარბებს „გოელროს“ გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრეებს.

ამავე ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯიის წლიური გამოიმუშავება გადააჭარბებს იტალიის ყველა ელსადგურას ან შვეიცარიისა და შვეიციის ყველა ელსადგურის გამოიმუშავებას. სპეციალისტების მიერ ჩატარებული წინასწარი გამოთვარისშე-

ბით, ვოლგის ორი გიგანტი შესაძლებლობას იძლევა დაზოგილ იქნას დაახლოებით 22 მილიონი ტონა ნახშირი. ამევი დროს ფართო მასშტაბით გატარდება რკინიგზის ქსელის ელექტოფიკაცია, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

ტრანსპორტის სხვა სახეთა შორის გარკვეული უპირატესობა აქვს წყლის ტრანსპორტს. იგი არ მოითხოვს დიდ საქსპლოატაციო ხარჯებს. რეკონსტრუქციის საფუძველზე ვოლგის სანაოსნო მაგისტრალს შეეძლება დაახლოებით 40-ჯერ მეტი ტვირთი გაატაროს, ვიდრე რკინიგზის მაგისტრალს.

ვოლგაზე ახალი გიგანტების მშენებლობასთან დაკავშირებით ფართოდება თევზის მეურნეობის საქმეც. ვათვალისწინებულა დიდი სამუშაოების ჩატარება წყალსაცავებში თევზების ხელთნური მოშენებისათვის, საგუბრებში კი მოეწყობა თევზის სპეციალური გასასვლელები.

როგორც აღვნიშნეთ, ვოლგის გიგანტების აგების შედეგად მოირწყვის ვალკიანი მიწების უზარმაზარი ფართობი (14 მილიონი ჰექტარი). ამ ფართობზე ჩვენი ქვეყანა მიიღებს ისეთ მოსავალს, რაც ჯერ არ არის ცნობილი

მსოფლიო მსოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში. ამევი დროს ესევენება საუკეთესო პურეული. აკადემიკოსი ვენკიენოვსკი წერს: „ტყუილად კი არ იყო, რომ წარსულში, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურიდან, ევროპის სახელმწიფოთა მონარქები, მათ შორის დედოფალი ვიქტორია, ამელობინებდნენ თავიანთ „სამეფო“ სუფრახე ჰქონოდათ ვოლგისპირეთის ხორბლის პური“.

სოფლის მეურნეობის ფართო ელექტროფიკაციასთან ერთად, ვოლგისპირეთში ხორციელდება გვალვის საწინააღმდეგო გრანდიოზული ღონისძიებანი.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „...არ შეიძლება არ გვეზონდეს სერიოზული და სრულიად სტაბილური, ამინდის შემთხვევიანობისაგან თავისუფალი ბაზა პურის წარმოებისა ვოლგაზე“ და შემდეგ: „მევედგეთ სერიოზულ მუშაობას ხავოლციეს მორწყვის საქმის მოსაწყობად“. (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 568 — 569. მეთერთმეტი გამოცემა).

ამხანაგ სტალინის ეს შესანიშნავი მიზანდასახულება დღეს ხორცს ისხამს, მშვენიერ სინამდვილედ იქცევა.

### თურქმენეთის დიდი არხი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით გაყვანილ უნდა იქნას თურქმენეთის დიდი არხი.

კასპიის ზღვას გარს აკრავს უდაბნო და ნახევრად უდაბნო ადგილები, საიდანაც ქპრიან მშრალი და ცხელი ქარები. ეს ქარები საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტყესტეპიანი რაიონების ნათესებზე დამლუბველ გავლენას ახდენს.

მდ. ამუ-დარიის ქვემო დინებაში ტახია-ტაშტან (ყარა-ქალფაყთა ასსრ დედაქალაქის — ნუკუსისის მახლობლად) აგებულ იქნება დიდი საგუბარი. ტახია-ტაშტანს სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაყვანება თურქმენეთის მთავარი არხი კრასნოვოდსკამდე. ამ არხის სიგრძე იქნება 1100 კმ., ის აღმოსავლეთიდან შემოუღვლის სარაყამიშის ქვაბულს. რათა დრო არ დაიხარჯოს მის ასახვებათ (სარაყამიშის ქვაბულის მოცულობა 320 მილიარდი კუბური მეტრი და მის

ავსებას წყლით დასჭირდებოდა 15 წელი); შემდეგ არხი ვალსაერავს ყარაყუმის უდაბნოს ჩარიშლის ჰამდე და აქედან უზბოლის ძველი კალაპოტით მივა კრასნოვოდსკამდე. მაგრამ თურქმენეთის არხის წყალი არ შეერთვის კასპიის ზღვას. უზბოთზე მოეწყობა საგუბრები და ორი წყალსაცავი. აქ დაგროვილი წყალი მოხმარდება მორწყვისა და მრეწველობისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების საქმეს. ამ მიზნით გაიყვანება 1000 კმ. სიგრძის წყალსადენი. აქამად წყალი თურქმენეთში ვაგონციხტურნებითა და თვითმფრინავ-ციხტურნებით მიაქვით.

თურქმენეთის მთავარი არხი ყველაზე გრძელი იქნება მსოფლიოში. ასეთი სიდიდის არხი საირიგაციო მშენებლობის ისტორიამ არ იცის. იგი 1100 კილომეტრი იქნება; ერის არხი (ა. შ. შტატებში) — 820 კილომეტრია, სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხი 227 კმ., შუა-გერმანიის

(პემს-პანოვი) — 200 კმ., სუეცის არხი 160 კმ., მოსკოვის სახელობის არხი 128 კმ., პანამის არხი 81 კმ.)<sup>1</sup>.

თურქმენეთის მთავარი არხი წამში გაატარებს 350—500 კუბურ მეტრ წყალს, მომავალში კი ეს ციფრი აყვანილ იქნება 600 კუბურ მეტრამდე.

სტალინის სახელობის ფერგანის არხი, რომელიც 1939 წელს გაიყვანეს, 350 კილომეტრია. ის წამში ატარებს მხოლოდ 100 კუბურ მეტრ წყალს. თურქმენეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მარცვლეული მეურნეობის გარდა, განვითარებულია სუბტროპიკული მეურნეობაც (ციტრუსები, ფინიკის პალმა და სხვ.). ყარაყუმის უდაბნოს მორწყვა ხელს შეუწყობს თურქმენეთში მეცხოველეობის განვითარებას, განსაკუთრებით საკრავილე ცხვრისა და საუკეთესო ჯიშის ცხენების მოშენებას. არხი გაივლის სილიან რაიონებში. ამიტომ საჭიროა სილის დამაგრება. ამ მიზნით დადგენილება ითვალისწინებს ტყის ზოლის გაშენებას 500 ათას ჰექტარზე. შუა აზიის უტყეო რესპუბლიკებისათვის ამას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა ექნება. ის ფართობი, რომელიც მოხვდება თურქმენეთის მთავარი არხის მოჭმელების სფეროში, იტალიის ტერიტორიის თითქმის ნახევარი იქნება. წყალდიდობისას ამუდარიას მოაქვს ორჯერ მეტი შლამი, ვიდრე მდ. ნილოსს. ყარაყუმის და ყიზილ-ყუმის უდაბურ სივრცეებს ესაჭიროებათ წყლის მიშენება. ყარაყუმის სილიანი უდაბნო ერთ-ერთი უდიდესი უდაბნოა დედამიწაზე; მას უჭირავს 350 ათასი კვ. კმ. ფართობი.

თურქმენეთში 200 დღის განმავლობაში ცა მოწმენდილია. სილა აქ თითქმის 80°-მდე ხურდება. აქ არის ბუნე-

ზის საოცარი კონტრასტი: გაზაფხულზე, როდესაც წვიმები მოდის, აქ მუყაბე ბალახი ბიბინებს და შინდურებს ყავაჩოები ამშვენებენ, მაგრამ წვიმიერი შეწყდება თუ არა, ყველაფერი გაღირუჯება.

უდაბნოების მორწყვა, რაც შესაძლებელი გახდება თურქმენეთის არხის გაყვანის შემდეგ, დიდ სამეურნეო ეფექტს მოგვეცემს. სპეციალისტების დასკვნით, შუა აზიის უდაბნოებში ერთ კუბურ მეტრ მტკნარ წყალს შეუძლია შექმნას 300 გრამი ბამბის ნედლეული, ან 1,5 კგ. შაქრის ქარხალი (220 გ. შაქარი), 10 ლიტრამდე რძე, 35 კგ. მატყლი ან 7—10 კგ. ხორცი და ცხიმი. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და კვების პროდუქტების რა სიუხვე უნდა შეიქმნას, თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ არხი თურქმენეთის უდაბნოებს მიაწვდის 13 მილიარდ კუბომეტრ წყალს. არხის მთელი ტრასის გაყოლებით და მისი გაელუნის ზონაში აღმოცენდებიან მეცხოველეობის ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. ყარაყუმის უდაბნოს ის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წყალთა ალიან უზრუნველყოფილი, იძლევა იმის ნიმუშს თუ რა ეფექტური იქნება არხის ზონაში მეცხოველეობის ისეთი დარგის განვითარება, როგორიც არის საკრავილე ცხვარი. მაგალითად, საჯიშე საბჭოთა მეურნეობის („უჩ აჯი“) ჰყავს 35 ათასი სული საკრავილე ცხვარი, ყოველ 100 დედაცხვარზე ზრდიან 100—105 ბატყანს და სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებენ 12—15 ათას კრაველს ქურქს, მათგან 95 პროცენტს პირველი ხარისხისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება თურქმენეთის დიდ არხს შუა აზიაში მეცხოველეობისა და მეხაზბეობის შემდგომი განვითარებისათვის.

შპრანინსა და ყირიშში

1950 წლის 21 სექტემბერს გამო-ნის და უკრაინის სამხრეთ რაიონებისა ქვეყნის სსრ კავშირის მინისტრთა საბ.-და ყირიშის ჩრდილოეთი რაიონების შოს დადგენილება მდინარე დნებრზე მიწების მორწყვის შესახებ. სამხრეთ კახოვის ჰიდროელექტროსადგურის უკრაინის გვალვიან რაიონებსა და ყირიშის, სამხრეთ-უკრაინის არხის გაყვარების ჩრდილოეთ რაიონებში სასოფ-

<sup>1</sup> ცნობები ამოღებულია მ. მ. დავიდოვის „Великое гидротехническое строительство в СССР“.

ლო-სამეურნეო კულტურების უხვი და უზარმაზარი მოსავლის უზრუნველყოფის, ამ რაიონებში უმთავრესად ბამბის და ხორბლის მოსავლის მნიშვნელოვანი გა-

დიდების, მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის უფრო სწრაფი განვითარებისა და სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ჰიდროელექტროენერჯით უზრუნველყოფის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა განხორციელდეს სარწყავი სისტემის მშენებლობა უკრაინის სამხრეთ რაიონებსა და ყირიმის ჩრდილოეთ რაიონებში მილიონ ნახევარი ჰექტარი მიწის მოსარწყავად. ქ. კახოვიკის რაიონში აგებულ იქნება 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელსადგური, რომელიც საშუალო წყლიანობის წელიწადში გამოიმუშავებს 200 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას. სამხრეთ უკრაინის არხი დნებრიდან მიიღებს წყალს წაშში 600-650 კუბომეტრის რაოდენობით. ამ არხის გაგრძელება იქნება ჩრდილო ყირიმის არხი. ორივე ამ არხის სიგრძე იქნება 550 კილომეტრი. მთელი ეს გრანდიოზული სამუშაო უნდა დაითავრდეს 1957 წელს. სამხრეთ-უკრაინისა და ყირიმის ჩრდილო რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დადი ბზაა. მაგრამ გვალვა დიდ ზიანს აყენებს მოსავალს. საკმაოა ითქვას, რამ

უკრაინაში 63 წლის განმავლობაში (1887—1950 წ.) იყო 22 კვადრატული წელიწადი. მარკელიუდის მოსავლურ ჰექტარზე არ აღემატებოდა 3 ცენტნერს. მორწყვის შემდეგ კი სამხრეთ უკრაინაში შეიძლება ჰექტარზე 18-20 ცენტნერი ბამბის, 30—35 ცენტნერი შემწვარის ხორბლის, 300 ცენტნერი კარტოფილის, 80—90 ცენტნერი ყურძნისა და ხილის, 400—500 ცენტნერი შაქრის ჰარხლის მიღება. ამჟამად მთელ უკრაინაში ირწყვის მხოლოდ 100000 ჰექტარი ფართობი, ხოლო ყირიმის ნახევარკუნძულზე — 35 ათასი ჰექტარი. არხის გაყვანის შემდეგ კი თითქმის 10-ჯერ მეტი მოიწყვება.

მდინარე დნებრზე კახოვიკის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ-უკრაინის და ჩრდილო ყირიმის არხებზე აგება ბუნების გარდაქმნის დიდი სტალინური გეგმის შემადგენელი ნაწილია. ეს გრანდიოზული მშენებლობა უმოკლეს ვადაში სახეს შეუცვლის და გარდაქმნის უზარმაზარ ტერიტორიას, საბჭოთა ადამიანების სამსახურში ჩაყენებს ბუნების ძალებს.

### ვოლგა—ღონის არხი

„Освобожденный от оков,  
Народ неутомимый  
Созреет, густо заселит  
Прибрежные пустыни;  
Наука воды углубит  
По гладкой их равнине.  
Суда гиганты побегут  
Несчетною толпою,  
И будет вечен бодрый труд  
Над вечною рекою“.

ნ. ა. ნეკრასოვი.

პოეტი-დემოკრატის ეს შესანიშნავი სიტყვები მომავლისადმი რწმენას უხე-რავადა რუს მშრომელ ადამიანებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას დროს განხორციელდა ვოლგის რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმა. ვოლგა, რომლის სიგრძე 3688 კილომეტრია, ევროპის უდიდესი მდინარეა. მის აუზში ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 25%. ასეთ მდინარეს არ აქვს გასასვლელი საოკეანო გზებზე. ვოლგაზე მოდის სსრ კავშირის სამილი-

ნარო ტვირთბრუნვის 50%-ზე მეტი. აქედან ცხადია, თუ რა როლს ასრულებს და შეასრულება დიდი ვოლგის გზა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

საბჭოთა ადამიანი ასწორებს ბუნების „შეცდომას“. იგი გზას უხსნის ვოლგას აზოვისა და შავი ზღვისაკენ.

ჯერ კიდევ პეტრე პირველმა სცადა გაეყვანა სამდინარო გზა ცენტრალური რუსეთიდან აზოვისა და შავი ზღვისაკენ. მომდევნო საუკუნეებში არსებობდა მრავალი პროექტი პირდაპირი წყლის მაგისტრალისა შავი ზღვისაკენ.

მაგრამ ამ პროექტებს შედეგი არ მოჰყოლია.

დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებშივე მიაქციეს ყურადღება ვოლგისა და დონის შეერთების უდიდეს მნიშვნელობას. ამ შეერთების განხორციელების გეგმა ჯერ კიდევ 1918 წელს დაიხატა. ხელმძღვანელობდა რა ცარიცინის დაცვას ი. ბ. სტალინი წინასწარკერძოდა ქალაქის ბრწყინვალე მომავალს და მას უკავშირებდა ვოლგა-დონის არხის მშენებლობას. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა იდეა: ვოლგა-დონის არხმა არა მარტო უნდა შეაერთოს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ხეობები, არამედ სტალინგრადისა და როსტოვის ოლქების გვალვიან მიწებს უნდა მისცეს წყალი და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას რაფი ელექტროენერჯია.

ვოლგა-დონის არხის მშენებლობა 1948 წ. განახლდა, და 1951 წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს, ხოლო 1952 წლის გაზაფხულზე ვოლგა-დონის მაგისტრალი უნდა ამუშავდეს. ამ არხზე მოეწყობა ციმლიანსკის ჰიდროკვანძი, რომელიც მოგვეცემს დიდი რაოდენობის ელექტროენერჯიას, წყლით უზრუნველყოფს სტალინგრადისა და როსტოვის ოლქების გვალვიან მიწებს, მორწყავს 1750 ათას ჰექტარ ფართობს. სტალინგრადთან, სადაც ვოლგა და დონი ერთმანეთს 60 კილომეტრით უახლოვდებიან, რთული სისტემები მოეწყობა.

ვოლგა-დონის არხზე და საერთოდ ჩვენ სამშენებლო ობიექტებზე გამოყენებულია ახალი მალახმარისი ნივთიერებები. მაგალითად, იქ მუშაობს ცხრაასართულიანი სახლის სიმალის ექსკავატორი, რომელიც 1000 ტონას იწონის, 6000, კვტ. საერთო სიმძლავრით (44 ელექტროძრავი). ექსკავატორი — დრაგლანი, რომელიც ასრულებს რა 10 ათასი მიწის მთხრელის სამუშაოს, დღე-ღამეში აიღებს და გადაადგილებს 10.000 კუბმეტრ გრუნტს. მიწის მთხრელი მანქანა საათში აკეთებს 3 კმ. სიგრძის თხრილს; თითოეული ბულდოზერი ასრულებს 300 კაციის სამუშაოს. გამოყენებულია ახალი ტიპის ავტომანქანა თვიომცლენები, რომელთა ტევადობა 25 ტონაა.

ეს დიდი მშენებლობანი ვოლგაზე, თურქმენეთისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ, ჩრდილო ყირიმისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სტალინური ეპოქის შესანიშნავი მონუმენტებია, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვება და სამშენებლო ხელოვნების უდიდესი მოვლენაა. თავისი მასშტაბითა და ტემპებით, ტექნიკური გაანჯერებითა და გაქანებით ამ მშენებლობებს ბადალი არა ჰყავთ მთელ მსოფლიოში. უმოკლეს დროში — 5-6 წელიწადში — აშენდება: 5 მძლავრი ჰიდრო ელექტროსადგურთა, რომელთა სიმძლავრე 4 მილიონ კვტ. მეტრ იქნება, 9 დიდი საგუმბარი, 3000 კმ. სიგრძის მაგისტრალური არხი, 8 მსხვილი წყალსაცავი. მოიწვევება 28 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა.

კუბიშვილისა და სტალინგრადის ჰიდროკვანძები უდიდესი იქნებიან მსოფლიოში. მათი სიმძლავრე გადააჭარბებს ისეთი სადგურების სიმძლავრეს, როგორცაა გრენ-კული და ბოულდერდეიმი; ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ენერჯის სტაციების (ნიუ-ორკის, ტენესის, ჩიკაგოს, ნიუ-იორკის, წყნარი ოკეანისა და ბონევილის) სიმძლავრე სათითაოდ ბევრად მეტრე იქნება ვოლგის გიგანტების სიმძლავრეზე ამ ორი საბჭოთა გიგანტის ელექტროენერჯის წლიური გამოშვებვა მეტრე იქნება ელექტროენერჯის იმ რაოდენობაზე, რომელსაც იმდროინდელი იტალიის ყველა ელექტროსადგური; შეიცარიის და შეეცის ყველა ელექტროსადგური. ამ ორი ელექტროსადგურის ენერჯია შეცვლის სათბობის ისეთ რაოდენობას, რის გადასახიდად საჭირო იქნებოდა 20 ათასი სარკინიგზო შემადგენლობა.

იმ დროს, როცა ვოლგის გიგანტების მშენებლობა 5-6 წელიწადში უნდა დამთავრდეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში წმინდა ლაგერების მდინარეზე ბოხარნუას ჰიდროელექტროსადგურს 16 წლის განმავლობაში, ხოლო მდინარე კოლორადოზე ბოულდერდეიმის ელექტროსადგურს 40 წლის განმავლობაში აშენებდნენ და ეს უკანასკნელი სრული ძალით დღესაც არ არის ამუშავებული. 35 წელზე მეტია მდინარე ტენესისზე მიმდინარეობს ჰიდროკვანძის მშენებლობა;

40 წელი გრძელდებოდა პანამის არხის მშენებლობა, 70 წელი მიმდინარეობდა მდ. ნილოსზე საგუმბრის აგება.

ეს და მრავალი სხვა ფაქტები თვალსაჩინოდ მოწმობენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰიდრონაგებობანი უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის იქმნებიან. მათი ელსადგური ენერჯიას აწვდიან ატომური ბომბის ქარხნებს.

კომუნისმის დიად მშენებლობათა ასაგებად კოლოსალური მუშაობა განხორციელდება. კუბიშიშევის ჰიდროკვანძისათვის საჭირო იქნება 6 მილიონამდე კუბმეტრი ბეტონის დაგება. ერთი წლის განმავლობაში კუბიშიშევის საგუბარზე იმდენი ბეტონი იქნება გამოყენებული, რაც პანამის არხზე 34 წლის განმავლობაში დაიხარჯა. მარტოსტალინგრადის ჰიდროელექტოსადგურის მშენებლობაზე დღე-ღამეში 24 სამარშრუტო მატარებელი იქნება საჭირო ბეტონის ნედლეულის მისაზიდად. ასეთივე გრანდიოზული მოცულობის სამშენებლო მასალას მოითხოვენ სხვა ობიექტებიც. კომუნისმის დიად მშენებლობათა მთელი სამუშაო პროცესები

მექანიზებულია. აქ მუშაობენ ახალი მძლავრი საბჭოთა მანქანები. მშენებლის მანქანათმშენებელმა ქარხანამ დაამზადა მოსიარულე ექსკავატორი, რომელსაც აქვს 14 კუბმეტრი ტევადობის ციცივი, 25 ასეთ ექსკავატორს შეუძლია შეასრულოს იმ მოცულობის სამუშაო, რაც შესრულდა მოსკოვის სახელობის არხის გაყვანის დროს.

დიად მშენებლობათა დამთავრების შემდეგ მოიარწყვება ათეული მილიონობით მიწა, რომელზეც მოყვანილი იქნება იმდენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაც 100 მილიონ კაცს გამოკვებავს. თურქმენეთში ბამბის წარმოება გაიზრდება 7—8-ჯერ.

გრანდიოზული სამუშაოები ხორციელდება ელექტროფიკაციისა და მელორაციის დარგში ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

საბჭოთა ხალხი შემკიდროებული რიგებით მიდის წინ, კომუნისმისაკენ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, კომუნისმის დიდი ხუროთმოძღვრის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით.



## ბიბლიოგრაფია

★

### 6. ნაკაშიძის — საბავშვო მოთხრობები. საბლიტვაში, 1950 წ.

6. ნაკაშიძის ამ კრებულში ოცდასამი საბავშვო მოთხრობაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოთხრობა „შეხვედრა მწერალთან“. ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეს საზეიმო სხდომა ალიკოს სკოლაშიც მოაწვეს. განუზომელია ალიკოს სიხარული, მან სიტყვით უნდა მიმართოს საყვარელ პოეტს, რომელიც სკოლაში მიიწვიეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე. ალიკო და ლალი სკოლისავე გაემართნენ. ტრამვაიში ამოვიდა მათთვის უცნობი მალაღი შევეკრემანი კაცი. ლალი მაშინვე ფეხზე ადგა და ადგილი დაუთმო. ლალის მოქმედებით ალიკო უკმაყოფილო დარჩა, ეს შეაშინა უცნობმა კაცმა. მან ლალის უთხრა: „დაჯექი, ვოგონა, ხედავ ამხანაგს არ ესამოთენა“. სკოლაში ირკვევა, რომ ეს უცნობი კაცი პოეტი ვიქტორი ქუჩინილი იყო. ალიკო ძლიერ განიცდის იმას, რომ მან თავიანთობა ვერ გამოიჩინა, და შინ მისვლისთანავე მამას უყვება, თუ რა შევეთხვა მას ტრამვაიში. იგი ინანიებს თავის საქციელს.

მოთხრობის მარტივი სიუჟეტი განვითარებულია დამაჯერებლად. ნათელ ფერებშია მოცემული ის სიხარული, რასაც მოსწავლეები განიცდიან ოქტომბრის ზეიმით. კარგად გვიხატავს მწერალი ალიკოს განცდის სხდომის შემდეგ. მისი სიტყვები: „მე დიდი დანაშაული ჩავიდინე, რომ ვერ შევასრულე მოსწავლეთა წესებში ჩაწერილი ვალდებულება, ვერაზობ ჩემს დანაშაულს“, ჩაფიქრებს ყოველ მოსწავლეს. მოთხრობის ზემოქმედებით ძალას აერთონა იმით მიაღწია, რომ ამბავი არ გაართულა, სიუჟეტი ზედმეტი დეტალებით არ დატვირთა და კონკრეტული შემთხვევა ბავშვებისათვის გასაგებ ფორმაში მოაქცია.

კარგია აგრეთვე მოთხრობა „ჩვენ დავიკარგეთ“. ბაბუა პატარა ლეოს ეზოში თამაშის ნება დართო. აქ მას რუსიკო დახვდა. რუსიკო და ლეო ვაერთნენ თამაშით, ბაბუას კი ჩაებინა. ამის შემდეგ ბავშვები ეზოდან ქუჩაში გავიდნენ. ქუჩაში გზა დაკარგეს და სახლს ვეღარ მივინგნენ. ბავშვებს მილიციის თანამშრომელმა დადი მჭრუნველობა გაუწია. ვინაიდან ბავშვებმა დიდი უთხრეს სწორი მისამართი, ის-

ნი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. იქ სასწრაფოდ გაირკვიეს ბავშვების ენაობა და მალე შეშინებულ მშობლებს დაუბრუნეს.

მწერალი ზემოთს ბავშვებისადმი უწყოვალ-უტრეობას. რუსიკოსა და ლეოს შიში, მათი მშობლების განცდები იმდენად კარგად არის გადმოცემული, რომ შეუძლებელია მან დიდი გაუღენა არ მოახდინოს პატარა მეთხველზე-სამწუხაროდ, ავტორი შიშის გრძობის გამოხატვაში ზოგჯერ აჭარბებს.

მოთხრობა „როგორი ბიჭი იყო თომა“, გადმოგვეცემს ასეთ ამბავს: პატარა ვოგის დედის აზრით, თომა საძველი ბიჭია. ტრამვაის ატეხა და ცუდი სიტუცებითაც მიმართავს მასზე უფროსებს. ამის გამო დედა წვილს უქრსალავს თომასთან თამაშს. მაგრამ სწორედ ამ „საძველელმა“ ბიჭმა ერთხელ დაღუპვის გადაარჩინა ვოგი. ეს მოხდა ასე: „ეზო, სადაც ვოგი და თომა ცხოვრობდნენ, დიდი იყო... ერთ დღეს ეზოში შემოვრიალდა საბარკო მანქანა. შოფერმა გაჩერა მანქანა და სადღაც წვიდა. ეზოს ბავშვები აცვივდნენ მანქანაზე და დაიწყეს თამაში. თომა არ იყო იმ დროს ეზოში. ერთმა ბიჭმა, კოტემ, დაიწყო მუხრატვის ტრაილი. უცებ მანქანა ახმურდა და ადგილიდან დაიძრა, ბავშვები ფაცხა-ფუცხით გადმოხტნენ მანქანიდან, მხოლოდ პატარა ვოგიმ ვერ მოახწრო გადმოხტომა და ყვირილი შორით. სწორედ ამ დროს ეზოში ვოგის დედა შემოვიდა, შეშინებული წვილიკეთილთ მივარდა ვოგის და შოკიდა ზელში ზელი, მაგრამ მანქანის ფიცარი მაღალი იყო, მან ვიდმოყვანა ვერ მოახერხა... მანქანამ თანდათანო-ნით უმატა სიჩქარეს... ზალბი სულგანაბული შესცქეროდა უმელოდ... ვივროდა საბარკო დედა... სად იყო, სად არა, გამოჩნდა თომა, გომოუღვა მანქანას... დაეწვეა, კო... ვერ დაეწვეა... დაიღუპა ბავშვი... ახლავე სვეტს დაეჯახებო... — ისმობდა ზალბი“ (გვ. 28). თომა მანქანას დაეწია და დაამუხრტუა იგი, რითაც ვოგი აშკარა სიყვილილს გადაარჩინა. ვოგის დედამ თომა თავის საყუთარ შეიღად აღიარა.

6. ნაკაშიძის მოთხრობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მოთხრობები: „ალიკოს გამეზავრება ვინმეზაში“ („ერთი ემიზოდი ილია ქაქუცაძის ბავშვობიდან“) და „ბავშვების გულითადი მეგობ-

ბარი“. პირველი მოთხოვნა დიდი ილიას ბავშვობის წლებს ეხება. აქ მიწვიდევლადაა მოცემული პატარა ილიას სახე. მკითხველს თვალწინ ეშლება საყვარელი მწერლის ბავშვობის წლები და რწმუნდება, რომ ისეთი ჩასათინა და განწყობილების ბავშვი, როგორც ილია იყო, არ შეიძლება დიდი ადამიანი და მოღვაწე არ გამოსულიყო. ბოდიონ ველოშვილის სახე (მოთხოვნა „ბავშვების გულითადად შეგობარი“) კონტრუბითაა მოხაზული, მაგრამ იგი შინც ცოცხლად წარმოგვიდგება.

ნ. ნაკაშიძის კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი ზღაპარი. თანამედროვე ზღაპარი ბავშვის ჯანსაღ ფანტაზიას უნდა ავითარებდეს. ავტორის ზღაპ-

რება სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. მაგალითად, ზღაპარი „მახობელს“ პატარა მკითხველს შრომის აყვარებს. ამ ზღაპარში ბავშვობის ბუნების სტიქიურ მოვლენებზე იმარჯვებენ.

ნ. ნაკაშიძის ზღაპრებში ბოროტს კეთილი ამარცხებს. („მკვდელი ჰკა და მეფე ოს“ და სხვ.). კეთილი გრძნობებისა და მისწრაფებების გამოხატველი ხალხია, ბოროტისა — მწავრულები, გაბატონებული კლასი.

წიგნი დასურათებულია ნიჭიერი მხატვრის შ. დაუშვილის მიერ. ილუსტრაციები კარგად გამოხატავენ მოთხოვნის შინაარსს.

მლ. აბრამიძე

კლ. გოგიაშვილი. შირხეულის ბანითადი, საბლიტბამი, 1950 წ.



სოფელი მერხეული სუხეშიდან 14 კილომეტრზე მდებარეობს. იგი რევოლუციამდე სხვა სოფლებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. აქაც ისე გაბირებულა და ვაი-ვაგაბით ცხოვრობდნენ, როგორც სხვა დანარჩენ სოფლებში.

დღეს მერხეული გარდაქმნილია, კოლმეურნეები შექმნილად, კულტურულად და სააშურად ცხოვრობენ. საკოლმეურნეო წყობილებამ უზრუნველყო კოლმეურნე გლეხობა შესანიშნავი აწყოითი და კიდევ უფრო უკეთესი მომავლით.

მაგრამ მერხეული ყველაზე მტკად იმით ამოცობს, რომ მან ქვეყანას მისცა საქართველოს საყვარელი შვილი, სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ლაერენტი ბავლეს-ძე ბერია.

„მერხეულის განთადის“ წაითხვისას მკითხველს თვალწინ დაუდგება სამამულო ომის წლების ომები. მთავარული კომკავშირელები მერაბ ამიშველი სისპუთა სპორტმა ვაიკეთი. იგი უაღრესად ერთგულია თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის.. ომის პირველ წლებში მერაბი ლეკობებს კითხულობს ინსტიტუტში, მაგრამ ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ადგილი ამ დროს ინსტიტუტში კი არა, ფრონტის ხაზზეა. იქ, სადაც სამკუთხე ადამიანები იარაღით ხელში იტყვენ სომხობლის.

ასრულდა მისი ნატრია. ამიშველი არმიის შტაბში გამოიძახეს. პირველად ფიქრობდა, რომ საკითხი ინსტიტუტის ევაკუაციას თუ შეეხებოდა, თუმცა ამის მომხრე არ იყო. „განი მართლა ასე ცუდათაა საქმე“, ნუთუ მოუხდება ინსტიტუტს თბილისიდან გაიზუნა? მაგ-

რამ რას ხედავს? იგი შტაბში მივიდა იმ დროს, როცა თათბირი ეს-ეს არის დაუშვავრებაათ.

ამიერკავკასიის დაღვის სტალინური გეგმის გამხორციელებელი ამიშველს გულთბილად მესვალმა, ოჯახიც მოაკეთა და რამდენიმე ალერსიანი სიტყვის შემდეგ საქმეზე გადავიდა, „რუკაზე დაიხარა“... და ფანქრის წყევით შეეხო იმ მწვერვალს, რომელზედაც მტერი იყო გამაგრებული. — „აი, აქ არის მტერი! — ხმა-მადლა წარმოსთქვა მან...“. მამსადამე საქიროა მტერი უღერტებოზევე იქნას განადგურებული. აქ, ამ მთების მწვერვალზე აღბინსტებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ...

მერაბი დედას. დიდ ადამიანთან შვირედ შეხედვრამ (პირველი შეხედვრა მოხდა 1937 წ. ოპერისა და ბაღტის თეატრში თბილისის ინტელიგენციის წინასაარჩევნო კრებაზე) მერაბზე წარუშლია შთაბეჭდილება მოახლენა... თბილისში მტერი ველარ შემოვა! — აი რა მოთხრა ჩვენი ხალხის სამაყიო შეღის მოსიყვარულე სახემ, ალერსიანმა ღიმილმა“. ამ იმედით, ამ რწმენით შეუდგა ამიშველი სალაშქრო მზადებას. დაეალებინამებრ ამონახულა თავისი ამხანაგები- ალბინსტები, შეკრიბა რაზმი, რომელსაც სუხეშიში წახვლისას მოახვედელთა ადგილობრივი გეოფიო შეუერთდა.

ავტორის მხატვრული სისადავით აქვს ყოველივე ეს აღწერილი. მერაბის ძველი და ახალი დღიურებით იგი ახერხებს ვადასცეს მოქმედი პირობის განცდები, მათი თავდადასავალი და უწინარეს ყოვლისა, დიდი ჭარბულის ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ეპიზო-



მან იფიქრა: „ჯერ უნდა გავიგო, ოჯახში რა მდგომარეობა აქვთ ამ უმწველებს და იმის მიხედვით მივეწველო მათ“ მასწავლებელი ზოგორღე მოსწავლის ოჯახში მიდის მშობლებთან მოსალაპარაკებლად, ზოგ მოწაფეს სკოლაში ეხმარება და ზოგსაც თავის სახლში იზარებს მდგომარეობის გამოსარკვევად. მაგალითად, კლიმენტე გავიო, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს — აკის მძიმე პირობები აქვს ოჯახში (დღედიან-ცულო ცუდად ეპყრობა). იგი მივიდა ბავშვის მამასთან და უთხრა: „მართალია, ის თქვენი შვილია, მაგრამ ჩემი მოსწავლეა, ამიტომ უფლებამოსილი ვარ და ვალდებულიც, ჩავერიო მის ოჯახურ ცხოვრებაში, როცა ეს აუცილებელია.“

საბჭოთა მასწავლებელი საყუთარი შვილივით ზრდის მოსწავლეს. ამიტომ, როდესაც მოსწავლის მამამ კოტემ მადლობა გადაუხადა შვილზე ასეთი მზრუნველობის გამოჩენისათვის, მასწავლებელმა უპასუხა: „...მე გულისხმობდა მონელებარი არა მარტო თქვენს შვილს, არამედ ჩემს მოსწავლეს, მამასადამე, ჩემს შვილსაც“.

აეტორს მოთხოვნაში გამოყავს ერთ-ერთი საბჭოთა სკოლის ორი მოსწავლე — რეზო და კახა. რეზო — ხუთოსანთა შორის უძლიერესია, იგი ნიჭიერი, ზრდილობიანი და მეტად ფაქიზი ბავშვია. სკოლის დირექტორი ასე მიმართავს რეზოს დღეას: „ნეტავი თქვენ, რომ ასეთი შეთლი გყავთ“, რაც აეტორს შეეცვლილი სახით მოთხოვნის სათაურადაც აქვს გამოყენებული. საბავიერად, კახა ჩამორჩენილია სწავლაში; ზარმაცი და უღარდელია. კლიმენტე კახას უჩივია, რომ მისულოცო სწავლის ფრიადოსან რეზოსთან და ეთხოვა მისთვის დახმარება. კახა მივიდა რეზოსთან. ისინი საუბარში ჩაებნენ. კახა გაოცებული დარჩა ამხანაგის ცოდნით, „თეთონი კი გაცეთილის დასწავლაც ვერ მოუხერხებია“. რეზო უყვება კახას წაკითხული წიგნების შინაარსს. კახას ანეციფერებს ზოიას მიერ ჩადენილი გმირობა. მას ვერ მიუგნია იმ წყაროსათვის, თუ რა აძლევს საბჭოთა ადამიანს ანდენი გმირობის, თავდადების და გამძლეობის ძალას. რეზომ მოაგონა მას საბჭოთა კავშირის გმირის ლურსმანაშვილის სიტყვები: „გმირი რომ გახდეს, გული ანთებული უნდა იყოს სამშობლოს სიუყვარულით“. ზოიასაც ამ სიუყვარულმა მისცა ანდენი ძალა. რეზო საუყუეთესო მოსწავლეა, მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს, ჭადრაკს თამაშობს, კინოშიც დადის. სულ სხვაა კახა. ის არც სწავლობს და არც გონივრულად ატარებს დროს. სწორედ ეს აღუღვებს რეზოს: „ახალგაზრდა გვარდის“ გმირები ბრძოლის ქარცეცხლში გმირულად მოქმედებენ, ჩვენ კი სწავლაშიც ვერ მიგვიღია გმირობა და მიუთითებს ლ. ბერიას ცნობილ

სიტყვებზე: „მოსწავლის გმირობა და სიმამრე ფრიადზე სწავლა“.

რეზო ეხმარება კახას სკოლაში უმწველესი მასლის დასწავლაში, რის შემდეგაც მასწავლებელმა კიდებლად იწევს ამოცანებისა და მავალითების ამოხსნას, გაცეთილების დასწავლას, მხატვრული ლიტერატურის კითხვას. მაგრამ სწორ განზე დადგარი კახა მალე ისევ გულის აი-ცრუებს სწავლაზე. მასწავლებლის შეკითხვაზე, თუ რა მოსდის მას, რატომ ღებულობს ორი-ნებს, მიზნად მამის ავადმყოფობას ასახელებს. რეზო კი გამოარკვევს, რომ კახა დადიოდა ერთ ამხანაგთან და მასთან ერთად ველოსიპედით დასიერნობდა ქუჩაში. რეზომ დაარწმუნა კახა, რომ იგი ცუდად იქცევა. იმავე საღამოს კახამ დღიურში ჩაწერა: „15 აპრილი. რეზომ მე ამხანაგი ბერიკ მყავს, მეგობარი კი შენს მეტი არავინ“.

აეტორი ერთ ადგილას გავიროთ წერს კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მაგრამ მოთხოვნაში არ ჩანს კომკავშირის მზრუნველობა კახას მიმართ, მით უმეტეს, რომ კახა კომკავშირელია. ნუთუ თხუთმეტი დღის განმავლობაში რეზოს გარდა არავინ დანტერესდა კახას მდგომარეობით? რატომ მასწავლებელი, რომელიც აქამდე ასე გულისხმობდა ეუბრიბოდა კახას, არ მივიდა მის ოჯახში, ან დედა სკოლაში? მოშობელსა და მასწავლებელს შორის მანამდე დაყარებული მჭიდრო კონტაქტი ახლა აღარა ჩანს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ავადმყოფობის გამო რეზოს აერძალული ჰქონდა ბუროთის თამაში. მაგრამ ერთ დღეს იგი ჩაერიო თამაშში. დედა შეაშფოთა ამ ამბავმა: ისევ ავად გამიბეჭება, თუ არ მოვაშლევინებ თამაშსა, და გადაწყვეტს სკოლის დირექტორთან მისვლას. მაგრამ არა პირით მივიღე დირექტორთან, — იფიქრა მან, — მას შეიძლება მოსწავლე ჰყავს სკოლაში და უფლის, მე რაგორ ვეთხრა, — ერთი შეიღო მყავს და იმასაც ვერ მოუარე-მუთქი. ჩემი შეიღია, მაგრამ... მისი მოწაფეა, უსათუოდ მივალ მასთან! მოშობლისა და მასწავლებლის ერთსულოვანი მოქმედება, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი სკოლისათვის, ვერაა მოთხოვნაში ბოლომდე განვითარებული. მხოლოდ რეზოს წყალობით კახა ისევ ფრიადოსანი გახდება.

მოთხოვნის ენა ნათელი და სადაა. მიუხედავად ამისა, ნაწარმოებს მიანიც ვაჩინა ზოგიერთი შეცდომა. აეტორი ზმირად იყენებს ძველი ქართლისათვის დამახასიათებელ მითს-ზღვრულ — საზღვრულის შეზღუდვებულ წყობას. მაგ. „სიტყვა მართალი და საქმე გმირული“ (ი. ზ. 56). ზმირად ვახელებს ორმაგი უარყოფა: „შვილს თვლი ვირსად ვერ მოვიკრ“, „არასოდეს არ ვახარებია“ და სხვ. არა სწორადაა ნაწარმოები თერმეობითი პირველის ფორმები:

„მოუბედია“ (უნდა იყოს „მოუბედავს“) „შეუბედინა“ (უნდა იყოს „შეუბედავს“), „უპასუხისა“ („უპასუხია“) და სხვა.

ორიოდე სიტყვა მხატვრულ გაფორმებაზეცნობილია, რომ სურათი და ტექსტი უნდა ავსებდეს ერთმანეთს. სურათი უნდა ასახავდეს იმას, რაც არის ტექსტში მოკეპული. წიგნის დასურათება ექუთონის მხატვარ გ. გორდელაძეს. პირველ სურათში ტექსტის მიბედვით რეზო და კახა მეგობრულად კამათობენ წყითახლის შესახებ. სურათი სხვას გვეუბნება: კახა დაარცხენილი ძირს იხედება, რეზო კი,

თითქოს, სასტიკად ტექსტს მას. კარგია მეორე სურათი. მესამე სურათის კომპოზიციურადულში გაშიდვებისა და ცხატ: მხატვრული სახეების ჩვენება მხატვარს კარგად აქვს წარმოდენილი. მაგრამ ნახატს ვაჩნია ნაკლი. ტექსტით კახას „მოქნილი მუშტი ჰაერში შერჩა.“ სურათში კი ხელი ძირს აქვს დაშვებული.

მოუბედავად ამ ზოგიერთი ნაკლისა, მ. ადამიას მოთხრობა „ნეტავ, შენს დედას“ ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის კარგი შენაძენია.

ალექსი გოლძვაძე

6. ინასარი — დრამა წითელ მდინარეზე, რომანი, „საბჭოთა მწერალი“, 1950 წ.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანდ შეიცვალა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალთა თანაფარობა, დიად ვიზარდა და ვანტიციდა მშვიდობისმოძრეთა ბანაკი. მას დლითდღე უერთდებთან კოლონიური და ნახვგრაიდკოლონიური ქვეყნების მშრომელები.

ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ თანავრძობით აღევნებს თვალს მთელი პროგრესული კაცობრიობა. საბჭოთა ლიტერატურაში არაერთი ლემსი და მოთხრობაა დაწერილი ამ თემაზე. წიკო ინასარის რომანი „დრამა წითელ მდინარეზე“ ამ თემას ეხება.

სამოლო სკოლის უცანასკნელ კლასებშივე გამოვლინდა ორი ფრანგი მეგობრის ეტარისა და ედმონის მისწრაფებათა სხვადასხვაობა. ეტარაი მშრომელ ხალხს მსურვალედ თანავერძნობდა და მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის სამარცხენო დამარცხების შემდეგ პარტიზანებს მიემხრო. ედმონი დალადაეს მოლატერი მთავრობის, ხოლო შემდეგ მარშალ პეტენის ხელისუფლების თავგამოდებული დამკვეთი გახდა. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა ლუციასთან დამოკიდებულებამ: ლუციას ეტარაი უყვარდა. ედმონი ამას ხედებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქალის გული მოეცო. რომანის დასაწყისშივე ეცნობით ლუციას მამის, ვემს რამონის დემოკრატიულ შეხედულებებს, მის მისწრაფებას — უანგაროდ ემხატუროს ხალხს. ამ ადამიანთა ცხოვრების ფონზე ავტორი მხატვრული სახეებით გვიჩვენებს, თუ როგორ საზიზღრად უღალატა დალადაეს მთავრობამ მეორე მსოფლიო ომში ფრანგ ხალხს, როგორ მხაკვრულად მიჰყიდა თავისი ქვეყანა ჰიტლერულ არამხადებს.

ჰიტლერელები ბელგიის მხრიდან დაბრკოლებლად შემოიჭრნენ მაეინოს ციხე-სიმაგრეში, დაბევევეეს ფრანგი ჯარისკაცები და ხალხს მონობის უღელი დაადგეს. რამონს, როგორც პროგრესულ პიროვნებას, დიდი საფრთხე მოელოდა და გადარჩენის მიზნით საშობლდდან გადაიხვეწა.

ფრეიკის დამონებული ხალხების ცხოვრების მავალითვე ავტორი ვევიხატავს იმპერიალიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის საზიზღრობას. ფრანგი დამპყრობელები უმავალითოდ ტანჯავენ ადგილობრივ მოსახლეობას, უწევენ საშინელ ექსპლოატაციას. ასეთი კაცობითდღე დამპყრობლების ტიპიური წარმომადგენელია ვილმაიე. „მე აქ კოლონიზატორი ვარ და ნახვი ჩემი ნანა-პირჩილია, სხვას არა ვკითხვობ... ამა სად ჩვენ და სად ისინი? მათ ვინ რას ვკითხვობა? მათთან სალაპარაკო ენა აი, ესაა! — გააქჩია კოლონიზატორმა მსხვილი მთარაბი, — მე ზანგებთან ცერემონიები არ მიყვარს“. ვილმაიეს ასეთ აღვირახსნილ მოქმედებას ზურგს უმაგრებს საფრანგეთის რეაქციული მთავრობა. ვილმაიე მალე დაწინაურდა, — პოლიციის წოდება მიიღო და ვიეტნამში საფრანგეთის საექსპედციო ჯარების მთავარსარდლის გენერალ დეკობრას ადიუტანტი გახდა.

გენერალი დეკობრა სისხლიანი წარსულის მქონე პიროვნებაა. მან ვიეტნამელები „მონებად გამოაცხადა და ამუშავებდა, როგორც უნდოდა. ვინც მის წინააღმდეგ წავიდა, ჩამოახრჩობინა, ზოგიც კატორღაში ვაავზავინა, ბევრიც წამებით მოაკვლევინა... ყველა ამისათვის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ მას წარჩინება მისცა. — იგი მთელი ვიეტნამის მმართველად დანიშნა“.

გენერალი დე-კობრა სულიერად დაცემული ადამიანია. იგი მხად არის ყოველგვარი სისამავე-რზე ჩაიდინოს, თღონდ არ გაიგონ წითელ მდინარეზე მომხდარი დრამა, რომლის დროს ფრანგმა პარტიოტებმა გაგლიტეს გესტაპოელები, დეგოლელები, საოკუპაციო ნაწილების ჯარისკაცები და აჯანყებულ ვიეტნამელთა მხარეზე გადაედგნენ.

ჯერ აფრიკაში, ხოლ შემდეგ ვიეტნამში გადახვეწილმა რაიზონმა საკეთიარი თვლით ნახა ფრანგ კოლონიზატორთა უსამართლობა. იგი კიდევ უფრო აქტიურად ამოუდგა მხარში დამონებულ ხალხს და მოახალხო მანს ყოველმხრივ ეხმარებოდა. მისი უშუალო მონაწილეობით ტყვეობიდან დახსნილ იქნა თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი, ზანგი კომუნისტი პრაიმი.

ავტორს კარვად ექვს აღწერილი მათი განმორცება. პრაიმი რაიზონს უჩვენა პარტიული ბიულეთი, რომელზეც კოლონიურ ხალხთა დიდი მტკბარის სტალინის სურათია ამოჭარგული.

„...მთელი დამაქვს და ვანა მარტო მე! მთელი აფრიკის ჩაგრული ზანგები სტალინის იმედით ცოცხლობენ...“

— მე ახლა მესმის, თუ შენ ჯაქვით დამბუღე, დამოკილი, რატომ იყავი ისე ამაყი და გაუტეხავი... — რაიზონმა სტალინის სურათი დაუბრუნა პრაიმს. — გაუფრთხილდი ამ საუნჯეს, ეს გვაძლევს ძალას, ეს გვაუტოიანებს ადამიანებს და ხალხებს ბრძოლებში ბედნიერი მომავლისათვის... მე ამ რწმენამ მომიყვანა შენთან, ამ შთაგონებით ავსხენი ბოიკალი. ეყოთ მისი იმედით, ვიარით მისი გზით... ამ სიტყვებში რაიზონის მთელი სიბოგნის შინაარსია გადმოცემული. იგი გაბედულად წავიდა სტალინის მიერ ნაწყენები გზით, შეუერთდა აჯანყებულ ვიეტნამელებს და სიცოცხლის დღეუფავად იმბრძოდა მათი გამარჯვებისათვის. რაიზონის სახით ავტორმა დაგვიხატა ფრანგი ხალხის ერთგული შვილი, პროგრესული მოაზროვნე და ხალხის ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი.

მსგავსი იდეური მისწრაფებები ახასიათებს ევარას. იგი ფანსისტური ოკუპაციის წლებში პარტიზანი იყო და მედგრად ემბრძოდა პიტლერელ არაშესაღებს. ახლა მის სამშობლოში ფანსისტების ადგილი ინგლისელებს — ამერიკელებს დაშპრობლებსა დაიკავეს. იგი ვიეტნამში გაემგზავრა და რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა. აქ მან გმირობა გამოიჩინა, დაშპრობლებს დიდი შანი მიჰყვანა. ამით ცხადად დაადსტურა რომა ერთგულება და სიყვარული ვიეტნამელი ხალხისადმი. როგორც რაიზონი, ისე ევარა ფრანგი ხალხის ნამდვილი შვილები არიან. მხოლოდ ისინი გამოხატავენ თანამედროვე პროგრესული საფრანგეთის მისწრაფებებსა და სასიცოცხლო ინტერესებს. მხოლოდ ევარასა და რაიზონის მსგავსი ადამიანები, კომუნისტური

პარტიის დროშისქვეშ დარაშმუღი პაპის მგერობლები წარმოადგენენ ფრანგი ხალხის საკეთესო რვეოლუციური ტრადიციების უწყვეტ გულ განმგრძობებს. საფრანგეთის რევოლუციური მომავალიც მათ გვუთვით!

ავტორი ზშირად ლაგონერად, სულ ორიოდ დამახასიათებელი შტრიხით გადგვავს: „...მა თუ ამ მოუღენის, ასეთია, მავალითად, ინგლისელი ოფიცრის ამოსვლა გემ „პურკუპა“-სკამან ფრანგ პოლკოვნიკს დაეალება მისცა და თვის მზღებლებს ირონიულად მიმართა: „გავიდეო ჩქარა, რა უსუფთოთაა. მერწმუნეთ, რომ ფრანგები ნახევრად ახივლები არიან...“ ეს ფრანკა ოფიცრმა ისე ზიხლით, ისე დამამცირებლად წარმოიტყვა, რომ შეიხვედრისათვის ნათელი ხდება ინგლის — საფრანგეთის დღევანდელი ურთიერთობა. „საფრანგეთიც მათა კოლონია არაა? — ამბობენ ფრანგი ჯარისკაცები და ინგლისელი ოფიცრის საკვიეღაც მათა ნათქვამის მკაფიო ილუსტრაციაა. ასეთივე ადგოლა კუნძულ მალტის მახლობლად „პურკუპა“-სთან ინგლის—აფრიკის საშუედრო გემების შეხვედრა: ოკეანეში ამაყად მოძრაობენ ეს გიგანტები და მათ მიერ ამთავრებულ ტალღებში „პურკუპა“-ს პატარა ნავოტიეთი ქინაობს, „თითქმის ვა ეუბნებოდნენ: „მე უბედურო, რას გვემბრები, რა ჩვენი ტოლი ხარო“. „პურკუპა პაკ“ ამ შემოხვევაში ზომ დაბეჩავებულა საფრანგეთის სიმბოლო! ან ვენერალ დე-კობრას გამოცხადება ადმირალ ვილსონთან. ფრანგი ინგლისელს მოსახსენებლად „წარუდგა, მაგრამ იგი ვილსონმა შეაჩეხა და მის ვერადიო მღვთმ შვერთებელი შტატების ფლოტის აღმირალი უეიკე მითითა—ქ როგორც ჩემი, ისე თქვენი უფროსი ადმირალი უეიკე ვახლავთ, მის მოახსენეთო. ამეჩიველმა შებლშექმუხენით მოისმინა ამ ხელქვეითის სიტყვები და ვენერალი დატუქსა კიდევ ამერიკისადმი ფრანგთა მიერ გამოჩენილი ნაკლები ერთგულებისათვის. რომანის ეს ადგილი მკაფიოდ ასურათებს ამერიკული იმპერიალიზმის მტყებელურ ბუნებას, მის პოლიტიკას სხვა იმპერიალისტური სახელშეიფოების მიმართ.

რომანს ახასიათებს რამდენიმე არსებითი ნაკლებება. მწერალი ზოგან დაღატობს მხატვრობას და სახეების შექმნის ნაცვლად შშირალ მსაგელობაზე გადადის. ამგვარადა აღწერილი რაიზონის მოგზაურობა კუნძულ მადაგასკარზე, ინდოეთის ფრანგულ ნაწილში, ჩინეთში. აქ ავტორი გაურბის რომმედ პირთა ხასიათებს მხატვროულ ვახსნას. რომანის პერსონაჟები მეტად ერცულ ტერიტორიაზე მომწეიდნენ: მათი საქმიანობა იწყება საფრანგეთში, გადადის აფრიკაში, მადაგასკარზე, ინდოეთში, ჩინეთში და მოაგრდება ვიეტნამში. ავტორიყ ამის შესაბამისად ცდილობს ყოველივეს შეგებს, ყოველივე თქვას. ეს კი რომანს ზედმეტა ამბებით ტვირთავს, უარ-

ყოფითად მოქმედებს მის მილიანობაზე და ანუ-  
ლებს სიუფერს განვითარებას.

კოლონიურ ქვეყნებში გაჩაღებული ბრძოლები  
დამპყრობთა წინააღმდეგ მეტად მწვავე ხასიათი-  
საა და უამრავ მსხვერპლს მოითხოვს. ავტორი  
ამ გარემოებას რატომღაც ვეერდს უფლისა და თა-  
ვის მოქმედ პირთა საქმიანობას შედარებით  
იოლი გზით წარმართავს. ფინალში მხოლოდ  
რეაქციული ელემენტები არიან ჩაყარნილი სა-  
ცვლალ მდგომარეობაში, ხოლო ევროპა, ლუ-  
არა, რამონი, პრიაი, მინზიანი გამარჯვებული  
და გახარებული არიან თავიანთი წარმატებით.  
ასეთი ფინალი ხელეწიერია, სინამდვილისაგან  
არ გამოდინარეობს: მათ ხომ ჯერ კიდევ მრავ-  
ალი ბრძოლა უნდა გადაიხადონ საბოლოო  
გამარჯვების მიზალწივად!

ნაწარმოებში მოიხილება ხელეწიერად შექ-  
ნილი ეპიზოდები, მხატვრულად მძაბრად აღგი-  
ლები. ასეთია, მაგალითად, ტანშიქქელის კოშახის  
მისვლა გენერლის თვახშირ-ტექქინისა და სი-  
ზის მიერ თავიანთი თავის დაჭრისა და ტერე-  
ზასთან გამოცხადების ინსცენირება, ევროპისა  
და ლუციას შეხვედრა ჯერ გემზე, შემდეგ პა-  
ტიმარობიდან ლუციას დახსნის წინ და სხვ. მილ-  
პიეს კორპოდ გადაქციების გამოვლინება მშრ-  
აღდაა ილწურილი და მკითხველებზეც ნაკლებ  
შთაბეჭდილებას ახდენს. საერთოდ, კარგი იქ-  
ნება, თუ ავტორი შემდეგშიაც განაგრძობს მუ-  
შობას რომანის დეფექტების აღმოფხვრაზე.  
ცალკეული ეპიზოდების მხატვრულ სრულყოფაზე.

პავლე კოსტინიძე

**ნუნუ ხოშერიძი: ილია შავვაშაძის სახლი საფარამოში. საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემა, 1951 წ.**



პარტიისა და მთავრობის 1949 წ. 4 აგვისტოს  
დადგენილებით საფარამოს ილიასეული სახლი  
მისივე სახელობის სახლ-მუზეუმად გადაკეთდა  
და გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ლიტერ-  
ატურულ მუზეუმს. ნუნუ ხოშერიძის წიგნი,  
რომელიც ილია ქაეჭავაძის ახლადმოწიბულ  
სახლ-მუზეუმის ერთგვარ მეგურის წარმოად-  
გენს, მეტად სასარგებლო და საჭირო წიგნია.  
აგა ბევრ შემთხვევაში სცილდება მეგურის  
ფარგებს და ნარკვევს უახლოვდება.

წიგნში მოცემულია საფარამოსა და გურამი-  
შვილების გვარის შესახებ საკმაოდ ამოწურავი  
და სულელოანი ცნებები. თავსებულება საფარ-  
ამოსთან დაკავშირებით მცხეთის სამეფოს პე-  
როოდის საქართველოს ისტორია და ის ბრძო-  
ლები, რომელსაც საქართველო მაშინ უცხოეთის  
აგრესიულ ძალების წინააღმდეგ აწარმოებდა  
თავისა ერთგული არსებობის დასაცავად. მკითხ-  
ველი ზედვის, რომ საფარამოს მართლაც მდი-  
დარი ისტორიაა ქმნილი. თავები: „საფარამო და  
მისი წარსული“, „გურამიშვილების გვარის შე-  
სახებ“ და „დავით გურამიშვილი“ დიდი ინტერე-  
სით იკითხება. ამ თავებში მოვროვილი და სის-  
ტემაში მოყვანილია ზოგი ცნობილი და ზოგიც  
ნაკლებ ცნობილი ისტორიული ამბები გურამი-  
შვილების გვარზე.

საფარამოს მამულში ილიამ ორჯერ 1874 წ.  
და 1894 წელს ააგო სახლი. ავტორი სარგებ-  
ლობს იკავებ მანსკეტაშვილის შემუშავებით, სა-  
ხელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონ-  
დებით და სხვა წყაროებით. საფარამოსთან და-

კავშირებით ავტორი ბევრ შემთხვევაში ავსებს  
ილია ქაეჭავაძის მდიდარ და საინტერესო ბიო-  
გრაფიას. წიგნში ბევრი ახალი ცნობებია განსა-  
კეთრებით საფარამოელი გლეხების მიერ გახ-  
სენებული, რაც დღემდე მკითხველთა ფართო  
საზოგადოებისათვის არ ყოფილა ცნობილი.

განსაკუთრებით ამოწურავად არის შედგენი-  
ლი თავი: „ილია ქაეჭავაძე და საფარამოელი  
გლეხები“. რომელიც თვით ამ გლეხების მოგო-  
ნებებს შეიცავს. ამ ილია წარმოდგენილია რო-  
გორც გლეხთა ნამდვილი მოხარწვე, მეგობარი,  
მათი ინტერესებისათვის მზრუნველი და მებრ-  
ძილი, გახსენებულია თავად-აზნაურთა კრებაზე  
ილიას მოთხოვნა, რომ გლეხები მიწიანად ყო-  
ფილიყენენ განთავისუფლებულნი და ის ალია-  
ქოთი, რომელიც ამან გამოიწვია მაშინ თავად-  
აზნაურებში. შემდეგ ნაჩვენებია საფარამოელი  
გლეხებთან ილიას გულითადი დამოკიდებულებ-  
ის მრავალი შემთხვევა. ავტორის უტყუარი  
წყაროებით და დამაჯერებლად აქვს გადმო-  
ცემული, რომ მთელი თავის ცხოვრების მან-  
ძილზე ილია დაკავშირებული იყო გლეხობას-  
თან, მოსწონდა მათი ზალისი სიტყვა-პასუხი,  
სიღრმისილე და პატოსისება. წიგნში მოყვანი-  
ლია ი. მეუნარგაის ჩანაწერი, რომ აყოველ გა-  
მოლაპარაკებისას გლეხებთან ილია საზრდობა-  
და მათი სიტყვიერებით, დღეს ამადამ გლეხმა  
ესდაეს ახალი სიტყვა შემძინაო... მოყვანილია  
ავტორზე ილიას ისტორიული სიტყვა წინამდ-  
ვარიანთ კარის სკოლის გახსნის დროს წარმოთ-  
ქმული. მხოლოდ ამ საინტერესო თავს. იხე



როგორც ზოგიერთ სხვა თავსაც, ერთი ნაკლი აქვს, წიგნში მოყვანილია მარტია თანდლაშვილთან ილიას საინტერესო ბაასი, ბრმა ალექსი უნდლაშვილთან ილიას შეხვედრისა და გამოსაუბრების ამბავი, გლეხი ხატო ცვიშვილის ნათქვამი და სხვა, მაგრამ არა ნაჩვენები ამ მასალების წყაროები. მკითხველს ვერ გაუგია, საიდან არის მოტანილი ეს ცნობები.

თავი — „ილია ქავეკავაძის მეურნეობა საგურამოში“ კარგად გვიჩვენებს ილია ქავეკავაძის დაინტერესებას სოფლის მეურნეობით.

თავეში „ილია ქავეკავაძის სტუმრები საგურამოში“ და „ილიაობა“ ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელი ბევრი საინტერესო ამბავი მოყვანილი, მაგრამ შეიძლება იყოს ამ თავების უფრო საყურადღებო მასალით გამდიდრება.

ილია ქავეკავაძის სიკვდილის წინა წლებსაღმი მიძღვნილი თავი ბევრ უცნობ მასალას შეიცავს. აქ კარგად არის წარმოდგენილი ილიას დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმურობს ილიას ინტერესი მაშინდელ პეტერბურგის ეურნალისტებთან, სადაც ნათქვამია: — „სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავდაზნაურობამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგი ამომრჩეველნი, აქაურ რუსთა აზნაურნი, დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური იურიდიული მხარეა. არ დავმალავ და ვიტყვი — საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვაქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ძალისხმევას“.

ეს ინტერესი, ისე როგორც სახელმწიფო საბჭოში მისი პოლიტიკის მთელი რიგი სხვა ამბები, დღემდე უცნობია მკითხველთათვის. მის ბიოგრაფიაში არ არის აგრეთვე შესული სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიას გამოსვლა, ილია ქავეკავაძის კრი-

ტიკა სახელმწიფო საბჭოს შინა განწყობის პროცესისა და ილიას ხელის მოწერა სახელმწიფო საბჭოში მამულების გულუბნობისთვის ნუგლატკის შესახებ. ილია სახელმწიფო საბჭოში ჩვენი ალტერის დახასიათებით ასეა შეფასებული: აგრარულ საკითხში თანხაა იძულებითი ჩაბოროტებისა, მომხრეა ფართო ადგილობრივი თვითმართველობისა ფართო ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების. უცნობია აგრეთვე წიგნში მოყვანილი ი. ზურაბიშვილის ნააშკარა სახელმწიფო საბჭოს შესახებ. ილიას უთქვამს: — „უნდა გენახათ ეს დაჩაბნეული ჩინონსები, როდესაც ისინი „ზოგი ცარია ხრანის“ მღეროდნენ, ელექტროლაპებით ალაპაპებულნი მელიტები, „მორიხებულისადმი“ ყმური ქვეშევრდომული ექსტაზით აღუყინებელი სახეები, აცრემლებული მიმწარლი თვალები, კბილბჩაკიანი პირები, ყოველივე ეს ერთად აღებული გამოსცემდა რაღაც უცნაურ ზმას საცოდაობისა და გაწირულებისას. ვადავებდე ამ საშინელ საცოდაობას და გულში ვსთქვი — ვაი იმ სამეფო ტახტს, რომელიც ასეთ ბურჯს ეყრდნობა-მეთქი“. აი მშვენიერი დოკუმენტი იმისა, თუ რამდენად მაღლა მდგარა ილია სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებზე.

ბოლო თავებია „ილია ქავეკავაძის მკვლელობა და დასაფლავება“ და „ასი წლისთავი ილია ქავეკავაძის დაბადებიდან“. პირველში არ არის გახსენებული კავკასიის მაშინდელი მთავრობის დებუმა სახელმწიფო საბჭოსადმი ილიას მკვლელობაზე ორი საათით ადრე გაგზავნილი. მეორეში კარგად არის დასაბუთებული, რომ ილიას დიდი ამაგი ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის წინაშე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეესაძლოა ღირსეულად. ამის კარგი ილუსტრაცია იქნებოდა, წიგნს რომ დართოდა ილიას ნაწარმოებების გამოცემათა ბიბლიოგრაფია საბჭოთა ხელისუფლებამდე და მის შემდეგ.

### 3. მიჯნა

მაგია ღუშბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე.  
აპარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1950 წ.



დიმიტრი ბაქრაძე ქართული ისტორიული აზროვნების თვალსაზრისი წარმომადგენელია. მას, როგორც ილია ქავეკავაძე აღნიშნავდა, „მადლობელი ვაი და დაეღობული ქვეყანა თავის დღეში არ დაიფიქრებს თავისთა სახელოანთა კეთა შორის“. ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღ-

ვაწილობის უმეტესი დრო დ. ბაქრაძემ თურქ ბარბაროსთა მიერ მიტაცებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ძეგლების შესწავლას მიუძღვნა.

მ. დუმბაძის წიგნი წარმოადგენს დ. ბაქრაძის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველ მონოგრაფიას. იგი შესდგება ორი თავისაგან. პირველი თავი გადმოგვცემს დ. ბაქრაძის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას, ხოლო მეორე თავში მოცემულია მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ზოგადი დახასიათება.

პირველი თავის პირველ ნაწილში მ. დუმბაძე მოკლედ მიმოიხილავს დ. ბაქრაძის ოჯახურ მდგომარეობას. განსაკუთრებით საყურადღებოა იმდროინდელი სკოლის აღწერა, სადაც უხელოა სწავლა მომავალ მეცნიერს. 9 წლის დიპტირში სწავლა დაიწყო სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1841 წელს წარმატებით ჩაბარა გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიის.

სასულიერო სემინარია იყო ტენის გამოცემული საგნებით („საღვთო სჯულთ... ლეთისმეტყველება“) გადატვირთული სასწავლებელი, რომელიც ეკლესიის მოხელეებს ამზადებდა და რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი სამართლიანად აღნიშნავდა: „ის აძილებდა ადამიანს შეეთვისებინა მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რაც თავს სტენავდა და რაც ახალგაზრდა თაობას ერთ ყალიბში გამოფარად მოხელეებად აქცევდა“ (ვ. ი. ლენინი, „ახალგაზრდობის კავშირთა მოცულობა“, 1946, გვ. 6).

სემინარიის დამთავრების შემდეგ დიპტირი სწავლას განაგრძობს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, ხოლო ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოდის საქართველოში და იწყებს მუშაობას უბრალო მოხელედ სინოდის კანტორაში. „ამავე დროს მან რადენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „კავკაზში“, რითაც საზოგადოების ვარკვეული ვაგუფის ყურადღება მიიპრო“ (გვ. 12 — 13).

მ. დუმბაძე ზოგადად გვაცნობს, თუ რა მდგომარეობაში იყო ამ დროს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე და მოგვითხრობს დ. ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი ნაბიჯების შესახებ. საქართველოში, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამო ისტორიული ძეგლები ვერ ვითარდებოდა; რამდენიმე ქართველი მეცნიერი უშაატრესად რუსეთში მოღვაწეობდა, რადგან სამეცნიერო დაწესებულებები მაშინდელ საქართველოში არ არსებობდნენ. დ. ბაქრაძემ „თავისი მოღვაწეობის საგანად შობილიური ხალხის ისტორიის შესწავლა-აჩრია და მთელი თავისი შევსებული ცხოვრება ამ საქმის მოახარა“ (გვ. 19).

საინტერესოდ არის მოთხრობილი დ. ბაქრა-

ძის ურთიერთობა გამოჩენილ მეცნიერ მარია ბროსესთან, რომელიც დ. ბაქრაძეს ნუმეცნიერო-სამოღვაწეო ასპარეზზეც [გვ. 12-13] უხელო სიტყვებით შეეცხება: „... მეორეთა გამოდგომ, ბატონო, ამისათვის, რომ საქართველო გიყვარს, და მის ისტორიის და სიტყვიერების მარებელი ბრძანდებით“.

მეტად ნაყოფიერი იყო დ. ბაქრაძის მოღვაწეობა ქუთაისში. იქ იგი სათავეში ჩაუდგა პატრიოტულ-კულტურულ მოძრაობას და გახდა მთავარი ინიციატორი იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის „კალმასობის“ გამოცემისა. ამ თხზულების გამოცემა ხელს შეუწყობდა ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაზე მაშინ ზოგიერთ წრეებში გავრცელებული უარყოფითი შეხედულებების გაფანტვას“ (გვ. 23). დ. ბაქრაძე განსაკუთრებული ყურადღებით არჩევდა „კალმასობის“ ამ ადგილებს, სადაც კულტურული მემკვიდრეობის შესახებაა მსჯელობა. „ბაქრაძის თაოსნობით „კალმასობის“ გამოცემის ფაქტი იმ დროის ქართველი საზოგადოებრიობის კულტურულ-საგანმანათლებლო და ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 27).

დ. ბაქრაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაცნობისათვის, მისი მსოფლმხედველობის სისრულით გაგებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი პროგრესული იდეების გაცნობასაც. ზ. კეიხანაძის გადმოცემაზე დაყრდნობით, ავტორი მკითხველისათვის გასაცემს ზღის დ. ბაქრაძის დამსახურებას 1866 წ. გაზეთ „დროების“ დაარსებაში. იგი ამ გაზეთის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო. მეხუთე ნომრიდან ამ გაზეთში იგი ათავსებდა ვრცელ წერილებს სათაურით — „ისტორიული მოძრაობა განათლებებისა“. ამ წერილებში ბაქრაძე გამოხატავს პროტესტს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ცხოვრების უფარვისობის დასამტკიცებლად დ. ბაქრაძე მაგალითისათვის იძლევა მაშინდელი ევროპის ბურჟუაზიული წყობილების ზოგად სურათს. იგი წერს: „მაგრამ ჩვენ რას ეხედავთ ცივილიზაციით მოქაიდულს ევროპაში? — დიდძალი თუმშახალი პირტუტულს მდგომარეობაშია“. თუმცა მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრების ზოგადი გაშუქება „არ იყო გამაჯილებელი კლასობრივი ბრძოლის თეორიის თვალსაზრისით“, მაგრამ ჩვენთვის მაინც ცხადია, რომ დ. ბაქრაძე იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებების მქონე იყო.

შემდეგ მ. დუმბაძე იძლევა ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორი გაშუქობილებით შეხვდა

ქართული კრიტიკა დ. ბაქრაძის „ხუთ რვეულად“ განზრახული „ისტორიის“ „პირველი რვეულის“ გამოქვეყნებას და იმ მიწოდებას, რომელიც „პირველი რვეულის“ წინასიტყვაობას წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიის დაწერილობის ნაქმარისი არ იყო მხოლოდ გამოქვეყნებების ლიტერატურით სარგებლობა. ამას დ. ბაქრაძე ძალიან კარგად გრძნობდა. მშინდელ პირობებში სამეცნიერო მივიღინებამი წასვლა ერთობ ძნელი საქმე იყო. ბრისესადმი ვაჯიხველი წერილებში დ. ბაქრაძე ხაზს უსვამდა იმ ვარემობებს, რომ უარესად საქონი და დასამქარებელი აქარის იმ ნაწილის ისტორიული შესწავლა, რომელიც თერგთა ბარბაროსული ბატონობის ქვეშ მოექცა, რადგან „თურქებმა დაუნდობელი იმი გამოუცხადეს დაპყრობილ ქართულ რაიონებში ქართველთა ტრისტიანულ სარწმუნოებას, ენას და ჩვეულებებს“ (გვ. 41). ვერია-აქარაში მოგზაურობა დ. ბაქრაძის საერთო გვემის ერთ ნაწილს წარმოადგენდა. მისი მზანა იყო მთელი საქართველოს არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული შესწავლა, მაგრამ ხანგრძლივ მივიღინებებს დიდი ხარჯები ესაჭიროებოდა, „ხოლო ამისათვის, რა თქმა უნდა, დიმიტრის ზელჯასს არცინ მისცემდა და არსებობის საკითხი მას ისევ მიხელობასთან აჯიხვირებდა (გვ. 42).

1873 — 1875 წლებში დ. ბაქრაძე თანამშრომლობდა ცნობილ ქართველ მოღვაწესთან ნიკოლოზ ბერძინშვილთან კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიაში. დ. ბაქრაძე ნ. ბერძინშვილთან ერთად სთარგმნიდა ქართულ ისტორიულ საბუთებს რუსულ ენაზე. ამ მუშაობის დროს დაასრულა მან მეორე კაბიტალური ნაშრომი — „Кавказ в древних памятниках христианства“, რომელიც გამოქვეყნდა აქტეზის“ მეზუოე და მეექვსე ტომებში“ (გვ. 43).

მომდევრო ნაწილში მ. დუმბაძე მოგვითხრობს დ. ბაქრაძის მოგზაურობის შესახებ თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ რაიონებში. ავტორი პირველ რიგში იძლევა გ. ნ. ყაზბეგის მიერ 1875 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომს („Три месяца в Турецкой Грузии“) შეფასებას, რომლის შესახებ ბაქრაძემ წერილების მთელი ციკლი გამოაქვეყნა 1877 წ. იანვარში გაზ. „კავკასის“ ფურცლებზე. მ. დუმბაძე წერს, რომ ყაზბეგის „ნაშრომის გამოქვეყნება მაშინ უდაოდ დიდი მოვლენა იყო... მაგრამ მას აკლდა სათანადო მეცნიერული საბუთიანობა და სისრულე. ამ ხარვეზის შესესხასაც ისახავდა მზნად დ. ბაქრაძის საგანგეთო წერილები“. მაგრამ არ იქნებოდა ზედმეტი, თუ მ. დუმბაძე ყაზბეგის შრომის მთავარ მინაარსსა და ძირითად დებულებებს გაგვეცნობდა და

მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეიძლებოდა დანახებოდა მის როგორც მეცნიერის, ისე უარყოფით მხარეებს. ამის წინაშე ვაჯიხველი დ. ბაქრაძის წერილებში მეცნიერული ლიტერატურაზე ამავე ნაწილში ვეცნობია დ. ბაქრაძის მოგზაურობის შედეგად შექმნილ ძეგრთას ნაშრომს „Археологическое путешествие по Турии и Аджаре“.

დ. ბაქრაძის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილ. ქავკაძესთან სიახლოვეს. „ილია ქავკაძეზე დიდებული იყო მართო ზოგინასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ინიკა კიდევ მართო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი უაწილი ჰქონია, რომლის დაიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს.“ (ივ. ჯავახიშვილი, ილია ქავკაძე და საქართველოს ისტორია, 1938 წ. გვ. 16). დ. ბაქრაძე, მარტო ისტორიული საკითხებით როდეს იყო ვტაცებული. „დ. ბაქრაძე მხარს უჭერდა ილია ქავკაძის ბრძოლას ქართული ენის სოწმინდისათვის“ (გვ. 57). ფაქტორ მასალაზე დავრდნობით ავტორი ვეცნობს დ. ბაქრაძეს, როგორც ისტორიის ფალსიფიკატორთან მებრძოლს. ამ შრავდ ილსანიშნევი პროფესორ პ.ტკაიშვიის რაქვეილი გამოცვლის მძფრი კრიტიკა. ავაზაგებია; რომ ბაქრაძისთან საზოგადო მოღვაწე იდენტრად და საქმიოვ მჭიდროდ იქნებოდა დავეშარბული ქართველთა ეროვნულ-განმთავისუფლებული და ეროვნულ-კულტურული ბრძოლის შესახებ ილია ქავკაძესთან“ (გვ. 57).

დ. ბაქრაძეს კარგად ჰქონდა შეეცნებული რომ ისტორიის მეცნიერულად დამუშავებისათვის საქონი იყო იმ ძველები და წარწერების შესწავლა. რომლებიც ქართული ხალხის კულტურის შესახებ შეტყველებენ. იმ დროინდელი ქართველ მოღვაწეთა შორის დ. ბაქრაძე ვეცნობს აქტიურად ჰკიდებს ხელს უძველესი წარწერების დემოფიციის და სიახვ გუგებს ქართული მუშუფის შესწმისათვის, სადაც მონახერბებელი იქნებოდა ამ მასალების როგორც დაცვა, ისე მეცნიერული განალიზება. მუშუფში გაიხსნა 1888 წ. ამ მოვლენას აღტაცებულნი შეხედნენ ილია ქავკაძე, სტრეე ემიკაშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები. მ. დუმბაძე მონროფის ამ ნაწილში ათავსებს დასახელებული მოღვაწეთა სიტყვებსაც, რითაც ნათელს ჰქვენს დ. ბაქრაძის მოღვაწეობის.

შემდეგ ავტორი ეტება დ. ბაქრაძის მოღვაწეობის უკანასკნელ წლებს. დ. ბაქრაძე შეუღვა დიდი ზნის ოცნების განხორციელებას, — სა-

ქართველის ისტორიის მოწოდებას გამოსაცემად. ამიტომ მან წინასწარ გამოაქვეყნა ამ „ისტორიას“ პროგრამა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე წერილით გამოეხმაურა და ამ დიდ წამოწყებას დადებითი შეფასება მისცა.

მონოგრაფიის პირველ თავის უკანასკნელ ნაწილში მ. დუმბაძე მოგვითხრობს დ. ბაქრაძის გარდაცვალების ამბავს და ქართული ხალხის გულისტკივილს ამ მიმე დაწვლასთან გამო. „საფლავი შენსთანა კაცისა სალოცავა მამულისა“. — ასეთი წარწერა ჰქონდა ილია ჭავჭავაძისაგან შემკულ გვირგვინს.

წიგნის მეორე თავში მოცემულია დ. ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება. მ. დუმბაძე აცხადებს ისტორიოგრაფიულ შესავალს, რითაც შეითხველს აცნობს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების გზებს მე-18 საუკუნის მიწურულიდან დ. ბაქრაძის მოღვაწეობამდე. როგორც ცნობილია, მეზუთე საუკუნიდან მე-18 საუკუნის მიწურულამდე, ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლას მიეძღვნა ავად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი (იხ. „ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა 5 — 18 სს.“). ამიტომ ავტორი ივ. ჯავახიშვილის მიერ დამუშავებულ საკითხებზე აღარ ჩერდება.

ისტორიოგრაფიული შესავლის შემდეგ ავტორი განიხილავს დ. ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობის პირველ პერიოდს, რომელიც თვითონ რიგი ნაშრომების გამოქვეყნებით აღინიშნა: „სვანეთი“, „საქართველო“ და „ავგასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“. ეს ნაშრომები დ. ბაქრაძემ შექმნა არა მარტო არსებული ლიტერატურის გამოყენებით, არამედ იმ მასალების მოშველიებითაც, რომლებიც სამეცნიერო მივლინებაში უფროს დროს შეაგროვა. დ. ბაქრაძე აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალებს, ყურადღებით აკვირდებოდა ისტორიულ ძეგლების პოეტიკურს, დაკვირვებით სწავლობდა ძველ ქრისტიანულ ძეგლებს, დღიურებში იწერდა ბერძნულ-ლათინურ და სომხურ წარწერებს. პატივს აძლევს დ. ბაქრაძე მასალის უბრალო შემგროვებელი კი არა, არამედ საქმით მეცნიერული მოწოდებით აღჭურვილი დამკვირვებელი“ (გვ. 109).

დ. ბაქრაძის ღვაწლი დიდია არა მხოლოდ წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული კვლევის დარგში, არამედ მან წინ წასწია და გაამდიდრა ქართული არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნების ისტორია, საისტორიო გეოგრაფია, პელოგრაფია-ეპიგრაფიკა, სამართლებრივი ისტორია და სხვა.

საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შექმნილ ნარკვევებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1878 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი „Археологическое путешествие по Гурни и Аджар.“ აქ გამოყენებულია როგორც ისტორიულ-ეპიგრაფიული, ისე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალები. „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში“ იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ სიმძველეთა შესწავლის გვერდით მოცემულია აჭარის საერთო მდგომარეობის დახასიათებაც (მოსახლეობის რაოდენობა, სოფლები, საზაზრო ადგილები, გზები და სხვა), საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ქართული ყოფა-ცხოვრების ელფერი შემონახული იყო — ენა, სიმღერები, საქორწილო წეს-ჩვეულებანი და სხვა“ (გვ. 120). არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გურუის შესახებ თავმოყრილი მასალების მეცნიერული ღირებულება.

მეორე თავის უკანასკნელ ნაწილში ავტორი განიხილავს დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიას“ და იმ მონოგრაფიულ გამოკვლევებს, რაც საფუძვლად დაედო „საქართველოს ისტორიას“. მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების საქმეში ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია, ხოლო ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონისათვის არ გამოდგება, რადგან დღევანდელ მოთხოვნილებებს ვერარ მას სულხოს.

წიგნის ბოლოში ერთვის შენიშვნები და დ. ბაქრაძის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაშრომების სია.

წიგნში შეიმჩნევა ზოგიერთი მეთოდური ნაკლოვანება. ავტორის მიერ მოცემულია დ. ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობის განხილვა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. უკეთესი იქნებოდა, დ. ბაქრაძის მეცნიერული მეცნიერების გარეგან ავტორის მოხებინა არა მეცნიერის საზოგადოებრივი პერიოდების, არამედ იმ პრობლემების ცალკე გამოყოფისა და შეფასების მიხედვით, რაც დ. ბაქრაძემ დასვა და გადასწყვიტა თავის შრომებში. ეს უფრო გამართლებული იქნებოდა, რადგან დავაჩვენებთ დ. ბაქრაძეს, როგორც წყაროთმცოდნეს, არქეოლოგს, ეთნოგრაფს, ხელოვნების ისტორიის მცოდნეს და სხვა.

ვალერიან ითონიშვილი.

## ახალი წიგნები



### საბავშვო მწიგნობარი

- ირაკლი აბაშიძე — ერთი ხიმღერა, რედ. ბესო ელენტი. გვ. 70, ფასი 4 მან.
- ზერგო კლდიაშვილი — რჩეული პრინცი, რედ. სერგი ჭილაია. გვ. 526, ფასი 20 მან.
- ნიკო ლომოური — მოთხრობები, რედ. რაქდენ გვეტაძე. გვ. 392, ფასი 18 მან.
- გრიგოლ ორბელიანი — პოეტურ ნაწარმოებთა სრული კრებული, (ლირიკა, ეპოსი, თარგმანები), რედ. აკაკი გაწერელია. გვ. 234, ფასი 12 მან.
- ამბაკო ჭელიძე — ფერტიდნელი ქართველები, რედ. გერონტი ჭიჭიძე. გვ. 107, ფასი 4 მან.
- სანდრო ეფლი-ქუჩიძე — სიცოცხლე სიხარულით, რედ. გიორგი ნატროშვილი. გვ. 80, ფასი 4 მან.
- ი. პომპეი — ოჯახი (თარგ. შ. ჯაფარიძისა), რედ. დავით ფანჭულაძე. გვ. 109, ფასი 4 მან.
- ოთარ ჭელიძე — კომუნისტების ჯარისკაცები, რედ. შალვა აფხაიძე. გვ. 106, ფასი 4 მან.
- ელიზბარ შაისურაძე — მოთხრობები, რედ. რაქდენ გვეტაძე. გვ. 246, ფასი 5 მან.
- ნ. მელანია — ბნელი, რედ. გერონტი ჭიჭიძე. გვ. 210, ფასი 6 მან.

### საბავშვო მწიგნობარი

- აბდუქანდარე პუშკინი — ლექსები (თარგ. ვ. წულუკიძისა), რედ. ნ. შველიძე. გვ. 138, ფასი 7 მან.
- ერ. ჭარელიშვილი — იროდიონ ედღეშვილი, რედ. ნ. შველიძე. გვ. 174, ფასი 8 მან.
- მარიჯანი — კეთილი გულით, რედ. ელ. აგლაძე. გვ. 96, ფასი 3 მან.
- გიორგი შატბერაშვილი — შტეტინის სათაფისაყენ, რედ. ა. კინწურაშვილი. გვ. 134, ფასი 7 მან.
- დ. ქუშიშვილი. ა. ხელაკაური — გზა დიდებისაკენ (მოგება), რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 30, ფასი 2 მან.
- დ. ვ. გრიგორიანი — გეტრეთისის ბიჭი (თარგ. ბ. წერეთლისა), რედ. ნ. ანანიშვილი. გვ. 30, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ხაბავეშო მოთხრობები (კრებული), რედ. შ. ვაგოშვიძე. გვ. 46, ფასი 2 მან. 50 კაპ.

### პოლიტიკური და მემორიული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებრივი გამოცემები

- გ. ფანი — ი. სტალინი — ამერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ორგანიზატორი. გვ. 42, ფასი 1 მანეთი.
- ი. მელაძე — ი. სტალინის თხზულებათა მეფრთხილვით ტომი. გვ. 30, ფასი 1 მანეთი.
- ს. სახაროვი — მარქსიზმ-ლენინიზმი ქრისტიანობის წარმოშობისა და მისი კლასობრივი ბუნების შესახებ. გვ. 34, ფასი 1 მანეთი.
- ვ. მაჭავარიანი — შემარჯვენე სოციალისტები ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში. გვ. 34, ფასი 1 მანეთი.
- ზ. ბინიაშვილი — ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სოციალიზმის გზაზე. გვ. 44, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- თ. თაყაიშვილი — პინტრალეები და თანამედროვე მრეწველობა. გვ. 32, ფასი 1 მანეთი.



№ 8 8.

3/150.

10/32



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ